



# მაცნე

675-9  
1972

64

ენისა და  
ლიტერატურის  
სერია

675-9

64

3.1972



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
 განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
 Отделение общественных  
 наук

11910

თბილისი-1972-ТБИЛИСИ





# МАЦНЕ

ВЕСТНИК



Серия  
яЗыка и  
літэратурЫ

3.1972

# გაცნა

საქართველო  
ბიბლიოთეკა

ენისა და  
ლიტერატურის  
სერია

3.1972

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეჯია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
ალ. გვახარია (პლენანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი,  
შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე), გ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигури Ш. В. (заместитель редактора),  
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С., Церетели Г. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-24-07

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.IX.72; ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>; ქაღალდის ზომა  
7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16,80; სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 15,13;  
შეკვ. № 1678; უე 01113; ტირაჟი 1500.  
ფასი 1 მან.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



## შ ი ნ ა ა რ ს ი

### წერილები

ა. ჩავლეიშვილი, მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლების რეალიზმი და დანიელ ჭონჭაძის შემოქმედება . . . . .	7
ბ. გიგოლოვი, მ. გორკის პოემის „ადამიანის“ პრობლემატიკა მისი თანადროული ლიტერატურული კრიტიკის შუქზე . . . . .	22
კ. კელენჯერიძე, ჟურნალ „ჯეჯულის“ დაარსების ისტორიისათვის . . . . .	35
ლ. მენაბდე, რუსთველი ამერიკაში . . . . .	47 ✓
მ. მამაცაშვილი, გალობა შვიდთა მნათობთათვის ნიჟამის „ლეილი და მაჯუნუნსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ . . . . .	61 ✓
ნ. მგალობლიშვილი, კირილე იერუსალიმელის თხზულებათა ადრეული თარგმანები და მათი მნიშვნელობა . . . . .	82
ი. დობროჰაზინიძე, გ. წერეთლის რომანის „გულქანის“ შემოქმედებითი და ბეჭდვითი ისტორიისათვის . . . . .	89
ო. გიგინეიშვილი, მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თავისებურების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში . . . . .	99
პ. ფეიქრეშვილი, ორპირიანი გარდაუვალი ზმნების დრო-კილოთა შესამე სერია ახალ ქართულში . . . . .	121 ✓
რ. ონანანი, პირველი სუბიექტური პირის მორფემა ქართველურ ენებში . . . . .	137 ✓
ს. სარჯველაძე, ახალი მასალები შესამე სოლმეობითის შესახებ . . . . .	147 ✓
ბ. გიგინეიშვილი, ქართველური ეტიმოლოგიები . . . . .	150 +
ბ. შანიძე, ნა პრეფიქსის მნიშვნელობისათვის სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში . . . . .	155 +
მ. გიორგობიანი, ვეარის კატეგორიისათვის ძველ ბერძნულში . . . . .	157
პ. ახვლედიანი, ტერმინ „შაჯრ“-ის მნიშვნელობისათვის . . . . .	166
თ. სანიძეძე, ინგლისურ ეკონომიურ და იურიდიულ ლიტერატურაში ხმარებული აგენტის (მოქმედი პირის) სუფიქსების შესახებ . . . . .	169 ✓

### ცნობები და შენიშვნები

ნ. დოლიძე, დუტუ მეგრელის უცნობი რუსთველოლოგიური ცდანი . . . . .	173
მ. სურგულაძე, საწერი მასალის აღმნიშვნელი ტერმინები და ცნობები მისი დამუშავების შესახებ . . . . .	181

### პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დ. კობიძე, პირველი მონოგრაფია . . . . .	187
ჰ. გიგინეიშვილი, მ-ნ. ო. ოსმანოვი, უნსურის სისშირის ლექსიკონი . . . . .	190

### ანოტაციები

ახალი წიგნები . . . . .	192
-------------------------	-----



## ОГЛАВЛЕНИЕ

### СТАТЬИ

А. ЧАВЛЕИШВИЛИ, Реализм 50-х годов XIX века и творчество Даниэла Чонкадзе	7
Г. ГИГОЛОВ, Проблематика поэмы М. Горького «Человек» в свете современной ей литературной критики	22
Е. КЕЛЕНДЖЕРИДЗЕ, К истории основания журнала «Джеджили»	35
Л. МЕНАБДЕ, Руствели в Америке	47
М. МАМАЦАШВИЛИ, Восхваление семи планет в поэме Низами «Лейли и Маджну» и в «Витязе в тигровой шкуре»	61
Т. МГАЛОБЛИШВИЛИ, Древнейшие переводы Кирилла Иерусалимского и их значение	82
И. ДОБОРДЖГИНИДЗЕ, Из творческой и печатной истории романа Г. Церетели «Гулкан»	89
И. ГИГИНЕИШВИЛИ, О некоторых особенностях форм множественного числа в языке «Вепхисткаосани»	99
Ж. ПЕИКРИШВИЛИ, Времена и наклонения третьей серии двухличных переходных глаголов в новогрузинском языке	121
А. ОЗИАНИ, Морфема первого лица субъекта в картвельских языках	137
З. САРДЖВЕЛАДЗЕ, Новые материалы о III многократном	147
Б. ГИГИНЕИШВИЛИ, Картвельские этимологии	150
А. ШАНИДЗЕ, О значении префикса на- в географических названиях Мегрелии	155
Т. ГИОРГОбИАНИ, К вопросу категории залога в древнегреческом языке	157
В. АХВЛЕДИАНИ, О значении термина <i>šagṭ</i>	166
Т. САНИКИДЗЕ, Об агентивных суффиксах, встречающихся в английской экономической и юридической литературе	169

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Н. ДОЛИДЗЕ, Неизвестные руствелологические опыты Дуту Мегрели	173
М. СУРГУЛАДЗЕ, Терминология письменного материала и данные об его обработке	181

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Л. КОБИДЗЕ, Первая монография	187
Дж. ГИУНАШВИЛИ, М.-Н. О. ОСМАНОВ, Частотный словарь Унсური	190

### Аннотации

Новые книги	192
-------------	-----

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

ალექსანდრე ჩავლიაშვილი

### მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლების რეალიზმი და დანეულ ჰონტაძის შემოქმედება

I. ახალ ქართულ ლიტერატურაში რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება 50-იან წლებში დაიწყო. 60-იანი წლების კრიტიკული რეალიზმისგან განსასხვავებლად მას ჩვეულებრივ ადრინდელ რეალიზმს უწოდებენ, ზოგიერთი კრიტიკოსი კი ხმარობს ტერმინს ადრეული რეალიზმი. ცხადია, მართებული იქნება მას ვუწოდოთ ადრინდელი რეალიზმი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი წინ უსწრებს კრიტიკულ რეალიზმს.

ადრინდელ რეალიზმს აკუთვნებენ სამ მწერალს: გიორგი ერისთავს, ლავრენტი არდაზიანსა და დანიელ ჰონტაძეს. ორი მწერალი აქედან სამოციანი წლების დამდეგს გარდაიცვალა (გ. ერისთავი — 1864 წ., დ. ჰონტაძე — 1860 წ.). მართალია, ლ. არდაზიანმა 60-იანი წლების ბოლომდე იცოცხლა (1870), მაგრამ თავისი შემოქმედების თემატიკითა და იდეური შინაარსით იგი 50-იანი წლების ფარგლებში რჩება. მაშასადამე, 50-იანი წლების რეალიზმის გამოსაყოფად გვაქვს ერთგვარი ქრონოლოგიური საფუძველი, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს არ წარმოადგენს ვადამწყვეტ კრიტერიუმს. მთავარი მაინც იმ ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების ფიქსაციაა, რომლებიც არსებითია ყველა ლიტერატურული მიმართულების გამოყოფისათვის.

რეალიზმის ზოგადი განსაზღვრის დროს მთავარია იმ არსებით ნიშანზე მითითება, რასაც ფრიდრიხ ენგელსმა ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში მართალი გადმოცემა უწოდა. სინამდვილის, რეალობის გამოხატვა და ისეთი ტიპიური სახეების შექმნა, რომლებიც თავის გამართლებას ტიპიური ვითარებით აღწევენ, რეალიზმის განუყრელი თვისებაა. ისტორიულად ყველა ქვეშაირტი მწერალი და მწერლობა სინამდვილეს გამოხატავდნენ. პირდაპირ თუ მოვლილი გზით მწერლობა სინამდვილეს ასახავს, მაგრამ ეს ასახვა ყოველთვის ერთმანეთს არ ერწყმის, ხოლო როცა ისინი ერთმანეთს შეერწყმიან, ე. ი. რეალური რეალისტურად იქნება გამოხატული, მაშინ ჩნდება რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება. სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ რეალურის ასახვაა, რადგან გადმოგვცემს დიდბუნებოვანი ადამიანის რეალურ ტრაგედიას, მაგრამ იგი არ არის რეალისტური ნაწარმოები იმის გამო, რომ მოვლენები მასში არ არის გამოსახული რეალისტურად. გამოსახვის ხერხად მწერალი იყენებს არარეალურ საშუალებებს, ისუთებს, როგორცაა, მაგალითად, ბრმა ბედისწერა. ეს უკვე არ არის რეალისტური. ამიტომ არის, რომ ჰომეროსს, სოფოკლეს და სხვა ანტიკურ მწერლებს ჩვენ ვერ ვუწოდებთ რეალისტებს. ამ ტერმინის გამოყენება სკირს ისეთი დიდი ჰუმანიტი მწერლის შემოქმედების მიმართაც, როგორცაა რუსთაველი. რუსთაველი რეალურ ამბებს მოგვითხრობს, მაგრამ მასში ყველაფერი არ არის რეალისტური. ქაჯეთის ციხე, დევების ამოხოცვა და სხვა ელემენტები გამოხატვის ისეთი ხერხები და საშუალებებია, რომლის მიმართ არ შეიძლება ითქვას თითქოს ისინი რეალისტური იყვნენ.

გიორგი ერისთავი კი იმიტომ იწყებს რეალიზმს, რომ მოცემულია ტიპიური ხასიათები ტიპიურ გარემოში. რეალურობა გამოხატულია რეალისტურად. აქ ვერ ვხედავთ ისეთ გამომსახველობით საშუალებებს, რომლებიც არ იყოს რეალისტური. ახლა ამის მაგალითებს არ მოვიტანთ, მხოლოდ არ შეიძლება არ ვუპასუხოთ ერთ მეტად საინტერესო საკითხს. თუ კი კრიტიკულ რეალიზმს, როგორც რეალიზმს, ახასიათებს რეალურობისა და რეალისტურობის ერთიანობა, ხოლო ეს ნიშანი შეადგენს 50-იანი წლების რეალიზმის ძირითად ნიშანს, მაშინ რაღა განსხვავებაა 50-იანი და 60-იანი წლების ქართულ რეალიზმს შორის?

ამ საკითხის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი საკვლევი თემისათვის, რადგან ამის გარეშე ვერ გავრკვევა ჰონჭავჭავის შემოქმედების თავისებურება და მისი როლი ქართული რეალიზმის განვითარების ისტორიაში. განსხვავებას ვერ აღმოვაჩინებთ საერთოში. ამ ორი ათწლეულების რეალიზმის ზოგადი და საერთო ის არის, რომ ორივე მათგანი იძლევა ტიპიურ ხასიათებს ტიპიურ გარემოში და რეალური და რეალისტური ერთმანეთთან თანაარსებობენ. აქ ვერ ვნახავთ განმასხვავებელ ნიშანს. იგი უნდა ვეძიოთ იქ, თუ როგორ უდგება თითოეული მათგანი სინამდვილის გამოსახვას, თუ როგორია რეალურობისადმი მიდგომის თავისებურება. 60-იანი წლების რეალიზმს სხვაგვარად კრიტიკულ რეალიზმს ეძახიან. აქ მახვილი კრიტიკაზე მოდის. როგორც ილია ჭავჭავაძე განმარტავს, კრიტიკა არის „განსჯაც, განჩხრეკაც, გარჩევა და დაფასება ერთად“ (ტ. III, გვ. 34). კრიტიკა ნიშნავს „ჰო“-სა და „არა“-ს თქმას. კრიტიკული რეალიზმისათვის სწორედ ამ ორი მხარის ერთიანობაა დამახასიათებელი. კრიტიკული რეალიზმი უკომპრომისო რეალიზმია. იგი ისეთ რამეს აკრიტიკებს, რომლის გამოსწორება არ შეუძლია იმას, ვისაც ეს ნაკლოვანება ახასიათებს. ლუარსაბის წოდებას არ შეეძლო გამოესწორებინა ის უარყოფითი მხარე, რასაც ილია აკრიტიკებდა. გ. ერისთავთან კი ეს საკითხი ცოტა სხვაგვარად ისმის. თავის ცნობილ წერილებში ქართულ ლიტერატურაზე ილია ჭავჭავაძე იძლევა გ. ერისთავის დახასიათებას და მის დამსახურებად მიიჩნევს ყურნალის დაარსებას და თეატრის განახლებას. „იგი სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვევლინაო“, — დასძენს იგი. ამასთანავე, გ. ერისთავს თურმე კიდევ მიუძღვის ერთი ღვაწლი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მან „ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან“ (ტ. III, გვ. 222). ალბათ, ეს აძლევს ზოგიერთ მკვლევარს საბაბს, რომ გ. ერისთავს კრიტიკული რეალიზმის დამწყები უწოდოს ქართულ ლიტერატურაში. ჯერ ერთი, სადაც სატირა გამოჩნდება, იქ ყოველთვის კრიტიკული რეალიზმი არ ჩნდება. ამასთანავე, ილია ჭავჭავაძე სიტყვა „სატირას“ ბრჭყალებში სვამს, რაც იმის მაუწყებელია, რომ იგი გ. ერისთავს არ თვლის ტიპიურ სატირიკოსად. ილია ჭავჭავაძე იქვე ხაზგასმით მიუთითებს, რომ გ. ერისთავის „კალამი უფრო სათავადიშვილო არემარეში ატრიალებს ჩვენს გონებას“ (იქვე, გვ. 222), რაც იმაზე მიუთითებს, რომ გ. ერისთავის კომედიების მთავარ თემას წარმოადგენს გაბატონებული არისტოკრატიული წოდების მხატვრული ჩვენება; მაგრამ ამ კრიტიკაში მწერალი ვერ არის თანამიმდევარი კრიტიკოსი. გ. ერისთავის კომედიებში არ ჩანს დადებითი იდეის მატარებელი პირები. რასაკვირველია, არ შეიძლება ასეთი დადებითი ვეძიოთ მის თავადთა წრეში. ანდუყაფარი, ონოფრე, ამირინდო, პავლე და სხვები არ არიან დადებითი თვისების მატარებლები, ხოლო მათი შვილები მიხეილი, ივანე, ბეგლარი შორს დგანან დადებითობისაგან, რადგან არც ერთი მათგანი არ არის სიტყვისა და საქმის ერთიანობის დამცველი.





საბოლოოდ ისინი უპრინციპო პირებად გვევლინებიან, შორს არიან თერგდალელელებისაგან, თუმცა ავტორი მათ თერგდალელელებს უწოდებს.

რაც შეეხება მეგახშეებს, კარაპეტასა და მიკირტუმ დტრატოვის სახე-ტიპებში დადებითის აღმოჩენა არ ხერხდება. მართალია, ისინი ახალი ცხოვრების შეილები არიან, ცხოვრების დიდი უნარიანობით ხასიათდებიან, მაგრამ მოკლებულნი არიან ადამიანურ გრძნობებს და მხოლოდ ძუნწებად ქცეულან.

მსახურები, მოჯამაგირეები არ არიან აღშფოთებული თავიანთი მდგომარეობით და არავითარ რადიკალურ ღონისძიებებს არ მიმართავენ აუტანელი მდგომარეობის არამცთუ მოსასპობად, არამედ მის გასაუმჯობესებლადაც კი.

როგორც ჩანს, გ. ერისთავის კრიტიკა ვერ არის მძაფრი, იგი უფრო თვითკრიტიკაა, ვიდრე კრიტიკა. გ. ერისთავი, როგორც განმანათლებელ-დემოკრატი. გულწრფელად ებრძოდა უარყოფით მოვლენებს ყველა წოდებაში. მას უნდოდა ხალხის, დემოსის ცხოვრების გაუმჯობესება და მოუწოდებდა მკითხველებს იმ უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრისაკენ, რომელიც მას მიაჩნდა საერთო მოვლენად და ქართველი ერის წარმატების ხელის შემშლელად. სხვაგვარად რით უნდა ავხსნათ ის მოწოდება, რომელიც გაისმის „გაყრის“ დასასრულს. ტექსტში წერია: მიკირტუმა (ავტორის მაგივრად) ამბობს:

ბატონებო, შემინდევით,  
თუ ჰპოვეთ რამ ნაკლებება,  
ამად ვმხნობ, აქ ბრძანებულთ  
ყველასა გაქვსთ განათლება,  
და ამისთვის მამატივებთ  
სუსტსა ამას პირველ შრომას,  
არ შეისმენთ რომელთამე  
უსწავლელთა წყენა, წყრომას,  
მე დავწერე იმათზედა, ვინც  
ზნეობით არის მრული...  
ჩვენც ვეცადეთ და გავნდევნოთ,  
რაცა არის ჩვენში ცუდი!

როგორც აქედან ჩანს, გაყრაში გამოყვანილი პირები: თავადი დიდებული-ძეები, მათი ცოლი და შვილები, ვაჭარი დტრატოვი, მისი ცოლი და შვილი, სასამართლოს მდივანი რამაზი, მოურავი ბარამი, მსახურები გაბრიელ და ყარდაშვერდი და სხვები, საზოგადოების მაღალი და დაბალი წოდება, ზნეობით ცუდი ყოფილან და ავტორი ეუბნება მათ: აი დაგანახვეთ ეს ჩვენი ცუდი მხარეები, რაც თურმე ზნეობით სიმრუდეს ნიშნავს, და ჩვენც ვეცადოთ მათს განდევნასო. ავტორი ამ ზნეობით ცუდებში თავისთავსაც გულისხმობს და ასე გამოდის, რომ ავტორი დაუნდობლად კი არ აკრიტიკებს არსებულს, არამედ აწარმოებს თვითკრიტიკას ზნეობრივ-დამრიგებლობითი ხაზით. აქ არსად არ ჩანს ბატონყმობის მძაფრი დაგმობა, თუმცა მიუთითებს ყმების ჩავგრის არსებობაზე კახაშვილების აკლების მაგალითით. ამიტომ ძნელია გ. ერისთავი ჩავთვალოთ კრიტიკული რეალიზმის დამწყებად ქართულ ლიტერატურაში. მართალია, ცნობილი მეცნიერები დ. გამეზარდაშვილი, ა. გაჩეჩილაძე და სხვები დიდ ერუდიციას იჩენენ და დამაფიქრებელ მასალებს იყენებენ, მაგრამ, ჩვენი აზრით, თუ იმ კუთხიდან მივუდგებით აღძრულ პრობლემას, როგორც ეს ჩვენს წერილშია განვითარებული, მაშინ იძულებული ვაგხდებით კრიტიკული რეალიზმის დამწყებად სხვა

1 გ. ერისთავი, პიესები, 1950, გვ. 176 (ზავგასმა ჩემია. — ა. ჩ.).



მწერალი მივიჩნით, ისე რომ 50-იანი წლების რეალიზმს კრიტიკულ რეალიზმი მანიც არ ჩამოვაშორით. ჩვენი ღრმა რწმენით, კრიტიკული რეალიზმის დამწყები ახალ ქართულ ლიტერატურაში არის დანიელ ჭონქაძე. ამის საშუალებით მყარდება ის აუცილებელი კავშირი, რომელიც არსებობს 50-იანი და 60-იანი წლების რეალიზმს შორის. ამას დაგვანახებს დ. ჭონქაძის შემოქმედების მოკლე მიმოხილვა.

II. მეცხრამეტე საუკუნის 50-იან წლებში კრიტიკული რეალიზმის დამწყებად დ. ჭონქაძე მხოლოდ იმიტომ ითვლება, რომ გლეხთა განთავისუფლების საკითხი მან გადაწყვიტა რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისით. ჯერ ამ თვალსაზრისით მან ასახა ყმა გლეხების ცხოვრება, დაახასიათა მათი არსებობის ტიპური ვითარება. ცოცხალი სახეების საშუალებით ნათლად აჩვენა, რომ ბატონყმობა იყო დიდი სოციალური ბოროტება. დ. ჭონქაძე შეებრძოლა ბატონყმობას, როგორც თავადსა და ყმას შორის მამაშვილური, ურთიერთობის თეორიას. ასეთი თეორია კი, როგორც ცნობილია, აშკარად იქადაგა ალექსანდრე ორბელიანმა. მისი აზრით, ასეთი იყო უწინდელი დროის ბატონყმობა, ხოლო დანიელ ჭონქაძემ თავისი მოთხრობის შინაარსად სწორედ ძველი დროის ამბები აიღო. ზოგიერთი მეცნიერი სწორად შენიშნავს, რომ ამბის წარსულ დროში გადატანა ავტორს მარტო ცენზორის შეცდომაში შესაყვანად არ მოუგონია, არამედ იმისი ცხადსაყოფადაც, რომ ძველ დროშიც ისევე იჩაგრებოდნენ ყმები, როგორც ახალ დროში, რომ ამ მხრივ ძველსა და ახალ დროს შორის არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება. ყმის ყიდვა, გაჩუქება და დასჯა მაშინაც ისეთივე მოვლენა იყო, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დანიელ ჭონქაძის დროს.

ჩვენ აქ არ მოვიტანთ კონკრეტულ ფაქტებს. ღურმიშხანისა და ნოდარის თვგადასავალი მრავალჯერ არის განხილული ჩვენი მეცნიერების მიერ. ოღონდ აღვნიშნავთ, საქართველოს სინამდვილეში დ. ჭონქაძემ პირველმა მოგვცა ბატონყმობის კრიტიკა. მასზე ადრე რუსეთში ბატონყმობა ძირფესვიანად გააკრიტიკა დიდმა რევოლუციონერ-დემოკრატმა ა. რადიშჩევმა თავის სახელგანთქმულ წიგნში „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“, რომელიც ჯერ კიდევ სამოცდაათი წლით ადრე გამოქვეყნდა ბატონყმობის გადავარდნამდე.

ა. რადიშჩევის მსგავსად დ. ჭონქაძე ქადაგებს ბატონყმობის მოსპობას, ყმების განთავისუფლებას. ყმა მიწით უნდა განთავისუფლდეს და აზა უმიწოდ. თავის დროზე ეს საკითხი მეტად საკირბოროტო საკითხს წარმოადგენდა. რევოლუციონერ-დემოკრატები იყვნენ სწორედ ის ადამიანები, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ გლეხის მიწით განთავისუფლებას. სწორედ ეს იყო საკითხის სწორი და რევოლუციონერული გადაწყვეტა. ეს პრინციპი თანმიმდევრულად არის გატარებული „სურამის ციხეში“. ამის მაჩვენებელია მოთხრობის ცნობილი ადგილები.

ღურმიშხანი განთავისუფლდა უსისხლოდ, ჩაიღო უბეში განთავისუფლების ქაღალდი. ამით გახარებული ვარდო მიმართავს ღურმიშხანს:

„— აბა, ახლა, ჩემო ღურმიშხან... ჯვარი როდის უნდა დავიწეროთ?

— ჯერ ასე ჩქარა არა, ჩემო ვარდო, მოითმინე. აჩქარებით საქმე არ გაკეთდება.

— ახლა რაღა მიზეზი იპოვე, ჩემო ბრძენო?..

— ვარდოჯან, ეხლა თავისუფლები ვართ, მართალია, მაგრამ იცი, რო რაც უნდა გვაცვია, იმის მეტი არა გვაქვს რა?

— რა ვუყოთ! შენ ინაზირე, მე ჩემს ქალბატონს ვემსახურები, განა ვერ ვიცხოვრებთ, აქამდინ როგორ ვცხოვრობდით?

— არა, სანამ ჩვენ ჩვენი იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რო სხვის თავდაუკვრელად ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება განთავისუფლება არ არის<sup>2</sup>. დღეს სალიტერატურო კრიტიკაში ერთხმად აღიარებულია, რომ ხაზგასმული სიტყვები გადაკვრის ხერხით მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ გლეხის თავისუფლებას უნდა ჰქონდეს რეალური საფუძველი და ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ მიწა. გლეხსაც უნდა ჰქონდეს საკუთრება<sup>3</sup> („სანამ ჩვენ ჩვენი იმდენი არ გვექნება...“). ასეთი რადიკალური აზრი გამოთქმულია მოთხრობის იმ პირველ ნაწილში, რომელიც 1859 წელს დაიბეჭდა და ეს ის პერიოდია, როცა ბატონყმობა ჯერ კიდევ არ არის გადავარდნილი რუსეთში. ამიტომ არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს ის აზრი, რომლის მიხედვით ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი პირველი მწერლის სახელს ილია ჭავჭავაძეს აკუთვნებენ.

როგორც პროფ. დ. გამეზარდაშვილი სამართლიანად შენიშნავს, პ. ინგოროყვა ზომიერებას ღალატობს და რამდენადმე აპარბებს, როცა წერს, რომ ი. ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ 1858—1859 წლებში დაწერილი ჰქონდა მოთხრობა „კაკო“, რომელშიც «ბატონყმობის ინსტიტუტი ისევე მძაფრად და კიდევ მეტის რადიკალურის შეურთებლობით არის გაკიცხული, ვიდრე „სურამის ციხეში“<sup>4</sup>.

ერთი შეხედვით მკითხველს პ. ინგოროყვას აზრი სწორი ეგონება, რადგან მართლაც „კაკო“ ბატონყმობის გადავარდნამდე დაიწერა, მანამდე, სანამ ბატონყმობა გადავარდებოდა რუსეთში. შემდეგ, როგორც ცნობილია, ამ გაერთიანებული რედაქციიდან გამოიყო და საქართველოში ბატონყმობის გადავარდნამდე დაიბეჭდა „კაცია-აღამიანი?!“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“. პირველი გაერთიანებული რედაქცია ამ მოთხრობებისა მართლაც იყო მოცემული 1858 წელს დაწერილ „კაკოში“. მაგრამ აქ პატივცემული მკვლევარი პ. ინგოროყვა მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ „კაკო“ და სხვა რედაქციები მხოლოდ დაწერილი იყო და არა დაბეჭდილი. ეს ორი ცნება არ უნდა იქნეს ერთმანეთში არეული. პრიორიტეტი მხოლოდ იმ პიროვნებას უნდა მიეცეს, ვინც დაბეჭდა და არა ვინც დაწერა. ნაწერი მხოლოდ მაშინ იქნეს თავის ნამდვილ ღირებულებას და სიცოცხლეს, როცა იგი მკითხველთან მივა ბეჭდური წესით. ბეჭდური წესით კი პირველად დ. ჰონჭაძის „სურამის ციხე“ გამოქვეყნდა და ამიტომ პირველობა მას უნდა დაეთმოს. რუსეთში ბატონყმობის გადავარდნამდე 1—2 წლით ადრე, ხოლო საქართველოში ბატონყმობის მოსპობამდე 6 წლით ადრე დაიბეჭდა „სურამის ციხე“. ილიას ცნობილი ნაწარმოებები კი მხოლოდ საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის წინა წელს (1863 წ.) დაიბეჭდა (მაგ. „კაცია-აღამიანი?!“ „საქართველოს მოამბეში“). რასაკვირველია, ეს ოდნავადაც არ ამცირებს ილია ჭავჭავაძეს და სხვა ცნობილ თერგდალეულებს. ფასდაუდებელია მათი ღვაწლი ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მაგრამ როცა ბრძოლის დაწყების ისტორიას ვეხებით, მაშინ დანიელ

<sup>2</sup> დ. ჰონჭაძე, სურამის ციხე, თბ., 1949, გვ. 11—12. შემდეგში გვერდები ამ გამოცემის მიხედვით იქნება მითითებული.

<sup>3</sup> დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 462.

<sup>4</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 1, თბ., 1937, გვ. 693 (რედაქტორის კომენტარი).

ქონქაძის პრიორიტეტი აშკარაა. ამის არ დაფასება შეცდომა და უსამართლო საქმე იქნება.

დღეს შესაძლებელია სადმე არქივში ახალი რომანი აღმოჩნდეს, რომელიც სულ ადრე ყოფილა დაწერილი და წარდგენილი დასაბეჭდად, მაგრამ ცენზურის გამო მზის სინათლე ვერ უნახავს. ახლა ამ ნაწარმოების გამოქვეყნება მაინც ვერ წაართმევს დ. ქონქაძეს პირველი ანტიბატონყმური მებრძოლი მწერლის ტიტულს, რადგან მთავარი მაინც გამოქვეყნება და არა გამოსაქვეყნებლად წარდგენა (თუმცა ასეთი მწერალი ერთგვარად წინ იქნება იმ მწერალთან შედარებით, რომელსაც დაუწერია და დასაბეჭდად არ წარუდგენია).

თითქმის ყველა კრიტიკოსი ერთხმად აღიარებს, რომ თერგდალეულებმა განაგრძეს ქონქაძის მიერ დაწყებული საქმე ბატონყმობის დაგმობისა. მოვიტანთ ამის რამდენიმე ამონაწერს: „დ. ქონქაძის მიერ გაბედულად დაწყებული საქმე დიდმა თერგდალეულებმა დაავგირგვინეს“<sup>5</sup>. დ. ქონქაძემ „პირველმა მიიტანა პირველი იერიში ქართულ ლიტერატურაში ბატონყმური უღლის წინააღმდეგ. შემდეგი თაობა, რომლებმაც განაგრძო დ. ქონქაძის გატეკპნილი გზა, იყო „თერგდალეულთა“ თაობა“<sup>6</sup>.

თვითონ „თერგდალეულები“ დიდად აფასებდნენ დ. ქონქაძეს. მაგალითად, აკაკი წერეთელი ასე გულთბილად აღნიშნავდა დ. ქონქაძის დამსახურებას ლექსში „მოგონება“, რომელიც 1863 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“. თვით დანიელ ლექსში არ ყოფილა მოხსენიებული. აი ზოგიერთი სტროფი ამ ლექსიდან:

პა! წარმომიღვა თვალწინ ქაბუკი...  
 გაჭირვებისგან რომ ცრემლსა ღვრიდა,  
 მაგრამ მტკიცე და პატიოსანი,  
 უფროსების წინ თავს არა ჰხრიდა.

პირმოთნობით, ის დაჩაგრული,  
 არავის სთხოვდა თვის წარმატებას  
 და, სიმართლისთვის თავგანწირული  
 აღიარებდა ჭეშმარიტებას.

... დაჩაგრულ გლეხებს ეფერებოდა,  
 დიდ კაცებს ჰკმობდა პირუთნეველად,  
 მისთვის მას ყველა ემტერებოდა...  
 ყველას მიაჩნდა საზიზღარ გველად!

... ოჰ, უგნურებავ! ოჰ, საძაგლობა!  
 ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი;  
 მას მოიგონებს შთამომავლობა  
 და მას უგალობს აწ წმინდა ქნარი.

აქ ჩვენ შეგვეძლო დეტალურად გაგვეხილა „სურამის ციხის“ შინაარსი, დაგვეხასიათებინა პერსონაჟები, განსაკუთრებით ვრცლად გველაპარაკა ნოდარის შესახებ, რომელმაც სისხლიანი გზით გაითავისუფლა თავი ბატონყმობის უღლისაგან, რომ იგი სახალხო შურისმაძიებელია, რომელიც არ დააპატიმრეს მდედრებმა, პირიქით, გზა ასწავლეს, თუ როგორ გადარჩენილიყო. მაგრამ ამ საკითხებს არ ვეხებით, რადგან, ვიმეორებთ, ეს საკითხები ღრმად და საფუძვე-

<sup>5</sup> დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 446.

<sup>6</sup> ს. ხუნდაძე, ნ. ჩერნიშევსკი, თბ., 1929, გვ. 169.



ლიანად არის გაშუქებული ჩვენი მეცნიერების ნაშრომებში. ამიტომ მათ შესახებ აღარაა აუცილებელი სხვა ნაშრომის დაწერა. საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ ისეთი საკითხების განხილვა, რომლებსაც ან სულ არ შეხებია, ან დავას იწვევენ. ასეთ საკითხებად სამი საკითხი მიგვაჩნია, ესენია:

1. ნოდარის, როგორც გამირული სახე-ტიპის, ჩრდილოვანი მხარეები.
2. ვარდოს სახის სწორად გაგებისათვის.
3. „სურამის ციხის“ დაბოლოების პრობლემა (რატომ შეაკვდნენ ერთმანეთს ვარდუა და დურმიშხანი).

ქვევით გადმოცემულია აღნიშნული საკითხების განხილვის შედეგები.

III. ნოდარი ნამდვილად გამირული სახე-ტიპია. გამირობა კი არის სამართლიანი, პროგრესული, დიადი მიზნის განხორციელებისაკენ მიმართული ისეთი საზოგადოებრივი ღვაწლი, რომელიც სრულდება შეუდრეკლად, უშიშრად, მამაცურად, თავდადებულად და თავგანწირულად. გამირობის ყველა ეს ნიშანი ზუსტად ახასიათებს ნოდარს: იგი კლავს ბატონს, რითაც მშრომელ ხალხს თავიდან ამორებს მჩაგვრელს. ეს იყო პროგრესული და სამართლიანი საქმე. ამასთანავე ეს საქმე შესრულდა შეუდრეკლად, უშიშრად, მამაცურად, თავდადებულად და თავგანწირულად. ყოველივე ამის გამო ნოდარი უხადო გამირია, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთი მკვლევრები, რომლებიც ნოდარს უძებნიან ჩრდილოვან მხარეებს და ზოგჯერ ისეთ სერიოზულს, რომელიც ბღალავს ოსმან-აღას გამირობის რეპუტაციას.

ასეთ ჩრდილოვან მხარეებად ასახელებენ შემდეგს:

1. ოსმან-აღა თანახმაა დურმიშხანს ყმა უყიდოს. ეს ჩანს იმ საუბრიდან, რომელიც გაიმართა ნოდარსა და დურმიშხანის სიმამრს შორის.

— მე იმ ქალის მეტი არა მყავს-რა, მინდა, რო ერთ ხეირიანს მივსცე ვისმე.

— ვინ არის შენი ხეირიანი?

— ვისაც ღმერთი მოგვცემს. მე მინდა ერთ საწყალ აზნაურს მივცე ვისმე...

— ახლა რა არის, რო აზნაური არ იყოს?

— აზნაური სხვა რამ არის, ჩემო ნათლია, ერთი გოგო-ბიჭი მაინც ეყოლება მოსამსახურეთ. წყალს მაინც თითონ არ მოიტანს, პურს მაინც თითონ არ გამოაცხობს.

— განა იმისი ცოლი კი გამოაცხობს პურს? განა იმას კი არ შეუძლიან იყოლის გოგო-ბიჭი?

— რატომ, მაგრამ იმან ფული უნდა აძლიოს, აზნაურს თავისი ეყოლება.

— თუ აგრეა ხვალვე უყიდი ყმებსა... მერე ხომ მისცემ?

— არ ვიცი“ (გვ. 52).

აქედან გამომდინარე, მკვლევარი ამბერკი გაჩეჩილაძე წერს:

„გამდიდრებულმა ნოდარმა თითქოს დაივიწყა თავისი თანამოქმედების, ყმა გლეხების მდგომარეობა. იგი დურმიშხანის მომავალ-სასიმამროს პირდება: ოღონდ თავისი ქალიშვილი დურმიშხანს გაატანოს და მაშინ მას, ე. ი. დურმიშხანს, „ხვალვე უყიდის ყმებს“. ასეთი მსჯელობა ყმებზე სრულიად არ შეფერის თავისუფლებისათვის ისეთ მეზრძოლ ყმას, როგორც ნოდარი იყო“<sup>7</sup>.

როგორც ვიცით, ნოდარმა გამოსცადა ბატონყმობის მძიმე უღელი, როგორც იქნა თავი დააღწია საშინელ ტანჯვას, მაგრამ იგი მაინც თანახმა იყო დურ-

<sup>7</sup> ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952, გვ. 171.



მიზნანისათვის ეყიდა ყმა. განა შეიძლება გმირი ეწოდოს ისეთ პიროვნებას, რომელიც ყმის ყიდვას ემხრობა? ნოდარის ასეთ მსჯელობას პროფ. ა. გაჩეჩილაძე იმით ხსნის, რომ ნოდარში, როგორც ყმა გლეხში, „კლასობრივი შეგნება ჯერ კიდევ სრული სახით არ არის ჩამოყალიბებული“<sup>8</sup>. რასაკვირველია, ასეთი ახსნა ანგარიშგასაწევეია, მაგრამ თუ საქმის შინაარსს ჩაუვკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ნოდარის მიერ ღურმიშნანისათვის ყმის ყიდვის სურვილის გამოთქმა მხოლოდ ხერხია, რომ ამის საშუალებით ღურმიშნანის სასიამაო დაითანხმოს. ეს მისთვის მხოლოდ სიტყვის მასალაა, თორემ ნამდვილად მას ეს საქმე არ შეუსრულებია; მას ხომ მართლა არ უყიდა ყმა ღურმიშნანისათვის? მართალია, თქმაც ჩრდილს აყენებს ნოდარს, მაგრამ მაინც თქმასა და შესრულებას შორის დიდი მანძილია და ის, რაც ნოდარს არ გაუყეტებია, არც სახელს უტეხს მას. ასე რომ, ეს ჩრდილოვანი მხარე ვერ ჩამოაშორებს მას გმირის შარავანდედს.

2. ნოდარმა იცოდა ვარდოსა და ღურმიშნანის სიყვარულის შესახებ, ამიტომ უნდა მიეღო გადამწყვეტი ზომები და ღურმიშნანი ვარდოსათვის დაებრუნებინა. იგი კი ასე არ მოიქცა, პირიქით, ღურმიშნანი ზედსიძედ შეიყვანა, რითაც გმირის სახელის გამტეხი მოქმედება ჩაიდინა. შეგვხვედრია ასეთი საყვედური ნოდარის მიმართ.

ერთი შეხედვით, ასეთი საყვედური სამართლიანი მოჩანს, რადგან ნოდარი ძლიერი სიყვარულის გამონაცადი იყო და ამიტომ იგი ვარდუს მხარეზე უნდა დამდგარიყო. აქ კი უნდა ვიკითხოთ: ოსმან-ალამ თუ იცოდა, რომ ღურმიშნანს ვარდო უყვარდა? მდგომარეობას სწორედ ის ამძიმებს, რომ ნოდარმა ნამდვილად იცოდა ვარდოსა და ღურმიშნანის რომანტიკული თავგადასავალი. ამის დამამტკიცებელია მოთხრობის შემდეგი ადგილები: ა) ნოდარს „ღურმიშნანმა უთხრა ყოველივე თავის თავის ვარემოება თავიდან ბოლომდისინ“; ბ) „ბედნიერი ხარ ყმაწვილო, — უთხრა ოსმან-ალამ, — რა გინდა, უსისხლოდ განთავისუფლებულხარ მონობიდან“. გამოთქმა „უსისხლოდ განთავისუფლებულხარ“ იმას ნიშნავს, რომ ღურმიშნანს უდავოდ ნათქვამი აქვს სიყვარულის როლის შესახებ ამ საქმეში; გ) ღურმიშნანის გულახდილობით უნდა იყოს გამოწვეული ნოდარის სიტყვები: „შენ შენი ცხოვრება მითხარი, მეც ჩემი უნდა გითხრა“. მდგომარეობა იმითაც რთულდება, რომ ქალბატონისადმი მიწერილ წერილში ღურმიშნანი პირდაპირ ასახელებს ნოდარს, როგორც მისი ღალატის მიზეზს: „ცოტა ფულებს რომ მოუყარე თავი და წამოსვლა დავაპირე, ერთ ღამეს დავრჩი სურამს, ავთანდილანთ ეძახიან, ერთი გლეხკაცი გახლამს. აქ ჩემი აღა (ე. ი. ნოდარი. — ა. ჩ.) ჩამომეყიდა, რო არ იქნება, რომ იმ კაცის ქალი არ შეირთო (იმის ნათლული იყო) და ამიტომ უნდოდა იმის გათხოვება, და მეც ხათრი ვერ გაუტეხე და იმ კაცის ქალზე ჯვარი დავიწერე და ზედსიძედ შევედი“ (გვ. 17).

წარმოდგენილი მასალები მოწმობენ, რომ ნოდარმა იცოდა ვარდოსა და ღურმიშნანის რომანი და თუ, მიუხედავად ამისა, ღურმიშნანი ზედსიძედ შეიყვანა სურამში — ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნოდარმა ისიც იცოდა, რომ ღურმიშნანს არ უყვარდა და არც არასოდეს ჰყვარებია ვარდო. ნოდარი ორმხრივი სიყვარულის გამონაცადია და არა ცალმხრივი სიყვარულისა, როგორც ამას ადგილი აქვს გულისვარდას და ღურმიშნანის ურთიერთობაში. ღურმიშნანის ვერაგობა ის არის, რომ მან ვარდოს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს უყვარდა, ნამდვილად კი

<sup>8</sup> ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952, გვ. 171.



მოატყუა და მისი გულწრფელი სიყვარული პირადი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა.

რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ ნოდარს დურმიშხანი ვარდოსათვის დაებრუნებინა, მაგრამ რაკი დურმიშხანს ვარდო არასოდეს არ ჰყვარებია და ნოდარი ვერც შეაყვარებდა, ამიტომ ნოდარს ნაკლად არ უნდა ჩაეთვალოს ყმობისაგან განთავისუფლებულ დურმიშხანზე მზრუნველობის გამოჩენა. ამ მხრივაც ნოდარის გმირობას ჩრდილი არ ადგება.

3. არსებობს კიდევ მესამე ბრალდება, რომელიც ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: ნოდარს არ უნდა მოეკლა ბატონის პატარა ბავშვი, რომელსაც არავითარი ბრალი არ მიუძღოდა ნოდარის მიმართ. გმირული ბუნების მქონე პიროვნება უნდა არჩევდეს დამნაშავესა და უდანაშაულოს. პოლიტიკა მემკვიდრეობით არ გადადის. პატარა ბავშვი შეიძლებოდა ხალხის დამცველი გამოსულიყო. მართალია, იგი თავადის შვილია, მაგრამ ისტორიიდან ხომ ცნობილია, რომ ზოგიერთი საზოგადო მოღვაწე გაბატონებულ წრიდან იყო გამოსული. ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი თავადის შვილები იყვნენ და ვინ იცის ეგების ნოდარმა სიცოცხლე მოუსპო მომავალ დიდ მოღვაწეს.

პროფ. დ. გამეზარდაშვილი გარკვეულად საყვედურობს ოსმან-ალას უდანაშაულო ბავშვის მოკვლას: „ოსმან-ალა ხანჭლით გაუსწორდა დედისა და თავისი საყვარელი ნატოს გამაუბედურებელს, მაგრამ შურისძიებაში ზომას გადასცდა. მან მოკლა ბატონის პატარა უდანაშაულო ვაჟიც, რომლის მიკვრება მოსვენებას არ აძლევს მას“<sup>9</sup>. მართლაც, მოთხრობაში ხშირად იგონებს ნოდარი ბავშვის მოკვლას, რის გამო სინდისის ქენჯნას განიცდის. ამის ცხადსაყოფად მოვიყვანოთ ზოგიერთ ამონაწერს: „ის ბავშვი არ მაძლევს მე მოსვენებას, დღე და ღამე მიდგას თვალწინ და არ ვიცი საით გავიქცე“ (გვ. 29). „მოკვლა უბრალო ყმაწვილისა... არ მაძლევდა მე მოსვენებას“ (გვ. 48) და სხვ. აღნიშნულის საფუძველზე ზოგიერთს ასეთი დასკვნა გამოაქვს: პიროვნება, რომელსაც უდანაშაულო ბავშვის სისხლი ადევს, არ შეიძლება გმირად იქნეს აღიარებული.

მართლაც დამაფიქრებელი ბრალდებაა, მაგრამ ოსმან-ალას დაცვის მიზნით შემდეგ გარემოებაზე მიუთითებენ:

ა) ბავშვის მკვლელობა ადვოკატების ნიადაგზე მოხდა და ეს მომენტი მდგომარეობას უმსუბუქებს ნოდარს.

- „გაცხარებული მივარდი ბატონთან.
- ბიჭო, რა ამბავია? — დამიძახა მან, — ეშმაკს გიგავს ეგ სახე!
- არაფერი! სად არის ნატუა?
- ეშმაკმა იცის შენი თავი! სულ შენი საქმეა, შე ძალიშვილო, უთუოდ... მე აღარ დავასრულებინე სიტყვა და მივარდი ხანჭლით.
- რას შვრები, შე მამაძაღლო! მიშველეთ, მიშველეთ, მომკლა, — დაიკვილა ბატონმა.

ეს იყო იმის უკანასკნელი სიტყვა. შემდეგ დაიწყო სასიკვდილოთ ზრიალი. ბატონის შეკვილებაზე გამოეარდა ქალბატონი და, ეს ამბავი რო დაინახა, შეჰკივლა და შევარდა თავის ოთახში. ამის ხმამ მომაგონა, რო კიდევ მყვანდნენ ჯავრის ამოსაყრელნი პირნი და გამოვუდეგ იმას. ოთახში რო შევარდი, დავინახე რო ქალბატონი გადახვევიყო შეილს და იფარამდა. — ნოდარჯან, მე მომკალ, ჩემ

<sup>9</sup> დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 469.

გიგოს ნუ მომიკლამ, არა დაუშავებია რა შენთვის — მითხრა ქალბატონმა ხვეწ-ნით. — მე ნუ მომკლამ, შენთვის არა დამიშავებია რა, — გაიმეორა ყმაწვილმა. მაგრამ მე არ მესმოდა მათი ხვეწნა, სისხლისაგან გააგიჟებულმა მე დავაკალ დედა შეილსა. გაბრაზებული სისხლისაგან გამოვარდი კარში, შევჯექ ცხენზე და გამოვიქეცი“ (გვ. 46—47. ხაზგასმა ჩემია. — ა. ჩ.). მაშასადამე, იმ მომენტში ნოდარი „სისხლისაგან გააგიჟებულ“ იყო. აფექტის მდგომარეობაში ჩაღენილი დანაშაული რამდენადმე ამსუბუქებს დანაშაულის სიმძიმეს.

ბ) არ შეიძლება ბავშვის მოკვლით გამოწვეული სინანულის გრძნობის გაზვიადება. ეს მაინც არ არის მთავარი. ამის თაობაზე გარკვევით ამბობს ოსმან-ალა: „მოკვლა უბრალო ბავშვისა და უმეტესად გადადგომა ქრისტიანობისა არ მადლევენ მე მოსვენებას“ (გვ. 48). სიტყვა „უმეტესად“ სწორედ იმაზე მიგვითითებს, რომ ოსმან-ალას სინდისის ქენჯნა გამოწვეული იყო რელიგიური რწმენის გამოცვლის გამო. ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნოდარის მოქმედების საბოლოო შეფასების დროს.

გ) ბატონის შვილი რომ ბატონის გზას აგრძელებს და მის მემკვიდრეობას ღებულობს, ეს წესია და არა შემთხვევითი მოვლენა. ზოგჯერ ბატონის შვილი რომ ბატონს გადაუდგება და სახალხო მოღვაწე ხდება — ეს გამოწვეულია. რატომ უნდა ავიღოთ ორიენტაცია გამოწვევისზე. ამ შემთხვევაში პატარა გიგოს არაფერი ისეთი ნიშან-თვისება არ გამოუვლენია, რომელიც გვიჩვენებდა, რომ იგი არ გააყვებოდა მამის გზას. ამიტომ გველის წიწილი ისევ გველი გამოვა და ისინი ბუდეში უნდა გაისრისონ.

დ) ნატოს სიკვდილით ბატონმა ხომ მოსპო მომავალი გლეხის ოჯახი? ძირ-შივე ჩაჰკლა იგი და განა ამის შერჩენა შეიძლებოდა? მოკლული ბავშვის შესახებ სწორ შენიშვნას იძლევა პროფ. ა. გაჩეჩილაძე: „ბატონყმურ ცხოვრებაში ნოდარმა სამართალი ვერ ჰპოვა და უსამართლობას მან თვითონ გამოუტანა განაჩენი. ბატონი და მისი მეუღლე მოჰკლა, პატარა ბავშვიც ზედ დააკლა. ეს უკანასკნელი თავისი მშობლების უღირსი საქციელის მსხვერპლი შეიქნა“<sup>10</sup>.

ერთი მხრივ, ამაში მდგომარეობს ბავშვის მოკვლის ფაქტის მორალური მნიშვნელობა. იგი აფიქრებდა და ახლაც დააფიქრებს მშობლებს, რომ არ ჩაიდინონ ისეთი ცუდი რამ, რაზედაც შვილებს მოუხდებათ პასუხისმგებლობა. პატიოსან მშობლებს ვერაფერ ცუდს ვერ უსაყვედურებენ შვილები, ცუდ მშობლებს კი წყევლა-კრულვით მოიხსენიებენ. აღნიშნული ფაქტიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: ნოდარი ნამდვილი გმირული სახე-ტიპია. მას არ გააჩნია არც ერთი ისეთი ჩრდილოვანი მხარე, რომელიც არ-ღვევდეს აღნიშნულ დებულებას. დ. ჭონჭაძე გმირული სახე-ტიპის შექმნის თვალსაჩინო ოსტატია.

IV. ვარდოს სახის სწორად გაგებისათვის უნდა ითქვას შემდეგი: ცნობილია, რომ „სურამის ციხის“ პირველი კრიტიკული განხილვა მოგვცა ცნობილმა კრიტიკოსმა ანტონ ფურცელაძემ. ეს სტატია მრავალმხრივ არის საინტერესო. პირველ ყოვლისა მასში ა. ფურცელაძემ პირველად და პირდაპირ უთხრა თავადებს, რომ ეს მოთხრობა თქვენზე არის დაწერილი, თქვენ ყველანი ისეთი-ვენი ხართ, როგორიც არის ღურმიშხანისა და ოსმან-ალას ბატონები. სალიტე-

<sup>10</sup> ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952, გვ. 162.



რატურო კრიტიკაში ეს იყო არანაკლები გაბედულობა და მართალი სიტყვა, ვიდრე „სურამის ციხე“ მხატვრულ შემოქმედებაში და ამ მხრივ დიდია მნიშვნელობა ა. ფურცელაძის სტატიისა „სურამის ციხე დ. ჯონქაძისა“, რომელიც 1863 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ა. ფურცელაძის წერილში გამოთქმულია ზოგიერთი მცდარი მოსაზრება. კერძოდ, მან დ. ჯონქაძეს დაუწუნა ხასიათების გამოკვეთა, მოქმედ პირებს არ აქვთო „თავისი საკუთარი კერძობით ხასიათი“<sup>11</sup>. ყველა მოქმედ პირში ხედავს ასეთ ნაკლს, „გარდა გულისვარდისა. ამ შემთხვევაში თქვენ სცნობთ, — გვეუბნება ა. ფურცელაძე, — ამის ძლიერს და მტკიცე ხასიათს, რომელსაც ვერ არყევს საშინელი სინიდისის თქმა და სიბრალული და ჩადის სამაგალითო ზღვევას“<sup>12</sup>, ე. ი. არ აწუხებს სინდისის ქეჩნა და საშინელ შურისძიებას მიმართავსო.

მეორე მხრივ, გამოთქმულია ისეთი აზრი, რომ ვარდუა დამნაშავედ მიაჩნათ იმის გამო, რომ „მან უდანაშაულო ახალგაზრდა ზურაბი თავისი შეურაცყოფილი სიყვარულის მსხვერპლი გახადა“ (ა. გაჩეჩილაძე).

ცნობილი მკვლევარი ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავს ვარდუას მიერ შურისძიების ფაქტს, მაგრამ იგი გამართლებულად მიაჩნა იმის გამო, რომ მას აძლევს სიმბოლურ მნიშვნელობას: „იქ, დაბლა მოთმინება დიდია, სიკეთეც, მაგრამ თუ აივსო საწყაო, შურისძიება ამოვარდება ისეთი, რომ თვით სიკვდილიც კი გაფითრდეს მის წინაშე. ეს ერთგვარი მუქარაც იყო მათთვის, ვინც ძველი წყობილების დამცველად გამოვიდოდა“<sup>13</sup>. ჩვენი აზრით, ვარდუას შურისძიების ასეთი გააზრება არ არის მართებული. ვარდუა კლასობრივად არ ამძღვებულა ამ დონემდე, ხოლო ავტორის მიერ გაბატონებული წოდების გაფრთხილება მოცემულია ნოდარის სახეში და არა ვარდუას პერსონაჟში.

ყოვლად გაუმართლებელი და ანტიმეცნიერულია ის შეფასება, რასაც კ. კაპანელი აძლევს ვარდუას სახეს. იგი წერს: „რა სახითაც არ უნდა შევხედოთ ვარდუას საქციელს, მისი გამართლება ყოვლად შეუძლებელია. ვარდუა განსახიერება ბოროტებისა. ვარდუა ტიპია ქალისა, რომლის მორალური და ქცევის პრინციპი ყოველთვის დაკავშირებულია სქესობრივ დაკმაყოფილებასთან; ვარდუაში ზის ენებით გაქდენილი მხეცი, რომელიც მზად არის უდანაშაულო ბავშვიც მსხვერპლად მიუტანოს თავის დაუკმაყოფილებელ სქესობრივ გრძნობას... თუ ვარდუას მართლა ღურმიშხანი უყვარდა, რად დატანჯა იგი? ვარდუას ღურმიშხანი უნდოდა მხოლოდ მისი პირადი სიამოვნებისათვის და არა იმიტომ, რომ ღურმიშხანი უყვარდა. ვარდუას რომ ღურმიშხანი ნამდვილად ყვარებოდა, ვარდუა არამეტუ დატანჯავდა ღურმიშხანს შვილის სიკვდილით, არამედ შეეცდებოდა მისი სასიხარულო განცდების გამრავლებას სხვადასხვა საშუალებებით... რა უნდა ვარდუას? რა აწუხებს მას? ღურმიშხანისადმი სიყვარული? არა. მას აწუხებს, რომ მისი სქესობრივი მოთხოვნილება ღურმიშხანთან ვერ დაიკმაყოფილა, ამის მსხვერპლია უდანაშაულო ზურაბი; ვარდუას, რომ ღურმიშხანი ძლიერი და თავდავიწყებული სიყვარულით ყვარებოდა, მას უფლება უნდა მიეცა ღურმიშხანისათვის არა მარტო სხვა ქალის შერთვის, არამედ თუ მდგომარეობა მოითხოვდა, სხვა ქალის მის თვალწინ ალერსისა და კოცინის. თუ ღურ-

11 ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორია, ტ. I, გვ. 297.  
12 იქვე, გვ. 298.  
13 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1959, გვ. 208.

2. მაენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 3

01611





მიშხანი უყვარს ვარდუას, მისი სიამოვნება და ბედნიერება უნდა ენატრებოდეს<sup>14</sup>.

ქ. კაპანელის ეს „მოსაზრება“ უარყოფადაც არ ღირს, მაგრამ რამდენადაც მისი დასახელებული წიგნი ბიბლიოთეკებში მოიპოვება და მკითხველისათვის, განსაკუთრებით მოსწავლელ ახალგაზრდობისათვის, ხელმისაწვდომია, ამდენად ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ მის შესახებ.

1. ვარდუას საქციელის ახსნა მხოლოდ სქესობრივი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობით, ნიშნავს სიყვარულის, როგორც კეთილშობილური გრძნობის, აბუჩად აგდებას. არ შეიძლება ექვი შევიტანოთ იმაში, რომ ვარდუას გულწრფელად უყვარდა ღურმიშხანი. მართალია, ეს სიყვარული არ მალდება რუსთაველისებურ სიყვარულამდე, მაგრამ მის ჩრდილს კი არის შეფარებული. ვარდომ არ დაზოგა არაფერი, რომ ღურმიშხანისათვის ყველაზე მეტად ღირებული ბედნიერება მიენიჭებინა — მოეპოვებინა მისთვის ყმობის უღლისაგან განთავისუფლება. ამ მხრივ ვარდო სიყვარულს საზოგადო საქმეს უკავშირებს, რადგან ყმობის უღლისაგან განთავისუფლება სოციალური მნიშვნელობის მოვლენა იყო. ვარდომ, რასაკვირველია, იცოდა, რომ ყმობის უღლისაგან გამოსვლა წარმოადგენდა პიროვნების ბედნიერების საფუძველს, პატროსანი ოჯახის შექმნის საწინდარს, რა ვუყოთ, რომ ვარდოს ცუდი ზნის ადამიანი შეხვდა, რომელიც ვერაგულად მოეპყრო მას. ამით არ მცირდება ვარდოს სიყვარული ღურმიშხანის მიმართ. ამ გარემოებას ოდნეადაც ანგარიშს არ უწევს ქ. კაპანელი და ყველაფერი დაჰყავს დაუკმაყოფილებელ სქესობრივ გრძნობამდე.

2. ვარდო გულწრფელი მოსიყვარულე იყო, მანამდე ვიდრე ღურმიშხანი მას უღალატებდა. შემდეგ კი შურისძიების გზას დაადგა. მაგრამ ეს შურისძიება არ არის დაკავშირებული სქესობრივი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობასთან, არამედ განუზოცრციელებელი სიყვარულის გრძნობასთან; მასში ერთმანეთს გადახლართა განუზოცრციელებელი სიყვარულისა და შურისძიების გრძნობები. ქ. კაპანელი კი წერს: ვაჭდოს თუ ღურმიშხანი უყვარს, მაშინ მისი ბედნიერებაც უნდა ენატრებოდესო. საქმე ის არის, რომ ვარდოს ბედნიერება სურდა ღურმიშხანთან ერთად და თუ ეს არ იქნებოდა, ვარდო არ იყო ვალდებული ღურმიშხანის ბედნიერებისათვის ეზრუნა, მით უმეტეს მაშინ, როცა ღურმიშხანმა იგი ვერაგულად მოატყუა. ეს არის შურისძიების მიზეზი და არა ფიზიოლოგიური გრძნობის დაუკმაყოფილებლობა.

3. ვარდოს ამტყუნებენ იმაში, რომ მან შურისძიებას მისცა საღისეობრივი ხასიათი, გასწირა უღანაშაულო ზურაბი. მართლაც, ერთი შეხედვით, ზურაბი უღანაშაულოა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი „ღანაშაული“ ის არის, რომ იგი ღურმიშხანის შვილია. ჩვენ აქ მოვიტანთ პროფ. ა. გაჩეჩილაძის ნათქვამს, რომელიც, ჩვენი აზრით, დასმული საკითხის მართებული გადაწყვეტაა: „ღურმიშხან წამალაძეს თავისი წინდაუხედაობა, უპრინციპობა თავისი და შვილის სიცოცხლედ დაუჯდა“ (გვ. 164). ზურაბის ტრაგედია ღურმიშხანს უნდა ეკითხოს, მაგრამ ვარდოც არ არის მართალი, ამას დაგვანახებებს ჩვენი შრომის ბოლო ნაწილი, სადაც განხილულია მოთხოვნილების დასასრული.

V. მოთხოვნილება „სურამის ციხე“ მეტად ორიგინალურად მთავრდება. ღურმიშხანმა გაიგო, რომ თავისი შვილი ზურაბი ვარდუას რჩევით იყო ციხის კე-

<sup>14</sup> ქ. კაპანელი, ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი, თბ., 1931, გვ. 209.

დელში ჩაშენებული. მოძებნა და მივიდა ვარდუასთან. ისინი ცალკე ოთახში შეიყარნენ.

„— მიბრძანე ბატონო, — დაიწყო ღურმიშხანმა, — შენ უკითხე ვეზირს, რომ ჩემი შვილი დაეტანებინათ სურამის ციხეში?

ამ ლაპარაკში ვარდომ გააპარა ხელი და გამოიღო პატარა ხანჯალი მუთაქის ქვეშითგან.

— მე უკითხე, — უპასუხა ვარდომ სრულებით მშვიდათ.

— რათა? შე წყეულო, რათა? რა დაგიშავა?

— ღურმიშხან, აბა შემომხედე! ვერ მიცნობ? შენ მომიკალი გული, მე მოგკალ შეილი! ახლა გავსწორდით.

— ოჰ! შე წყეულო გულისვარდო, შენა ხარ? — სთქო ღურმიშხანმა ჩუმათ, მივარდა და ყელში წაუჭირა ხელები. სიმწრით აღარ მოაგონდა რო ეხმარა სხვა იარაღი.

— მოდი, ჩემო ღურმიშხან. ოცი წელიწადია ამ დღეს ველი! — სთქო ვარდუმ, მოეხვია და ბეჭში ჩაურჭო ხანჯალი.

რამდენსამე საათს უკან მოსამსახურეთ ეპოვნათ ისინი მკვდარნი, მიწოლილნი ტანტზე, როგორც ორი საყვარელი, მოხვეულნი ერთმანეთსა. ეტყობოდა რო არც ერთი მათგანი არ ცდილიყო სიკვდილისაგან დაცვას“ (გვ. 100—101). ეს ადგილი არის ნაწარმოების კულმინაცია. აქ გამოიხსნა მოთხრობის კვანძიც. თუმცა თხზულება გრძელდება, სადაც გადმოცემულია ზურაბის დედის სიკვდილი.

საკითხი ისმის: რატომ შეაკვდნენ ერთმანეთს ვარდო და ღურმიშხანი, რატომ ერთდროულად მოკლა ისინი ავტორმა? როგორც ჩანს, ისინი ბუნებრივი სიკვდილით არ კვდებიან. აქ ავტორის წინასწარგანზრახულობა გამოდის წინა პლანზე, რადგან მხოლოდ ავტორი კლავს მათ ერთსა და იმავე დროს. ამით ავტორი რალაცას შთაგვაგონებს, რალაც იდეურ შინაარსს ატარებს ამბავის ასეთი დაბოლოება.

ამ შემთხვევაში ანალიზის შედეგად მიღებულია შემდეგი დასკვნა: ისეთი ადამიანი, რომელიც პიროვნულ ინტერესებს საზოგადოებრივ, ხალხის ინტერესებზე უფრო მალლა დააყენებს და ეგოიზმს აქცევს თავისი სიცოცხლის მიზნად, გარდუვალად დაიღუპება ისე, როგორც დაიღუპნენ ვარდო და ღურმიშხანი. ორი დიდი ეგოისტი შეხვდა ერთმანეთს ცხოვრების გზაზე, არც ერთმა არ დაუთმო მეორეს და ორივენი დაიხოცნენ. ასეთი ადამიანები არც არიან სიცოცხლის ღირსი. მხოლოდ ხალხისადმი უანგარო სამსახური არის საიმედო დასაყრდენი და ადამიანის ბედნიერების საფუძველი — ეს არის მოთხრობის იდეა. ამას შთაგვაგონებს და აქეთკენ მოგვიწოდებს დანიელ ჭონქაძე.

აღნიშნული დასკვნები გამომდინარეობს მოთხრობის ანალიზიდან. აქ პასუხი უნდა გავსცეთ შემდეგ კითხვას: რაში ვლინდება ვარდოსა და ღურმიშხანის ეგოისტობა, მათ მიერ პიროვნული ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებზე მალლა დაყენება? ამის გასარკვევად ცალ-ცალკე განვიხილავთ ღურმიშხანისა და ვარდოს სახეებს.

1. ღურმიშხან წამალაძე ვაჭრის ერთ-ერთი პირველი ტიპთაგანია ახალ ქართულ ლიტერატურაში. ღურმიშხანი „არის ტიპი რამდენიმე ათას და ათი ათას კაცისა“<sup>15</sup>, წერდა გ. თუმანიშვილი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ტიპიურობის

<sup>15</sup> იხ. ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორია, ტ. II, გვ. 258.

თეორია არ იყო სათანადოდ გავრცელებული. დურმიშხანი ტიპია იმიტომ, რომ იგი განზოგადებულად ასახავს ბურჟუაზიული ურთიერთობის წარმოშობა-განვითარებას საქართველოში. იგი ნაციონალური ვაჭრის ტიპია. გიორგი ერისთავთან ჩარჩ-ვაჭრებისა და მეევანშეების სახე-ტიპებად უმთავრესად სხვა ერის კაცები გვევლინებიან (მიკირტუმ დტრატოვი, კარაპეტა დაბალოვი და სხვ.). დანიელი ნათლად აჩვენებს, რომ ვაჭარი, რომელი ეროვნებისაც არ უნდა იყოს, მისი არსი ყველასათვის ერთია: ექსპლოატაციის გზით გამდიდრება. ეს იმდენად ძლიერი ტენდენციაა, რომ იგი ყლავს ყველაფერს: ეროვნულს, ოჯახურს, ზნეობრივს და ა. შ. ასე მოუვიდა დურმიშხანს. იგი ყოფილი ყმაა, რომელიც ვარდოს საშუალებით უსისხლოდ განთავისუფლდა ბატონყმობის უღლისაგან. მაგრამ გამდიდრების სურვილმა მასში ჩაკლა ყოველივე სხვა გრძნობა: მან დაივიწყა თავისი გამამდიდრებელი ოსმან-აღა, მას არ ეპატრონა და მასზე არ იზრუნა. ფულის შეძენის სურვილმა მას დაავიწყა გულწრფელი მოსიყვარულე გულისვარდი.

დურმიშხანის ყველაზე მთავარი ბოროტება ის არის, რომ მან დაივიწყა თავისი თანამომკმეები, ყმა გლეხები, რომლებიც სულს დაფავდნენ მონობაში. იგი გამოძვრა ბატონყმობის უღლიდან, მაგრამ ერთხელაც არ მოსვლია აზრად თავისი თავისუფლება მოეხმარა სხვა დაჩაგრული გლეხების გასათავისუფლებლად. „დურმიშხანი ყმა იყო, მან თავისთავზე გამოსცადა ბატონყმური ცხოვრების სუსხი. მაგრამ თავისი მოძმეები... აღარ ახსოვს მას“ (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, გვ. 370), „დურმიშხანი გაიმსკვალა მარტოოდენ პირადი ბედნიერების მოპოვების სულისკვეთებით“ (შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, 1954, გვ. 206). მკითხველის აღშფოთებას იწვევს დურმიშხანის დამოკიდებულება თავადთა წოდებისადმი. გამდიდრებული წამალაძე ცდილობს კავშირი დაამყაროს თავადთა წოდებასთან და ამის ერთ-ერთ საშუალებად ზურაბის მონათვლა მიაჩნია. მას სურს შეილი მონათვლინოს თავადს და არა გლეხს.

„დურმიშხანმა დაჰხედა ყმაწვილს, გაიღმა და ჰკითხა დედას:

— ჯერ ხომ არ მოგინათლამთ?

— არა, მაგრამ ჩენიანი გოგია მთხოვს. მე მოენათლამო, — უპასუხა ცოლმა.

— გოგია კი არა, მოგი? არ გინდა! უთხარი რო თავადიშვილს უნდა მოვანათელინო-თქო.

— თავადიშვილი რაღა არის, ის გოგია უფრო მოკეთეობას არ გიზამს?

— შენ რა იცი რა არის?! შენ შენი საქმე იცოდე, შენ ჩემ კითხვაში ნუ შემოდისარ!

— მაინც კი გეტყვი, რო ჩვენ თავადიშვილი მოკეთეობას ვერ გვიზამს.

— რა იცი შენ? ერთხელ რო დიდმა თავადმა დაგიძახოს შენ ნათლიდედა, ერთხელ რო იმისმა ცოლმა გამოგარჩიოს შენ სხვა დედაკაცებში და მოგიკითხოს, აბა მითხარი რად ღირს?“ (გვ. 61).

საბოლოოდ დურმიშხანმა თავისი გაიტანა და „ყმაწვილი მონათლა თავადმა

ქაიხოსრო აბაშიძემ... და დაანათლა ერთი კომლი კაცი“ (გვ. 63). აქედან ნათლად ჩანს, რომ პატარა ზურაბი უკვე ბატონია, რომელსაც ჯერჯერობით ერთი კომლი ყმა ჰყავს. ბატონყმობის უღლიდან გამომძვრალმა დურმიშხანმა ასე აღადგინა თავის ოჯახში ბატონყმობა. დურმიშხანის გაგებით ასე გამოდის, რომ ბატონყმობა ცუდია, თუ ყმა ხარ და არა ბატონი. მაშასადამე, დურმიშხანმა გაიძვე-



რობით მიიღო პირადი თავისუფლება, გამოიყენა იგი ეგოისტურად, მხოლოდ პირადი ბედნიერებისათვის. სიმდიდრემ მას ბოროტება ჩაადენინა, მაგრამ ბოროტება კაცს არ შერჩება, სხვის უბედურებაზე შენს ბედნიერებას ვერ აავებ. ამბობენ: ღურმიშხანის ცულდაცობაში დამნაშავეა ბურჟუაზიული ურთიერთობის საწყისი, რომ სიმდიდრემ დაავიწყა ადამიანური გრძნობებიო. რასაკვირველია, უკანონო სიმდიდრე ადამიანს ხრწნის, უშრომლად შექმნილი ქონება პიროვნებას უკარგავს კეთილ ზნეობას, მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მხოლოდ გარემო, არამედ ადამიანის პიროვნული ღირსებებიც. არა მარტო ობიექტური, არამედ სუბიექტურიც მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუ ყველაფერი გარემოზეა დამოკიდებული და სუბიექტურ თავისებებს არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ რით უნდა ავხსნათ ნოდარის ზნეობრივი სიმტკიცე, რატომ ვერ გარყვნა იგი სიმდიდრემ? მაშასადამე, ყველაფერი არ არის დამოკიდებული ობიექტურ ვითარებაზე. ღურმიშხანი თავიდანვე ბოროტი კაცი იყო და სიმდიდრემ მხოლოდ გააძლიერა ეს ტენდენცია.

მოძმეების, ხალხის ინტერესების დავიწყება დაუსჯელად არ დარჩება. ასეთ დამსჯელად მას ვარდუა მოევლინა.

2. ვარდუას ცხოვრებაში ორი პერიოდი უნდა გამოვყოთ. ა) ვარდო როგორც გულწრფელი შეყვარებული. მას მთელი არსებით უყვარს ღურმიშხანი. არის ძალზე გულუბრყვილო და კეთილი. მას სჯერა, რომ ღურმიშხანს იგი ნამდვილად უყვარს. უსაზღვროა მისი სიხარული. საქმრო წავიდა, გამდიდრდება, მოვა და შეირთავს; ეყოლებათ ბავშვები და შექმნიან ბედნერ ოჯახს. ხანმოკლე გამოდგა ვარდოს სიხარული. ბ) აქედან იწყება ვარდოს სიცოცხლის მეორე პერიოდი. რაკი ვარდო დარწმუნდა, რომ ღურმიშხანმა იგი საბოლოოდ გასწირა, მაშინ მასში იფეთქა შურისძიების გრძნობამ და მთელი დანარჩენი სიცოცხლე მხოლოდ შურისძიებას მოანდომა.

ზოგიერთი მკვლევარი ვარდუას გაბოროტებას საზოგადოებრივ წყობილებას აბრალებს, ობიექტური გარემოთი ამართლებს. რასაკვირველია, ობიექტური გარემო გადამწყვეტია, მაგრამ არ უნდა გამოირიცხოს სუბიექტის აქტივობა. ჭეშმარიტი მწერალი ვერ დადგება მჭკრეტელობითი მატერიალიზმის თვალსაზრისზე. აქედან ცხადია, რომ ვარდუას ტრაგიკული ბედი მაშინდელ მოუწყესრიგებელ, ექსპლოატაციაზე დამყარებულ საზოგადოებრივ წყობილებაში პოულობს თავის ახსნას. ვარდო შეიძლებოდა ყოფილიყო ბედნიერი დედა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო საერთოდ ბატონყმური ურთიერთობის პირობებში, რომ მას არ შეხვედროდა მხოლოდ გამდიდრების სურვილით გამსჭვალული კაცი, მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლება არ დავგომოთ ვარდოს მოქმედება. მან მხოლოდ იმისთვის გამოიყენა პირადი თავისუფლება, რომ შური ეძია. აქედან აშკარად ჩანს, რომ ვარდუაც ეგოცენტრისტი გახდა, მხოლოდ ეგოისტური მიზნების განხორციელებას მოანდომა თავისი სიცოცხლე. ამით იგი მოწყდა დიდი სახალხო საქმისათვის ბრძოლის ინტერესებს. ამიტომ გასწირა იგი ავტორმა. ორი დიდი ეგოისტი ერთმანეთს შეაკლა და ამით გვითხრა, რომ ვინც დაივიწყებს ხალხის ინტერესებს, ვარდუვლად დაიღუპება, ისე როგორც დაიღუპნენ ვარდუა და ღურმიშხანი. ეს არის ის დიდი მორალი, რაც მოთხრობიდან გამომდინარეობს; ამით იგი ახლაც ხელს უწყობს ადამიანის სულის აღზრდას.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
 ისტორიის ინსტიტუტმა)

ГЕОРГИЙ ГИГОЛОВ

## ПРОБЛЕМАТИКА ПОЭМЫ М. ГОРЬКОГО «ЧЕЛОВЕК» В СВЕТЕ СОВРЕМЕННОЙ ЕЕ ЛИТЕРАТУРНОЙ КРИТИКИ

В годы революционного подъема начала XX века с невиданной остротой возникла проблема, которая, правда, и раньше волновала общественную мысль, но которая именно сейчас приобрела особую актуальность, — проблема человека. Кто он, человек? Каково его место в жизни? Его истинное назначение?.. Эти и подобные вопросы, сводящиеся к грандиозной проблеме гуманизма в свете бурно развивающегося революционно-освободительного движения потребовали нового решения.

Ответом на них и была пьеса М. Горького «На дне».

Повсеместный — и в России, и за рубежом — успех «На дне» был вызван богатством идейно-философского содержания и глубиной решения в ней проблемы двух гуманизмов, двух концепций человека, столкновение между которыми и составляет главный идейный конфликт этой гениальной драмы: гуманизма пассивного, во всех своих видовых проявлениях взращенного на почве христианского мироотношения и понимания человека как субстанции, всецело находящейся во власти внешней силы, и — с другой стороны — гуманизма нового, ставящего во главу угла идею полного освобождения человеческой личности от всех видов гнета и провозглашающего ее мерой всех вещей, — гуманизма революционного, родившегося в русле освободительного движения пролетариата против самодержавно-буржуазного мира.

Ясная и, казалось бы, начисто исключаящая возможность криво толков философская концепция «На дне» не получила, как известно, в свое время правильного освещения. То ли в силу своей идейной ограниченности, то ли сознательно искажая факты в угоду собственным концепциям, — а, может быть, и по той, и другой причинам, — буржуазная критика, — а именно ей выпала, можно сказать, историческая миссия вынести суждение о пьесе Горького по горячим следам ее появления, — моментально расценила ее содержание как апофеоз того гуманизма, который проник в ночлежку вместе с приходом туда Луки с его проповедью «утешительной лжи», обрекающей человека на пассивность, и в подавляющем большинстве случаев игнорировала высокий идеал Человека, выразителем которого явился Сатин. Да и сейчас, к слову сказать, многочисленные интерпретации «На дне» в буржуазных странах почти всегда восходят к тем оценкам и характеристикам, которые эта пьеса получила в русской дореволюционной либеральной критике, — в пользу пассивного гуманизма «лукавого старца».

Несмотря на шумный успех премьеры «На дне», автор ее остался недовольным ни публикой, ни «рецензентами», которые, по его словам, «хвалят—хвалят, а понимать не хотят». И как бы в предотвращение дальнейшего «непонимания» Горький написал философско-дидактиче-

скую поэму в прозе «Человек» (1903), всем своим содержанием связанную с проблематикой «На дне», с той ее частью, в особенности, которая развивает концепцию Человека с большой буквы.

Литературно-критическая полемика, вспыхнувшая вокруг «Человека», поучительная сама по себе, как один из эпизодов борьбы за и против Горького, приобретает особый интерес в плане тех дискуссий, которые ведутся вокруг этой проблемы и в наши дни, проблемы острой и актуальной.

Сам Горький считал «Человека» выражением «своего кредо» и, вообще чрезвычайно скупой на высказывания о собственных произведениях, отозвался о поэме на редкость проникновенно, — правда, в частном письме — М. Ф. Андреевой: «Вот Вам моя песня. В ней за громкими и грубыми словами скрыта великая мечта моей души, единственная моя вера, она-то именно давала и дает мне силу жить»<sup>1</sup>.

ბავშვების შინაურ აღზრდაზე ამხევილებს ყურადღებას გ. იოსელიანიც (წყალტუბელი). მისი აზრით, იშვიათად ნახავ საქართველოში ისეთ ოჯახს, სადაც ბავშვებს უნერგავდნენ მშობლიური ენის სიყვარულს, აჩვენდნენ და აყვარებდნენ ქართული წიგნის კითხვას. იოსელიანი აღნიშნავს, რომ განათლებულ ქვეყნებში მრავალი საბავშვო ჟურნალი გამოდის და ყველა მათგანი პოულობს მკითხველს. „ჩვენში კი, — წერს იოსელიანი, — ერთადერთი საყმაწვილო ჟურნალი „ჭეჯილი“ გამოდის ავტორ ათი წელიწადი მეტია და დღემდის, ჩვენდა სასირცხვილოდ. თანაგრძნობა ვერ მოუპოვებია და მუშტარი ვერ უშოვია. ეს საყმაწვილო ჟურნალი თუ არა სჯობია თავისი ღირსებით, ნაკლები არ არის სხვა ასეთ ჟურნალებში, მაგრამ მაინც დღემდის მის ხელისმომწერელთა რიცხვი ორასს არ აღემატება!“<sup>56</sup>.

იგივე აზრია გატარებული ა. ყუმისთაველის (ალ. მიქაბერიძე) წერილში „დროა ჩვენი ოჯახი გამოფხიზლდეს“<sup>57</sup>. მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში ავტორი სკოლასა და ოჯახს ორ მძლავრ ფაქტორად თვლის. მისი აზრით, „გონივრულად მოწყობილი ოჯახი პირველდაწყებითი სკოლაა“; ოჯახი ავარჯიშებს ბავშვის გონებას, ოჯახში პოვებს ბავშვი სულიერ საზრდოს. ყველა განათლებულ ერს აქვს საბავშვო წიგნები, ჟურნალ-გაზეთები. ამ მხრივ ქართველ ბავშვთა აღზრდის საქმე „უშეუო და უნუგეშო მდგომარეობაშია“. ქართველი ბავშვი სკოლაში მოუშაადებელი და გონება გაუხსნელი მიდის. „ჩვენს ოჯახში ქართულს საბავშვო ჟურნალს, საყმაწვილოდ შედგენილ წიგნაკებს იშვიათად იპოვნით. ... ერთადერთს საყმაწვილო ჟურნალს „ჭეჯილს“ ორ მილიონ ნახევარ მკვიდრთა შორის მხოლოდ 120 ხელისმომწერი ძლივს მოვაგოება. ტუი-

53 ამას დაწვრილებით განვიხილავთ მაშინ, როდესაც „ჭეჯილის“ შინაარსზე გვექნება საუბარი.

54 „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1658.

55 იქვე, № 1660.

56 იქვე, № 1663.

57 „ივერია“, 1901, № 267.

ლისში, ამ საქართველოს დედაქალაქში, „ჯეჯილს“ მხოლოდ ორმოცდაათამდე ხელისმომწერი ძლივს უშოვნია და მათ შორის მხოლოდ შვიდი-რვა ინტელიგენტი ოჯახი“.

ხელისმომწერთა სიმცირეს, საზოგადოების გულგრილობასა და უყურადღებობას უჩივის ან. თუმანიშვილიც. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ გადის წლები და „ჯეჯილის“ ავკარგიანობაზე „კრინტს არავენ სძრავს“. მას კი მიაჩნია, რომ „ყოველი საქმის რიგიანათ წასაყვანათ საჭიროა გზის მაჩვენებელი, ლიტერატურისთვის კრიტიკაც გზის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ჩვენს ლიტერატურაში, საუბედუროდ, კრიტიკა თითქმის სულ არ არსებობს და ეს მეტადრე შესამჩნევია საყმაწვილო ჟურნალისთვის“<sup>58</sup>.

ერთადერთი ნუგეში ანასტასიასათვის ამ მდგომარეობაში მხოლოდ ის იყო, რომ მას გვერდში ედგა თანამგრძობელთა პატარა წრე, რომელიც უანგაროდ ეხმარებოდა მას და უადვილებდა შრომას.

ან. თუმანიშვილი და მისი ერთგული თანამშრომლები ჰყავდა მხედველობაში „ცნობის ფურცელს“, როდესაც მოუწოდებდა ქართველ ინტელიგენციას გონს მოსულიყვნენ და გვერდში ამოდგომოდნენ იმ „საცოდავ მოღვაწეებს, რომლებიც სულითა და გულით ჩვენს საქმეს ემსახურებიან, თავს აკლავენ, სამშობლო ენას დარაჯობენ, ჩვენ კი ჩვენი გულგრილობით ყველაფერს ვუხდენთ შველისა და თანაგრძობის მაგივრად“<sup>59</sup>.

1904 წელს ან. თუმანიშვილმა „ჯეჯილის“ პირველი ნომრის გამოშვება მოასწრო და თებერვლის დასაწყისში მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის, იუსტიციისა და სახალხო განათლების სამინისტროების და სინოდის ობერპროკურორის დადგენილება „კვალისა“ და „ჯეჯილის“ აკრძალვის შესახებ<sup>60</sup>.

1892 წელს ქართველი ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა გ. წერეთლის მეთაურობით განიზრახა ყოველკვირეული გაზეთის დაარსება. რადგან ახალი გამოცემის ნებართვის მიღება ძნელი იყო, მათ თხოვეს ანასტასიას აეღო ნებართვა, რომ ეს გაზეთი „ჯეჯილის“ ყოველკვირეული დამატების სახით გამოეცა. ან. თუმანიშვილის მოგონებაში (დაწერილია 1920 წელს) ვკითხულობთ: «გიორგის, ჩემი ქმრის სურვილი, რომ თავისი გაზეთი ჰქონოდა, მე დიდი ხანია ვიცოდი და მინდოდა მისი სურვილი განმეხორციელებინა... მაგრამ რა საშუალებით, როგორ? ძნელი საქმე იყო. „ჯეჯილი“ მაშინ მესამე წელიწადში ჩადგა და მომაგონდა, რომ სომხის საყმაწვილო ჟურნალს „აღბიურს“ ჰქონდა დამატება „ტარაზ“ — კვირეული მშობლებისათვის და ამის მიბაძვით დავიწყე საქმე და დიდი გაჭირების შემდეგ მომივიდა ნებართვა „კვალისა“»<sup>61</sup>.

58 „ცნობის ფურცელი“, 1902, № 2011.

59 „ცნობის ფურცელი“, 1903, № 2051.

60 ან. თუმანიშვილის ფონდი, № 139.

61 ან. თუმანიშვილის ფონდი, № 180. „კვალის“ შესახებ იხ. ა. კიკვიძე, გაზეთი „კვალი“, 1969; „კვალი“ დაარსებასთან დაკავშირებით საინტერესოა ე. თაყაიშვილის წერილი ნ. მარისაძეში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ნიკო მარის ფონდი, № 44) და გ. წერეთლის წერილი კ. ლორთქიფანიძისადმი (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, № 887).

ან. თუმანიშვილმა შეიტანა განცხადება კავკასიის საცენზურო კომიტეტში, რის საფუძველზეც ბეჟდვითი საქმის მთავარ სამმართველოდან 1892 წლის 24 დეკემბერს მიიღო ნებართვა, რომ გამოეცა „კვალი“, როგორც „ჯეჯილის“ ილუსტრირებული დამატება დამტკიცებული პროგრამის მიხედვით<sup>62</sup>.

ან. თუმანიშვილი „კვალის“ საქმეებში არ ეროდა: „მე მხოლოდ შემოსავალ-გასავლის მხრით ვიყავი საქმეში (თუმცა გაზეთი ჩემი სახელით გამოდიოდა)“<sup>63</sup>.

„კვალის“ პროგრამა პირველ წლებში შეზღუდული იყო; რედაქციას არათუ პოლიტიკური სტატიების, უცხო ქვეყნიდან მიღებული უბრალო კორესპონდენციის დაბეჭდვის ნებაც არ ჰქონდა.

1896 წლის 28 ივნისს ან. თუმანიშვილს ბეჟდვითი საქმის მთავარი სამმართველოდან მოუვიდა მისი თხოვნის პასუხი, რომ მას ნება ეძლევა გამოსცეს „კვალი“ გაფართოებული პროგრამით, „ჯეჯილი“ კი — როგორც „კვალის“ დამატება<sup>64</sup>.

გ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ ან. თუმანიშვილმა დააპირა „კვალის“ გამოცემის საქმე გადაეცა კბილის ექიმ ვარლამ იოსების ძე ჭიჭინაძისათვის. 1901 წლის ბოლოს ანასტასიას ბეჟდვითი საქმის მთავარი სამმართველოდან უარი შემოუთვალეს და ხელშეკრულების ასლიც დაუბრუნეს<sup>65</sup>.

1902 წლის 19 დეკემბერს ან. თუმანიშვილმა შეიტანა განცხადება კავკასიის საცენზურო კომიტეტში, რომ „კვალის“ დროებით რედაქტორად დამტკიცებინათ ალექსი-მესხიშვილი. ამ განცხადების საპასუხოდ 1903 წლის 24 თებერვალს კავკასიის საცენზურო კომიტეტიდან ანასტასიას შეატყობინეს, რომ მთავარმართველი არ არის წინააღმდეგი „კვალის“ დროებით რედაქტორად ალექსი-მესხიშვილის დამტკიცებისა<sup>66</sup>.

1904 წ. ან. თუმანიშვილმა გამოუშვა „ჯეჯილის“ პირველი ნომერი. 5 თებერვალს ანასტასიას საცენზურო კომიტეტიდან მოუვიდა მიმართვა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 3 თებერვლის ტელეგრამის საფუძველზე „კვალისა“ და მისი დამატების „ჯეჯილის“ გამოცემა შეწყვეტილია<sup>67</sup>.

ან. თუმანიშვილმა მაშინვე დაიწყო ზრუნვა „ჯეჯილის“ აღსადგენად. ბეჟდვითი საქმის მთავარ სამმართველოში მან შეიტანა განცხადება, სადაც წერდა, რომ „ჯეჯილი“ თავისთავად დამოუკიდებლად გამოდიოდა ჯერ კიდევ „კვალის“ დაარსებამდე და ითხოვდა „ჯეჯილის“ ხელახლა გამოცემის ნებართვას. ბეჟდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ ამ საქმის განხილვა კავკასიის საცენზურო კომიტეტს მიანდო. ან. თუმანიშვილს თავიდან უნდა ეშუამდგომლა „ჯეჯილის“ გამოცემის ნებართვის ასაღებად. საკითხის საბოლოო გადაწყვეტა კი შინაგან საქმეთა მინისტრის ხელთ იყო<sup>68</sup>.

ან. თუმანიშვილის ფონდში დაცულია შავი იმ მოხსენებისა, რომელიც მან თბილისის გუბერნატორს წარუდგინა. ანასტასია ვრცლად განმარტავდა, რომ „ჯეჯილი“ აიკრძალა მხოლოდ როგორც „კვალის“ დამატება; 1900 წლიდან ეს

62 ან. თუმანიშვილის ფონდი, № 87, № 89, № 94.

63 იქვე, № 180.

64 იქვე, № 112.

65 იქვე, № 129.

66 იქვე, № 131.

67 იქვე, № 142.

68 იქვე, № 144.



ორი გამოცემა სხვადასხვა სტამბაში იბეჭდებოდა; კავკასიის საცენზურო კომიტეტში მან არა ერთხელ განაცხადა, რომ „ჭეჯილი“ და „კვალი“ სრულიად განსხვავებული პროგრამებით გამოდიოდა და საჭირო იყო მათი ცალ-ცალკე გამოცემებად ჩათვლა. იგი აღნიშნავდა, რომ „კვალს“ ერთ წელზე მეტია სხვა რედაქტორ-გამომცემელი ჰყავს. ყოველივე ამის საფუძველზე ანასტასია იმედს გამოთქვამდა, რომ «судьба детского журнала „Джеджили“ не могла быть связана с судьбой литературного журнала „Квали“»<sup>69</sup>.

1904 წლის 23 სექტემბერს ან. თუმანიშვილმა პეტერბურგიდან მიიღო ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს ნებართვა „ჭეჯილის“ ხელახლა გამოცემის შესახებ<sup>70</sup>. 1904 წელს ან. თუმანიშვილმა დაბეჭდა „ჭეჯილის“ ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის ნომრები.

„ივერია“ ბიბლიოგრაფიული წერილი უძღვნა განახლებული „ჭეჯილის“ დეკემბრის ნომერს. გაზეთი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ „პატივცემულს ქ-ნს ან. თუმანიშვილს-წერეთლისას ეს ნომერიც ჩვეულებრივ შინაარსიანად შეუდგენია. განახლებული „ჭეჯილის“ ნომრები განსაკუთრებით მეტად კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე“<sup>71</sup>.

1910 წლის იანვარში „ჭეჯილის“ ოცი წელი შეუსრულდა. ქართველმა საზოგადოებამ დიდი ამბით აღნიშნა სახელოვანი იუბილე. იანვარში გამოვიდა „ჭეჯილის“ პირველი ნომერი. სიხარულით აცხადებდა შიო მღვიმელი:

„დაპურდა ჩვენი ჭეჯილი,  
 ველარც კი იჭერს თავთვსა,  
 ისეთი მოსავალი აქვს,  
 არ ენახებოდა მტრის თვალსა“.

ამავე ნომერში დაიბეჭდა ე.კ. გაბაშვილის წერილი, რომელშიც მან მალაღობა შეფასება მისცა ანასტასიას ღვაწლს, მის დიდ დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე: „ამ ოცი წლის განმავლობაში დიდი მოვლა, დიდი პატრონობა და თავში ცემა მოუხდა იმის რედაქტორს და გამომცემელს ქალბატონ ანასტასია წერეთლისას, რომ თავისი საყვარელი შვილობილი „ჭეჯილი“ დაეყენებინა იმ საპატიო წრეზე, რომელზედაც იგი დღესა სდგას... ანასტასიამ არ დაზოგა „ჭეჯილის“ წარმატებისთვის არც ჯანი, არც ღონე და არც მატერიალური ქონება; ერთიც და მეორეც „ჭეჯილის“ არსებობას და ზრდას შეაღი... ამ ოცი წლის განმავლობაში მთელი თაობა აღიზარდა, მთელმა ახალ თაობამ შეიყვარა და მიეჩვია კითხვას „ჭეჯილის“ მოწყალებით, კითხვა კი, ქართული კითხვა, ქართველი ბალებისათვის ისეთი მალამოა, ურომლისოდაც იარა ქართველთა გადაგვარებისა უკუბრუნებელი შეიქნებოდა, რომ ანასტასიასებური მკურნალნი არ აღმოჩენოდნენ ჩვენ მოზარდ თაობას და მათთვის არ მიეწვდინათ სასმელად ანკარა წყაროს წყალი“<sup>72</sup>.

<sup>69</sup> ან. თუმანიშვილის ფონდი, № 147.

<sup>70</sup> იქვე, № 149. „ჭეჯილის“ პატარა მკითხველები რომ უკუბრუნდოდნენ არ დარჩენილიყვნენ. ანასტასიამ 1904 წლის მარტში და აპრილში გამოსცა „საყმაწვილო ნახატებიანი კრებული მერცხალი“, ორ წიგნად: მისიში და იენისში გამოვიდა კიდევ ორი კრებული „მოლდღური“ (ამ კრებულებზე დაწერილებით შემდეგ).

<sup>71</sup> „ივერია“, 1904, № 294.

<sup>72</sup> „ჭეჯილი“, 1910, № 1, გვ. 5—7.

დიდი სიხარული მოუტანა „ჯეჯილის“ 20 წლისთავმა მის რედაქტორსა და შთამავებს. ანასტასიამ აშკარად დაინახა, რომ მისი მიზანი — ქართული კითხვა შეეყვარებინა ბავშვებისათვის — მიღწეული იყო.

„როდესაც ვხედავთ, ჩემო პატარა მეგობარო, რომ „ჯეჯილს“ ხალისით კითხულობთ, გიყვართ და იმას მოაქვს თქვენთვის სარგებლობა — მეც თქვენთან ერთად ვხარობ და ვსიამოვნებ. ბევრნი „ჯეჯილის“ მკითხველნი, ახლა თვით მასწავლებელნი არიან და მთელ ჩვენ ახალ თაობას ზრდიან — და თუ ჩემი შრომა ცოტაოდენ დახმარებას უწევს იმათ საკითხი მასალის მიწოდებით — ამითი მე საკმარისათ დაჯილდოვებული ვიქნები ამ სიბერის დროს“, — წერდა ანასტასია „ჯეჯილის“ საიუბილეო ნომერში<sup>73</sup>. იქვე მან დიდი მადლობით მოიხსენია ყველა, ვინც მხარში ედგა და უანგარო შრომით უადვილებდა საქმეს.

იმავე წლის „ჯეჯილის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა გ. ქუჩიშვილის ლექსი მიძღვნილი ან. თუმანიშვილისადმი.

1910 წლის 14 თებერვალს ქართულ თეატრში გაიმართა საბავშვო წარმოდგენა და „ჯეჯილის“ დღესასწაული. აღწერს რა დაწვრილებით ამ დღესასწაულს, „დროება“ დასძენს: „ჩვენს ცხოვრებაში ბევრსა ნიშნავს ჟურნალის ოცია წლის არსებობა. სწორედ ანასტასიასათვის მხნესა და მტკიცე ადამიანს შეეძლო ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვა“<sup>74</sup>. „დროების“ იმავე ნომერში დაბეჭდილია მისალოცი დეპეშები. ან. თუმანიშვილს „ჯეჯილის“ ოცია წლის იუბილე მიულოცა „ნაკადულმა“, „მშაკმა“, „ალბიურმა“, „სხივმა“, „ზაკაკაზიმმა“, თბილისის ქართულმა გიმნაზიამ, „განათლების“ სკოლის მოსწავლეებმა.

„დროებაშივე“ დაიბეჭდა ალ. ჭიჭინაძის სიტყვა, წარმოთქმული ზონის წმ. გიორგის ტაძარში. ალ. ჭიჭინაძემ ილაპარაკა ან. თუმანიშვილის მრავალფეროვან მოღვაწეობაზე. მან აღნიშნა საბავშვო ლიტერატურის როლი ბავშვთა აღზრდის საქმეში და ხაზი გაუსვა ანასტასიას დამსახურებას: „ქართველი ბავშვები ეღირსენ წიგნებს, რომელთაც ჰკითხულობდნენ და რომელიც ესმოდათ; ესმოდათ და სიამოვნებდას ჰპოვებდნენ წიგნის კითხვაში, სიამოვნება კი ხალისს უღვიძებდათ მათ სწავლისას, სიყვარულს სამშობლო ენისას და ვინ იცის რამდენი კარგი აზრი და კარგი გრძნობა ჩაუნერგა ამ ჟურნალმა ყმაწვილებს სულსა და გულში“<sup>75</sup>.

ჩანს ანასტასიას საყვედური მიუწერია ა. ჭიჭინაძისათვის — გადაჭარბებულად მაქეო. ამაზე ა. ჭიჭინაძე 1910 წ. 5 აპრილს ზონიდან სწერდა ანასტასიას: „რაც შეეხება იმას, თქვენ რომ მწერთ გადაჭარბებით ილაპარაკეთ ჩემზე თქვენს სიტყვაშიო, მე თანახმა არა ვარ: ყოველი კაცი, რომელიც თავის სიყმაწვილს და თავის შრომას უანგაროთ სწირავს თავის სამშობლოს, მადლობის ღირსია, დიდი მადლობის და ვალდებული ვართ, ახალთაობას მივუთითოთ ამისთანა ადამიანებზე. იცოცხლეთ კიდევ მრავალ წელს და იშრომეთ ჩვენის ჩაგრულის სამშობლოსათვის“<sup>76</sup>.

26 თებერვალს „ჯეჯილის“ ოცია წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო დილა გაიმართა ქუთაისის თეატრში. სტენაზე იდგა ყვევილებით მორთული ანასტასიას

<sup>73</sup> „ჯეჯილი“, 1910, № 1, გვ. 8—10.

<sup>74</sup> „დროება“, 1910, № 36.

<sup>75</sup> იქვე, 1910, № 40.

<sup>76</sup> ან. თუმანიშვილის ფონდი, № 803.



დიდი სურათი. ბავშვები მიდიოდნენ სურათთან და ლექსებს კითხულობდნენ. პარტიიდან სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა<sup>77</sup>.

ქუთაისში ჩატარებული საზეიმო დილის შესახებ ანასტასიას დაწვრილებით მოსწერა ეკ. ნიკოლაძემ: „შენ რომ დაგვსწრებოდი, ბავშვებიც უფრო კარგ გუნებაზედ იქნებოდნენ და ყველაფერი უკეთესად იქნებოდა“. ღარიბი ბავშვები ამ ზეიმზე უფასოდ შეუშვიათ. ფასი ორმაგიც რომ ყოფილიყო, ხალხი მაინც დაესწრებოდა, რადგან ადგილები ყველას არ ეყო, — სწერდა ეკ. ნიკოლაძე ანასტასიას<sup>78</sup>.

„ჯეჯილის“ იუბილესადმი მიძღვნილი სტატია და ან. თუმანიშვილის ავტობიოგრაფია დაიბეჭდა „ერში“<sup>79</sup>. სარედაქციო სტატიაში განხილულია ლიტერატორთა აუტანელი პირობები და განსაკუთრებით ხაზგასმულია იმ მოღვაწეთა დამსახურება, ვინც ამ პირობებში ებრძვის ცხოვრებას, კალამს ხელიდან არ აგდებს და სამშობლოს აღორძინებისათვის იღვწის.

1910 წ. „დროებაში“ დაიბეჭდა „ქუთათური ფელეტონი“ „ნაცნობის“ ხელმოწერით. სტატიის ავტორი აღფრთოვანებულია იმ ზეიმით, რომელიც „ჯეჯილის“ საპატივცემულოდ ჩატარდა ქუთაისში. „ასეთის გულწრფელი მადლობით იშვიათად დაჯილდოვებულა ჩვენში მშვიდი და არა მყვირალა მოღვაწე, როგორც იყო ანასტასია წერეთლისა“, — წერს იგი და დასძენს: „ამ დღესასწაულის სიდიადეს მხოლოდ თუ იგრძნობს თვალით მხილავი, აღწერა კი ძნელია“<sup>80</sup>. თუ გაეითვალისწინებთ, რომ „ნაცნობი“ იაკობ გოგებაშვილის ფსევდონიმია, მაშინ მით უფრო დიდია აქ მოყვანილი სიტყვების მნიშვნელობა.

პირველი მსოფლიო ომის წლებში განსაკუთრებით გაძნელდა ეურნალის ბეჭდვა. ბევრ ხელისმომწერს ანასტასია უფასოდ ან ფასდაკლებით უგზავნიდა ეურნალს. უაღრესად მძიმე აღმოჩნდა რედაქციისათვის 1916 წელი. ამ წელს „ჯეჯილის“ რედაქციამ მკითხველებს გაუგზავნა ნაბეჭდი მიმართვა: „ამ გაჭირებულ დროში, როდესაც ეურნალის გამოცემა ჯდება არა თუ სამჯერ და ოთხჯერ მეტად და თვით ქალაქიც ძნელად იშოვება, [რედაქცია] ცალკე საჩუქრად წიგნების დაპირებას ვერ შესძლებს. ამასთანავე ხელის მოსაწერ ფულსაც არ უმატებს, რადგან უმეტესი ნაწილი ხელის მომწერლებისა არიან სკოლები და ღარიბი სამკითხველოები. ამიტომ რედაქცია სთხოვს ყველას, რომ თავის ნაცნობებში გაავრცელოს „ჯეჯილი“ და ამით შეგვაძლებინოს პირნათლად ჩვენი დაპირების შესრულება“<sup>81</sup>. აქვე რედაქცია იუწყებოდა, რომ ფასდაკლებით ყიდის „ჯეჯილის“ ყველა წლის ნომრებს თავისი საჩუქარი წიგნებით.

1916 წლის მეორე ნომრიდან ეურნალი მდარე ხარისხის, მოყვითალო ქალაქზე იბეჭდებოდა<sup>82</sup>. ამ წელს შესძლო ანასტასიამ ეურნალის თორმეტივე

<sup>77</sup> „დროება“, 1910, № 47; საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, № 17780.

<sup>78</sup> ან. თუმანიშვილის ფონდი, № 505. საზეიმო დილის შემოსავალით (144 მან.) გადაწყვიტეს „ჯეჯილის“ გამოწერა სოფლის სკოლებისათვის.

<sup>79</sup> „ერი“, 1910, № 2.

<sup>80</sup> „დროება“, 1910, № 50.

<sup>81</sup> ან. თუმანიშვილის ფონდი, № 171.

<sup>82</sup> აი, რას სწერს ე. თაყაიშვილი ნიკო მარს 1916 წლის 21 იანვარს: „ჩვენი საზოგადოების (იგულისხმება საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-მა) გამომცემლობითი მუშაობა შეჩერდა, ვინაიდან სრულებით ქალაქი აღარ მოიპოვება ტფილისში და ამწყობებსაც ვერ ვშოულობთ“ (ნ. მარის ფონდი, № 97): „ტფილისში ყოველგვარი გამომცემლობა შეწყდა ჩვენის მხრით, ვინაიდან არ იშოვება არც ქალაქი, არც სხვა მასლა“ (1916 წ. მარტი, იქვე, № 98).



ნომრის დაბეჭდვა, შემდგომ წლებში კი „ჯეჯილის“ რამდენიმე ნომერი იბეჭდებოდა მხოლოდ. მოგონებაში უკანასკნელი წლების მოღვაწეობაზე ანასტასია წერს: „თანდათან ძნელი გახდა „ჯეჯილის“ გამოცემა. 1916 წ. დიდი ვაივაგლახით წელიწადი ბოლომდის გავიყვანე. 1917 წ. აღარც დასაბეჭდი ქალაქი იშოვებოდა და არც სტამბა... ისე, რომ გამოვეცი „ჯეჯილის“ ორი დიდი ნომერი და ორი პატარა, სახელათ „კუნწულა“. არც 1918 წელიწადმა გამიღიმა, ნაცნობების წყალობით დავებეჭდე ექვსი ნომერი — 5 წიგნი. მაგრამ 1919 წელიწადმა გამიღიმა. 30 წელიწადი სრულდებოდა „ჯეჯილის“ არსებობისა, მომეხვიენენ დიდი და პატარა... და მშვენივრად ჩაიარა თეატრში გამართულმა „ჯეჯილის“ დილამ. მართალია ექვსი წიგნის მეტი არ გამოვეცი, მაგრამ საშუალება მომეცა 1920 წელს დაბეჭედა 7 წიგნი“<sup>83</sup>.

ანასტასიას ფონდს შემოუნახავს „ჯეჯილის“ 30 წლისთავისადმი მიძღვნილ დილაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვის შავი. „ბავშვებო! — მიმართავს ან. თუმანიშვილი პატარა მკითხველებს, — ათი წლის წინეთ, როდესაც ოცი წლის „ჯეჯილის“ ზეიმი იყო, მე ისე უძღურათ ვგრძნობდი ჩემ თავს, რომ მეგონა ორიოდ წელსაც ვეღარ ავიტანდი შრომას. მაგრამ ხედავთ, ბავშვებო, ათი წელიწადი გავიდა მას აქეთ და მე კი ისევ მედგრათ, სულით და გულით ვემსახურები „ჯეჯილს“. იცით რატომ, ჩემო პატარებო, რა მაცოცხლებს და მამაცათ მხდის, საქმის სიყვარული, მხოლოდ სიყვარული.

... ამ ოცდაათი წლის განმავლობაში „ჯეჯილის“ მკითხველნი ბევრნი დაეაქცადენ, ოჯახს მოეკიდნენ... და თუ ყველა მადლობით მოიხსენიებენ ჩემ ამაჯ, მე იმიტაც დაჯილდოვებული ვიქნები“<sup>84</sup>.

1920 წელს უკანასკნელად გამოვიდა „ჯეჯილი“ ანასტასიას რედაქტორობით. გასაბჭოების შემდეგ საქართველოში სახალხო განათლების კომისარიატის მთავარმმართველობასთან დაარსდა სარედაქციო კოლეგია. „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ რედაქციები გაერთიანდა. ამიერიდან უნდა გამოსულიყო ორივე ქურნალი. ოღონდ „ჯეჯილი“ მოზრდილთათვის, „ნაკადული“ კი მცირეწლოვანთათვის. სარედაქციო კოლეგიამ შესთავაზა ანასტასიას თანამშრომლობა, მაგრამ იგი უკვე 73 წლის მოხუცი იყო, გრძნობდა, რომ ადგილი ახალგაზრდებს ეკუთვნოდა და გავიდა სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობიდან.

31 წელიწადი ხელმძღვანელობდა ანასტასია თუმანიშვილი „ჯეჯილს“. ქურნალის გამოცემა მან ისეთ დროს დაიწყო, როდესაც არც ტრადიცია არსებობდა საქართველოში საბავშვო პერიოდული გამოცემისა და არც შესაფერისი მატერიალური ბაზა. „ამ ოცი წლის განმავლობაში არ დაბეჭდილა თითქმის არც ერთი ნომერი „ჯეჯილისა“, რომ მე თვითონ არ დავსწრებოდი სტამბაში მისი ყოველი ფორმის დაბეჭდვას“, — წერს ანასტასია ავტობიოგრაფიაში<sup>85</sup>. სტამბიდა სტამბაში დაატარებდა ანასტასია „ჯეჯილს“: ხან სტამბის პატრონი შეხვდებოდა უპირო, ხან კი უფიცი ასოთამწყობი<sup>86</sup>.

„მე არც სუბსიდიას ვიღებ ვისმესგან და არც ბლომ ჯამაგირს. და თუ ვმუშაობ და ჩემი ჯიბიდან ყოველწლივ ბლომათ ეხარჯავ ფულს, მხოლოდ იმიტომ,

83 ან. თუმანიშვილის ფონდი, № 11; 1920 წლის იანვარში „ჯეჯილმა“ წერა-კითხვის საზოგადოებისაგან საჩუქრად მიიღო 1000 მანეთი (სცა, ფონდი 481, საქმე № 1955).  
84 ან. თუმანიშვილის ფონდი, № 178.  
85 „ერია“, 1910, № 2.  
86 ან. თუმანიშვილის ფონდი, № 185.

რომ მგონია სარგებლობა მომაქვს ახალთაობისათვის და უანგაროთ მიყვარს ეს საქმე“, — ვკითხულობთ ან. თუმანიშვილის მიერ მ. გველესიანისადმი გაგზავნილ წერილში<sup>87</sup>.

საქმისადმი სიყვარული აძლევდა ანასტასიას იმ მხნეობასა და ენერგიას, რომელიც მას სჭირდებოდა იმისათვის, რომ ეძებნა მასალები და კლიშეები, ეშოვნა ფული და საწერი ქაღალდი, ეწერა და ეთარგმნა მოთხრობები „ჯეჯილისათვის“, გადაელახა მის წინ აღმართული ყველა სიძნელე.

„მე ვარ იმის მოწმე, თუ რამოტელა ენერგია გჭირდებოდათ თქვენ მეტადრე ამ ბოლო წლებში. სხვა თქვენ ალაგას დიდი ხანია თავს დაანებებდა და არ შეწუხდებოდაო“, — წერდა ანასტასიას „ჯეჯილის“ 20 წლისთავზე ანიკო წუწუნავა<sup>88</sup>.

ერთგულად ემსახურა ან. თუმანიშვილი „ჯეჯილს“, მას შეაღია ძალღონეცა და ქონებაც, მაგრამ თავის მიზანს ანასტასიამ მიაღწია. «„ჯეჯილმა“ მრავალ ბავშვს შეაყვარა წიგნი, გაუხსნა გონება და გახადა მშრომელი ხალხისათვის სასარგებლო კაცი», — აღნიშნავდა ეკ. გაბაშვილი ან. თუმანიშვილის გარდაცვალების გამო<sup>89</sup>.

„ჯეჯილმა“ გამოზარდა ქართველი საბავშვო მწერლების მთელი წყება. მან ააღებინა ხელში კალამი ბევრ არაპროფესიონალ მწერალსაც. მრავალი მათგანი ხანგრძლივი დროის მანძილზე დიდი სიყვარულით, უანგაროდ ემსახურებოდა „ჯეჯილს“. ანასტასიას და მისი თანამშრომლების თავდადებულმა შრომამ გახადა „ჯეჯილი“ მიმზიდველი ქართველი ბავშვებისთვის. „ჯეჯილი“ აყვარებდა მათ კითხვას, აწვდიდა გონებრივ საზრდოს, უღვიძებდა სამშობლოს სიყვარულს.

<sup>87</sup> ან. თუმანიშვილის ფონდი, № 248.

<sup>88</sup> იქვე, № 796.

<sup>89</sup> „დროშა“, 1932, № 3—4.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნაურებათა აკადემიის  
 ბ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

## ლევან მენაგაძე

## რუსთველი ამერიკაში

დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთველის უკვდავი პოემა კარგა ხანია გასცდა ეროვნულ საზღვრებს და საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო კულტურის საგანძურში. საუკუნე-ნახევარზე მეტია, რაც მას კითხულობენ, ეცნობიან, სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნის მწერლები თუ მეცნიერები. დაახლოებით ამდენივე ხანია მის შესახებ იბეჭდება წიგნები, წერილები და შენიშვნები მსოფლიოს ხალხთა ენებზე.

უკანასკნელ წლებში რუსთველი კიდევ უფრო მეტად დამკვიდრდა საერთაშორისო ასპარეზზე. ინტენსიურად გაიშალა მუშაობა მსოფლიო კულტურის ისტორიაში მისი როლისა და მნიშვნელობის გასარკვევად, გადაადგა სერიოზული ნაბიჯები რუსთველისათვის ღირსეული ადგილის მისაჩენად ზოგადსაკაცობრიო სულიერ საგანძურში. „ვეფხისტყაოსნის“ შეფასება ხდება მსოფლიო კულტურის შუქზე — სიტყვაკაზმული მწერლობის გამოჩენილ ნიმუშებთან შედარებით და მისი სიდიადის წარმოჩენით. ყოველივე ეს ხდება არა ლიტონი მსჯელობითა და ზოგადი განცხადებებით, არამედ სპეციალური მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილი მასალის მიუდგომელი ანალიზის საფუძველზე.

რუსთველის ხსენებას უცხოეთის ბევრ ქვეყანაში XIX საუკუნის დამდეგიდან ვხვდებით. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილი მასალებით რუსთველი გერმანიაში იხსენიება 1804 წლიდან, საფრანგეთში — 1810 წლიდან, პოლონეთში — 1830 წლიდან და ა. შ. ამ მხრივ ამერიკის ქვეყნებში განსხვავებული ვითარებაა. მართალია, ამერიკის საზოგადოებრიობას „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობა ადრევე შეეძლო (მაგალითად, პოემის მ. უორდრობისეული თარგმანით და ინგლისურენოვანი რუსთველოლოგიური ლიტერატურით), მაგრამ ამერიკელთა მიერ რუსთველის ხსენება, მისი შეფასება და აღიარება რამდენადმე გვიანდელი მოვლენაა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ შორეულ კონტინენტზე უკვე გარკვეული მუშაობა ჩატარდა რუსთველისა და მისი პოემის შესწავლისა და პოპულარიზაციის მიზნით; „ვეფხისტყაოსნის“ მრავლისმთქმელი სტრიქონები უძღვნეს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილმა მწერლებმა, მეცნიერებმა და ა. შ. ზოგმა ავტორმა რუსთველს გზა გაუკვალა — თავის ერს წარუდგინა მისი პოემა და თავისი მოსაზრებებიც გააცნო მკითხველ საზოგადოებას (გუსტავო დე ლა ტორე ბოტარო — ჩილე), რამდენიმემ ზოგადად განიხილა პოემა (ხოსე მიგელ გარჩესი — ჩილე, მონიკა უაიტი — კანადა და სხვ.), ზოგიერთმა კვლევის საგნად გაიხადა რუსთველოლოგიის ცალკეული საკითხები (თეიმურაზ ბაგრატიონი — აშშ, ლუის ფრენსის სოლანო — აშშ და სხვ.). რუსთველის პოემით აღფრთოვანებულმა მწერლებმა და მეცნიერებმა არა ერთგზის გამოხატეს უღრმესი სიყვარული და პატივისცემა ამ დიდებული



ქმნილებისადმი (კარლოს დრუმონდ დე ანდრადე — ბრაზილია, ფრანცისკო კოლოანე — ჩილე, ხოსე ანტონიო პორტუონდო — კუბა, რომან იაკობსონი — აშშ და სხვ.). საგულისხმოა, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ შთააგონა ზოგიერთი პოეტი (ჯო უოლესი — კანადა), კომპოზიტორი (პედრო ნუნეს ნავარეტე — ჩილე), მხატვარი (ს. მონტესინი — ჩილე); გამოჩენილმა მწერალმა კარლოს აუგუსტო ლეონმა (ვენესუელა) თავის უკანასკნელ ლექსთა კრებულს ეპიგრაფად რუსთველის სიტყვები წაუძმღვარა.

ყოველივე აღნიშნული მოწმობს, რომ რუსთველი საკმაოდ დამკვიდრდა ამერიკის საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე და მისი პოემის მხატვრულ-ლიტერატურულმა და კულტურულ-ისტორიულმა მნიშვნელობამ იქ აღიარება პოვა. ამ გარემოებამ ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე დასახა ახალი ამოცანა, რაც ამერიკის ქვეყნებში შექმნილი რუსთველოლოგიური ლიტერატურის შესწავლა-შეფასებასა და ათვისებაში მდგომარეობს. ქვემოთ ზოგადად მიმოვიხილავთ ამერიკის რამდენიმე ქვეყნის მოღვაწეთა რუსთველოლოგიურ ნააზრევს.

**აშშ.** ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობა იმის თაობაზე, თუ რომელი წლიდან იხსენიება რუსთველი (ან „ვეფხისტყაოსანი“) ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქართულ პრესაში 1939 წელს დაიბეჭდა ცნობა ამერიკული გამოცემლობის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის გამოქვეყნების შესახებ<sup>1</sup>, მაგრამ ეს გამოცემა არ გვინახავს და არც რაიმე მნიშვნელოვანი ცნობა შეგვხვედრია მასზე.

40-იანი წლებიდან რუსთველისა და მისი პოემის ხსენებას ხშირად ვხვდებით ამერიკულ ენციკლოპედიებში. მაგალითად, საკმაოდ ცნობილი ამერიკული ენციკლოპედიის („ენციკლოპედია ამერიკანა“) 1945 წლის გამოცემაში დაბეჭდილია პატარა წერილი, რომელშიც გვხვდება მსჯელობა ქართულ ლიტერატურაზე, დასახელებულია რამდენიმე ქართველი მწერალი და ორიგინალური თუ თარგმნილი თხზულება, საგანგებოდაა გამოყოფილი შოთა რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“<sup>2</sup>; ამ ენციკლოპედიის შემდგომ გამოცემაში ყურადღება გამახვილებულია ქართული ლიტერატურის კლასიკურ პერიოდზე, „გამოჩენილ ქართველ პოეტ“ შოთა რუსთველსა და მის ცნობილ პოემაზე<sup>3</sup>.

1959 წელს გამოქვეყნებულ ერთ ენციკლოპედიაში ჩვენს ქვეყანას მიეძღვნა სპეციალური წერილი, რომელიც, მართალია, მოკლეა და ზოგადი, მაგრამ შეიცავს ცნობებს ქართულ ლიტერატურაზეც, იხსენიებს თამარ მეფის ხანის მოზრდილ პოემა „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ინგლისურ თარგმანს<sup>4</sup>. მომდევნო წელს გამოქვეყნებული ენციკლოპედიის საქართველოსადმი მიძღვნილ წერილში რუსთველი „ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად“ იხსენიება, მისი პოემა XIV საუკუნის ნაწარმოებადაა მიჩნეული<sup>5</sup>. მეორე წერილი სპეციალურად ეთმობა ქართულ ლიტერატურას და ბევრ ქართველ მწე-

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ამერიკული გამოცემა, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 3. III. 1939, № 50 (3649).

<sup>2</sup> Georgians, The Encyclopedia Americana, XII, New York—Chicago, 1945, გვ. 490—491.

<sup>3</sup> Georgian SSR, The Encyclopedia Americana, XII, New York—Chicago, 1949, გვ. 490—491.

<sup>4</sup> Georgian, Standard Reference Encyclopedia, XI, New York, 1959, გვ. 3981—3982.

<sup>5</sup> Georgia, (Georgian SSR), Collier's Encyclopedia, VIII, New York—Toronto, 1960, გვ. 388—389.

რალსა და თხზულებას იხსენიებს, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ აქაც XIV საუკუნითაა დათარიღებული<sup>6</sup>. მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა მომდევნო ხანაში. 1963 წელს დაბეჭდილ ენციკლოპედიაში მართებულადაა აღნიშნული, რომ XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრება აღმავლობის გზაზე იდგა; მაშინ მოღვაწეობდა შოთა რუსთველი, რომელსაც ეკუთვნის „ეროვნული პოემა“ „ვეფხისტყაოსანი“<sup>7</sup>.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობას ზოგადი ცნობები რუსთველსა და მის პოემაზე შეეძლო მიეღო საკუთრივ ამერიკული ენციკლოპედიებიდან. დამატებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილი ინგლისური ენციკლოპედია („ენციკლოპედია ბრიტანიკა“), რომელიც ზოგჯერ ამერიკაშიც ქვეყნდებოდა, მკითხველებს კიდევ უფრო მეტ მასალას აწვდიდა დიდ ქართველ პოეტზე<sup>8</sup>.

ამერიკის შეერთებული შტატების მოღვაწეთა ინტერესის ზრდა „ვეფხისტყაოსნისადმი“ განსაკუთრებით შეიმჩნევა 60-იანი წლებიდან და უშუალოდაა დაკავშირებული იმ დიდ დღესასწაულთან, რომლითაც აღინიშნა რუსთველის დაბადების 800 წლისთავი.

1966 წელს საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, პარვარდის უნივერსიტეტისა და მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი რომან იაკობსონი. მან გაიცნო ჩვენი ქვეყანა, ჩვენი კულტურულ-მეცნიერული ცხოვრება, წაიკითხა საჯარო ლექციები („თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების პერსპექტივები“, „სტრუქტურული ლინგვისტიკისა და პოეტიკის განვითარების გზები“ და სხვ.)<sup>9</sup>, მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაში, რომელიც მიუძღვნა რუსთველის დაბადების 800 წლისთავს; წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მაშინვე გამოქვეყნდა<sup>10</sup>.

რ. იაკობსონის დაკვირვებით, „თამარ მეფის დროინდელი ქართული პოეზია მჭიდროდაა დაკავშირებული იმ უჩვეულო აღმავლობასთან, რომელიც მსოფლიო პოეზიას ახასიათებდა XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დამდეგს. რუსთველის პოემაში ცოტა არაა ამ მოძრაობის მანიშნებელი“.

ამერიკელი სწავლულის სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ რამდენადმე ახლოსაა ბიზანტიურსა და ირანულ-არაბულ სამყაროსთან, მაგრამ „ამავე დროს მკვეთრად განსხვავდება როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური პოეზიის ნიმუშებისაგან და აღსავსეა ორიგინალური ქართული კოლორიტით“; რუსთველის პოეტური სამყარო მჭიდრო კავშირშია ქართულ ფერწერასთან (კერძოდ,

<sup>6</sup> Georgian Literature, Collier's Encyclopedia, VIII, New York—Toronto, 1960, გვ. 400.

<sup>7</sup> Georgian SSR or Georgia, The Columbia Encyclopedia, New York—London, 1963, გვ. 814.

<sup>8</sup> Georgian Literature, The Encyclopaedia Britannica, X, London—New York, 1932, გვ. 203 (მეორდება სხვა გამოცემებშიც. იხ., მავალითაღ, 1959 წლის გამოცემა—X, Chicago—London—Toronto, გვ. 103; 1963 წლის გამოცემა—X, London—Chicago—Geneva—Sydney—Toronto, გვ. 204 და სხვ.); D. M. La [ n g ], Georgian Literature, Encyclopaedia Britannica, X, Chicago—London—Toronto—Geneva—Sydney—Tokyo, 1965, გვ. 228.

<sup>9</sup> ბ. თარხნიშვილი, რომან იაკობსონი საქართველოში, „ლიტერატურული საქართველო“, 16. IX. 1966, № 38 (1519).

<sup>10</sup> რ. იაკობსონი, კაცობრიობის დიდი სავანძური, „თბილისის უნივერსიტეტი“, 30. IX. 1966, № 29 (693).

4. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 3

ყინწვისის მხატვრობასთან), მისი ენა მქლავრი და მომაჯადოებელია. მკვლევარი საგანგებოდ ამხევილებდა ყურადღებას „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის შესწავლის აუცილებლობაზე.

არანაკლებ საინტერესოა რ. იაკობსონის საუბარი გაზეთის კორესპონდენტთან. მეცნიერმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა „საქართველოსთვის ესოდენ ღირსშესანიშნავ დღეებში“ — საიუბილეო ზეიმის ქაშს თბილისში ყოფნის გამო და „გენიალური პოეტისა და მოაზროვნის“ შოთა რუსთველის „ღრმად ორიგინალურ ეროვნულ“ პოემას ამჭერადაც მაღალი შეფასება მისცა<sup>11</sup>.

1968 წელს ნიუ-იორკში დაიბეჭდა თეიმურაზ ბაგრატიონის ბროშურა „შოთა რუსთველი (ადამიანი მის ხანაში და 800 წლის შემდეგ)“<sup>12</sup>; ესაა კონტად გამოცემული პატარა წიგნაკი, რომელიც შემკულია რუსთველისა და თამარის პორტრეტებითა და „ვეფხისტყაოსნის“ ი. თოიძისეული ილუსტრაციებით.

თ. ბაგრატიონი იცნობს რუსთველოლოგიურ ლიტერატურას (სახელდობრ, კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, ა. ბარამიძის, ნ. სალიას, რ. ლაფონის, დ. ლანგისა და სხვათა შრომებს), იყენებს „ვეფხისტყაოსნის“ რამდენსამე თარგმანს, იხილავს რუსთველსა და მის პოემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საყურადღებო საკითხს, მკითხველებს აცნობს პოემის შინაარსს და აწვდის საინტერესო მასალას (მაგრამ, სამწუხაროდ, შეცდომებისგან ყოველთვის დაზღვეული არაა).

ბროშურის დასაწყისში მიმოხილულია XII—XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობა და კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ მიჩნეულია თამარის ხანის აყვავებული ქართული კულტურის ორგანულ ნაწილად.

თ. ბაგრატიონი საგანგებოდ წარმოაჩენს რუსთველის ეროვნულ საფუძვლებს, მისი პოემის კავშირს მშობლიური კულტურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთან. მისი სიტყვით, იმ პერიოდში, როდესაც რუსთველი წერდა თავის პოემას, საქართველო სამი სხვადასხვა სამყაროს, — ქრისტიანულის, ელიზურისა და მაჰმადიანურის, — მოძალებულ გავლენას განიცდიდა, მაგრამ დიდმა პოეტმა თავის თანამოდგაწეებთან ერთად შეძლო ამ გავლენის შენელება და შერწყმა საკუთარ ეროვნულ კულტურასთან. რუსთველის პოემაში არეკლილია ბერძნული ფილოსოფიის, არაბული ასტრონომიისა და ირანული პოეზიის ტრადიციები, მაგრამ მას ძირითადად ქართული ეროვნული სახე აქვს. „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე წმინდა ქართული ხასიათისაა, დაწერილია შესანიშნავი ქართული ენით და ასახავს XII—XIII საუკუნეების საქართველოს ყოფას.

თ. ბაგრატიონმა სპეციალურად დაახასიათა „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, სახელოვანი რაინდები, რომელთა განუზომელი ძალა და მამაცობა სამართლიანობის დაცვის, სუსტთათვის დახმარების აღმოჩენისა და ბოროტების დათრგუნვისკენაა მიმართული. რუსთველის გმირებს თანდაყოლილი კეთილშობილება და სათნოება ახასიათებთ, ყველა ადამიანური ღირსება ამშვენებთ. მათი მიჯნურობა წნესრულია და სპეტაკი; მიჯნურის მთავარი მიზანი სატრფოსთან ქორწინებაა. ეს მას განასხვავებს იტალიური რენესანსის გმირებისგან, რომელთა სატრფოები ხშირად გათხოვილი მანდილოსნები არიან.

<sup>11</sup> „Золотой век поэзии“, „Вечерний Тбилиси“, 3. X. 1966. № 232 (1519).

<sup>12</sup> Th. Bagration, Shota Rustaveli (A Man in his Time and Eight Hundred Years Later), New York, 1968.



თ. ბაგრატიონისათვის ცნობილია, რომ რუსთველს ხშირად ადარებენ დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩოს, შექსპირს, გოეთეს. მისი სიტყვით, უსაფუძვლო და უხერხულია ამ უდიდეს ტიტანთა ერთ სიბრტყეზე მოთავსება შედარების მიზნით, რადგან ყოველი მათგანი კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ხანასა და პირობებში მოვევლინა ლიტერატურას და მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ამ ვარსკვლავს ჩაქრობა არ უწყერია, მათი ერთი საზომით შეფასება სწორი არ უნდა იყოს.

თ. ბაგრატიონმა ამერიკელ მკითხველებს ბევრი საყურადღებო ცნობა მიაწოდა რუსთველსა და მის ნაწარმოებზე. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის პატარა წინასიტყვაობა, რომელიც თ. ბაგრატიონის ბროშურას წაუძღვარა ამერიკელმა მეცნიერმა, ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორმა კირილ თუმანოვმა. ცნობილია მედიევისტმა, რომელმაც თავის შრომებში არა ერთჯერ განიხილა საქართველოს ისტორიის საკითხები, ამჯერად ყურადღება გაამახვილა ქართულ ცივილიზაციაზე, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის, ირან-საბერძენეთის კულტურათა ერთგვარ სინთეზს. საქართველოში მოხდა ორი სამყაროს, — ქრისტიანულისა და მაჰმადიანურის, — კულტურული ნაკადების შეხვედრა და შერწყმა. ამ მრავალმხრივ მემკვიდრეობას წარმოაჩენს რუსთველის პოემა, რომელშიც შეზავებულია ნეოპლატონიზმი და სუფიზმი, ელინური და ირანული კულტურის ელემენტები, რომელთა შორის აშკარად გამოიყოფა ქართული ელემენტები.

უკანასკნელ წლებში ქართული ლიტერატურით, კერძოდ, რუსთველით ძალზე დაინტერესდა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ფრანგულ-პროვანსული ლიტერატურის თვალსაჩინო სპეციალისტი ლუის ფრენსის სოლანო. იგი პირველად 1968 წელს ჩამოვიდა საქართველოში. გაიცნო ჩვენ სულიერი კულტურა, შეიყვარა „ვეფხისტყაოსანი“, შეისწავლა რუსთველოლოგიური ლიტერატურა, დააგროვა მასალები და დაამუშავა თემა „მიჯნურობა შუა საუკუნეების ქართულ პოეზიაში“. სამშობლოში დაბრუნებულმა ფართო აუდიტორიის წინაშე წაიკითხა ვრცელი ლექცია და ბევრ თანამემამულეს გააცნო რუსთველის სიდიადე<sup>13</sup>. შემდეგში ჰარვარდის უნივერსიტეტში წაიკითხა კურსი „შუა საუკუნეების პროვანსული პოეზია, მისი წყაროები და ანალოგიები“. პროვანსულ პოეტებზე მსჯელობისას იგი რუსთველური მიჯნურობის საკითხებსაც განიხილავდა.

1970 წლის გაზაფხულზე ლ. სოლანო კვლავ ეწვია თბილისს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება („კრეტიენ დე ტრუა და რუსთველი“), რომელშიც მრავალი საინტერესო პარალელი გაავლო დასახელებული მწერლების თხზულებათა შორის; 2 აპრილს გამოვიდა ტელევიზიით და ქართულ ენაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც შემდეგ გამოქვეყნდა კიდევ<sup>14</sup>.

<sup>13</sup> ლუის სოლანოს ლექცია, „ლიტერატურული საქართველო“, 13.VI.1969, № 24(1661). ლექტორის სიტყვით, „აუდიტორია შედგებოდა ასპირანტებისა და ცნობილი პროფესორებისაგან. ისინი აღტაცებული დარჩნენ. არც ერთ მათგანს არ გაეგონა მანამდე რუსთველის სახელი“.

<sup>14</sup> ლ. სოლანო, რუსთველის გენია მიძღვნილია წინ, „ლიტერატურული საქართველო“, 9. X. 1970, № 41 (1730).

ლ. სოლანომ ქართველ საზოგადოებას ამცნო, თუ როგორ შეისწავლა ქართული ენა რუსთველის დახმარებით, როგორ „უძლოდა წინ მისი გენია“ და მან, — როგორც მკვლევარმა და ლექტორმა, — რა გააკეთა რუსთველის პოპულარიზაციისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში.

განიხილა რა რუსთველის პოემა, ლ. სოლანომ მალალი შეფასება მისცა მას. მეცნიერის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი თვალსაჩინო ნიშანი ჰუმანიზმია. თუმცა „რუსთველი ფაბულის დიდი ოსტატია, მაგრამ ძირითადად ფილოსოფოსია“ და მისი ყურადღების ცენტრში ადამიანი დგას. ამასთანავე იგი „უნიკალურია მიჯნურობის გაგებაში. მრავალი ერის ლიტერატურა იცნობს ვაჟკაც გმირებს, ლამაზ ქალებს, ლამაზ სიყვარულს, მაგრამ არსად არ არის ის შეხმატებულება, რასაც რუსთველის პოემაში ვხვდებით. პირველივე სტროფებიდან ვგრძნობთ, რომ პოეტი მთელ სამყაროზე ფიქრობს და ამავე დროს მისი საგანია ადამიანის ინდივიდუალური არსება“.

ლ. სოლანო „ვეფხისტყაოსანს“ დაკვირვებით იკვლევს, მსოფლიო მას-შტაბის პოეტურ შედეგად მიიჩნევს და ენერგიულად იღვწის მისი პოპულარიზაციისათვის თანამემამულეთა შორის.

უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ ის მუშაობა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაატარა ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა პროფესორმა დევიდ ლანგმა (ამ მეცნიერის არაერთ შრომაში დასმული და განხილულია რუსთველოლოგიური პრობლემათვის ძირეული საკითხები. ამ შრომათა მეტი ნაწილი ვეროპაში გამოქვეყნდა).

1964—1965 წლებში დ. ლანგი ლექციებს კითხულობდა კალიფორნიის უნივერსიტეტში (ლოს-ანჯელისი)<sup>15</sup>. იგი თავის მსმენელებს ქართველოლოგიურ დისციპლინებს ასწავლიდა და რუსთველსაც აცნობდა. 1965 წლის აპრილში დ. ლანგი ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების გენერალური ასამბლეის სხდომაზე (ჩიკაგოში) გამოვიდა მოხსენებით თემაზე „შოთა რუსთველი და შუა საუკუნეების ქართული ეპოსი“. მომხსენებლის ცნობით, „ამ მნიშვნელოვანი საზოგადოების ისტორიაში, რომელიც ათასობით წევრს აერთიანებს ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი უნივერსიტეტებიდან და აკადემიებიდან, ეს გამოსვლა ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკითხებზე პირველი შემთხვევა იყო და აუდიტორია დიდი ინტერესით და კმაყოფილებით შეხვდა მას“<sup>16</sup>. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსთველის საქმაოდ სრული დახასიათება და მისი პოემის ანალიზი დ. ლანგმა ამერიკელ მკითხველებს მიაწოდა თავისი წიგნით („ქართველები“), რომელიც ამერიკულმა გამომცემლობამ გამოაქვეყნა 1966 წელს<sup>17</sup>.

დასასრულს უნდა დავიმოწმოთ რუსთველის განსაკუთრებული პოპულარობის, მისი სიდიადის შეგრძნებისა და აღიარების დამადასტურებელი შემდეგი ფაქტი: ინგლისელმა პოეტმა ალან სილიტოუმ 1969 წელს ნიუ-იორკში გამოაქვეყნა პატარა კრებული, რომელშიც დაბეჭდილია ლექსი „ვეფხისტყაოსანი“. მასში ავტორმა ტარიელის ლომ-ვეფხეთან ბრძოლის ეპიზოდი სრულიად

<sup>15</sup> D. M. Lang, Georgian studies in the U. S. A., „Bedi Karlisa“, XIX—XX (№ 48—49), 1965, გვ. 210—211.

<sup>16</sup> დ. ლანგი, ვაჟკაცობა, „კომუნისტი“, 25.IX.1966, № 219 (13603). იხ. აგრეთვე D. Lang, Rastet interes k strane poztov, „Vechernij Tbilisi“, 28.IX.1966, № 228 (4066).

<sup>17</sup> D. M. Lang, The Georgians, London—New York, 1966, გვ. 172—178.

ახალი პოეტური საშუალებებით გადმოსცა და მეტად ორიგინალური, თანამედროვე ინგლისური ლექსთწყობის ნორმებით გამართული თარგმანი მიაწოდა მკითხველებს<sup>18</sup>.

**ჩილე.** ვიწყებთ რა საუბარს ჩილეზე, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩაატარა „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე თარგმნისა და მისი ესპანურენოვან სამყაროში პოპულარიზაციისათვის ჩილელმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გუსტავო დე ლა ტორე ბოტარომ.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე თარგმნა რამდენიმე დაგვიანდა. მართალია, რუსთველის პოემის ესპანურად ამეტყველების სურვილი კარგა ხანია შეიმჩნევა და თარგმნის რამდენიმე ცდაცაა ცნობილი, მაგრამ საქმის დაგვირგვინება უკანასკნელ წლებამდე არ მოხერხდა.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დამდეგს მადრიდის ერთ-ერთ ლიტერატურულ ჟურნალს გამოუქვეყნებია „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური პროზაული თარგმანის ნაწყვეტები<sup>19</sup>; ესპანელმა პოეტმა პ.-ი. ბერტრანმა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის რუსთველისადმი მიძღვნილ პლენუმზე (თბილისში) 1937 წლის 27 დეკემბერს საზეიმოდ განაცხადა, რომ თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“<sup>20</sup>, მაგრამ თავისი ჩანაფიქრი ვეღარ განახორციელა; 1945 წლის ბოლოს ჟურნალ „ინტერნაციონალური ლიტერატურის“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების ესპანური პროზაული თარგმანი, რომელიც ეკუთვნოდა ახალგაზრდა ესპანელ პოეტს, მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ესპანური ენის ლექტორს ხოსე ანტონიო დიკოს<sup>21</sup>; რუსთველის საიუბილეო დღესასწაულის დღეებში (1966 წ.) ჟურნალ „საბჭოთა ლიტერატურის“ ესპანურ სერიაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური პოეტური თარგმანის ნაწყვეტები<sup>22</sup>.

არც ერთი ცდა წარმატებით არ დამთავრებულა. ადრე თუ უკანასკნელ ხანს თარგმნილი ნაწყვეტების დაბალი დონე მკითხველ საზოგადოებას ვერ აკმაყოფილებდა; თარგმანში სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი ორიგინალის თემატურ-შინაარსობრივი სიმდიდრე, იდეურ-აზრობრივი სიღრმე, მხატვრული ლიტერატურული ღირსება. „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანის არარსებობა კი მწვავედ იგრძნობოდა (ესპანური ენა ხომ მრავალი ქვეყნის სახელმწიფო ენაა!). სწორედ ამან აიძულა გ. დე ლა ტორე ბოტარო ხელი მოეკიდა რუსთველის პოემისათვის, შეესწავლა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი ქართულ დედანთან მიმართებით, ხოლო შემდეგ ქართულ ტექსტს შესკიდებოდა.

გ. დე ლა ტორე ბოტარომ გაიცნო ჩვენი ხალხის ისტორია და კულტურა, შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა, გამოიყენა რუსთველოლოგთა კონ-

<sup>18</sup> A. Sillitoe, *Love in the Environs of Voronezh*, New York, 1969, გვ. 32—33; ნ. ყიასაშვილი, რუსთველი და „ვორონეჟის შემოგარენი“ (ალან სილატოუს ერთი ლექსის გამო), „კომუნისტი“, 27.VII. 1971, № 170 (15080).

<sup>19</sup> А. Февральский, Руставели и Н. Бараташвили на испанском языке. „Заря Востока“, 7.IV.1946, № 72 (6706).

<sup>20</sup> „კომუნისტი“, 30. XII. 1937, № 299 (5100); „საბჭოთა აქარა“, 1. I. 1938, № 1 (4904). იხ. აგრეთვე „ახალგაზრდა კომუნისტი“, 30. XII. 1937, № 298 (3298).

<sup>21</sup> Shota Rustaveli, *Iniciación*. Narración de los amores de Tariel... Trad. J. A. Rico, „La Literatura Internacional“, 1945, № 12, გვ. 17—25.

<sup>22</sup> Shota Rustaveli, *El Caballero de la Piel de Tigre*. Trad. A. Herráiz, „Literatura Sovietica“, 1966, № 9, გვ. 126—129.



სულტაცია და სპეციალური შრომები და წლების მანძილზე მუშაობის შედეგად გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური პროზაული თარგმანი, რომელიც შესრულებულია დედნის საფუძვლიანი ცოდნითა და სიყვარულით, მაღალი წიგნიერი კულტურითა და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით<sup>23</sup>. თარგმანს, მართალია, გამოცემის თარიღად 1964 წელი აწერია, მაგრამ მკითხველებმა წიგნი არსებითად რუსთველის იუბილეს წინა ხანს მიიღეს. იგი შემკულია პოემის ავტორისა და მთარგმნელის სურათებითა და მრავალი ილუსტრაციით.

გ. დე ლა ტორე ბოტაროს თარგმანმა დიდი მოწონება დაიმსახურა და საყოველთაო აღიარება პოვა. ეს ნათლად ჩანს იმ რეცენზიებში, რომლებიც ჩილეს პრესაში გამოაქვეყნდა (იხ. ქვემოთ). „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს მაღალი შეფასება მისცა ესპანეთის მეცნიერებათა აკადემიამ (2.XII.1966), ხოლო ბრაზილიის გამოჩენილი პოეტი კარლოს დრუმონდ დე ანდრადე აღფრთოვანებით სწერდა (23.X.1966) მთარგმნელს: „დიდი ბედნიერებაა იცნობდე შოთა რუსთველის იმ საუცხოო ნაწარმოებს, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებშია შესული. ქეშმარიტად აღტაცებული ვარ თქვენი უმაგალითო შრომის ნაყოფით. გარდა ამისა მათებს მშვენიერების სამყარო, რომელსაც ქართული პოემა წარმოგვიჩენს“<sup>24</sup>.

ჩვენი საზოგადოებრიობა, რომელიც ადრეც დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს გ. დე ლა ტორე ბოტაროს მთარგმნელობით საქმიანობას<sup>25</sup>, გულთბილად გამოეხმაურა „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანის გამოაქვეყნებას<sup>26</sup>.

გ. დე ლა ტორე ბოტარომ არა მხოლოდ თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, არამედ საყურადღებო ნარკვევებიც უძღვნა მას. სახელდობრ, ჯერ კიდევ 1957—1958 წლებში წაუშმდგარა პატარა წერილები ქართულ წიგნებს და ესპანურენოვან სამყაროს მიაწოდა ცნობები რუსთველსა და მის პოემაზე<sup>27</sup>. ამ წერილებში ნათლად ჩანს ავტორის სიყვარული და პატივისცემა ქართული კულტურისადმი, რუსთველის პოემისადმი. ამ დროს იგი უკვე იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანს, მუშაობდა ქართულ ტექსტზე, სწავლობდა რუსთველოლოგიურ ლიტერატურას და მიზნად ისახავდა ესპანურად თარგმნილი

<sup>23</sup> Shotha Rusthaveli, El Caballero de la Piel de Tigre. Traducción G. de la Torre, Santiago de Chile, 1964.

<sup>24</sup> მ. შამუღლაშვილი, „ხელით-ხელ საგოგამანები მარგალიტი“, შოთა რუსთველი ლათინურ ამერიკაში, „თბილისი“, 4. XII. 1966, № 284 (4129).

<sup>25</sup> მ. შამუღლაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ ესპანურ ენაზე, „თბილისი“, 17. IV. 1958, № 79 (1482); „Витязь в тигровой шкуре“ на испанском языке, „Тбилиси“, 23. IV. 1958, № 84 (1487); გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 17. I. 1964, № 3 (1380).

<sup>26</sup> მ. ჯაყელი, კიდევ ერთი ახალ გამოცემა („ვეფხისტყაოსანი“ ესპანურ ენაზე), „თბილისი“, 5. X. 1966, № 234 (4079); С. Серебряков, Поэма Руставели на испанском языке, „Литературная Грузия“, 1956, № 9—10, გვ. 184—187; ც. ჩიქვაშვილი, მღლებულა ესპანური თარგმანიც, „თბილისი“, 14. VI. 1967, № 138 (4289). იხ. აგრეთვე ი. ლორთქიფანიძე, შორეულ ვეზებზე, „კომუნისტი“, 5. I. 1965, № 2 (13123).

<sup>27</sup> G. de la Torre Botarro, Comentario de la obra, წავნა: „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ. I—V; მისივე, Dos palabras, წიგნში: „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958, გვ. I—IV. ქართულად გამოაქვეყნდა ამ წინასიტყვაობათა შემოკლებული თარგმანი. იხ. გ. დე ლა ტორე ბოტარო, ერის სამყარო, „კომუნისტი“, 27. VI. 1965, № 150 (13235).

ტექსტის შინაარსობრივ დაახლოებას ორიგინალთან და „პოეტური ქლერაობის იდენტიობის მიღწევას“.

გ. დე ლა ტორე ბოტარო ქართული „სარაინდო ეპიკური პოემის“ გაცნობას ბედნიერ შემთხვევად მიიჩნევდა, ხოლო მის თარგმნას — პატივად. მან განიხილა რუსთველის ასტრონომიული ცოდნა და ასტროლოგიური რწმენა, წარმოაჩინა ქართველი პოეტის ზოგადსაკაცობრიო იდეალები, გააანალიზა პოემის მხატვრული კონსტრუქცია, დაახსიათა პოეტური მეტყველების თავისებურებანი, დაძებნა პოემის ქართულ-ეროვნული საფუძვლები. ჩილელმა მთარგმნელმა და მკვლევარმა ესპანურენოვან მკითხველებს დამაჯერებლად ამცნო რუსთველის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

გ. დე ლა ტორე ბოტაროს რუსთველოლოგიური წერილებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანის წინასიტყვაობა — ვრცელი ნარკვევი, რომელშიც მოცემულია მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობაზე, იდეურ-შემეცნებით ღირებულებაზე, მხატვრულ-ლიტერატურულ ღირსებაზე<sup>28</sup>. მთარგმნელმა „ვეფხისტყაოსანი“ მიიჩნია ღებდებულ ქმნილებად, უკვდავ „პეროიკულ ეპოსად, რომელიც შუქს ჰფენს შუა საუკუნეების წყვილიადს და დღესაც მარად უქრობი ალით ბრწყინავს და ფასდაუდებელი მარგალიტია არა მარტო ქართული ლიტერატურისა, არამედ კაცობრიობის კულტურული საგანძურისა“. მან მკითხველებს გააცნო ძველი ქართული ლიტერატურის განვითარების ზოგადი სურათი, ვრცლად მიმოიხილა თამარის ეპოქა, რომელმაც, მისი სიტყვით, დასაბამი მისცა სიყვარულის, მეგობრობის, ქალთა სოციალური თანასწორობის იდეებს, აჩვენა საქართველოში ორი სამყაროს — დასავლურ-ქრისტიანულისა და აღმოსავლურ-მაჰმადიანურის კულტურული ნაკადების შეხვედრის გავლენა ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ქართულ ლიტერატურაზე. მისთვის ხელმისაწვდომი უახლოესი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე მკვლევარმა საკმაოდ სრულად განიხილა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხები (და, სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი მეცნიერის შეცდომაც გაიმეორა), საგანგებოდ შეჩერდა მის განათლებაზე და დაასახელა მისი ფილოსოფიური წყაროები, რუსთველური მიჯნურობა შეუდარა ანდალუზიელი პოეტების (იბნ ჰაზმი, იბნ ზაიდუნი, იბნ კუზმანი და სხვ.) გამონათქვამებს და საინტერესო პარალელები გაავლო, არ უგულვებელყო არც რუსთველის ე. წ. არმოდწეულ თხზულებათა საკითხი, ყურადღება გაამახვილა რუსთველის პოპულარობაზე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, სპეციალურად დაახსიათა რუსთველის ლექსი, მისი მომავადობელო პოეტური სამყარო, მისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, აღნიშნა ესპანურად თარგმნის სიძნელენი.

გ. დე ლა ტორე ბოტარომ თანამემამულეებს ბევრი საინტერესო დაკვირვება და ანგარიშგასაწევი მოსაზრება მიაწოდა და „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო მასშტაბის პოეტურ შედევრად წარუდგინა.

1966 წლის 29 დეკემბერს ჩილეს მწერალთა ასოციაციამ სანტ-იაგოში, ჩილეს უნივერსიტეტის საპატიო დარბაზში ჩაატარა დიდი საზეიმო საღამო, რომელიც მიეძღვნა რუსთველის დაბადების 80 წლისთავს. იგი შესავალი სი-

<sup>28</sup> G. de la Torre Botarro, Prefacio, წიგნში: Shotha Rusthaveli, El Caballero de la Piel de Tigre, გვ. 17—36. ქართულად გამოქვეყნდა შემოკლებული თარგმანი, იხ. გ. დე ლა ტორე ბოტარო, რაინდული ეპოსი, „კომუნისტი“, 30.IX.1966, № 223 (13607).

ტყვიტ გახსნა ასოციაციის პრეზიდენტმა ფრანცისკო კოლოანემ. ვრცელი მოხსენებით („გენიალური ქართველი პოეტი, მისი ცხოვრების დრო და „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო მნიშვნელობა“) გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი, რომელსაც მრავალი შეკითხვა მისცეს. ერთი შეკითხვა ასეთი იყო: თქვენს მოხსენებაში აღმოსავლელი პოეტი რუსთველი გენიალურ დანტეს შეადარეთ. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ასეთი შედარება? გ. დე ლა ტორე ბოტარომ ამ კითხვას შემდეგი პასუხი გასცა: „რუსთველი დანტეზე გაიკლებით მაღლა დგას თუნდაც იმით, რომ მან მთელი საუკუნით ადრე და უკეთაც იქადაგა ის, რაც დანტემ დიდი მოგვიანებით დაგვიწერა. მართალია, რუსთველს გასული საუკუნის მსოფლიო თითქმის არ იცნობდა, მას ახლაც არ ვიცნობთ ისე, როგორც ეს საჭიროა, მაგრამ აღნიშნული გარემოება რუსთველის ბრალი სრულიადაც არ არის. ამის მიზეზია ის, რომ „ვეფხისტყაოსანს“ თავისი კონგენიალური მთარგმნელი ჯერ არ გამოსჩენია. ომარ ხაიმსაც, სანამ ე. ფიცჯერალდი ინგლისურად თარგმნიდა, მსოფლიო არ იცნობდა, მაგრამ ახლა ამ თარგმანით იგი აღმოსავლეთისა და, ვიტყვოდი, მსოფლიოს ლირიკოსთა შორის ცისკრის ვარსკვლავით ბრწყინავს. რა ვუყოთ მერე, ალბათ რუსთველსაც მოველინება თავისი ე. ფიცჯერალდი და მაშინ ჰომეროსისა და შექსპირის გვერდით მისი დაყენება პრობლემა აღარ იქნება. ყოველივე ამის მიუხედავად საბჭოთა ეპოქაში ამ გენიოსმა ქართველმა უკვე საკმაოდ დაიმკვიდრა მსოფლიოში თავისი ლირსეული ადგილი“<sup>29</sup>.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩილეს პრესაში გამოქვეყნდა რეცენზიები, რომლებშიც დადებითად იყო შეფასებული „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანი. მხედველობაში გვქონდა ერნან დელ სოლარის<sup>30</sup>, ხოსე მიგელ გარჩესისა<sup>31</sup> და აგუსტინ ბილა გარიდოს<sup>32</sup> რეცენზიები.

ე. სოლარმა მკითხველებს კმაყოფილებით აუწყა, რომ განათლებულმა ჩილეელმა ამას წინათ იცნობდა XII საუკუნეში, იმ ხანის ქართველი პოეტის საზოგადოებაში. მან თავს იდგა დიდი ტვირთი, თარგმნა ვრცელი პოემა, რომელიც თითქმის ყველა ენაზე თარგმნილი იყო გარდა ესპანურისა. რეცენზენტმა მაღლობით მოიხსენია გ. დე ლა ტორე ბოტაროს კეთილსინდისიერი და თავდადებული შრომა, მოიწონა ვრცელი წინასიტყვაობა, რომლითაც მთარგმნელმა ქართული ლიტერატურა გააცნო თანამემამულეებს, განიხილა რუსთველის შეხედულება შაირობასა და მიჯნურობაზე და მაღალი შეფასება მისცა „ვეფხისტყაოსანსა“ და მის თარგმანს.

ბ. გარჩესი აღფრთოვანებით შეხვდა რუსთველის პოემის ესპანურ თარგმანს და უაღრესად თბილი რეცენზია გამოაქვეყნა მასზე (რეცენზიას ახლდა ლ. გუდიაშვილის მიერ შესრულებული ორი ილუსტრაცია „ვეფხისტყაოსნისა“)<sup>33</sup>. მისი სიტყვით, ესპანურენოვან მკითხველს რვა საუკუნე დასჭირდა

<sup>29</sup> მ. შამულაშვილი, რუსთველი ჩილის სანტ-იაგოში, „თბილისი“, 28. I. 1967, № 24 (4175).

<sup>30</sup> H. del Solar, რეცენზია: Shota Rusthaveli, El Caballero de la Piel de Tigre, „El Mercurio“, 3. IV. 1966.

<sup>31</sup> J. M. Garces, Chileno Tradujo Obra Inmortal De Rusthaveli, „La Tarde“, 13. X. 1966.

<sup>32</sup> A. B. Garrido, Octavo centenario, „El Diario ilustrado“, 8. I. 1967.

<sup>33</sup> ამ რეცენზიას მაშინვე გამოეხმაურა ქართული პრესა. იხ. მ. შამულაშვილი, „ხელით-ხელ საგომანები მარგალიტი“, შოთა რუსთაველი ლათინურ ამერიკაში, „თბილისი“, 4. XII. 1966, № 284 (4129).



რუსთველის გასაცნობად. ეს საგრძნობი ხანდაზმულობაა, მაგრამ ახლახან აღმინა, რომელიც მუშაობს „პროგრესის, ჭეშმარიტების შეცნობისა და უპკნობ ფასეულობათა გაგებისათვის“, დიდი წვლილი შეიტანა კულტურათა გაცნობის, შესწავლისა და დაახლოების საქმეში. მან შეასრულა ტიტანური სამუშაო და გაგვაცნო ქართული ლიტერატურის ოქროს ხანის ბრწყინვალე წარმომადგენელი რუსთველი, უკვდავი პოეტი, რომელიც უმღეროდა სიცოცხლეს, სიყვარულს, მეგობრობას. რეცენზენტის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურმა თარგმანმა, რომელიც უარესად მაღალ დონეზეა შესრულებული, კარი გაუხსნა ესპანურად მოლაპარაკე ხალხებს მსოფლიო ლიტერატურის ამ უკვდავი პოეტური ქმნილების შეცნობისაკენ. რეცენზია, რომელიც წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ესპანური თარგმანის ხოტბას, მთავრდება სიტყვებით: „რა დიდი და მშვენიერი დღესასწაულია!“ ნიშანდობლივია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურად აქლერება დიდ დღესასწაულად იქნა მიჩნეული.

მესამე რეცენზენტი ა. გარიდო იწონებდა რა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს, გაცეხას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „დიდებული პოეტის“ „უდიდესი ქმნილება“, რომელიც „მსოფლიო ლიტერატურის შედევრს“ წარმოადგენს და გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში, ამდენ ხანს „მიუწვდომელი იყო ესპანურენოვანი მკითხველისათვის“.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ფრანცისკო კოლრანე — ცნობილი ჩილელი მწერალი, რომელიც სტუმრად იყო საქართველოში რუსთველის იუბილეზე (1966 წ.). ისიც ძალზე აღფრთოვანებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანის გამოქვეყნებით, მიიჩნევდა ამას მსოფლიოს კულტურათა ურთიერთდაახლოების ფაქტად და ქართველი პოეტის შემოქმედების საკაცობრიო მნიშვნელობის კიდევ ერთ აღიარებად. ამიტომაც რუსთველის იუბილეზე იგი თავს რამდენადმე „თავისიანად“ თვლიდა<sup>34</sup>. მისი სიტყვით, „რუსთველი და მისი პოემა ნიმუშია იმისა, თუ რა უკვდავია პოეზია“. „შუა საუკუნეების უკუნის პირველი გამციკროვნების“ შოთა რუსთველის იუბილე, საერთო-სახალხო დღესასწაული „პოეტის ნაფიქრისა და ნააზრევის შესანიშნავი შეჯამებაა“. მისი დასკვნით, „რუსთველის ჰუმანიზმი აკეთილშობილებს როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ისე მთელ კაცობრიობას“; „რუსთველის უკვდავი ქმნილება გაამდიდრებს ყოველი ერის ლიტერატურას. ყოველი ადამიანი, რომელიც გაინცნობს და შეისწავლის ამ ნაწარმოებს, გამდიდრებულად იგრძნობს თავს“<sup>35</sup>.

რუსთველის ზემოხსენებულ საიუბილეო საღამოზე, რომელიც სანტ-იაგოში ჩატარდა, „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანის ნაწყვეტები წაიკითხა ინეს მორენომ. მაშინვე შესრულდა ჩილელი კომპოზიტორის პედრო ნუნეს ნავარეტეს მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე დაწერილი სიმფონიის ფრაგმენტები. მოსაწვევე ბარათზე დაბეჭდილი იყო ჩილელი მხატვრის ს. მონტესინის მიერ შესრულებული პორტრეტი რუსთველისა. მასვე დაუხატავს რუსთველის დიდი პორტრეტი, რომელიც ამშვენებდა საიუბილეო საღამოს სცენას. შემდეგში მხატვარმა და „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანის გამომცემელმა ა. მერაბაშვილმა პორტრეტი გადასცეს ლათინური ამერიკის მწერალთა პირვე-

<sup>34</sup> გამოთქვამა დაიბეჭდა რუმბოკით: „O витязе грузинского стиха“. იხ. „Заря Востока“, 25. IX. 1966, № 221 (12765).

<sup>35</sup> გამოთქვამი დაიბეჭდა რუმბოკით: „ჩვენი სტუმრები — რუსთველის ზემის მონაწილენი“. იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 21. X. 1966, № 43 (1524).

ლი კონგრესის მონაწილე ი. ნონეშვილი, რომელმაც, — „დრუჟბა ნაროდვის“ მთავარ რედაქტორთან, ს. ბარუზდინთან ერთად, — იგი ჩილეს მწერალთა ასოციაციის კლუბში დაჰკვიდა მსოფლიოს გამოჩენილი მწერლების პორტრეტთა გვერდით.

კომპოზიტორმა პ. ნავარეტემ რუსთველის იუბილეს შემდგომ ხანაში ინტენსიურად განაგრძო მუშაობა, დაასრულა სიმფონიური პოემა „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე და წარადგინა მუსიკალურ ფესტივალზე (1970 წ.). ყოფრიმ ლათინური ამერიკის კომპოზიტორთა მიერ უკანასკნელ წლებში დაწერილ ნაწარმოებთა შორის საუკეთესოდ მიიჩნია ჩილელი კომპოზიტორის აღნიშნული სიმფონიური პოემა. იგი, — როგორც გამარჯვებული და მოწონებული, — რომ დე ჟანერიოს მუნიციპალურ თეატრში შეასრულეს ა. ბოჩინოს ხელმძღვანელობით. როგორც ჩილეს ყურნალ „ვიახეში“ გამოქვეყნებული ინტერვიუდან ჩანს, პ. ნავარეტეს „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანის გაცნობისთანავე აღძვრია სურვილი პოემის მიხედვით მონუმენტური ნაწარმოების შექმნისა და თავისი სურვილის განსახორციელებლად გულმოდგინე მუშაობა ჩაუტარებია. რუსთველის თხზულების დიდი სიყვარულით დაწერილი მისი სიმფონიური პოემა, რომელიც სამი ნაწილისაგან („ავთანდილის წასვლა“, „ტარიელის ტირილი“, „მოტაცება, განთავისუფლება, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი“) შედგება, ჩილეს მუსიკალურ კულტურაზე „ვეფხისტყაოსნის“ ცხოველმყოფელი ზემოქმედების მაჩვენებელია<sup>36</sup>.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურმა თარგმანმა გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო საზოგადოებრიობის ყურადღება; რუსთველის გენიამ გზა გაიკვლია ჩილეს მწერლობის, მხატვრობისა და მუსიკისაკენ. საგულისხმოა, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ მიიპყრო არა მხოლოდ ცალკეული პირების, არამედ ჩილეს საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილის ყურადღება. ამას მოწმობს ის მაღალი შეფასება, რომელიც ჩილეს პრეზიდენტმა მისცა „ვეფხისტყაოსანს“ სსრკ უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მიღებისას, კერძოდ აკად. ილ. ვეკუასთან საუბარში<sup>37</sup>.

კუბა. კუბის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ლინგვისტიკის ინსტიტუტის დირექტორი ხოსე ანტონიო პორტუონდო 1966 წელს მეორედ ეწვია საქართველოს, ამჯერად რუსთველის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, რაც მან დიდ პატივად მიიჩნია და ჩამოსვლისთანავე ამაყად განაცხადა: „წინათ კუბელ ხალხს წარმოდგენა არ ჰქონდა ისეთ დიდ პოეტზე, როგორიც შოთა რუსთველია, ახლა რუსთველის სახელი ქუხს კუბაში. მის პოემას კითხულობენ და უყვართ“<sup>38</sup>. მან განმარტა კიდევ, თუ რად უყვართ რუსთველი და რად აფასებენ მის „ვეფხისტყაოსანს“: „ამ პოემაში თავმოყრილია მსოფლიოს გონიერება, ეს არის ადამიანის ნიჭის ნათელი გა-

<sup>36</sup> ი. ნონეშვილი, ჩილელი კომპოზიტორის სიმფონიური პოემა „ვეფხისტყაოსანი“, „კომუნისტი“, 7. II. 1971, № 32 (14940); რუსთველის გენიამ შთამაგონა, „სამშობლო“, 26. II. 1971, № 4 (260).

<sup>37</sup> ჩილის შთაბეჭდილებანი (საუბარი აკად. ილ. ვეკუასთან), „თბილისის უნივერსიტეტი“, 26. XI. 1966, № 35 (699). ჩილელთა შორის „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციას ხელს შეუწყობდა აგრეთვე გ. იმედაშვილისა და ა. მერაბაშვილის წერილები, რომლებიც პოემის ესპანურ თარგმანს უძღვოდა (გვ. 11—16). არაა ინტერესმკვლევარი ის ფაქტი, რომ ჩილეს პატარა ქალაქ მოიეში ერთ-ერთი ქუჩას რუსთველის სახელი ეწოდა.

<sup>38</sup> სტუმართმოყვარე საქართველოში, „თბილისი“, 26. IX. 1966, № 226 (4071).

მოსხივება. ბევრი რამაა საერთო „ვეფხისტყაოსანსა“ და ესპანურ ლიტერატურას შორის, ეს ლიტერატურა კი ამერიკის კონტინენტის მრავალი ერის მწერლობის დედაა<sup>39</sup>.

ბ. პორტუონდომ სწორად გაიაზრა, რომ მკვლევართათვის „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკა მრავალმხრივ საყურადღებო იყო; სპეციალისტები გაავლებნო პარალელებს „ვეფხისტყაოსანსა“ და ესპანური რომანსების მეტრიკას შორის, გამოიკვლევნო სიყვარულით აღსავსე სარაინდო თემის საერთო ძირებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლიტერატურაში და ა. შ. მაგრამ მას ასეთ საკითხებზე საგანგებო მსჯელობა არ დაუწყია. სიტყვაში, რომელიც ბ. პორტუონდომ წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნაურებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესიაზე 1966 წლის 28 სექტემბერს, მეცნიერმა აღნიშნა, რომ „საქართველოს უდიდესი ეროვნული პოეტი მაშინ იცავდა ჰუმანიზმის იდეებს, როდესაც დანარჩენ სამყაროში რენესანსის მხოლოდ ციალი იგრძნობოდა“; მან „დააფუძნა სიყვარული და მეგობრობა და გაუსწრო თავის ეპოქას“. შორეული კუბის წარმომადგენელმა განსაკუთრებით მოიწონა „ვეფხისტყაოსნის“ ბრძოლის მგზნებარე პათოსი და სამართლიანობისათვის მეომარი ტარიელი და მისი თანამოსაგრენი კუბელთა სულიერ მოკავშირეებად მიიჩნია. თავისი საგმირო იდეალებით ისინი მხნეობას გვმატებენ იმპერიალისტური ურჩხულის წინააღმდეგ ბრძოლაში<sup>40</sup>.

**კანადა.** რუსთველის საიუბილეო დღესასწაულზე ჩამოსულ სტუმართა შორის იყო კანადელი ჯო უოლესი, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა მწერალთა ბორჯომის საერთაშორისო ფორუმზე<sup>41</sup>. ჰუმანიზმისა და ხალხთა ძმობა-მეგობრობის მქადაგებელი პოემით აღფრთოვანებულმა პოეტმა პატარა ლექსი<sup>42</sup> უძღვნა რუსთველს<sup>43</sup>.

მეორე კანადელმა მონიკა უაიტმა ტორონტოში გამოაქვეყნა რუსთველის სიყვარულით გამოთბარი წერილი („იგი უმღეროდა ადამიანის სიდიადეს“), რომლითაც თავის თანამემამულეებს აუწყა, რომ შავბნელ ეპოქაში, — ომის, სისხლის ღვრის, ღალატის, ნგრევის ეპოქაში, როდესაც ცოდნა და აზროვნება ადამიანს საფრთხეს უქადდა, — ევროპის განაპირას, ქრისტიანულ საქართველოში შეინიშნებოდა სულიერი აღმავლობა, იფურჩქნებოდა ხელოვნება, ფილოსოფია, მხატვრობა. სიტყვაკაზმულმა მწერლობამ „თავის უმაღლეს მწვერვალს მიადწია და ამ მწვერვალს გვირგვინივით ადგა შოთა რუსთველის უკვდავი გენია“<sup>44</sup>. მისი შესანიშნავი თხზულება მხოლოდ ქართველ ხალხს არ ეკუთვნის, იგი მთელი მსოფლიოს კუთვნილებს. მ. უაიტის დაკვირვებით, ინგლისურ პროზაულ თარგმანს არა აქვს დედნისეული სილამაზე და მუსიკალობა; ინგლისურ-

<sup>39</sup> გამონათქვამი დაიბეჭდა რუბრიკით: „ჩვენი სტუმრები — რუსთველის ზემის მონაწილენი“. იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 21. X. 1966. № 43 (1524).

<sup>40</sup> „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 210—211.

<sup>41</sup> „Иностранная литература“, 1967, № 2, გვ. 220—221; „მნაობი“, 1967, № 3, გვ. 118—120.

<sup>42</sup> „Правда“, 25. IX. 1966, № 268 (17585).

<sup>43</sup> ახლანან კანადელებმა გაიცნეს „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური პოეტური თარგმანი ვ. ურუშაძისა და მას მაღალი შეფასება მისცეს (ნ. ყიასაშვილი, რუსთველი შექსპირის კონგრესზე, „ლიტერატურული საქართველო“, 12. V. 1972, № 19 (1812)).

<sup>44</sup> M. Whyte. He sang of the greatness of man. „Canadian tribune“, 24. X. 1966, № 1518. ქართული თარგმანი გამოქვეყნდა რუბრიკით: „მსოფლიო სარბიელზე“. იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 17. II. 1967, № 8 (1541).



ენოვან მკითხველს არა აქვს შესაძლებლობა სრულიად დატკბეს რუსთველის შემოქმედებითი აზრის ძალმოსილებითა და მხატვრული ელვარებით.

**ვენესუელა.** ლათინური ამერიკის ამ პატარა ქვეყნის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრებიდან რუსთველთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი ფაქტია ცნობილი: ვენესუელელმა მწერალმა კარლოს აუგუსტო ლეონმა თავისი სამიჯნურო ლექსების კრებულს, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, ეპიგრაფად წაუშეძვარა რუსთველის სიტყვები („... მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს...“)<sup>45</sup>. საგულისხმოა, რომ რუსთველის ტაეპი დამოწმებულია არა გ. დე ლა ტორე ბოტაროს პროზაული თარგმანით, არამედ ახლად შესრულებული პოეტური თარგმანით. თავისთავად ის ფაქტი, რომ რუსთველის მორალურ-ეთიკურმა მოძღვრებამ შთააგონა ვენესუელელი კ. ლეონი, ერთხელ კიდევ ამოწმებს ქართველი პოეტის სიღიადეს და მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას<sup>46</sup>.

ასეთია მოკლედ ამერიკის კონტინენტიდან მოღწეული ფრაგმენტული ცნობები რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“<sup>47</sup>. მკითხველი შენიშნავდა, რომ ამერიკის ბევრი ქვეყნის შესახებ არაფერი გვითქვამს, რადგან ხელთ არავითარი მასალა არ მოგვეპოვება. არც დასახელებული ქვეყნების (აშშ, ჩილე, კუბა, კანადა, ვენესუელა) მოღვაწეთა რუსთველოლოგიურ ნააზრევს ვიცნობთ სრულად. ჩვენ მხოლოდ ის მასალა განვიხილეთ, რომელიც ხელთ გვაქვს. რა შეიძლება ითქვას ამ მასალაზე დასკვნის სახით? უცილობელია, რომ ამერიკის საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა გაიცნო „ვეფხისტყაოსანი“ და აღიარა რუსთველის გენიალობა; ბევრმა მწერალმა თუ მეცნიერმა გამოაქვეყნა საინტერესო წერილები, რომლებშიც განიხილა საყურადღებო საკითხები. მართალია, რუსთველის მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლის დონე ჯერ არაა მაღალი, რუსთველოლოგიური პრობლემათიკის ძირეული საკითხების განხილვა ყოველთვის ვერაა დამაკმაყოფილებელი, „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-შემეცნებითი ღირსება ყველა ავტორს არ ესმის სათანადოდ, რუსთველის ბიოგრაფიული საკითხების მიმოხილვისას არცთუ იშვიათად გვხვდება შეცდომები და ა. შ., მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარია ის ინტერესი, რომელსაც ამერიკის საზოგადოებრიობა იჩენს „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ, და ის სიყვარული, რომლითაც აღსავსეა რუსთველისადმი მიძღვნილი წერილები. ესაა საწინდარი იმისა, რომ მომავალში გაძლიერდება „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა და რუსთველი კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრდება ამერიკის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ასპარეზზე.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ალ. ბარამიძემ)

<sup>45</sup> C. A. Leon, Siempre Amor, Caracas, 1970, გვ. 9.

<sup>46</sup> ვ. მაჭავარიანი, რუსთველი და ვენესუელის პოეზია, „ლიტერატურული საქართველი“, 25. VI. 1971, № 26 (1767).

<sup>47</sup> წერილში გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტის მასალები, რომლის ნაწილი კაბინეტს გადასცეს მ. მამულაშვილმა, ვ. მაჭავარიანმა, მ. მესხმა, ლ. ფლურმა (ციურხი), ნ. ყიასაშვილმა, თარგმნეს — ი. დავითაშვილმა, მ. გვიგინიშვილმა, ნ. საყვარელიძემ, ჯ. ქირიაძე.

## მაია მამაცაშვილი

გალობა შვილთა მნათობთათვის ნიჟამის „ლეილი და  
მაჯნუნსა“ და „ვეფხისტყაოსანში“

ციურ სხეულთა გრანდიოზული სისტემის შექმნისას ქალღვევლები ასტროლოგიურ მოძღვრებაში იმ აზრს ატარებდნენ, რომ ობიექტური სამყარო ზეშთა სამყაროს შეკუმშული ფორმაა და თავის წილში ყველა იმ ფარულ ძალას შეიცავს, რასაც ჰფლობენ ცათა სფეროები. ეს იდეა განვითარებული ჰერმეტიზმში, ზოპარსა და კაბალაში<sup>1</sup>. გზა ზევით და გზა ქვევით ერთია ჰერაკლიდე პონტოელისა და ნეოპლატონიკოს პროკლეს აზრითაც<sup>2</sup>. აქედან კი გამოდის, რომ მთელი მსოფლიო პროცესი არის ასტრალის გამატერიალება და შემდგომ მისი მატერიიდან გამონთავისუფლება<sup>3</sup>. ასე რომ, სულიერ და მატერიალურ სამყაროთა შორის მუდმივი გაცვლა-გამოცვლაა. ანალოგია მაკროკოსმოსსა და მიკროკოსმოსს შორის 7 საწყისით ვლინდება: „Семь сфер, соединенных с семью планетами, символизируют семь жизненных начал, семь различных состояний материи и духа, семь миров солнечной системы, семь Девов Индии, семь аманшаспатов Персии, семь Великих ангелов Халдеи, семь сефиротов Каббалы, семь Архангелов христианского Апокалипсиса. И всеобщая семеричность нашей вселенной выражается не только в семи нотах гаммы, она проявляется также и в строении человека, который трончен по существу, но семеричен по своей эволюции“<sup>4</sup>.

7-მა სასიცოცხლო პრინციპმა თავისი გამონატულება ჰოვა მზის სისტემის 7 პლანეტაში. ბუნებრივია, რომ ასტროლოგიისათვის მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, თუ რამდენი ახალი მნათობი აღმოჩნდება მომავალში ციურ სამყაროში (ყველა ისინი ცის გამის შემდეგი ოქტავეები იქნებიან), რადგან თითოეული პლანეტა ახორციელებს ამ 7 პრინციპის შემოქმედ ძალას, ასრულებს მანეტური შუამავლის როლს, რომლითაც ეს პრინციპი ავლენს თავს ობიექტურ სამყაროში<sup>5</sup>.

ამ მოძღვრების მიხედვით ადამიანი მთლიანად დამოკიდებულია მნათობებზე, შეიცავს 7 მინერალურ ხარისხს თავის ფიზიკურ სხეულში და 7 მანეტურ რეაქციას სულის ოდილიურ სფეროში. ამიტომ დაემორჩილა ყველაფერი 7 რიცხვს და ამიტომ დამკვიდრდა ყველგან რიცხვი 7-ის საკრალური მნიშვნელობა.

<sup>1</sup> Д. Странден, Семь начал человека, 1908, сс. 37.

<sup>2</sup> А. Ф. Лосев, Античный космос и современная наука, М., 1927, сс. 229.

<sup>3</sup> Д. Странден, Герметизм, СПб. 1914, сс. 34.

<sup>4</sup> Э. Д. Шюрэ, Великие посвященные, Калуга, 1914, сс. 123.

<sup>5</sup> Запругаев, Астрология в наши дни, Вязьма, 1904, сс. 34.

ამ სახით ბაბილონური ასტროლოგია, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა საკრალურ ასტრონომიას და ამავე დროს საესეებით ჩამოყალიბებულ თეოლოგიურ დოქტრინასაც.

ეგვიპტური და ქალდეური ცივილიზაციის პირისპირ მდგარ ელინებს ესმოდათ, რომ ეს ხალხები მათ აუწყებდა უძველეს სიბრძნეს<sup>6</sup>. აღმოსავლეთში მათ დახვდათ: ასტროლოგია, როგორც უკვე ჩამოყალიბებული დოქტრინა — ვარსკვლავური ცა მათთვის ღვთიური არსის გამოხატულება იყო; დუალისტური მოძღვრება ბოროტისა და კეთილის შესახებ დამუშავებული ზოროასტრიზმში და ეგვიპტური მოძღვრება სამების შესახებ. ჩვენ შევჩერდებით პირველ მათგანზე.

ქალდეური ასტროლოგია არისტოკრატიული იყო თავისი ხასიათით და ამიტომ მნათობთა წინასწარმეტყველებაც მხოლოდ რჩეულთ ეუწყებოდათ. ძირითადად ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ნამდვილი ზოროასტრები არც კი გვხვდება ბაბილონში. ბუშე ლეკლერკის აზრით, მხოლოდ საბერძნეთში გახდა ასტროლოგია ქეშმარიტად დემოკრატიული, რადგან მხოლოდ იქ იქცა იგი საყოველთაო-სახალხო მოძღვრებად<sup>7</sup>. ასტროლოგიის გაინდივიდუალებამ, ასტრონომიის, როგორც თეორიული მეცნიერების, განვითარება გამოიწვია.

ბერძნულ ასტრონომიას საფუძველი ჩვენი ერის II საუკუნეში ეყრება. ალექსანდრიელი მეცნიერი კლავდიოს პტოლემიოსი აქლევს დასაბამს თეორიულ ასტრონომიას. ამ ახალი სისტემის თანახმად სამყაროს ცენტრში დგას უძრავი დედამიწა და მის გარშემო მოძრაობენ პლანეტები, რომლებიც დედამიწისაგან სიშორე-სიხლოვის მიხედვით განლაგებული არიან შემდეგი რიგით: მთვარე, ვენერა, მზე, მარსი, იუპიტერი და სატურნი. ეს სისტემა ელვის სისწრაფით შეიჭრა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის მეცნიერებაში და თან ბერძნული ასტრონომიული ტერმინოლოგიაც წაიტანა. ბერძნული მეცნიერების პირველი იმპულსი იყო ინდოეთში; შემდეგ იგი გადავიდა არაბეთში. ხუზისტანელი ქრისტიანები (ნესტორიანელები) იწყებენ ბერძენ ავტორების თარგმნას არაბულ ენაზე; აქვე ქადაგებენ საბეელები თავის ჰელიოცენტრულ მოძღვრებას. ჩნდება პტოლემიოსის „მათემატიკური სინტაქსის“ არაბული რედაქცია (მსოფლიოში „ალმაგესტის“ სახელით ცნობილი), რომელსაც თანამედროვეთათვის გასაგები ენითა და მისაწვდომი ფორმით აყალიბებს მე-10 საუკუნის არაბი ავტორი ალ-ბუხჯანი<sup>8</sup>.

ასტრონომია ვითარდება, როგორც თეორიული მეცნიერება, მაგრამ მისი თავდაპირველი არსი მინც ასტროლოგიური შინაარსია. მომავლის წინასწარმეტყველების იმედი და სურვილი მისი განვითარების ძირითად სტიმულად იქცევა<sup>9</sup>. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა მხოლოდ. ძირითადია ასტროლოგიის მნიშვნელობა თეოლოგიისათვის: ასტროლოგიისათვის რომ სამყარო ერთი მთლიანი ორგანიზმია და უხილავ კავშირს მის ნაწილებს შორის მსოფლიო სიმ-

<sup>6</sup> A. Bouche-Leclercq, Histoire de la Divination dans l'Antiquité—I, Paris, 1879, გვ. 211.

<sup>7</sup> Буше-Леклерк, Философия, Христианство, фатализм и ведовство, Киев, 1889, გვ. 205.

<sup>8</sup> J. L. E. Dreyer, A History of Astronomy from Thales to Kepler, New-York, 1953, გვ. 1.

<sup>9</sup> Ф. Ф. Паннекук, Астрология и ее влияние на развитие астрономии, „Мировздание“, 1939, № 1, გვ. 9—10.



პათია გამოხატავს; დებულება, რომ სფეროთა ცენტრში იმყოფება მზე და ძირითად მამოძრავებელს წარმოადგენს, — საფუძვლად დაედო მეცნიერულ თეოლოგიას (სხვათა შორის, ამ მოძღვრებაშია მოცემული წინათგრძობის სახით ჰელიოცენტრული სისტემა და ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი)<sup>10</sup>.

დებულება, რომ მზე არის მსოფლიოს გული, სტოელი ფილოსოფოსის პოსიდონიუსის ამოსავალი გახდა. მზე მისთვის მსოფლიო ჰარმონიის წყაროა, ზეციური ძლევამოსილების სიმბოლო და უფალი ოთხთა ელემენტთა. სტოელთა ფილოსოფიამ მიიღო ასტროლოგია და წინ წამოსწია მსოფლიო სიმპათიის დოგმა, რომელიც მაგიის, ასტროლოგიისა და ჩვენი დროის ოკულტიზმისა და ტელეპათიის წყაროა<sup>11</sup>.

ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა იცოდნენ, რომ დედამიწა სფეროს წარმოადგენს და რომ იგი უზარმაზარ სივრცეში მოძრაობს. ეს იცოდა პითაგორემ, პლატონმა, ფილოლოსმა. არისტარხე სამოსელმა მწყობრი ასტრონომიული თვალსაზრისიცი კი განავითარა ჰელიოცენტრიზმის შესახებ. პოსიდონიუსის მისი თვალსაზრისი იმდენად უზადოდ ეჩვენა, რომ განაცხადა: ასტროლოგიასთან გასაყოფი მას არაფერი აქვს<sup>12</sup>.

მაგრამ გეოცენტრული თვალსაზრისით განვიხილავთ ცას თუ ჰელიოცენტრული თვალსაზრისით, არანაირად არ იცვლება პლანეტათა ურთიერთდამოკიდებულება და მათი გავლენა დედამიწაზე<sup>13</sup>. ამიტომ კოპერნიკის მიერ ჰელიოცენტრული სისტემის ხელშეწყობა აღმოჩენა ვერ შეაჩვენა ასტროლოგიის პოზიციებს. ფაქტიურად ასეც მოხდა<sup>14</sup>.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ასტროლოგია შეიჭრა სტოელთა ფილოსოფიაში. ამგვარად, რელიგიურ-თეოლოგიური კატეგორიიდან იგი იქცა ფილოსოფიურ კატეგორიად. შემდეგში ასტროლოგია მიიღო ნეოპლატონიზმმა. პლოტინი ამბობდა, რომ ვარსკვლავთა მოძრაობა გვამცნობს თითოეულის ბედს, მაგრამ არა ქმნის მას. ამ თეოლოგიური ფორმით ასტროლოგიას შეეძლო შეგუებოდა ნებისმიერ რელიგიას<sup>15</sup>.

ქრისტიანობაში შესაღწევად ასტროლოგია უთუოდ კომპრომისზე უნდა წასულიყო. მას ხელი უნდა აეღო ინიციატივაზე და გენიტურით დაკმაყოფილებულიყო. ეს კი არ აწყობდა ასტროლოგიას. ბოლოს მან გამონახა გზა და მოერგო ბიბლიას. იოანე სკოტ ერიუგენა გაიმეორებს პლოტინის აზრს, რომ ბრბოს ზუსტად არ ესმის ციური ანბანის აზრი და ამით გადაარჩენს ასტროლოგიას<sup>16</sup>. ასე მორიგდა ქრისტიანობის ერთ ფრთაში ასტროლოგია და ქრისტიანობა. ლათინური ეკლესია ნეტარი ავგუსტინეს თაოსნობით ცეცხლათა და მახვილით ებრძვის ასტროლოგიას, როგორც ფატალურ დოქტრინას. ბედის წინასწარ-

<sup>10</sup> ფ. კიუ მონი, თეოლოგია მზისა რომაულ წარმართობაში, ვსარგებლობთ „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველებით“, გვ. 213.

<sup>11</sup> ფ. ფ. Зелинский, Религия еллинизма, II, СПб., 1922, გვ. 116.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> С. Тухолка, Оккультизм и Магия, Пг., 1917, გვ. 147.

<sup>14</sup> Г. А. Гурев, История одного заблуждения, Л., 1970, გვ. 121.

<sup>15</sup> ფ. ფ. Зелинский, Религия еллинизма, II, СПб., 1922, გვ. 116.

<sup>16</sup> ფ. ფ. Зелинский, Умершая наука, „Вестник Европы“, V—VI, СПб., 1901,

მეტყველება, მისი აზრით, ეშმაკისელი მოვლენა იყო<sup>17</sup>. 399 წელს დასავლეთის ეკლესიამ შეაჩვენა ერიუგენა და ერეტეოსად გამოაცხადა იგი. მას მიჰბაძა აღმოსავლეთის ეკლესიამაც. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ასტროლოგიის შემდგომი გავრცელებისათვის. მალე იგი გაბატონდა ბიზანტიაში და აქედან გავრცელდა არაბეთში. ასე შეაღწია ასტროლოგიამ ისლამში<sup>18</sup>.

არაბები და მათი რელიგია ისლამი თავდაპირველად სრულიად თავისუფალი იყო მისტიციზმისაგან. თავისუფალი ბედუინი, არაბი, ბუნებით არარელიგიურია; ის ნამდვილი პრაქტიკოსია, აქვს სუსტი ფანტაზია და ამიტომ ვერ აღიქვამს რელიგიის საიდუმლო საკითხებს, რომლებიც წარმოსახვაზე უფრო მოქმედებს, ვიდრე ინტელექტზე. სწრაფვა უსასრულისაკენ, მისი შეცნობის სურვილი სრულიად გაუგებარია არაბისათვის. რენანის თქმით: „Их ясное и простое понимание Бога, отдаленного от мира, не рождающего и не бывшего рожденным, не имеющего себе подобных, не допускало тех великих вымыслов, тех божественных поэм, в которых Персия, Индия, Греция развивала свою фантазию. Мифология, изображающая религиозный пантеизм, возникла только в воображении народа, у которого не точно определены границы Бога, человечества и природы“<sup>19</sup>.

ცხადია, მისტიური მოძღვრებები და თვით ასტროლოგია (როგორც მათი ნაწილი) თავისით ვერ გაჩნდებოდა ისლამში გარედან შეღწევის გარეშე. და, მართლაც, ისლამში მისტიური მოძღვრებები სპარსელებმა შეიტანეს<sup>20</sup>. სპარსულმა აზროვნებამ შეაგუა ერთმანეთს ბერძნული ფილოსოფია და აღმოსავლური მსოფლშეგარქნება. ისლამში იგი გამოიხატა სირიული (ნეოპლატონური) სუფიზმით, რომელსაც ლიტერატურაში ხშირად ხორასნულს უწოდებენ. 529 წელს, როდესაც იმპერატორმა იუსტინიანემ აღკვეთა ნეოპლატონიზმი, როგორც მოძღვრება, იგი არსებობას აგრძელებს სირიაში და ცოცხლობს იქ ისლამის გამოჩენამდე. აქ აღმოჩნდა ძლიერი ქრისტიანობის გნოსტიკური ტალღა, რომელიც ქრისტიანულ ტენდენციებს და სტოიციზმს აგუებდა პლატონთან, პითაგორელებთან, ზოროასტრიზმთან და მანიქეველობასთან. XI საუკუნეში საბოლოო სახით ჩამოყალიბებული სუფიზმი გამსჭვალულია არეოპაგული მისტიკით. ამ მოძღვრების ათვისებაში სპარსელებს შუამავლად სწორედ სირიული ქრისტიანობა მოეწვინა. მიუხედავად ამისა, სუფიზმი თავისი ხასიათით მაინც აღმოსავლური მოვლენაა (მოსული ინდოეთიდან) და ნეოპლატონიზმმა იგი მხოლოდ გაამყარა, შეამავრა როგორც მოძღვრება<sup>21</sup>. ნეოპლატონიზმმა შეაზავა ბერძნული და აღმოსავლური ფილოსოფია, რის შედეგადაც მივიღეთ იბნ-სინას (ავიცენას), ხაიამის და იბნ-როშდის (ავეროესის) ფილოსოფიური მოძღვრებები.

აღმოსავლეთის დიდი მოაზროვნის იბნ-სინას მეტაფიზიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ნეოპლატონურ ემანაციას, შერწყმულს ცათა სფეროებზე პტოლემიოსის მოძღვრებასთან: „Бог в этой чисто дуалистической системе

<sup>17</sup> Буше-Леклерк, ук. соч., гл. 83—84.

<sup>18</sup> А. Е. Крымский, История мусульманства, М., 1903, гл. II.

<sup>19</sup> Э. Ренан, Исторические и религиозные этюды, СПб., 1894, гл. 220.

<sup>20</sup> А. Е. Крымский, Очерк развития суфизма, „Древности восточные“, II, М., 1896, гл. 46.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 52.

существует, но он фигурирует здесь в виде абстрактной „первой причины“ или „первого двигателя“. Бог арабских перипатетиков абстрактен и безличен, мир происходит от него не по его воле, но в силу необходимости его природы и к тому же творческие возможности этого „первого двигателя“ крайне ограничены, т. к. непосредственно от него исходит лишь первый разум, от которого затем в нисходящем порядке излучается целая цепь разумов, соединенных с телами небесных сфер и их душами<sup>22</sup>.

ღმერთი ხაიამთანაც აბსტრაქტული პირველმიზეზია ყოველი არსებულისა. მისგან გამოდის გონება, ხოლო გონება თავის მხრივ არის მიზეზი სულისა, სული ცისა, ცა მატერიისა და ა. შ. ტრაქტატში „არსებობის ყოვლადობის შესახებ“ ომარ ხაიამი გვამცნობს თავის კონცეფციას სამყაროს არსის შესახებ. აბსოლუტური ამ კონცეფციით ორ სახეობად იყოფა: გონება და სული. თითოეულ მათგანს აქვს 10 სფერო ანუ 10 საფეხური: შემოქმედი გონება (მიზეზი ყოველი არსებულისა), ცის უფალი, უფალი ცათა ცისა, სატურნის, იუპიტერის, მარსის, მზის, ვენერას, მერკურის და მთვარის ცის უფალი. თითოეული გონება და სული უფალ არიან ცისა და ამოძრავებენ თავ-თავიანთ ცას. სულს მოძრაობაში მოჰყავს ისინი ქმედებით, საქმიანობით, ხოლო გონებას სიყვარულით. ამიტომ გონება უფრო მაღლა დგას, ვიდრე სული და ამის გამო უფრო ახლოცაა არსთან. ცანი და მნათობები არ წარმოიქმნებიან და არც ქრებიან. ისინი მუდმივად არსებობენ<sup>23</sup>. ამავე ტრაქტატში ჩანს ხაიამის დამოკიდებულება ღვთის შეცნობის შესაძლებლობისადმი, რომელიც მას დიონისე არეოპაგელის მისტიციზმთან ანათესავებს<sup>24</sup>.

რა განსხვავება და რა გენეტური კავშირი არ უნდა არსებობდეს ხაიამის, ლი მამოძრავებელი არის მსოფლიოს გული (შდრ. პოსიდონიუსის მზე), რადგანაც აქედან ვრცელდება სიცოცხლე სხვა ორგანოებში. თითოეულ წრეს აქვს თავისი გონება, როგორც მისი საკუთარი ფორმა. გონთა ეს წრე იერარქიის პრინციპით ემორჩილება ერთმანეთს და წარმოქმნის მამოძრავებელთა ჯაჭვს ზემოდან ქვემოთ. მოძრაობის გამომწვევი მიზეზია სურვილი (არეოპაგელ მოძღვრებაში — სიყვარული). სურვილი ვლინდება უკეთესისაკენ სწრაფვაში. თვით მოძრაობა სხვა არაფერია თუ არა სწრაფვა უკეთესისაკენ. თითოეული სფეროს გონება შეიცნობს თავის თავს და იცის რა ხდება ქვედა სფეროებში<sup>25</sup>. ავეროესისათვის უკვდავია მხოლოდ გონება. შეცნობა ერთის, განზავება მასში მხოლოდ მეცნიერების საშუალებით არის შესაძლებელი (აქა მისი რაციონალისტური მისტიციზმი).

რა განსხვავება და რა გენეტური კავშირი არ უნდა არსებობდეს ხაიამის, ავეიცენას და ავეროესის მოძღვრებათა შორის ერთი მხრივ, ხოლო ნეოპლატონურ სწავლებასა და არეოპაგელ მისტიციზმს შორის მეორე მხრივ, იმის მიუხედავად, თუ რას უწოდებენ ისინი ღმერთს: უკვდავ გონებას, სულს თუ სხვა რაიმეს, ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ყველა შემთხვევაში ცის იერარქია ერთ-

<sup>22</sup> Н. Я. Борисов, Авиценна как медик и философ, Известия АН СССР, М., 1938, зб. 1—2; S. H. Nasr, Science and civilization in Islam, Cambridge, 1968, зб. 298.

<sup>23</sup> Омар Хайам, Трактаты, 1961, зб. 180—181.

<sup>24</sup> იქვე, зб. 185—186.

<sup>25</sup> Э. Ренан, Аверроэс и Аверроизм, Собр. соч., т. VIII, Киев, 1902, зб. 76—77.  
5. მაენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 3



თია: თავში ზის ერთი ღმერთი, უხილავი, დაუბადებელი, პირველ-მამოძრავებელი და მას მორჩილებენ „ციერნი“, მნათობნი. ესაა წინასწარი მოდელი, თუ როგორ უნდა მოაზრებულყო ასტროლოგია მონოთეისტურ ისლამში: მნათობები ამცნობენ ადამიანს ბედს, წარმართავენ მის მიწიერ და ზეციურ ცხოვრებას, მაგრამ ისინი ემორჩილებიან ღვთიურ ნებას, მისი მსახურნი არიან.

ასეთია ის ფილოსოფიური წანამძღვარი, რომელზეც აშენდა ნიზამი განჯელის მსოფლშეგრძნება. ასტროლოგიური მოძღვრების ნიშნებს ვხვდებით ნიზამის თითქმის ყველა პოემაში, მაგრამ „ლეილი და მაჯნუნი“ იმიტაა სხვათაგან გამოსარჩევი, რომ პოეტი აქ ერთიანი სისტემის სახით აყალიბებს თავის ცოდნას სამყაროს შესახებ. თეორიულ ასტრონომიას იგი წარმოგვიდგენს როგორც მეცნიერებას და ასტროლოგიას — როგორც თეოლოგიურ კონცეფციას. პოემაში მთელი თავი ეძღვნება ვარსკვლავიანი ღამის აღწერას, რომელიც პოეტის უშუალო დაკვირვების შთაბეჭდილებას ტოვებს. მოგვაქვს ამ თავის სპარსული ტექსტი<sup>26</sup> ქართული თარგმანითურთ (ვითვალისწინებთ აგრეთვე ვაჰიდ ღვთაგერდის მიერ გამოცემული ტექსტის კომენტარებს)<sup>27</sup>.

رخشنده شی جهوروز روشن  
زو تازه فلک چوسبز گلشن

ბრწყინავდა ღამე, როგორც ღღე ნათელი,  
ჰყვავდა ცა, როგორც ახალაფეთქებული ყვავილნარი.

از مرسلهای زر حمایل

ელიპსით მოძრავ პლანეტების ყელსაბამისგან

زرین شده چرخ را شمایل

ოქროსფრად აენტო ცის სახე.

سیاره بدست بند خوبی

პლანეტები ღამაზე სამაჯურებად

برنطع افق بیای کوبی

როკავდნენ მოქარგულ ნატზე<sup>28</sup>.

بردیو شهاب حر به رانده

ღვე მეტეორს ცეცხლოვანი ხელშუბი  
სტყორცნა (ანგელოზმა), ჰოა, საშინელება!<sup>29</sup>.

لا حول ولا زودر خوانده

მუშკის ბუმტისაგან გაამბრიანდა ღამის  
ჰაერი,

از ناهه شب هوا معنبر

მთვარის მარგალიტისაგან განათდა ღე-  
დამიწა.

وز گوهرمه زمین منور

ამ მარგალიტისა და მუშკის ბუმტის  
მბრუნავე 6 თაღისაგან

زان گوهر و ناهه چرخ شش طاق

სუნნელით და მორთულობით აივსო სამ-  
ყარო.

پرزبور و عطر کرده آفاق

ერთი ცა დგას მეორე ცაზე, ისინი გა-  
მაგრებულნი,

کرده فلک از فلک سواری

<sup>26</sup> Низами Гянджеви, Лейли и Маджнун, М., გვ. 1965, 331—33.

<sup>27</sup> نظامی، نامه لیلی و مجنون، یادگار وارمغان وحید دستگردی، طهران، ۱۳۱۳—۱۳۱۸

<sup>28</sup> იგულისხმება ვარსკვლავებით მოჭედილი ცა.

<sup>29</sup> მუსლიმანური ვადმოცემების მიხედვით ღემონები ხშირად ცდილობენ ცის სფეროებში შეჭრას და მაშინ ანგელოზები, რომლებიც მათგან იცავენ ცას, ცეცხლოვან ისრებს სტყორცნიან მათ. ესენია მეტეორები (კომეტები).

رویین دز قطب را حصاری  
 فرقد بیزک جنبیه رائده  
 کشتی بجناح شطرسانده  
 صد گونه ستاره شب آهنگ  
 بنمود سپهر در یک اورنگ  
 پروین زحریر ز دوازرق  
 برسنج زر کشیده بیرق  
 مه کرد پرند زر کشیده  
 پیرایه از قصب تنیده  
 انجم صفت دگر گرفته  
 زبندگی از سپهر گرفته  
 گفتی ز کمان گروه شاه  
 یک مہرہ فتاد بر سر ماه  
 یا شکل عطارد از کمانش  
 تیرست که زد آسمانش  
 زهره که ستام زین او بود  
 خوش خو جو خوبی جبین او بود  
 خورشید چو تیغ او جہانسوز  
 پوشیده شب برهنه در روز  
 مریخ بکینه گرم تعجیل  
 تاجش عدوش را کشد میل  
 برجیس بمہراو نگین داشت

როგორც ციხის კედლები, ხურავენ პო-  
 ლუსს<sup>30</sup>.  
 ფარკადი<sup>31</sup> შეუჩერებლივ წარმართავს  
 ვარსკვლავთ მოძრაობას,  
 იმ გემივით, რომელიც მიაღდა მდინარის  
 ნაპირს<sup>32</sup>.  
 ღამის ვარსკვლავები ნაირნაირი ფორმით  
 განლაგდნენ თავ-თავიანთ ტანტზე<sup>33</sup>.  
 პლუადებმა<sup>34</sup> ცისფერ-ყვითელ აბრეშუმის  
 დროშაზე  
 ოქროსფერი ქინძისთავეები დაარქვეს.  
 მთვარე შეიმოსა აბრეშუმის ზარქაშით,  
 მოირთო ტანი ყასაბით.  
 ვარსკვლავებმა მიიღეს სხვა მდებარეობა,  
 თავისი მოსართავეები ცისაგან აიღეს.  
 იტყოდი, შაჰმა კაპარქიდან კენჭი ესრო-  
 ლა მთვარესო,  
 მთვარის ზედაპირი დაიფარა ლაქებით<sup>35</sup>.  
 ანდა ოტარიდმა თავის მშვილდისრიდან  
 ისარი სტყორცნა ცას<sup>36</sup>.  
 ზუპრა შაჰის უნაგირის მორთულობას  
 ჰგავდა,  
 კეთილი და ნათელი, როგორც მისი შუბ-  
 ლი.  
 მზე, როგორც მახვილი მთელი ქვეყნის  
 ცეცხლით აღმსობისა  
 ღამე შემოსილია და დღე—შიშველი.  
 მარინი ფიცხელი რისხვით იჩქარის,  
 რომ დააბრმავოს მტრის თვალი.  
 ბორჯის<sup>37</sup> შაჰის სიყვარულითაა ბეჭედდას-  
 მული,

<sup>30</sup> იგულისხმება ცის იერარქია: ერთმანეთზე მდგარი ცათა სფეროები ბოლოს ებჭინებთან უკიდურეს წერტილს და ასე ხურავენ პოლუსს.

<sup>31</sup> ჩრდილო პოლუსის ახლომდებარე მცირე დათვის თანავარსკვლავედის ორმაგ ვარსკვლავთაგან ერთ-ერთის სახელია. იგი წარმართავს ამ თანავარსკვლავედის მოძრაობას.

<sup>32</sup> გემში იგულისხმება Argo navis. ძველი სახელწოდება სამხრეთის ცის თანავარსკვლავედისა, რომლის მოძრაობასაც ადარებს ნიზამი ფარკადის მეთაურობით ვარსკვლავთა მსვლელობას ცაზე.

<sup>33</sup> იგულისხმება მნათობთა და ვარსკვლავთა სახლები.

<sup>34</sup> იგულისხმება ჭგუფი ვარსკვლავთა, რომელიც 6 ხილული ვარსკვლავისაგან შედგება.

<sup>35</sup> მოცემულია ცდა მთვარეზე არსებული ლაქების პოეტურად ახსნისა.

<sup>36</sup> ლაპარაკია ოტარიდის ირგვლივ არსებულ ისარზე. ამის გამო სპარსულად ოტარიდს თირს უწოდებენ.

<sup>37</sup> მუშთარი ანუ იუპიტერი.

کاقبل جهان در آستین داشت

کیوان مسنی علاقه‌انگیز

تا آهن تیغ او کند تیز

شاهی که چنین بود جلالش

آفاق مباد بی جمالش

در خدمت این خدیو نامی

ما اعظم شانک‌ای نظامی

از شکل بروج واز منازل

افتاده سپهر در زلازل

عکس حمل‌از هلال خنده

بر جیب فلک زهی فکنده

گاო فلکی چو گاο دریا

گوهر بگلو در از ثريا

جوزا كمر دورويه بسته

بر تخت دو پيكری نشسته

هقعه چو كواعب قصب پوش

با هنعه نشسته گوش در گوش

خرچنگ بچنگل ذراعی

اندخته ناخن سباعی

نثره به نثار گوهر افشان

طرفه ز طرف دگر زرافشان

რომელსაც ქვეყნის ბედნიერება უპყრია ხელთ.

ქეივანი<sup>38</sup> შაჰისადმი დიდი სიყვარულით გამსჭვალული მახვილს ლესავს.

შაჰი, რომლის დიდება ასეთია, იყოს ყველგან და

მარადის მისი სილამაზე უჭკნობი.

ამ სახელოვანი მპყრობლის სამსახურზე უფრო დიდი პატივი არაა შენთვის სხვა რამ, ჰე, ნიშამი.

ზოღიაქოთა გამოსახულებისაგან და მნათობობთა სახლებისაგან შეირყა ცის სფერო.

ვერძის გამოსახულება მოცინარე ახალი მთვარით დაიბადა ცაზე<sup>39</sup>.

ცის ზოღიაქო კუროსი<sup>40</sup> ჰგავს ზღვის კუროს,

მარგალიტი კისერზე მოსასხამი იგივეა, რაც მარგალიტი პლეადებისა.

მარჩბივი ორმხრივ ქამარშემორტყმული დაჯდა ორსხეულოვან ტახტზე.

ორიონის სამი მბრწყინავი ვარსკვლავი<sup>41</sup>, როგორც მკერდსავსე ასულები, ყასაბგარდაფენილნი

ისხდნენ ორიონის მარცხენა მკლავის 5 ვარსკვლავის გვერდით<sup>42</sup>.

კირჩხიბი ერთი წყრთის ოღენა ბრტყალებს<sup>43</sup>

განაფენს ლომზე.

ორი პატარა ვარსკვლავი ლომის ცხვირიდან<sup>44</sup>

ერთი მხრიდან მარგალიტს აბნევს, მეორიდან — ოქროსფერ სხვის.

38 ზუალი ანუ სატურნი.

39 მთვარე იბადება ვერძის ზოღიაქოში და ამ ზოღიაქოში იგი I და II სახლებშია.

40 კუროს ზოღიაში მთვარე იკავებს III და IV მდებარეობას.

41 იგულისხმება ორიონის წელზე შევეულად შემორტყმული 3 კაშკაშა ვარსკვლავი, ორიონის ქამრად წოდებული (მთვარის V მდებარეობა).

42 ლაპარაკია ორიონის მარცხენა მკლავზე განლაგებულ 5 ვარსკვლავზე (მთვარის VI მდებარეობა).

43 კირჩხიბის ზოღიაში მთვარე VII და VIII სახლებშია. ეს ზოღიაქო ისე ახლოსაა ლომის ზოღიასთან, თითქოს ბრტყალებში უნდა მოიმწყვდილოს იგი.

44 იგულისხმება ლომის ზოღიაქოს ცხვირზე მდებარე ორი ვარსკვლავი, რომელთაგან ერთი არის კაშკაშა, ხოლო მეორე მკრთალი (მთვარის IX და X სახლები).



جبہ ز فروغ جبہت خویش  
افروخته صد چراغ در پیش  
قلب الاسد از اسد فروزان  
چون آتش عود عود سوران  
عذراخ سنبله در آن حرف  
بی صرفه نکرد دانه صرف  
عوا ز نشاط پنج شمشیر  
تازی سگ خویش رانده باشیر

انگيخته عفر چون کريمان  
شش قرص ز کاسه يتيमान  
ميزان چوزبان مرد دانا  
بگشاده زبانه با زبانا  
اکليل بقلب تاج داده

عقرب بکمان خراج داده  
باصادر و وارد نعايم  
بلده دو سه دست کرده قاييم

შუბლი ლომისა<sup>45</sup> ვარსკვლავთ ბრწყინ-  
ვალეებით  
განათებულა ისე, თითქოს მის წინ ასი  
ჩირაღდანი ენთოს.

ლომის გული<sup>46</sup> ისე ანათებს, როგორც  
საკმეველის ჭურჭელი საკმეველის წვისას.  
ქალწული რომ კოლოსის ფორმით ჩნდე-  
ბა ცაზე,

უსარგებლოდ არ იხარჯება გამოსადეგი  
მარცვალი<sup>47</sup>.

ბოოტესი<sup>48</sup> მნიარულად მიერეგება ლომ-  
თან ერთად

თავის მწვევარს<sup>49</sup> ხუთვარსკვლავიანი  
ხმლით<sup>50</sup> ხელში.

ბოროტსა და კეთილს, ერთნაირად  
სწევს ობოლ თასს<sup>51</sup> (6-თალიანს).

სასწორმა, როგორც ბრძენი კაცის ენამ,  
გააღო სასწორის ენა<sup>52</sup>.

გვირგვინის თანავარსკვლავედმა<sup>53</sup> მისცა  
გვირგვინი თეთრ გველს<sup>54</sup>.

მორიელმა მშვილდოსანს ხარაჯა გადაუ-  
ხადა.

მოგზაური გადაღის XX სახლიდან XXI-ში  
და 2—3 ადგილას ჩერდება<sup>55</sup>.

<sup>45</sup> ლაბარაკია ლომის შუბლზე მდებარე ვარსკვლავებზე, რომლებიც ანათებენ მის შუბლს (მთვარის X მდებარეობა).

<sup>46</sup> ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს ლომის ზოდიაში ეწოდება „ლომის გული“. არაბები მას „მალაქს“ — მეფეს ეძახიან.

<sup>47</sup> ქალწულის ზოდიაქო ცაზე ხშირად წარმოდგენილია პურის თევთავის სახით. მისი გამოჩენა საეგე მუშაობასთანაა დაკავშირებული, კერძოდ მკასთან. ამიტომ გამოსახეს ძველთაგანვე იგი ცაზე ქალწულის სახით, რომელსაც ხელში უპყრია თევთავი — სიმბოლო უხვი მოსავლისა (მთვარის XI და XII მდებარეობა).

<sup>48</sup> იგულისხმება მწყემსის თანავარსკვლავედი (მთვარის XIII სახლი).

<sup>49</sup> ლაბარაკია მწვევარის ანუ მონადირე ძაღლთა თანავარსკვლავედზე (მთვარის XIV სახლი).

<sup>50</sup> იგულისხმება მწყემსის თანავარსკვლავედის 5 ვარსკვლავი, რომელიც მწყემსს ხმალივით აქვს შემართული და ლომის ზოდიასა და მწვევარის თანავარსკვლავედის ჯგუფს დასაველითსაყენ მიერეგება (მთვარის XV სახლი).

<sup>51</sup> ნიზამის ამ ბეითში იგულისხმება ატლასის მიერ ცის ზიდვა, მის მხრებზე მოთავსებულ 6 თალი ანუ მთელი სამყარო. ძველად მწყემსის თავი პოლუსს ეხებოდა (ხოლო მწყემსი ატლასთან იყო გაიგივებული).

<sup>52</sup> სიმბოლურ ასპექტში სასწორის ზოდია არის მართლმსაჯულება, რომელიც ყოველთვის სიბრძნესთანაა დაკავშირებული (მთვარის XVI სახლი).

<sup>53</sup> იგულისხმება ჩრდილოეთის გვირგვინის თანავარსკვლავედი, რომელიც მდებარეობს მწყემსის თანავარსკვლავედის მეზობლად (მთვარის XVII მდებარეობა).

<sup>54</sup> ჩრდილოეთის გვირგვინის უშუალო გაგრძელებაა ცაზე გველის თანავარსკვლავედი, რომელსაც პატარა გვირგვინის ფორმა აქვს (მთვარის XVIII სახლი).

<sup>55</sup> იგულისხმება მთვარის მოძრაობა მორიელისა და მშვილდოსნის ზოდიაქოებში.

جدی سرخود چوبزیریده  
 کافسانهٔ سرزری شنیده  
 ذابح ز خطر دهان گرفته  
 سعد اخیبہ را عنان گرفته  
 بلع ارنه دعای باعمی بود  
 درصبح چراودست بنمود  
 دلو از گلہای آفتابی  
 خاموش لب از دهان پرآبی  
 بنوشته دویبت زیرش از زر  
 کاین هست مقدم آن مؤخر  
 خاتون رشا زناقه داری  
 با بطن الحوت در عماری  
 برشه رہ منزل کواکب  
 اجرام غریب گشته راکب  
 بستہ بسہ پایۂ ہوائی  
 بطن الحمل از چہار پائی

თხამ დაიჭირა თავი, რადგან  
 შეიტყო ზღაპარი თხის თავის შესახებ<sup>56</sup>.  
 მსხვერპლშემწირველი ხიფათისაგან ხუ-  
 რავს პირს<sup>57</sup>,  
 აკავებს ვარსკვლავთა ფარულ წინასწარ-  
 მეტყველებას.  
 თუ გადასაყლაპავად არ იყო მზად ეს  
 ხახა,  
 დილას ორი ხელი რატომ აჩვენა?<sup>58</sup>  
 მერწყული ვარდებით ნაკეთებ ტყავის  
 სათლით,  
 დადუმებულია, რადგან პირი სავსე აქვს  
 წყლით.  
 დაწერა დუბეთი მის ქვემოთ ოქროს  
 ასოებით,  
 რომ ეს<sup>59</sup> არის წინ და ის<sup>60</sup> — უკანასკნელი<sup>61</sup>.  
 ქალბატონი<sup>62</sup> თევზის მუცელზე<sup>63</sup> ამხედ-  
 რებული  
 თევზის ზოდიაქოში შედის ბალდახინით.  
 წინკარიდან<sup>64</sup> გზა იხსნება ვარსკვლავთა  
 სამყოფლისაკენ.  
 საუცხოო ვარსკვლავები ამხედრებულან  
 ცაზე.  
 მიმაგრებულია ცაზე სამფეხა<sup>65</sup>,  
 ვერძის მუცელი — ოთხფეხზე<sup>66</sup>.

<sup>56</sup> თხის ზოდიაქო ტროპიკის სარტყელია, სადაც იგი თავგადაჭრილს ჰკავს.

<sup>57</sup> აქ უნდა იგულისხმებოდეს თხის რქის ზოდისა სიმბოლური მნიშვნელობა, რომლის მი-  
 ხედვით იგი არის ცოდვის გამომხატველი (ცოდვათა მოსანანიებლად თხის მსხვერპლად შეწირვის  
 რიტუალი).

<sup>58</sup> თხის ზოდის ალფა და ბეტას არაბები „სად-ალ ჯაბაის“ ანუ „ყასაბის ბედნიერებას“  
 უწოდებენ. მათთვის ეს პატარა ვარსკვლავი იყო ის ბატანი, რომელიც იკვლევოდა მსხვერპლის  
 შეწირვის დროს (მთვარის XXIII მდებარეობა).

<sup>59</sup> იგულისხმება ირმის ნახტომი, რომელიც ორ ტოტად იყოფა ვედის თანავარსკვლავედში.  
 ეს ტოტები გაშლილი ხელის ასოციაციას ქმნიან და პარალელურად მიმართული ერთდებიან  
 სამსხვერპლოს თანავარსკვლავედში. სივრცე ორ გაშლილ ტოტს შორის ჰკავს დადებულ ხახას,  
 გადასაყლაპად მომზადებულს (მთვარის XXIV სახლი).

<sup>60</sup> მერწყულის ზოდია, რომელიც უსწრებს თევზს (მთვარის XXV და XXVI სახლები).

<sup>61</sup> თევზის ზოდია, რომელიც უკანასკნელია ზოდიაქოთა რიგში (მთვარის XXVII და  
 XXVIII მდებარეობა).

<sup>62</sup> იგულისხმება მთვარე.

<sup>63</sup> თევზის მუცელზე ამხედრებული მთვარე შედის ბოლო ზოდიაქო ანუ თევზის ზოდიაქო-  
 ში (მთვარის ბოლო — XXVIII სახლი).

<sup>64</sup> ზოდიაქოთა წრეს კრავს თევზი, საიდანაც იხსნება სივრცე ცალკეულ ვარსკვლავთა ან  
 ვარსკვლავთა ჯგუფისა, რომელიც არ შედის ზოდიაქოთა სარტყელში. პოეტში იგი წინკარის  
 ასოციაციას ქმნის.

<sup>65</sup> იგულისხმება სამფეხა — სამი ვარსკვლავი ლირას თანავარსკვლავედში, რომელთაც  
 სამფეხის ფორმა აქვთ: ევგა, არქტური და პოლარული ვარსკვლავი.

<sup>66</sup> ვერძის ოთხი ვარსკვლავი, რომელთაც აქვთ ოთხფეხის ფორმა.

عيوق بدست زورمندي  
 برده زهم افسران بلندي  
 وان كوكب ديك پايه كردار  
 در ديك فلک فشانده افزار  
 شعری بسيات يمانی  
 بی شعر باستين فشانى  
 مسبوطة بيك چراغ زنده  
 مقبوضه دو چشم زاغ كنده  
 سياف مجره رند شمشير  
 انداخته بر قلاده شير  
 چون فرد روان ستاره فرد  
 برفرق جنوب جلوه ميكرد  
 بنشسته سريربر توابع  
 ثالث چه عجب بزير رابع  
 توقيع سماكها مسلسل  
 گهرام بود و گاه اعزل

ძლევამოიპოვ კახელას<sup>67</sup> ხელში უ პყრობა  
 ზეცის ავშარა და  
 იმ მნათობთაგან სამფეხას  
 ცის ქვაბში აფრა აქვს გაშლილი.  
 შირა<sup>68</sup> ბრწყინვალეების სიჭარბით  
 ეფინება სახელოს<sup>69</sup>.  
 მასბუტე — ერთი უზარმაზარი ჩირაღდანია.  
 მაყბუტე — ორივეთვალდათხრილი (ბნე-  
 ლი)<sup>70</sup>  
 ჯალათმა, ხმლის ფორმა რომ აქვს<sup>71</sup>,  
 მიუშვა ლომზე ძაღლების ხროვა.  
 როცა ელვარე ხმალი<sup>72</sup> მარტოკა მიდის  
 შეუღარებელი<sup>73</sup> ვარსკვლავით, ალ-  
 ფარდი<sup>74</sup>  
 ბრწყინავს და ანათებს სამხრეთის მხარეს.  
 დაჯდა ტახტზე თავისი ხელქვეითების  
 ზემოთ.  
 რა საოცარია სამი<sup>75</sup> ოთხის<sup>76</sup> ქვემოთ.  
 სამაქი<sup>77</sup> ბეჭედით აზის ალ-მოსალსა-  
 ლას<sup>78</sup>,  
 ხან რამაჰისაკენ<sup>79</sup> არის მიბრუნებული და  
 ხან აზალისაკენ<sup>80</sup>.

67 ყველაზე კაჟკაჟა ვარსკვლავი მეტეტეს თანავარსკვლავედში, მეორე ვარსკვლავია ცაზე თავისი სიკაჟკაჟის მიხედვით. იგი არასოდეს არ ჩადის პორიზონტზე და მთელი ცის უფალია.  
 68 ბაბილონური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს სირიუსს. სირიუსს იქ იემენურ ანუ სამხრეთის ვარსკვლავს უწოდებენ, ხოლო მცირე ძაღლს — სირიულს ანუ ჩრდილოეთისას (სირიუსს).  
 69 ივულისხმება ირმის ნახტომი.  
 70 მასბუტე და მაყბუტე სახელებია სამხრეთისა და ჩრდილოეთის სირიუსის ორი ვარსკვლავისა. იემენური (მასბუტე) კაჟკაჟა და ჩრდილოეთისა (მაყბუტე) კი მკრთალი.  
 71 ივულისხმება ირმის ნახტომი.  
 72 ივულისხმება ცის იკანკლელი, რომელსაც ხმლის ფორმა აქვს.  
 73 შეუღარებელი, საუცხოო ან უცხო (Дивная) ვარსკვლავია ვეშაპის თანავარსკვლავედისა.  
 74 ივულისხმება სამხრეთის ცის ჰიდრას თანავარსკვლავედში მყოფი ალფა ვარსკვლავი მარტოხელად წოდებული.  
 75 ლაჰარაკია ჰიდრას თანავარსკვლავედის ქვედა სამ ვარსკვლავზე.  
 76 ივულისხმება იმავე თანავარსკვლავედის ზედა 4 ვარსკვლავი, რომლის თავში ზის ალ-ფარდი.  
 77 ალფა და ბეტა თევზის თანავარსკვლავედისა, რომლებიც ძალზე ახლოს არიან ანდრომედისთან.  
 78 ანდრომედას არაბული სახელწოდებაა, რაც ნიშნავს ბორკილებგაყრილს. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ანდრომედა კლდეზე იყო მიჯაჭვული.  
 79 ივულისხმება სამაქ-რამაჰი, მწყემსის თანავარსკვლავედის ერთ-ერთი ვარსკვლავი.  
 80 სამაქ-აზალი კი არის რამაჰის პირისპირ მდგარი ვარსკვლავი, რომელიც მდებარეობს ჯალწულის მარცხენა მხარეს განცალკევებით.



- نسرین پرندہ پر گشادہ  
 طایر شدہ واقع ایستادہ  
 قاری برنیش در سواری  
 کی دور بود ز نیش قاری  
 میگرد سہا ز ہم نشینان  
 نقادی چشم تیز بینان  
 تابان دم گرگ در سحرگاہ  
 چون یوسف چاہی ازین چاہ  
 پیرامن آن فلک نوردان  
 پرگار بنات نیش گردان  
 مجنون ز سر نظارہ سازی  
 میگرد بچرخ حقہ بازی  
 بر زہرہ نظر گماشت اول  
 گفت ای بتوبخترا معول  
 ای زہرہ روشن شب افروز  
 ای طالع دولت از تو پیروز  
 ای مشعلہ نشاط جویان  
 صاحب رصد سرود گویان  
 ای در کف تو کلید ہر کام  
 در جرعہ تور حیق ہر جام  
 მფრინავმა ნასრინმა<sup>81</sup> გაშალა ფრთები,  
 გაფრინდა და დადგა სწორად.  
 ყარი<sup>82</sup> ნააშთან<sup>83</sup> დგას ამხედრებული.  
 როგორ შეიძლება, რომ დეკლამატორი  
 შორს იდგეს გვემისაგან.  
 დასვა სიჰა<sup>84</sup> მათ შორის,  
 როგორც მჭრელი თვალის მქონე მწყემსი.  
 მგლის კუდი<sup>85</sup> ბრწყინავს განთიადზე, რო-  
 გორც  
 ჭაში ჩავარდნილი იოსები ჭიდან.  
 იმ მბრწყინავი ცის ირგვლივ გარშემორ-  
 ტყმულთა  
 მბრუნავი წრე დიდი და მცირე დათვის  
 თანავარსკვლავედისა.  
 მაჯნუნი აკვირდებოდა ციურ სხეულთა  
 განლაგებას  
 და უნგლიორივით ამოძრავებდა თავს  
 ვარსკვლავთ მოძრაობის შესაბამისად.  
 პირველად დაინახა ზუჰრა და გაუბა მას  
 საუბარი.  
 უთხრა: ჰე, შენა ხარ დამხმარე კაცის  
 ბედისა,  
 ჰოი, მბრწყინავო ზუჰრა, შენ ანათებ  
 ლამეს,  
 ჰე, ამომავალო, შენ ანიჭებ გამარჯვებას  
 მეფეთ.  
 ჰე, სიხარულის მძებნელო ლამბარო, შენ  
 ხარ  
 მფლობელი ჰოროსკოპის ყველა ინსტრუ-  
 მენტისა,  
 შენ ხელთაა კლიტე ყველას ბედ-ილბა-  
 ლისა.  
 შენ საყლაპავში ჩარჩენილი ყლუბი ღვი-  
 ნისა ყველა სხვა ღვინოზე სუფთაა.

81 იგულისხმება არაბული „ან ნასრ-ატ ტაირ“ — მფრინავი, ფრთებგაშლილი არწივი ანუ ალტაირი, არწივის თანავარსკვლავედის ალფა ვარსკვლავი.

82 ნააშთან ახლო მდებარე ვარსკვლავის სახელწოდებაა.

83 არაბული სახელწოდებაა დიდი დათვის თანავარსკვლავედის ერთ-ერთი ვარსკვლავისა და ნიშნავს „სამგლოვიარო ტახტრევანდის ძეს“. არაბები დიდი დათვის თანავარსკვლავედის 4 ვარსკვლავში კუბოს ჭერტდნენ, ხოლო 3 ვარსკვლავში (დათვის კუდს რომ უწოდებენ) — მოტირალებს, გამოცილებლებს. მთელი თანავარსკვლავედი მათთვის იყო სამგლოვიარო პროცესის გამოხატველი.

84 იგულისხმება ვარსკვლავი ალკორი დიდი დათვის თანავარსკვლავედში, რომელიც ზის მეორე ცხენზე, რისთვისაც მას ხშირად მხედარსაც ეძახიან.

85 იგულისხმება მგლის კუდის თანავარსკვლავედის კუდზე მდებარე კაშკაშა ვარსკვლავი.



از جمله وجود بی نیاز است  
 گفت ای در تو پناه گاهم  
 درجز تو کسی چرا پناهم  
 ای زهره و مشتری غلامت  
 سرنامه نام جمله نامت  
 ای علم تو بیش از آنکه خوانند  
 واحسان تو بیش از آنکه دانند  
 ای بند گشای جمله مقصود  
 دارای وجود و داور وجود  
 ای کار برآور بلندین  
 نیکو کن کار مستمندان  
 ای ما همه بندگان دربند  
 کس را نه بجز تو کس خداوند  
 ای هفت فلک فکندۀ تو  
 ای هر که بجز تو بندۀ تو  
 ای شش جهت از بلند و پستی  
 ممکوک ترا بزیر دستی  
 ای گر بصری بشو رسیده  
 بی دیده شده جو درتو دیده  
 ای هر که سنگ تو گوهرش پاک  
 ای هر که نه با تو بر سرش خاک  
 ای خاک من از تو آب گشته  
 بنگر بمن خراب گشته  
 مگذار که عاجز و غریبم  
 از رحمت خویش بی نصیبم  
 آن کن ز عنایت خدائی  
 کایدشب من بروشنائی  
 روزم بویفا خجسته گردد  
 بختم ز بهانه رسته گردد

მიმართა მას, ვინაც თავისუფალია,  
 უთხრა: უფალო, შენს სასუფეველში ვპო-  
 ვებ სადგურს,  
 შენს გარდა არ მჭირდება სხვა სადგომი.  
 უფალო, ზუჰრა და მუშთარი შენი მო-  
 ნებია,  
 შენი სახელი ყველაზე აღმატებულია,  
 შენგან შექმნილი სამყარო მეტია იმაზე,  
 რაც იციან (რასაც ხედავენ).  
 და სიკეთე შენი მეტია იმაზე, რაც იციან.  
 შენ ხარ ყველა გადაწყვეტილებათა გამბ-  
 სნელი,  
 ყოფიერების უზენაესი მსაჯული და წყა-  
 ლობის მომნიჭებელი.  
 უპოვართ შენ ანიჭებ სიკეთეს, მომართე  
 საქმე ზემოდან.  
 უყავ კეთილი საქმე წყალობის მთხოვნელს,  
 ყველანი შენი მონები ვართ შენს სასუ-  
 ფეველში,  
 შენ ხარ ერთი ღმერთი ყველასათვის,  
 შენ გემორჩილება 7 ცა,  
 უფალო, შენი მონებია ყველა შენს გარ-  
 და.  
 უფალო, 6 მხარე ზეცისა და ხმელისა  
 შენიეთულია შენში და მორჩილი შენი.  
 თუ ვინმეს თვალები (მზერა) მოაღწევს  
 შენამდე,  
 უმალ დაბრმავდება შენ რომ გიხილავს.  
 ის, ვინც ითვლება შენს ძალდად, სუფ-  
 თაა ბუნებით,  
 უფალო, ვინც არაა შენთან, დაამცირე  
 ისინი,  
 უფალო, მიწა ჩემი შენგან წყლად იქცე-  
 ვა,  
 შემომხედე მე, შმაგს,  
 ნუ დამავლებ მარტო, რადგან სუსტი ვარ  
 და ღარიბი,  
 არა მაქვს მე წილი კეთილ ბედში,  
 ისე მომართე ჩემკენ შენი ღვთიური წყა-  
 ლობა,  
 რომ ღამე ჩემი გაბრწყინდეს, განათდეს,  
 დღე ჩემი ერთვულებისაგან გაბედნიერ-  
 დეს და  
 ბედი ჩემი უბედობისაგან განთავისუფ-  
 ლდეს.



„ლეილი და მაჯუნესა“ ეს თავი ძირითადად 3 ნაწილისაგან შედგება: მნათობთა რიგის პტოლემეიოსის სისტემის მიხედვით წარმოდგენა, ზოდიაქოების აღწერა და ცაზე ყველაზე დიდი და კაშკაშა ვარსკვლავების ჩამოთვლა-დახასიათება.

„ლამის აღწერაში“ ნიზამი ამჟღავნებს ასტრონომიისა და ასტროლოგიის ბრწყინვალე ცოდნას, რასაც იგი პოეტურ ფონად იყენებს თავისი თეოლოგიური კონცეფციის გასაშლელად. ასტრონომიულ-ასტროლოგიური ცოდნა, როგორც კაცობრიობის კულტურული მონაპოვარი, საყოველთაო ხასიათს ატარებდა და, ცხადია, იმდროინდელ მხატვარ-მოაზროვნეთა შემოქმედებაში სავსებით ბუნებრივად აისახებოდა. ამიტომ არაფერია გასაოცარი და მით უფრო მოულოდნელი იმაში, რომ ნიზამი ასე კარგად იცნობს ამ მოძღვრებას და ასე ლაღად ოპერირებს პოეზიაში ასტრალური სახეებით. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნიზამი ასტროლოგიურ წარმოდგენებს არ რთავს სიუჟეტის განვითარებაში, არ ცდილობს ცალკეული ეპიზოდების გაშლას ასტრალური მითოსის გამოყენებით. მისი მიზანია წარმოადგინოს გეოცენტრული სისტემის მიხედვით შუა საუკუნეების ცის სურათი და მუსლიმანური სამყაროს უპირველესი მნათობი — ღვთაების მთვარის მოძრაობა — ზოდიაქოთა სარტყელში.

მაჯუნეს ვედრება ყურადღებას იპყრობს წმინდა ასტროლოგიური თვალსაზრისითაც. ამ მხრივ საინტერესოა მაჯუნეს ვედრება მნათობებისადმი და ალაპისადმი. მნათობთაგან მაჯუნე მხოლოდ ორს — ზუჰრასა და მუშთარს თხოვს შემწეობას. ზუჰრა „მცირე ბედის ვარსკვლავია“, მას მოაქვს ლხინი და სიხარული. ბედის ამ მცირე ვარსკვლავის შემდეგ იგი მიმართავს „დიდი ბედის ვარსკვლავს“ — მუშთარს. მუშთარი, ბედნიერების მომტანი ვარსკვლავის გარდა, არის სამართლიანი, ბრკე, მიუდგომელი და მართლად გამკითხავი. მაგრამ იგი დღის ვარსკვლავია და გამთენიისას გაუქრება მაჯუნეს. მაშინ იგი თავის ლოცვას უშუალოდ ცათა უფალს მიმართავს, მას, ვინაც თავისუფალია, ვინც უხილავია და ერთია, ვისაც მორჩილებენ მნათობნი, ვინც არის ყოფიერების უზენაესი მფლობელი, ვინც განაგებს მიწას და ზეცას. მაჯუნე მიმართავს ღმერთს, რომელშიაც შენივთულია: 6 მხარე ზეციდან ხმელეთამდე და მორჩილია მისი, ვისაც ვერ უსწორებს თვალს მოკვდავი, ვისაც ემორჩილება 7 ცა, ვინაც არის მსაჯული ცისა და მიწისა. ასეთია ღვთის ატრიბუტები მაჯუნეს ამ ვედრების მიხედვით.

აღმოსავლური რენესანსის პოეზიაში პირველად ნიზამისთან არის მოცემული მნათობთა ვედრების პოეტური მოდელი, სადაც ასტროლოგია სავსებით მორგებულია მონოთეისტურ ისლამს.

ისლამის მსგავსად ქრისტიანობაც მონოთეისტური რელიგიაა და ასტროლოგია აქაც ისევე უნდა ყოფილიყო გააზრებული, როგორც ისლამში. ასე რომ, ნიზამისა და რუსთაველის წინაშე ერთნაირი ამოცანა იდგა — ორივე პოეტს როგორმე უნდა შეეგუებინათ ასტროლოგია ორთოდოქსალური ისლამისა და ქრისტიანობისათვის. როგორ გააკეთა ეს ნიზამიმ, ჩვენ უკვე დავინახეთ. მივმართოთ ავთანდილის გალობას:

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:  
 „აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,  
 ვინ მღაბალთა გააბაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა,  
 მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემცივლი ღამედ დღესა!

მო, ზუღალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჰირი ჰირსა,  
 გული შავად შემიღებე, სიბნელსა მიმეც სწირსა,  
 შემომყარე კაეშანი, ტვირთი მიძიმე ვითა ვირსა,  
 მას უთხარ, თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა“.

ჰე, მუშთარო, გეაჭები შენ, მართალსა ბრჭესა, ღმრთულსა,  
 მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა;  
 ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა!  
 მართალი ვარ, გამიკითხე! რად მიწყულულებ მისთვის წყლულსა?

მოდი, მარხო, უწყალოდ დამჰკერ ლახვრითა შენითა,  
 შეცამლებე და შემსვარე წითლად სისხლისა ღენითა,  
 მას უთხარე ჩემნი პატიჟნი, მას გაავონენ ენითა,  
 როგორ გასრულვარ, შენ იცი, გული არღა არს ლხენითა.

მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,  
 ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა;  
 შენ დააშვენებ ქველუცთა დაშვენებითა მაგითა,  
 ვისმე, გლახ, ჩემებრ დაადებ, გაჰხდი ცნობითა შმაგითა.

ოტარილო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა:  
 მზე მობრუნვებს, არ გამიშვებს, შემეყრის და მიმცემს წვასა;  
 დაჯე წერად ჰირთა ჩემთა, მეღნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,  
 კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა ჩემსა, ვითა თმასა.

მო, მთვარეო, შემებრალე კილევი და შენებრ ვმკლდები,  
 მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები, ზოგჯერ ვწვლდები;  
 მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჰირს, ანუ როგორ გზნდები,  
 მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები (957—963).

ნიზამის „ლეილი და მაჯნუნში“ მაჯნუნი შემწეობას თხოვს სიყვარულში მნათობებს და მხოლოდ შემდეგ მიმართავს დახმარებისათვის ღმერთს. რუსთაველთან ავთანდილი ვედრებით მიმართავს მთელ ვარსკვლავურ ცას — 7 მნათობს. ღმერთი აქ არა ჩანს, ამიტომ გალობაში ერთი შეხედვით, თითქოს, არც ასტროლოგიური კავშირი ჩანს ღმერთსა და მნათობებს შორის. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ მრავლადაა ადგილები, სადაც ეს კავშირი აშკარადაა გამოხატული. რუსთაველთან დამოწმებულია ავთანდილის ერთი ლოცვა, რომელიც მიმართულია მთლიანად ღმერთისადმი:

ილოცავს, იტყვის: მაღალო, ღმერთო ხმელთა და ცაათო,  
 ზოგჯერ მომცემო პატივთა, ზოგჯერ კეთილთა მზათო,  
 უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათო,  
 მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათო! (809)

რუსთაველის ღმერთი ფლობს ხმელეთსა და ზეცას:

ღმერთო, ღმერთო, გეაჭები, რომელი ჰფლობ ჰქენათ ზესა, (801,1)

„ვეფხისტყაოსნის“ პირველივე სტროფი გვამცნობს, რომ სამყარო შექმნა ერთ-ერთი ღმერთმა:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
 ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,  
 ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,  
 მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა. (1)

ღმერთმა ზეცით მონაბერი სულით დაბადა „არსნი“ და მათ შორის მნათობებიც.

კვლაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო, რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა,  
 მით გმორჩილობს ზეციერი მნათობია რაცა სადა. (135,1,2)

ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო, დაბადა მნათობები და ადამიანები, არს ერთი: „ჰე, ღმერთო, ერთო შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“, მას მორჩილებენ ციერნი, „ძალნი ზეციერნი“ ანუ მნათობები<sup>86</sup>, რომელნიც განაგებენ აქა ქმნაღსა:

ყმაან უთხრა: „მადლი ღმერთსა, შემოქმედსა, არსთა მხადსა,  
ვისგან ძალნი ზეციერნი განაგებენ აქა ქმნაღსა. (1050, 1, 2).

მაგრამ „რაცა ღმერთსა არა სწამდეს, არა საქმე არ იქნების“, ყველაფერი დამოკიდებულია ღვთის ნება-სურვილზე. იგია „შემწე ყოვლთა მიწიერთა“:

ვინ დამბადა, შეძლებდა მანვე მომცა ძლევად მტერთად,  
ვინ არს ძალი უხილავი შემწე ყოვლთამიწიერთად,  
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,  
იგი გაჰნდის წამის ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად. (792)

ამგვარად, რუსთაველთან ისევე, როგორც ნიშამისთან მნათობთა თავში „ზის“ ღმერთი — ერთი, უცნაური, უთქმელი, უხილავი, უჯალი უფლებათა, მფლობელი გულისთქმათა, რომელიც ფლობს „ქვენათ ზესა“ და რომელსაც მორჩილებენ ციერნი.

რუსთაველი ნიშამის მსგავსად ვარსკვლავური ცის აღწერისას ფართოდ და ლაღად იყენებს ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ცოდნას. მისი საშუალებით ქმნის იგი რთულ პოეტურ მეტაფორებს, რომელთა სრული გახსენისათვის სამი პლანია გასათვალისწინებელი: პოეტური, ასტრონომიული და ასტროლოგიური. ამგვარადაა აგებული ავთანდილის ვედრება მნათობებისადმი. ეს ვედრება მთლიანად ასტროლოგიური ხასიათისაა. აქ თითოეული მნათობი თავისი ასტროლოგიური ბუნებისა და ნიშნის მიხედვითაა დახასიათებული. მზე არის მძლეთა მძლე, სფეროს შუაში მყოფი, რომელსაც მორჩილებენ ციერნი, სხვა დანარჩენი მნათობები. იგი ანიჭებს ადამიანს ბედს. ზუალი უბედურების მომტანი ვარსკვლავია, ამიტომ მიმართავს მას ავთანდილი: „შემომყარე კაეშანი“, „გული შავად შემიდებეო“. ზუალი ავი ბედის ვარსკვლავია და ფერიც შავი აქვს. ასპიროზი (იგივე ზუპრა ნიშამისა) მიჯნურთა დამხმარეა; ასევე მუშთარიც სამართლიანი, ბრჭე და გამკითხავია და ა. შ. მნათობთა ასტროლოგიური ბუნება კარგადაა ცნობილი (დაწვრილებით ცნობებს დანტერესებული მკითხველი იპოვის „ვარსკვლავთმეტყველებაში“), ამიტომ აქ ჩვენ ამაზე აღარ შევჩერდებით. მნათობთა ასტროლოგიური ბუნების გარდა, რუსთაველი ასტრონომიულ პლანსაც ითვალისწინებს. მხოლოდ ასტრონომიულად შეიძლება გავიაზროთ ავთანდილის მიმართვა ოტარიდისა და მთვარისადმი:

ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა,  
მზე მბრუნეებს, არ გამიშეებს, შემაყრის და მიმცემს წვასა.

მერკური (ოტარიდი) მზის ორბიტაში მყოფი მნათობია. იგი ძალიან ახლოსაა მზესთან, რაც იწვევს მის ბრუნვას მზესთან ერთად. მზესთან ასეთი სიახლოვის გამო ოტარიდის დანახვა ძალზე ძნელია და იშვიათად ხდება. ასევე ასტრონომიის გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იქნება ავთანდილის მთვარისადმი მიმართვის გაგება:

მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდება, ზოგჯერ ვწვლდება.

<sup>86</sup> იხ. ელ. ხინთიბიძე, ავთანდილის „ძალნი ზეციერნი“, „მაცნე“, 1, 1968, გვ. 161



აქ ნაგულისხმევია მთვარის გავსებისა და დაკლების ფაზები იმის მიხედვით, შორდება მთვარე მზეს თუ უახლოვდება და ა. შ.

ასე ემთხვევა ერთმანეთს ნიზამისა და რუსთაველის ასტრონომიულ-ასტროლოგიური შეხედულებები. ცა ორივე პოეტს ერთნაირად აქვს წარმოდგენილი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან საშუალო საუკუნეებში მოძღვრება ცის შესახებ საყოველთაო ცოდნა იყო — ერთნაირად გავრცელებული როგორც ქრისტიანულ, ასევე მუსლიმანურ სამყაროში.

თუ ნიზამისთან უზენესი ღვთაების მთვარის ადგილი ბედნიერად დემთხვა პტოლემეაიოსის სისტემის მნათობთა რიგს (ამ რიგით მთვარე პირველ ადგილზეა: სხვათა შორის ამ ფაქტორმაც ბევრად განსაზღვრა პტოლემეაიოსის სისტემის მიღება და მისი გავრცელება ისლამში). ამისათვის რუსთაველს მნათობთა გადასმადანსჭირდა. იგი ფორმალურად იცავს საშუალო საუკუნეების საყოველთაოდ აღიარებულ ასტრონომიულ სისტემას, მაგრამ ფაქტიურად არღვევს მას.

არგუმენტი, რომ რუსთაველმა თავისი პოეტური ნება-სურვილით, თავისუფალი შემოქმედის კაპრიზით შეუცვალა მზეს ადგილი, სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს<sup>87</sup>.

მკვლევარ პაველ ინგოროყვას აზრით, „შეცვლა მნათობთა რიგისა, რომელიც დადგენილი იყო პტოლემეს სისტემაში, გაუგებარი რჩებოდა, ვიდრე არ გაირკვა შოთას მანის ფერობა — მანიქეველნი მზეს ათავსებდნენ მნათობთა კრებულის სათავეში, რომელსაც აღიდებდნენ, როგორც ღვთაების ნათელს“<sup>88</sup>. ვფიქრობთ, დღეისათვის საკითხი რუსთაველის ქრისტიანული აღმსარებლობის შესახებ დავას აღარ უნდა იწვევდეს რუსთაველოლოგიაში და რაკი ვერ დამტკიცებულა, რომ შოთა „მანის ფერია“, ცხადია, ეს არგუმენტიც უნდა მოიხსნას. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მანიქეველნი მზესა და მთვარეს ერთნაირად აყენებდნენ მნათობთა კრებულის სათავეში და არა მხოლოდ მზეს. ესეც რომ არ იყოს, მზე პირველ ადგილზე ჩანს ინდური, კორე კოსმოვის და თალმუდური სიითაც<sup>89</sup>.

სინამდვილესთან უფრო ახლოს ჩანს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით მზე ასტროლოგიური მნიშვნელობის გამოა პირველ ადგილზე. ასტროლოგიურად მზეს, მართლაც, პირველი ადგილი ენიჭება მნათობთა რიგში. მზე არის მსოფლიოს გული, იგი ბატონობს ცაში ყველა დანარჩენ მნათობზე და წარმართავს ცის მოძრაობას<sup>90</sup>. ასეთი იყო მზის ასტროლოგიური მნიშვნელობა ფ. კიუმონის აზრითაც.

მაგრამ რა ვუყოთ ნიზამის, დანტეს და თვით პირველ ასტროლოგოსებს, ქალდეელებს და ბაბილონელებს, რომელნიც შესანიშნავად იცნობდნენ მზის ასტროლოგიურ თვისებებს და მაინც მე-4 ადგილზე ათავსებდნენ მას? ნუთუ ამით ისინი უარპყოფდნენ მზის ასტროლოგიურ მნიშვნელობას?

ჯერ კიდევ უძველეს ხალხთა რელიგიაში იყო მზე და მთვარე ცალკე გამოყოფილი და შეპირისპირებული დანარჩენ მნათობებს. ფ. კიუმონი ვარაუ-

87 ზ. ავალიშვილი, ვეფხისტყაოსნის საკითხები, პარიზი, 1931, გვ. 5.

88 პ. ინგოროყვა, თხზ. კრებული, ტ. I, თბილისი, 1963, გვ. 154.

89 ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, 1957, გვ. 1.

90 ფ. კიუმონი, თეოლოგია მზისა რომელ წარმართობაში: ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, გვ. 214—215.

დობს, რომ ეს გამოყოფა მხოლოდ მათი მნიშვნელობით შეიძლება. აიხსნას<sup>91</sup>. (მაგრამ არა მხოლოდ ასტროლოგიური მნიშვნელობით).

ძველი ბაბილონი უმთავრეს მნათობად მთვარეს მიიჩნევდა; მთვარე ბატონობს არაბეთში, მთვარეა ქართველთა უძველესი ღვთაება. სტრაბონის ცნობით, „ყველგან, სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილა. ამის გამო მთვარის, ვითარცა მთავარი მეუფის და ღვთაების თაყვანისცემა ყველა ქართველი ტომების უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“<sup>92</sup>. ჩვენ საგანგებოდ გავხაზეთ ეს სიტყვები, რადგან იმავე წარმართულ ხანაში, ცოტა მოგვიანებით, ქართველი ხალხის კულტურული განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მზე ცვლის მთვარეს უზენაესი ღვთაების როლში. საქართველოში მზის კულტი ბარბაღს კულტანაა დაკავშირებული<sup>93</sup>.

მზის კულტი მთელს ძველ აღმოსავლეთში იყო გავრცელებული. ქალღველთა ლურსმულ წარწერებში შემონახულია მზის ჰიმნი, ვედების მთელი მითოლოგია მზის კულტიდანაა გამოსული, მითრას კულტი ხომ იგივე მზის კულტია, მზეს ეთაყვანებოდა ეგვიპტე, ხოლო ფებ-აპოლოს — საბერძნეთი; მზეს თაყვანს სცემდნენ ფინიციელები, ებრაელები, საბეელები, ჩინელები; პერუს ინკების ბარად ეთიოპელები თავის თავს მზის შვილებად აცხადებდნენ. ძველი მსოფლიოს ადამიანისათვის მზე იყო წყარო სიკეთისა და ვარსკვლავური ცის უხვი წყალობისა. იგი პირველყოფილი გაციებით უმზერდა მზეს და მასში ღვთაების კონკრეტულ გამოსახულებას ჰვრეტდა. ვიდრე რელიგია შეუდგებოდა იმის ძიებას და მტკიცებას, რომ ღმერთი აბსოლუტური არსია, მანამდე ერთადერთი გონივრული და მეცნიერული კულტი იყო მზის კულტი<sup>94</sup>. მზის კულტი „გაიზარდა თვით მეცნიერებასთან ერთად და გაგრძელდა საბოლოოდ იმ ხანამდე, როცა მეცნიერებამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია... ასტრონომოსებმა მოახერხეს მზის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის დადგენა, რომ მზეს უპირატესობა აქვს მთვარესთან. რომ მთვარე ნათობს მზისაგან ნასესხები სინათლით ანუ ბუში ნათელით“<sup>95</sup>.

მზის, მთვარის და ვარსკვლავების ასტრონომიის სპეციალური შესწავლის შედეგად ძველი ხალხები იქამდე მივიდნენ, რომ ერთიან პლანეტათა სისტემაში ღვთის არსის გამოხატულება დაინახეს. მნათობები გახდნენ მათთვის ღვთაების სხვადასხვა იპოსტასი. მზისა და მთვარის ყოველდღიურ და ყოველწლიურ მოძრაობაში, მთვარის დაკლებასა და აღვსებაში ისინი ჰვრეტდნენ გარდაცვლილ და მკვდრეთით აღმდგარ ღმერთებს (ასე იყო მითრა, მზის ღმერთი, რომელიც 25 დეკემბერს იზადებოდა, ასევე ოზირისი, ზიდა და ჰორუსი)<sup>96</sup>.

უძველეს რელიგიებში (და აქედან ქრისტიანობაშიც) მესიის ცხოვრება მზით იყო სიმბოლიზებული. მზეს ისინი ლოგოსის სხეულად თვლიდნენ. სადაც კი აღსრულდა ღვთის განხორციელება, ყველგან გვეხვდება მზის მითოსი (მითრა,

91 ფ. კი უ მ ო ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.

92 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1—2, ტფ., 1913, გვ. 116—119.

93 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 1941, გვ. 59.

94 ფ. კი უ მ ო ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 210.

95 იქვე, გვ. 211.

96 М. Брикнер, Страдающий Бог в религиях древнего мира, СПб, 1909.

ოზირისი, ქრისტე). ისლამში არაა მზის მითოსი, რადგან მუჰამედი არაა ლოგოსის განხორციელება.

ყველა მსხნელი 25 დეკემბერს იბადება ქალწულისაგან, ყველა მსხნელს ემუქრება მოსპობით ტირანი (მითოლოგიურად ესაა ზამთრის გრძელი ღამეები, რომელთა განმავლობაში მზე თითქოს ველარც აღდგება). მზე ჩადის ჰორიზონტზე და იბადება ახალი მზე, რომელიც სიყრმეს გაზაფხულის ბუნობისას აღწევს; ამ დროს გველის ზოდიაქო ქრება ცაზე. აქედანაა მზის გამოთავისუფლება — მსხნელი ამარცხებს გველს, ბოროტების გველეშაჰს<sup>97</sup>.

გველი (დრაკონი, გველეშაპი) სიმბოლოა ფიზიკური სამყაროსი, მატერიის, ამქვეყნიური სიცოცხლისა. რკალად დახვეული გველის სიმრგვლე გამოვლენილ კოსმოსს ახორციელებს. ასე იყო უძველეს რელიგიებში. ასირიულ-ქალდეური სარწმუნოების მიხედვით გველი იყო სიცოცხლის სიმბოლო. იზიდას ცნობილ გამოსახულებაში ადამიანური ნაწილი შეესაბამებოდა ტრანსცენდენტურ სამყაროს, ხოლო გველური — ემპირიულს. იაპონია. მექსიკა, მაიას ტომი იცნობს ციური გველის თაყვანებას; ინდოეთში ღმერთების გამოსახულებას მუდამ თანა სდევს გველი. ასკლეპიოსის კულტიც ეპიდავრის გველში იყო განხორციელებული<sup>98</sup>. გველი, როგორც ბუნების სიცოცხლე, იღვწის, რათა ადამიანის სული მიწას მიაჯაჭვოს; ესაა ადამიანის ინსტინქტი, რომელიც ეზიდება მას გრძნობადი სამყაროსაკენ. ამიტომ იგი ამავე დროს ბოროტის, ბნელეთის მეუფეცაა. მისი დათრგუნვით შეიძლება ბუნებას შთაბერო ღვთაებრივი სული. მისი დაძლევა და დათრგუნვა კი ნიშნავს სულის გამოთავისუფლებას და დარღვეული ჰარმონიის აღდგენას. მზე მუდამ ებრძვის გველს, სიბნელეს, წყვილიადს, როგორც ამ ქვეყნის მფლობელს და სამყაროს მტერს.

მზისა და გველის ეს ბრძოლა მხატვრული სიმბოლიკითაა გადმოცემული „ვეფხისტყაოსანში“ — ქაჯეთის ციხის აღების სურათში. რუსთაველი პოეტია და თავისთავად ცხადია, რომ როგორც დიდი მხატვარი იგი მიისწრაფვის ჰარმონიის აღდგენისაკენ. მთელი პოემა ამ ჰარმონიის დამყარებას ემსახურება, რაც უნდა განხორციელბულიყო ქაჯეთის ციხის აღებით (გველის დათრგუნვით) და ორი მიჯნურის (მზისა და მთვარის) ერთად შეყრით. ამ ჰარმონიის დასამყარებლად რუსთაველთან ერთნაირადაა გამოყენებული კეთილი და ბოროტი, სინათლე და წყვილიდი, სიხარული და მწუხარება. ქაჯეთის ციხის აღება გარდუვალაა. ასეთია ღვთის ნება. წყვილიდი (გველი) უნდა დაემხოს და სინათლემ (ნათელმა) გაიმარჯვოს. ამიტომ იშორებს მზის „ტკბილ მზერას“ კრონოსი და „რჩება თავისი ბუნების ამარა, რათა რისხვა და უბედურება დაატეხოს თავს ქაჯეთს“<sup>99</sup>:

მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა,  
 კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა,  
 მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა,  
 ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, ვაღიადღა ჯარი მკვდრისა. (1415)

გველი დამარცხებულა, ქაჯეთის ციხე იღვწება, მზე და მთვარე ერთად შეიყრება: „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“. რუსთაველთან ეს

<sup>97</sup> Т. Паскаль, Древняя мудрость на протяжении веков, Пр., 1915, გვ. 55—56.

<sup>98</sup> В. Шамаков, Основы Пневматологии, I—II, М., 1922, გვ. 256.

<sup>99</sup> „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“, 1957, გვ. 131.



დიდებული სურათი მზისა და მთვარის ერთად შეყრისა ზუალის და მუშთარის „ერთგან შეყრის“ ასოციაციას იწვევს:

ამას ჰგვანდეს ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს. (1421,2)

მუშთარისა და ზუალის ერთად დგომა ასტრონომიულად იშვიათი მოვლენაა და ათეულ წლებში ერთხელ ხდება. ბუნებრივია, ეს ორი პლანეტა აქ შემთხვევით არაა დასახელებული. „ამ ცთომილთა: იუპიტერის და სატურნის „ერთგან შეყრა“, კონაფუნქციო, ასტროლოგიაში დიდი რამეა, დიდი ბედნიერების მომასწავებელი. იმდენად, რომ პირველად კეპლერის მიერ გამოთქმული აზრით, თვით ქრისტეს შობის ის ვარსკვლავი, სახარებაში რომ იხსენიება (მათე, 2), ერთი ვარსკვლავი კი არა, არამედ სატურნის და იუპიტერის არაჩვეულებრივი „ერთგან შეყრა“ უნდა ყოფილიყო; ებრაელთა ასტროლოგიითაც ამ ორი პლანეტის თევზთა ეტლში შეყრა მესიის ნიშნად ითვლებოდა“<sup>100</sup>.

ამგვარად, ქაჯეთის ციხის დაღწევისა და ორი მიჯნურის ერთად შეყრის სურათი მთლიანად ასტრალური მითოლოგიითაა გაყენებული. ბრძოლა გველთან უნდა გავიგოთ, როგორც მზის (ლოგოსის) მიერ გველის (ქაოსის) დაძლევა. მზე არის ტარიელი, მთვარე ნესტან-დარეჯანი და გველი — ქაჯეთის ციხე<sup>101</sup>. მთვარე უძველესი დროიდან არის სულის სიმბოლო, მითოლოგიურად კი მზის სასძლო<sup>102</sup>. მთვარე ანტითეზაა მზისა. მზე არის სიცოცხლის წარმმართველი ძალა მამრში და სიყვარულისა მდედრში, მთვარე კი სიცოცხლის წარმმართველია მდედრში და სიყვარულისა — მამრში. ეს ორი მნათობი ავსებებს ერთმანეთს: „Луна находится на полосе противоположной Солнцу и есть его вторая половина в природе“<sup>103</sup>.

მთვარე, როგორც მზის სიზიმი, მისი საპირისპირო ძალა, მდგარი საწინააღმდეგო პოლუსზე, რუსთაველთან ბოლო ადგილზეა, მზე კი პირველზე. ასე იწყება „ვეფხისტყაოსანში“ მნათობთა რიგი მზით და სრულდება მთვარით.

ვფიქრობთ, მზის ასტროლოგიურ მნიშვნელობასთან ერთად რუსთაველთან გასათვალისწინებელია აგრეთვე მზისა და მთვარის ასტრალური მითოსიც.

<sup>100</sup> ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

<sup>101</sup> შდრ. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 316.

<sup>102</sup> Анри Бургоны, Небесная динамика, Вязьма, 1911, გვ. 18.

<sup>103</sup> იქვე.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

### თავილა მგალგლიშვილი

## კირილე იერუსალიმელის თხზულებათა აღმუღი თარგმანები და მათი მნიშვნელობა

კირილე იერუსალიმელი მეოთხე საუკუნის მამათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ტრადიციულად მას მიეკუთვნება თვრამეტი „სიტყვა განცხადებისათვის“, ზუთი — „საიდუმლოებათათვის“, პროკატეილია, ეპისტოლე კონსტანტინე მეფისადმი და რამდენიმე საკითხავი, რომელთაგან მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული.

კირილე იერუსალიმელის სახელს ზშირად ვხვდებით როგორც მის თანამედროვეთა, ისე მომდევნო საუკუნეების მწერალთა თხზულებებში, რომელსაც ეს უკანასკნელი იმოწმებენ, როგორც დიდ ავტორიტეტს<sup>1</sup>.

კირილე იერუსალიმელის „სიტყვათა“ შესახებ უძველესი, მაგრამ, სამწუხაროდ, არაზუსტი ცნობა შემონახულია ნეტარი იერონიმეს ნაწარმოებში — „De viris illustribus“ (392 წ.): „Cyrillus Hierosolymae episcopus, saepe pulsus Ecclesia et receptus, ad extremum sub Theodosio principe, octo annis inconcussum episcopatum tenuit. Exstant eius catecheses quas in adolescentia composuit“<sup>2</sup>.

შემდეგი ცნობა ეკუთვნის წმიდა ნილოსსა და რუფინუსს, რომლებიც იმოწმებენ კირილე იერუსალიმელის „სიტყვებს განცხადებისათვის“, მაგრამ წყაროს არ ასახელებენ<sup>3</sup>.

თეოდორიტე თავის ნაწარმოებში „Eraniste“ იყენებს „სიტყვებს განცხადებისათვის“ შესავლის სახით, სადაც მოხსენებულია თვით კირილეს სახელიც: „Κυρίλλου ἐπισκόπου Ἱεροσολύμων ἐκ τῶν κατηχητικῶν τετάρτου λόγου· Περὶ τῶν εἴδημάτων, περὶ τῆς ἐκ παρθένου γεννήσεως· Πίστεις δὲ οὗτοι οὗτοι...“<sup>4</sup>.

სევეროს ანტიოქელი იოანე გრამატიკოსის წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკურ ნაშრომში დაახლოებით შვიდჯერ მოიხსენიებს კირილე იერუსალიმელს საკუთარ შეხედულებათა დასაცავად<sup>5</sup>.

<sup>1</sup> W. J. Swaans M. O., À propos des „Catéchèses Mystagogiques“ attribuées à S. Cyrille de Jerusalem. Le Muséon, 1942, გვ. 17.

<sup>2</sup> ეპისკოპოსი კირილე იერუსალიმელი, ზშირად დაგმობილი ეკლესიისაგან და კვლავ აღდგენილი, ბოლოს და ბოლოს თეოდოსიოსის მმართველობის დროს რვა წლის განმავლობაში ურყევად ფლობდა საეპისკოპოსო [კათედრას]. ცნობილია მისი სიტყვები, რომლებიც ახალგაზრდობის დროსაა შეთხზული. P. L., t. XXIII, col. 705—708.

<sup>3</sup> W. J. Swaans, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

<sup>4</sup> P. Gr., t. LXXXIII, col. 204—205.

<sup>5</sup> W. J. Swaans, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

კირილე იერუსალიმელის „სიტყვებს განცხადებისათვის“ იმოწმებს ანასტასი სინელი თავის „Ὁμηγής“-ში: „Κυρίλλου Ἱεροσολύμων ἐκ τῶν κατηχητικῶν οὐ ἐκ τῶν κατηχητικῶν. Οὐδὲν ἤμῃν ὄφελος...“<sup>6</sup>.

„სიტყვებს განცხადებისათვის“ კარგად იცნობს იოანე დამასკელი. „Oratio tertia de Imaginibus“-ში იგი იყენებს ნაწყვეტს ამ „სიტყვიდან“: „Κυρίλλου πατριάρχου Ἱεροσολύμων, ἐκ τῆς δωδεκάτης κατηχήσεως. Εἰ τοῖσιν ζήτεῖς...“<sup>7</sup>.

ნიკეის მეორე მსოფლიო კრებას (787 წ.) მოჰყავს ციტატი კირილე იერუსალიმელის მეორე „სიტყვიდან განცხადებისათვის“: „Τὸν ἄγιον Κυρίλλου ἀρχιεπισκόπου Ἱεροσολύμων κατηχήσεως δευτέρα, ἧς ἀρχή· Δεινόν...“<sup>8</sup>.

ფოტი „მანიქეველთა ისტორიაში“ იმოწმებს ნაწყვეტს კირილე იერუსალიმელის მეექვსე „სიტყვიდან“<sup>9</sup>. გარდა ამისა, ამ ავტორზე საუბრისას იგი ახსენებს მხოლოდ მის „სიტყვებს განცხადებისათვის“: „Ὅστις νῦν καὶ ἄγιος παρὰ πᾶσιν ἔστι τε καὶ ὀνομάζεται· οὗτος καὶ τὰς πρὸς τοὺς φωτισζομένους κατηχήσεις ἐν ὑψηλῇ Θεολογίᾳ συνεγράψατο“<sup>10</sup>.

კირილე იერუსალიმელის შესახებ ცნობებს გვაწვდიან სოკრატე და სოძომენი თავიანთ საეკლესიო ისტორიებში<sup>11</sup>.

თეოფანე მქადაგებელიც იცნობს მხოლოდ კირილე იერუსალიმელის „სიტყვებს განცხადებისათვის“: „Ὁθεν τινὲς Ἀρειανόφρονοι διαβήλοισι τὸν αὐτὸν κυρίλλου, λέγοντες καὶ τὴν τῶν ὁμοουσίου φωνὴν παρασεσιγχεῖναι αὐτὸν ἐν ταῖς Κατηχήσεσιν, αἷς ἐξέμετο ἐπ’ ὠφέλεια τῶν ἀπίρων λαῶν τῶν τῷ θεῷ προσελθόντων βαπτίσματι διὰ τὸ θαῦμα τῶν ζωοποιῶν σταυρῶν“<sup>12</sup>.

გიორგი ჰამარტლი „სინათლის მომღვწე ჯვრის გამოჩინებაზე“ საუბრისას აღნიშნავს, რომ წმინდა კირილე ამ დროს იყო ქალაქის ეპისკოპოსი. შემდეგ იგი ჩამოთვლის მის ნაწარმოებებს: „τούτου σφλονται κατηχήσεις· ἡ’ εὐδοκίμωσ συγγεγραμμένοι—οὗτος ἔγραψε τῷ βασιλεῖ Κωνσταντίνῳ περὶ τῶν γενομένων σημείων“<sup>13</sup>. ამ სიაშიც ნახსენებია მხოლოდ „სიტყვები განცხადებისათვის“.

ამრიგად, მოტანილი მასალიდან აშკარად ჩანს, რომ უძველესი ავტორები იცნობენ და სარგებლობენ მხოლოდ „სიტყვებით განცხადებისათვის“. რაც შეეხება „სიტყვებს საიდუმლოებათათვის“, ამ „სიტყვათა“ მოხსენიება პირველად გვხვდება ნიკონ შავმთელთან (XI ს.), რომელიც მათ კირილე იერუსალიმელს მიაწერს: „Τὸν ἄγιον Κυρίλλου Ἱεροσολύμων. Μνημονεύομεν δὲ καὶ ὑπὲρ τῶν χειρομηγμένων ἄγιων, Πατέρων τε καὶ ἐπισκόπων“<sup>14</sup>.

კირილე იერუსალიმელს მიაწერს „სიტყვებს საიდუმლოებათათვის“ XII საუკუნის ერთი ნაკლებად ცნობილი ნაწარმოებიც „Περὶ Θεῶν μυστηρίων“: „Κυ-

<sup>6</sup> P. Gr., t. XXXIII, col. 388

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> P. Gr., t. CII, col. 33.

<sup>10</sup> P. Gr., t. XXXIII, col. 311—312.

<sup>11</sup> P. Gr., t. XXXIII, col. 297—304.

<sup>12</sup> P. Gr., t. CVIII, col. 141—142.

<sup>13</sup> P. Gr., t. CX, col. 661B.

<sup>14</sup> P. Gr., t. XXXIII, col. 313.



ρίλλου Ἱεροσολύμων, ἐκ τῆς β' μυσταγωγίας· Μὴ πρόσεχε οὐκ ὡς ψιλοῖς τῷ ἄρθῳ ἢ τῷ οὐκ...“<sup>15</sup>.

როგორც ვხედავთ, კირილე იერუსალიმელის თხზულებათა შესახებ არსებული ცნობები სხვადასხვა ხასიათისა და დროისაა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ერთი დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება: „სიტყვები განცხადებისათვის“ ამ ავტორს მიეწერება ადრეულ წყაროებში, ხოლო „სიტყვების საიდუმლოებათათვის“ ხსენება მხოლოდ XI საუკუნიდან ჩნდება.

მოტანილ წყაროთა განსხვავებულმა მონაცემებმა მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ავტორობის საკითხს პირველად ვრცლად შეეხო შერმანი. მისი აზრით, კირილე იერუსალიმელი ავტორია მხოლოდ „სიტყვებისა განცხადებისათვის“, ხოლო „სიტყვები საიდუმლოებათათვის“ მას არ ეკუთვნის<sup>16</sup>. ეს მოსაზრება გაზიარებულ იქნა სხვა მრავალი მეცნიერის მიერ (სვანსი, რიპარდი, ტელფერი). შერმანის წინააღმდეგ 1915 წელს გაილაშქრა ს. სალავილი (იგი ამტკიცებდა, რომ ამ ავტორს ეკუთვნის როგორც „სიტყვები განცხადებისათვის“, ასევე — „საიდუმლოებათათვისაც“) <sup>17</sup>. ფაქტიურად ამ დროიდან დაიწყო კამათი კირილე იერუსალიმელის ავტორობის საკითხის ირგვლივ და ეს კამათი დღემდე არ დასრულებულა. საკითხის გადაწყვეტას ართულებს ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ამ ავტორის თხზულებათა სრული კრიტიკული გამოცემა ბერძნულ ენაზე.

შერმანი და მისი თანამოაზრენი თავის თვალსაზრისს უძველესი ბერძნული ხელნაწერების ცნობებზე ამყარებენ. ამ ხელნაწერებში კი ასეთი სურათია: ხელნაწერი Monac. gr. 394 (X ს.) „სიტყვებს საიდუმლოებათათვის“ იოანე იერუსალიმელს მიაკუთვნებს: „Μυσταγωγίαι κατηχήσεις ε' Ἰωάννου ἐπισκόπου Ἱεροσολύμων“<sup>18</sup>. დანარჩენ ოთხ ხელნაწერში კი „სიტყვები საიდუმლოებათათვის“ ორ ავტორს კირილე და იოანე იერუსალიმელებს მიეწერება ერთდროულად:

1. Ottobon. 86. (X—XI ს.)—„Μυσταγωγία πρώτη πρὸς τοὺς νεοφωτιστοὺς καὶ ἀνάγνωσις... τῶν αὐτῶν Κυρίλλου καὶ Ἰωάννου ἐπισκόπου“<sup>19</sup>.
2. Vat. gr. 602 (XVI ს.)—„Μυσταγωγία πρώτη πρὸς τοὺς νεοφωτιστοὺς καὶ ἀνάγνωσις... τῶν αὐτῶν Κυρίλλου καὶ Ἰωάννου ἐπισκόπου“<sup>20</sup>.
3. Ottobon. 446 (XV ს.)—„Μυσταγωγία α' πρὸς τοὺς νεοφωτιστοὺς καὶ ἀνάγνωσις... τῶν αὐτῶν Κυρίλλου καὶ Ἰωάννου Ἐπισκόπου“<sup>21</sup>.
4. Monac. gr. 278 (XVI ს.)—„Τὸν αὐτῶν Κυρίλλου καὶ Ἰωάννου ἐπισκόπου“<sup>22</sup>.

<sup>15</sup> P. Gr., t. XXXIII, col. 316.

<sup>16</sup> Theologische Revue, n<sup>o</sup> 19, col. 575—579, compte-rendu de l'ouvrage de J. P. Bock, Die Brotbitte des Vaterunser, Paderborn, 1911 (ეპოწმებთო. სვანსის ცნობით: დასახ. ნაშრომი, გვ. 2.).

<sup>17</sup> S. Salaville, Une question de critique littéraire, Les Catéchèses de saint Cyrille de Jerusalem dans Echos d'Orient, t. XVII, 1915, გვ. 531—537.

<sup>18</sup> W. J. Swaans, დასახ. ნაშრომი, გვ. 35. •

<sup>19</sup> იქვე, გვ. 41.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> იქვე.

ს. სალაველი და მისი მომხრენი კირილეს ავტორობის შესახებ საკუთარი აზრის დასამტკიცებლად მიმართავენ ლიტერატურულ ტრადიციას. ლიტერატურული ტრადიცია კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოიშვა იმ ცნობათა საფუძველზე, რომლებსაც სხვადასხვა ადრეული ავტორი გვაწვდის და რომელთაგან ზოგიერთი უკვე განვიხილეთ.

კირილე იერუსალიმელი რომ ავტორი უნდა ყოფილიყო „სიტყვებისა საიდუმლოებათათვის“, ამაზე ერთგვარ მითითებას ზემოთ მოხსენებული მკვლევარები ხედავენ კირილეს მე-18 „სიტყვაში განცხადებისათვის“. მოგვყავს ეს ადგილი სრულად — ბერძნული ტექსტი და ქართული თარგმანი:

„Μετὰ δὲ τὴν ἀγίαν καὶ σωτήριον τοῦ Πατρὸς ἡμέραν, ἀπὸ τῆς δευτέρας τῶν Σαββάτων, εὐχὴς, κατ’ ἐκάστην ἡμέραν ἐν ταῖς ἐξῆς τῆς ἐξδομάδος ἡμέραις, μετὰ τὴν σὺναξιν, εἰς τὸν ἄγιον, τῆς ἀναστάσεως τόπον εἰσερχόμενοι, κατηχήσεως ἄλλων ἀκούσασθε, Θεοῦ μέλονται· ἐν αἷς πάλιν περὶ ἐκάστου τῶν γεγενημένων, διδαχθήσεσθε τὰς αἰτίας, ἐκ Παλατῆς δὲ καὶ Καινῆς Διαθήκης λήψασθε τὰς ἀποδείξεις· πρῶτον μὲν, περὶ τῶν πρὸ τοῦ βαπτίσματος εὐχῆς γενομένων· ἔπειτα δὲ, πῶς ἐκαθάρισθητε τῶν ἁμαρτιῶν ὑπὸ τοῦ Κυρίου, τῷ λουτρῷ τοῦ ὕδατος ἐν ῥήματι· καὶ ὅπως ἱερατικῶς τῆς χριστοῦ προσηγορίας γεγόνათε κοινωνοί, καὶ ὅπως ἡ σφραγὶς ὑμῶν ἐδόθη τῆς κοινωνίας τοῦ ἁγίου Πνεύματος· καὶ περὶ τῶν ἐν θυσιαστηρίῳ τῆς Καινῆς Διαθήκης μυστηρίων, ἃ τῆς ὁρχῆς ἐντείνθη ἐίληψα· τίνα μὲν αἱ

„აღდგომის წმინდა და ცხოველის-ყოფელი დღის შემდეგ, უშუალოდ მეორე შაბათს, შეიდეულის თითოეულ დღეს, შეკრების შემდეგ, აღდგომის წმინდა ადგილას მოსულნი, ღმრთის ნებით, ყოველდღე მოისმენ სხვა სიტყვებსაც, რომლებშიაც ხელახლა გესწავლებათ თითოეული მომხდარი მოვლენის მიზეზი და ძველი და ახალი აღთქმიდან მიიღებთ დამოწმებას. პირველად იმას, რაც უშუალოდ უძღოდა წინ ნათლის-ღებას, შემდეგ კი — როგორ განიწმიდენით ცოდვებისაგან უფლის მიერ წყლით განბანით და სიტყვით, რათა გამხდარიყავით ზიარი წმიდად ქრისტეს სახელისა და მოგვემოდათ თქვენ სულიწმიდასთან ერთობის ბეჭედი“<sup>23</sup>.

„საკურთხეველსა ზედა ახლისა რჩელისასა წმიდათა საიდუმლოთათს, რომელთა დასაბამი მიეღო, რაოდენი

<sup>23</sup> ამ სიტყვის ძველი ქართული თარგმანი შემოგვინახა ერთმა „მრავალთავმა“ (A—144), მაგრამ ხელნაწერში ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტის თარგმანი დაზიანებულია, ამის გამო ვიძლევი ჩვენს თარგმანს. ხოლო სიტყვიდან: „საკურთხეველსა“... ბოლომდე გრძელდება ხელნაწერის ტექსტი — A—144, გვ. 129.

θεία Γραφαί παραδεδώκασι,  
 τίς δὲ ἢ τούτων, δύναμις·  
 καὶ ὅπως προσιναί τούτοις,  
 καὶ πότε καὶ πῶς ἔχειν  
 χρῆ. Ἐπὶ τέλει δὲ πάντων,  
 ὅπως ἡμᾶς εἰς τὸν ἐπιόντα,  
 χρόνον, ἔργους τε καὶ λόγους  
 ἐπαξίως τῆς χάριτος  
 ἀναστρέφειν δεῖ, πρὸς τὸ  
 δυνήθηναί· πάντας ἡμᾶς  
 ἀπολαύσαι τῆς αἰωνίου  
 ζωῆς. καὶ ταῦτα μὲν, εἰ  
 Θεὸς θέλει, λεχθήσεται.<sup>24</sup>

საღმრთოთა წიგნთა მოსცეს,  
 და რაჲ-იგი არს ამათი ძალი,  
 ვითარ არს მოსლვაჲ ამითდა  
 და ოდეს და ვითარ-იგი ჭამს  
 პყრობად; და უკუნაჲსკნელ ყოვლისა,  
 ვითარ იგი თქუენ მომავალთა  
 ეამთა საქმეთა კეთილთა და სიტყუათა  
 ღირსად მადლისა მის  
 ყოფად, რაჲთა  
 შეუძლოთ თქუენ ყოველთა  
 მოღებად ცხოვრებჲა  
 საუკუნოჲ. და ესე თუ  
 ღმერთსა უნდეს — ითქუნედ“.

ეს ნაწყვეტი, როგორც ვხედავთ, არაფერს გვეუბნება კირილე იერუსალიმელის შესახებ. აქ ნათქვამია, რომ ახალბედები დაესწრებთან შემდეგში ქადაგებათა ახალ სერიას, რომელსაც შესაძლებელია სამართლიანად ვუწოდოთ „სიტყვები საიდუმლოებათათვის“, მაგრამ არაფერია თქმული იმის შესახებ, რომ სიტყვებს ამ საიდუმლოებათა შესახებ წარმოთქვამს თვით კირილე.

გარდა ამ ფრაგმენტისა, კირილე იერუსალიმელის ავტორობის დამკველნი თავიანთი აზრის დასასაბუთებლად იშველიებენ ნაწყვეტებს ამავე მწერლის სხვადასხვა „სიტყვიდან“ (მაგ.: XIII „სიტყვა განცხადებისათვის“, XVI „სიტყვა განცხადებისათვის“, I „სიტყვა საიდუმლოებათათვის“ და სხვ.)<sup>25</sup>.

ეს საბუთები, ერთისა და მეორის მხრივაც, სრულიადაც არ არის საკმარისი კირილე იერუსალიმელის ავტორობის დასამტკიცებლად, თუ უარსაყოფად. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული კასტენსაც: „ის ფაქტი, რომ „სიტყვები საიდუმლოებათათვის“ ერთ ხელნაწერში კირილეს მიეკუთვნება, ხოლო სამში კირილესა და იოანეს, გვიჩვენებს, რომ ისინი პირველად მოამზადა და გაავრცელა კირილემ, ხოლო მოგვიანებით გადაამუშავა მისმა მემკვიდრე იოანემ“<sup>26</sup>.

კირილე იერუსალიმელის ავტორობის საკითხის განხილვისას უდავოდ დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ მის ნაწარმოებთა ადრეულ თარგმანებს. ამათგან პირველად ჩვენ შევხვებით ქართულ ვერსიას.

უძველესმა ქართულმა ხელნაწერებმა — „მრავალთავებმა“ შემოგვინახა კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი 11 საკითხავი. გარდა „მრავალთავებისა“, ამ ავტორის თხზულებათა თარგმანს სხვა უძველეს ქართულ ხელნაწერებში ვერ ვხვდებით. მხოლოდ კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეს თარგმანია ძველ ქართულ ლექციონარებში: ლატალის (X ს.), პარიზის (XI ს.). ქართულ თარგმანთა შესწავლისას ჩვენ ვერსად ვერ შევძელით აღმოგვეჩინა „სიტყვების საიდუმლოებათათვის“ კვალიც კი. როგორც ჩანს, ქართულ ენაზე „სიტყვები საიდუმლოებათათვის“ არ ყოფილა თარგმნილი.

<sup>24</sup> P. Gr., t. XXXIII, col. 1055.

<sup>25</sup> სხვადასხვა მეცნიერთა ვარაუდი და მოსაზრება ამ საკითხის გარშემო დაწვრილებით მიმოხილული აქვს ი. სვიანის დასახელებულ ნაშრომში, გვ. 10—17.

<sup>26</sup> I. Quasten, Cyril of Jerusalem, Patrology, The golden age of greek patristic literature, 1960, v. III, გვ. 366.



სომეხი თეოლოგებისთვისაც კირილე იერუსალიმელის სახელი უცნობი არ არის. სომხურ ლიტერატურაში მრავალი ცნობაა შემონახული ამ ავტორის შესახებ. ნ. აკინიანისა და სხვათა მოსაზრებით კირილე იერუსალიმელის თხზულებები სომხურ ენაზე ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში უნდა თარგმნილიყო<sup>27</sup>. მაგრამ როგორც ძველ ქართულ ლიტერატურაში, ასევე ძველ სომხურშიც ცნობილია მისი „სიტყვები“ მხოლოდ „განცხადებისათვის“.

კირილესა და მის თხზულებებს იცნობს და ასახელებს მრავალი სომხური წყარო: ლაზარე ფარბელი ვაჰანის მიმართ ეპისტოლეში მოიხსენიებს ათანასეს, ბასილი კესარიელს, გრიგოლ ნაზიანზელს, კირილე ალექსანდრიელსა და კირილე იერუსალიმელს<sup>28</sup>. კირილე იერუსალიმელის „სიტყვებიდან განცხადებისათვის“ სამი ნაწყვეტი იქნა ჩართული მე-7 საუკუნის თხზულებაში „სარწმუნოების ბეჭედი“<sup>29</sup>. იოანე ოძუნელი თავის თხზულებაში „იმ კრებათა შესახებ, რომლებიც შედგა სომხეთში“ დვინის საეკლესიო კრების აღწერისას (719 წ.) ახსენებს კირილე იერუსალიმელს<sup>30</sup>. არიანელების წინააღმდეგ კირილე იერუსალიმელის ბრძოლას შესანიშნავად იცნობს მოსე ხორენელი. მან ასევე იცის იერუსალიმში მომხდარი „პატიოსანი ჯვრის გამოჩინების“ სასწაული, რომელიც კირილეს ეპისკოპოსობის დროს მოხდა<sup>31</sup>. მოსე დახურანელი ამ ავტორის თხზულებებს შორის ეხება მხოლოდ საკითხავებს შობის, ნათლისღებისათვის და ეპისტოლეს კონსტანტინე იმპერატორისადმი<sup>32</sup>. XIV საუკუნის სომხურ სენაქსარშიაც მოხსენებულია კირილე იერუსალიმელი და აქაც მხოლოდ მისი „სიტყვები განცხადებისათვის“<sup>33</sup>.

საინტერესოა სომხურ ხელნაწერთა მონაცემებიც. მატენადარანში დაცულ სომხურ ხელნაწერთა შორის, რომელთა გაცნობაც ჩვენ შევქელით № 68 (1383—1384 წწ.), № 108 (1322 წ.), № 267 (1609, 1613 წწ.), № 478 (მე-17 ს.), № 557 (1386 წ.), № 581 (1371 წ.), № 601 (1418 წ.), № 663 (1724 წ.), № 664 (1723 წ.), № 665 (1710 წ.), № 666 (1708—1709 წწ.) და სხვა, არ აღმოჩნდა არც ერთი „სიტყვა საიდუმლოებათათვის“. მაშასადამე, ვერც სომხურში ვხვდებით ამ სიტყვების თარგმანს<sup>34</sup>.

„სიტყვები საიდუმლოებათათვის“ არ არის არც პალესტინური წარმოშობის სირიულ ვერსიაში. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გაცნობოდით ერთი ქართული პალიმფსესტური ხელნაწერის აღწერილობას (sin. 81)<sup>35</sup>, რომელიც დღემდე დაკარგულად ითვლებოდა. ხელნაწერის ქვედა ფენას წარმოადგენს მე-6 საუკუნის დიდი და მშვენიერი პალესტინური სირიული ასოებით დაწერილი ტექსტი, რომელიც შეიცავს ნაწყვეტებს ახალი აღთქმიდან და სხვა თხზულებებიდან.

<sup>27</sup> Haudes Amsorya. 1932. სვ. 121.

<sup>28</sup> R. W. Thomson. The Teaching of Saint Gregory An Early Armenian Catechism, Harward Armenian Texts and Studies, 3, 1970, გვ. 32.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 32—33.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> Patr. Orientalis, t. XXI, გვ. 175.

<sup>34</sup> კირილე იერუსალიმელის სიტყვათა სომხური თარგმანი სამჯერ არის გამოცემული და ასევე არც ერთ მათგანში არ არის დასახელებული „სიტყვები საიდუმლოებათათვის“.

<sup>35</sup> ამ ხელნაწერის მოკლე აღწერილობას იძლევა ალ. ცაგარელი—Памятники грузинской старины. Палестинский сборник, т. IV, СПб., 1889, გვ. 91.

ზედა ფენა ქართული ტექსტია და დაწერილია შესანიშნავი ნუსხურით. ტექსტა გადაწერილია მე-10 საუკუნის ცნობილი კალიგრაფის იოანე-ზოსიმეს მიერ და ანდერძის მიხედვით დათარიღებულია 979 წლით. სწორედ ამ ხელნაწერის ქვედა ფენაში (VI ს.) შემონახულია კირილე იერუსალიმელის „სიტყვების განცხადებისათვის“ პალესტინური სირიული ვერსიის უძველესი ტექსტი. ამ ავტორის თხზულებებიდან აქ არის მხოლოდ პროკატეხისისის (პროკატელია) ნაწილი და ნაწყვეტები III—VIII-მდე და X—XVIII-მდე „სიტყვების განცხადებისათვის“. როგორც ვხედავთ, არც აქ არის არც ერთი „სიტყვა საიდუმლოებათათვის“. ამ უძველესი ხელნაწერის მონაცემები მეტად საყურადღებოა, რადგანაც დღეისათვის უცნობია სხვა შედარებით უფრო ადრეული პალესტინური სირიული ხელნაწერი ამ ავტორის თხზულებებით, ხოლო გამოქვეყნებული მასალა მხოლოდ თხზულებათა ფრაგმენტებს მოიცავს<sup>36</sup>.

კირილე იერუსალიმელის თხზულებათა არაბულ ვერსიაშიც არა გვაქვს „სიტყვები საიდუმლოებათათვის“. ლუვენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 1940 წლამდე ინახებოდა X ს. არაბული ხელნაწერი, რომელშიაც წარმოდგენილი იყო მხოლოდ ამ ავტორის „სიტყვები განცხადებისათვის“. თვით კოდექსის შედგენილობაც სრულიად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მასში ოდესმე ყოფილიყო მოთავსებული „სიტყვები საიდუმლოებათათვის“<sup>37</sup>. ასევე ცნობილია ორი სხვა არაბული ხელნაწერიც (პირველი ინახება პოლ სბატის ბიბლიოთეკაში — კაირო, ხოლო მეორე — ვატიკანის ბიბლიოთეკაში), რომლებშიაც მხოლოდ „სიტყვებია განცხადებისათვის“<sup>38</sup>.

კირილე იერუსალიმელის „სიტყვათა“ არაბულ თარგმანს ცალკე განიხილავს გ. გრაფი, რომლისთვისაც უცნობია „სიტყვები საიდუმლოებათათვის“<sup>39</sup>. „სიტყვები საიდუმლოებათათვის“ არ არის არც კოპტურ ვერსიაში<sup>40</sup>.

„სიტყვები საიდუმლოებათათვის“ გვხვდება მხოლოდ ბერძნულ ხელნაწერებსა და ბერძნულ გამოცემებში, სადაც ისინი კირილე იერუსალიმელს მიეწერება. ამ ავტორის თხზულებათა უძველეს თარგმანთა (ქართული, სომხური, არაბული, კოპტური, პალესტინური სირიული) განხილვისა და შესწავლისას ჩვენ ვერ შევძელით დაგვეძებნა მცირედი ნაშთიც კი „სიტყვებისა საიდუმლოებათათვის“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამ ავტორს მართლაც არ შეუქმნია „სიტყვები საიდუმლოებათათვის“, ყოველ შემთხვევაში კირილე იერუსალიმელის ნაწარმოებთა ისეთი უძველესი თარგმანები, როგორიცაა ქართული, სომხური, არაბული, კოპტური, პალესტინური სირიული მათ კირილე იერუსალიმელის სახელით არ იცნობს.

<sup>36</sup> H. Duensing, *Christlich palästinisch—aramäische Texte und Fragmente*, Göttingen, 1901, გვ. 41—62.

<sup>37</sup> W. J. Swaans, დასახ. ნიშრომი, გვ. 42.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> G. Graf, *Geschichte des christlichen arabischen Literatur*, *Studi Testi*, 118, 1959, გვ. 335—337.

<sup>40</sup> Budge, *Miscellaneous coptic texts*, London, 1915.

## იზა ლობორჯინიძე

გ. წერეთლის რომანის „გულქანის“ შემოქმედებითი და  
გაგვლითი ისტორიისათვის

გიორგი წერეთლის რომანის „გულქანის“ შექმნისა და გამოქვეყნების ისტორია მეტად საინტერესო და რთულია. მართებულად მიუთითებენ, რომ „გულქანის“ ბეჭდვის ისტორია ცენზურის უღმობელი დევნის კლასიკური ნიმუშია ქართულ ლიტერატურაში<sup>1</sup>. საყოველთაოდ ცნობილია მეფის ცენზურის სასტიკი დამოკიდებულება XIX ს. საქართველოს პროგრესულ მწერალთა და პუბლიცისტთა ნაწერების მიმართ. სიმართლის თქმა „ენის კვებით“ გვიხდებოდაო, — ამბობდა ილია ჭავჭავაძე. ცენზურის სიმწარე „საფლავშიც ქარცეცხლად მიმყვებაო“, — წერდა აკაკი წერეთელი. ასეთ მძიმე საცენზურო პოლიტიკის ვითარებაში დაწერა გ. წერეთელმა რომანი „გულქან“ და მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა ენერგია არ დაზოგა, დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა გადაიხადა რომანის გამოქვეყნებისათვის, სიცოცხლეში ამას იგი მაინც ვერ მოესწრო.

„გულქანის“ წერისა და გამოქვეყნების ისტორია საბოლოოდ შესასწავლი და დასაზუსტებელია. კვლევის მიზანს აღნიშნული ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა და ზოგადი ხასიათის დასკვნების გამოტანა შეადგენს. მაგრამ საკვლევი პრობლემის დანაწევრებისა და თითოეული მათგანის საგანგებოდ შესწავლის გარეშე კვლევა-ძიების სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ.

პირველად ყურადღებას ვამახვილებთ „გულქანის“ დაწერისა და მისი გამოქვეყნებისათვის ბრძოლის ისტორიაზე. საკითხის ეს მხარე<sup>2</sup> შესაძლებელია ორ ძირითად პუნქტად დაიყოს: ა) „გულქანის“ გამოქვეყნებისათვის ავტორის ბრძოლის ისტორია, რომელიც ცენზურის მხრივ უხეში ჩარევისა და შეუზღუდველი ზემოქმედების გამოვლენაა, და ბ) რომანში შეტანილი ავტოცენზურული ცვლილებანი.

1. რომანის წერის ხანგრძლივი ისტორია<sup>3</sup>, მასში აღწერილი ამბების განვითარება გვაფიქრებინებს, რომ გ. წერეთელს იმთავითვე არა ჰქონია რომანის დაწერის განზრახვა. თავდაპირველად ავტორს განუზრახავს მოთხრობის დაწერა, რომელშიაც აღწერილი იქნებოდა ბატონყმური ურთიერთობის სცენები რეფორმამდელ საქართველოში, ყმების სრული პოლიტიკური უუფლებობა და ეკონომიური სიბეჩავე. მართლაც, გაზეთ „დროების“ 1868 წლის ჩუთ ნომერ-

1 ა. ქილაია, გიორგი წერეთელი, 1967, გვ. 339.

2 ასევე საგანგებოდ უნდა იქნეს შესწავლილი საკითხის სხვა მხარეებიც, როგორცაა მაგალითად: ა) ავტორის შემოქმედებითი მუშაობა ნაწარმოების ენარული თუ იდეურ-მხატვრული ღირებულების სრულყოფისათვის; ბ) რედაქტორული ცვლილებანი.

3 „გულქანის“ დაწერისა და გამოქვეყნების ისტორია შედარებით ვრცლად წარმოადგინა მკვლევარმა მ. დუდუჩავამ (იხ. წინასიტყვაობა „გულქანის“ 1935 წლის გამოცემისა, გვ. V—XIII). ამ ისტორიის ზოგიერთ ძირითად მომენტზე ყურადღება გაამახვილა აგრეთვე მკვლევარმა ა. ქილაიამ (ა. ქილაია, გიორგი წერეთელი, 1967, გვ. 339—340).



ში (№№ 40, 41, 42, 43, 45) საერთო სათაურით: «რამდენიმე სურათი მოთხრობიდან „გვრიტია“» გამოქვეყნდა ნაწარმოების I, II, III, IV, V, X და XI თავები<sup>4</sup>.

ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „დროებასა“ და ასევე „სასოფლო გაზეთში“ მოთხრობა „გვრიტიას“ ბეჭდვა შეწყდა „საცენზურო კომიტეტის „გულისხმიერი“ ჩარევით“<sup>5</sup>. ასეთი მოსაზრება ზოგადად შეიძლება იყოს სავარაუდებელი, მთავარი კი ის არის, რომ ცენზურის მკაცრი განაჩენი, როგორც ეს ისტორიული დოკუმენტებით მტკიცდება, შეეხო ძირითადად რომან „გულქანს“, რომელშიაც „გვრიტიასგან“ განსხვავებით აღწერილია საგლეხო რეფორმის შემდეგდროინდელ (70-იანი და 80-იანი წლების) საქართველოში შექმნილი სოციალური ურთიერთობანი; კერძოდ, მეფის რუსეთის თვითნება მოხელეთა და საერთოდ ბიუროკრატიული რეჟიმის გამხრწნელი ზეგავლენა მაშინდელ ქართულ საზოგადოებრივ სინამდვილეზე. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, არსებითად სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ცენზურის ულმობელი განაჩენი გ. წერეთლის რომანის მიმართ.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ 1895 წლამდე<sup>6</sup> რომან „გულქანის“ შესახებ რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება. 1895 წლის „კვალის“ 47-ე ნომრიდან დაწყებული ვკითხულობთ ასეთ განცხადებას: „მომავალი 1896 წლის ხელის მომწერლებს „კვალისას“ დაურიგდებათ პრემიათ ახალი რომანი გიორგი წერეთლისა, სახელათ „გულქან“. რომანი შედგება სამი ნაწილისაგან“<sup>7</sup>. „კვალის“ 1897 წლის მეორე ნომერში კი იბეჭდება შემდეგი განცხადება: „რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაპირებული პრემია „კვალისა“ რომანი გიორგი წერეთლისა, სახელათ „გულქან“ ჯერ არ იბეჭდება“. „რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზები“ კი იყო მეფის ცენზურა, რომლის დამოკიდებულება რომანისადმი ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს შეადგენს.

საქმის ისტორიული მიმდინარეობა ასეთია: გ. წერეთლის მიერ საცენზურო კომიტეტში წარდგენილი რომანის I და II ნაწილების მიმართ ცენზურას შემდეგი დადგენილება გამოუტანია: „По журналу Цензурного Комитета 14 августа 1896 г., определено: в виду тенденциозного содержания настоящей рукописи под заглавием „Гулкани“, напечатание таковой запретить и удержать при делах Комитета.“

Председатель Комитета М. Гакер  
Секретарь Н. Меликнубаров“.

ასეთი წარწერა გაუკეთებიათ გიორგი წერეთლის მიერ საცენზურო კომიტეტში წარდგენილი ხელნაწერის პირველ გვერდზე<sup>8</sup>. ცხადია, გ. წერეთელი, რომელმაც რამდენიმეჯერ წინასწარ აღწყა მკითხველ საზოგადოებას რომანის გამოქვეყნების შესახებ, ცენზურის ასეთ მკაცრ გადაწყვეტილებას ვერ შეურიგდებოდა. მართლაც, რომანის ავტორსა და საცენზურო ორგანოებს შორის იწყება მაშინდელი ვითარებისათვის დამახასიათებელი მიმოწერა-კამათი, რო-

<sup>4</sup> პარალელურად „სასოფლო გაზეთში“ (1868, № 34, 35, 37) დაიბეჭდა „დროებაში“ გამოქვეყნებული IV—V თავები საერთო სათაურით „ბაკურიძე და იმისი ვლესი პეტრიელა“ და XI თავი სათაურით „თათიას სიკვდილი და ბაკურიძის ყმების შეშინება“.

<sup>5</sup> ა. ჯილიაი, გიორგი წერეთელი, 1967, გვ. 339.

<sup>6</sup> მოთხრობა „გვრიტიას“ გამოქვეყნებიდან უკვე 27 წელია გასული.

<sup>7</sup> ეგვივე განცხადება დაიბეჭდა „კვალის“ 1895 წლის 52-ე და 53-ე და 1896 წლის მე-6, მე-15 და 24-ე ნომრებში.

<sup>8</sup> „მნათობი“, 1928, № 5—6, გვ. 17.

მელიც ნაწარმოების I და II ნაწილების საცენზურო კომიტეტში საბოლოოდ დატყვევებით მთავრდება.

რომანის შესახებ ავტორსა და ცენზურის მესვეურებს შორის გამართული დავა-კამათი (თუ შეიძლება ასე ითქვას) მოიცავს მრავალ საინტერესო მომენტს, რომელთაგან ჩვენ აქ უმთავრესზე გავამახვილებთ ყურადღებას.

1896 წლის 7 სექტემბერს გიორგი წერეთელს საჩივარი შეაქვს კავკასიის საცენზურო კომიტეტში უფროსი ცენზორის ქიშიშიშვიცის მიერ „გულქანის“ დაბეჭდვის უმართებულოდ აკრძალვის წინააღმდეგ<sup>9</sup>. საჩივრის ტექსტიდან ირკვევა, რომ უფროსი ცენზორი ქიშიშიშვიცი გ. წერეთელს თურმე ჰპირდებოდა რომანის დაბეჭდვის ნებართვას „ზოგიერთი გამოთქმის გამოკლებით“, მაგრამ 6 სექტემბერს ქიშიშიშვიცს პირად საუბარში ავტორისათვის მოულოდნელად უცნობებია რომანის დაბეჭდვის აკრძალვის შესახებ. საჩივრის შინაარსი გვაუქრებინებს, რომ გ. წერეთლისათვის ზოგადად უკვე ცნობილია მოტივი („წარდგენილი ხელნაწერის ტენდენციური შინაარსი“)<sup>10</sup>, რას გამოც საცენზურო კომიტეტმა რომანის დაბეჭდვა აკრძალა. ავტორი „საჩივრის“ დასასრულს საცენზურო კომიტეტს თხოვს, მისი რომანი განსახილველად და მართებული დასკვნის გამოსატანად გადასცეს ქართული ენის უფრო საფუძვლიან მცოდნეს, ვიდრე ამ მხრივ ქიშიშიშვიცი ყოფილა.

1896 წლის 16 სექტემბერს საცენზურო კომიტეტი მოკლედ პასუხობს გ. წერეთლის საჩივარზე, რომ კომიტეტის მიერ რომანის ბეჭდვა შეჩერებულია „ცენზორის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, რომელიც კომიტეტმა ანგარიშგასაწევად მიიჩნია...“ „ხელნაწერი არ შეიძლება დაუბრუნდეს ავტორს“, ხოლო თუ თქვენ გსურთ კომიტეტის დადგენილების გასაჩივრება, შეგიძლიათ მიმართოთ ბეჭდვით საქმეთა მთავარ სამმართველოს<sup>11</sup>.

გ. წერეთელი კავკასიის საცენზურო კომიტეტის ამ პასუხით არ დაკმაყოფილებულა და იმავე წლის 31 დეკემბერს საცენზურო კომიტეტში შეაქვს შეკითხვა „გულქანის“ დაბეჭდვის აკრძალვის მიზეზების შესახებ, რათა საშუალება მომეცოს „წარუადგინო ახსნა-განმარტება ბეჭდვით საქმეთა მთავარ სამმართველოში და ვთხოვო მას ჩემი ხელნაწერის განხილვა ცენზურის უმაღლეს ინსტანციაში“<sup>12</sup>. როგორც ჩანს, საცენზურო კომიტეტმა გ. წერეთელს ბოლოს და ბოლოს დაწვრილებით გააცნო „გულქანის“ დაბეჭდვის აკრძალვის მიზეზები, რის შემდეგაც (1897 წ. 3 იანვარს) ავტორმა ფართო საჩივრით მიმართა ბეჭდვით საქმეთა მთავარ სამმართველოს<sup>13</sup>.

ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველო (1897 წ. 13 იანვარს) კავკასიის საცენზურო კომიტეტს უგზავნის გ. წერეთლის საჩივარს და წინადადებას აძლევს, სამმართველოსავე აუწყოს რომანის აკრძალვის დაწვრილებითი მიზე-

<sup>9</sup> საცენზურო კომიტეტის დოკუმენტები გამოაქვეყნა ა. იოვანე 1952 წ. კრებ. „საისტორიო მოამბეში“, № 6, გვ. 815.

<sup>10</sup> ალბათ ამიტომაც, რომ საჩივრის ტექსტის დიდ ნაწილში ავტორი ცდილობს აჩვენოს აღნიშნული მოტივის უსაფუძვლობა. მომდევნო დროის მიმოწერებში, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, სავსებით ნათელი ხდება — საცენზურო კომიტეტი კონკრეტულად რას გულისხმობდა „ტენდენციურ შინაარსში“.

<sup>11</sup> „საისტორიო მოამბე“, 1952, № 6, გვ. 216.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 217.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 217—219.

ნები და გადაუგზავნოს ნაწარმოების ხელნაწერიც საეკო ადგილების მონიშნით<sup>14</sup>.

მართლაც, კავკასიის საცენზურო კომიტეტი (იმავე წლის 5 თებერვალს) ბეჭდვით საქმეთა მთავარ სამმართველოს ფართო განმარტებას უგზავნის რომანის აკრძალვის მიზეზების შესახებ<sup>15</sup>. ეს მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტი გ. წერეთლის მიერ მთავარ სამმართველოში წარდგენილი ახსნა-განმარტებითი საჩივრის შემდეგ არის დაწერილი. მიუხედავად ამისა, აზრთა ლოგიკური მიმდინარეობის დაცვის მიზნით უმჯობესია პირველ რიგში მის ძირითად მომენტებს შევეხოთ<sup>16</sup>.

„გულქანის“ აკრძალვის მიზეზების შესახებ კავკასიის საცენზურო კომიტეტის აღნიშული განმარტებით ვგებულობთ, რომ რომანის პირველი ნაწილი კომიტეტისათვის განსახილველად წარუდგენიათ 1896 წლის 11 ივნისს, მეორე ნაწილი კი 20 ივლისს. ცხადია, ჩვენთვის ახლა მთავარია მოტივები, რომლებიც უფროსმა ცენზორმა ქიშმიშევმა აუწყა საცენზურო კომიტეტს, ხოლო ამ უკანასკნელმა ეს მოტივები რომანის აკრძალვის საკმაო საფუძველად მიიჩნია.

რომანის პირველი ორი ნაწილის გაცნობით ცენზორი დარწმუნებულა, „რომ ავტორს მიზნად დაუსახავს ძალიან უბადრუკ ფერებში წარმოსახოს რუსული მმართველობისა და რუსული კულტურის დანერგვის ნაყოფი განაპირა მხარის პატრიარქალურ ნიადაგზე; რომელსაც ავტორი უწოდებს „ხორხიანეთს“. „იგი დასახლებულია შარლატანებით და მას მართავენ რუსები“.

რომანის ავტორი არამიზიდველ ფერებში ხატავს რეფორმადელი ეპოქისა და გლეხთა განთავისუფლების პერიოდის ყოფით სურათებს „ხორხიანეთის“ მხარისა, „რომელშიაც ძნელი არ არის შევიცნოთ ქუთაისის გუბერნია“; ავტორმა შესაძლებლად არ ჩასთვალა შეექმნა თუნდაც ერთი მიზიდველი, პატივისცემის ღირსი რუსის ტიპი. მთავარი მოქმედი პირები მკითხველში იწვევენ მხოლოდ ზიზის გრძნობას. ასე მაგალითად, „მხარის გამგე ითვისებს სახელმწიფო თანხებს, რომელიც გზატკეცილის გასაყვანად ჯარებისათვის იყო გამოყოფილი და მას ცოლის სახელზე ლონდონის ბანკში აგზავნის, მხარის ხაზინადარი კონტრიბუციას ადებს გამოსასყიდი სესხის გაცემისას და ა. შ.“.

როგორც ვხედავთ, ქართველი (ხორხიანეთელი) მებატონის რევან ბაკურიძის აშკარა მხეცური დამოკიდებულება ყმებისადმი, რაც რომანში განსაკუთრებული სიმძაფრითაა წარმოსახული, ცენზორს დიდად არ აღეგებს; განმარტებით ბარათში მეფის ცენზურული პოლიტიკის მახვილი მთელი სიბასრით მხოლოდ იმის წინააღმდეგ არის მიმართული, რომ რომანში საძრახისად, სამარცხვინოდაა წარმოდგენილი მეფის რუსეთის ბაუროკრატიული მმართველობისა და მოხელეების, მართლაც, გამხრწნელი ზემოქმედება იმპერიის განაპირა, კერძოდ საქართველოს, ერთ-ერთ კუთხეზე. განმარტებითი ბარათის სხვა ადგილებიც სწორედ ამაზე ლაპარაკობს. მაგალითად, სავანგებოდ ესმება ხაზი, რომ რომანის ავტორის ეს მისწრაფება განსაკუთრებული რელიეფურობით

<sup>14</sup> „სისტორიო მოამბე“ 1952, № 6, გვ. 219—220.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 220—221.

<sup>16</sup> მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გ. წერეთლის „საჩივარი“ მთავარი სამმართველოსადმი, თუმცა უკანა რიცხვით, მაგრამ არსებითად მაინც, კავკასიის საცენზურო კომიტეტის მხრივ რომანის აკრძალვის მოტივთა გაბათილებას ისახავს მიზნად. ამ მოტივებს კი, როგორც ზემოთ ვთქვით, გ. წერეთელი აღრევე გაეცნო და მთავარი სამმართველოსადმი ახსნა-განმარტებითი საჩივარიც ყოველივე ზემოთ აღნიშულის გათვალისწინებით დაწერილი ჩანს.



მკლავნდება მაშინდელი აღზრდის „გამხრწნელი ზეგავლენის“ აღწერისას იმ მხარეში ერთადერთ რუსულ საქალებო სასწავლებელში. ცენზორის გულისტკივილს ზრდის ის გარემოება, რომ აღნიშნული სასწავლებელი მეფისნაცვალ ვორონცოვის მეუღლეს დაუარსებია წმინდა ნინოს დღეს, ხოლო საცენზურო კომიტეტის შეფასებით ამ სასწავლებელს „მარადსახსოვარი სამსახური გაუწე-ვია იმ მხარისათვის“.

ამას მოსდევს რომანის მთავარი ომირი ქალის გულქანისა და სასწავლებლის მთავარი აღმზრდელის, რუსი ქალის ლიდა ივანოვნას (უნდა ეწეროს ლიდა პეტროვნა) ურთიერთობის საკმაოდ დაწვრილებითი აღწერა. ასე მაგალითად, განმარტებაში ხაზგასმულია, რომ „ეს მეტისმეტად ზნედაცემული პიროვნება (იგულისხმება ლიდა პეტროვნა) სისტემატურად რყვნის თავის აღსაზრდელს, იყენებს რა მას თავის სასიყვარულო თავგადასავალთა ხელისშემწყობად... გულქანი, ლიდა ივანოვნას მაგალითებითა და დარიგებებით ზნედაცემული, ეძლევა უგუნურო კოკეტობას რუსი ახალგაზრდების საზოგადოებაში. ტრიალებს რა თითქმის მარტოოდენ რუსულ წრეში, ისმენს უზნეო ლაპარაკს, ხედავს საზიზღარ საქციელს და საბოლოოდ ირყვნება ზნეობრივად“. განმარტებაში მითითებულია გულქანის ზნეობრივი დაცემის გამოძვევე მრავალ ფაქტზე და მათ შორის ხორხიანეთის გამფლანგველი გამგისა და მისი ცოლის მიერ გულქანის სილამაზის გამოყენებაზე, რათა მრისხანე რევიზორისაგან დაეღწიათ თავი.

როგორც ვხედავთ, ცენზორი ისევ და ისევ ხაზს უსვამს მეფის რუსეთის მმართველობის ზეგავლენის უარყოფითად წარმოსახვას რომანში და გაკეთებულია კიდევ დასკვნა, რომ ავტორის მიერ „უციდურესად ტენდენციურმა და მცდარმა შეფასებამ... რუსული სახელმწიფოებრივი მმართველობისა ამიერკავკასიის ამ მხარეში“ საცენზურო კომიტეტს საფუძველი მისცა აეკრძალა რომანის დაბეჭდვა.

საკუთრადღებოა ის გარემოებაც, რომ საცენზურო კომიტეტი, იცნობს რა გ. წერეთლის განმარტებას რომანის მესამე ნაწილის შესახებ, აქაც პოულობს საბაბს მისთვის ხელსაყრელი დასკვნის გამოსატანად: „თავისი თხზულების უკანასკნელ ნაწილშიაც გ. წერეთელი მიდის იმავე, ცენზორის მიერ მითითებულ დასკვნამდე ადგილობრივ პატრიარქალურ წყობაზე რუსული კულტურის დამღუპველი ზეგავლენის შესახებ“<sup>17</sup>.

საკუთარი გადაწყვეტილების მართებულობის გასამაგრებლად საცენზურო კომიტეტი იშველიებს ვორონცოვის ავტორიტეტსაც, როდესაც წერს: რომანის მოქმედება მიმდინარეობს კ. ნ. ვორონცოვისა და მის შემცველთა მეფისნაცვლობის დროს და ყველაფერი, რაც კავკასიაში მთავრობის მერ ამ შესანიშნავ ეპოქაში შეიქმნა მთლიანად, დამცირებულია ავტორის მიერ. იმაზედაცაა მითითებული, რომ რომანში „სუსტად შენიღბული“ ფორმით გამოყვანილია „პიროვნებანი, რომლებიც სცენიდან ჰერ კიდევ არ ჩამოსულან“<sup>18</sup>.

<sup>17</sup> თუმცა გ. წერეთლის მხრივ მთავარი სამმართველოსადმი რომანის მესამე ნაწილის შესახებ განმარტება მიზნად ისახავდა ცენზურის მრისხანების შერბილებას („საისტორიო მოამბე“, 1952, № 6, გვ. 218).

<sup>18</sup> მთავარი ცენზორის ეს მოსაზრება გ. წერეთლისათვის აღრევე (აღბათ პირადი საუბრებიდან) ყოფილა ცნობილი. ამიტომ რომანის ავტორი კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი აღრე (1896 წლის 7 სექტემბერს) წარდგენილ სანივარში სივანეზობდ აღნიშნავს, რომ უფროსი ცენზორის სურვილი — რომანში გამოყვანილ ტიპებში ამოიცნოს რეალური პიროვნებანი — (მაგ. ხორხიანეთის გამგე) საფუძველს მოკლებულია; რომანში რეალურად არსებული პი-

ახლა ვნახოთ, თუ როგორი ხასიათისაა გ. წერეთლის საჩივარი ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველოსადმი კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიერ მისი რომანის აკრძალვის გამო. ავტორი მიზნად ისახავს საცენზურო კომიტეტში „რომანის უეჭველი ტენდენციურობის“ შესახებ შექმნილი შეხედულების გაბათილებას, რათა მოიპოვოს რომანის დაბეჭდვის უფლება და მიუთითებს შემდეგ ძირითად გარემოებებზე:

ა) ჩემი რომანი მოცულობით აღემატებოდა ათ საავტორო თაბახს, ამიტომ მასზე შეუძლებელია გავრცელდეს ის საცენზურო შეზღუდვა, რომელიც გათვალისწინებულია 2—3 თაბახის მოცულობის სტატიაზე.

ბ) შეუძლებელია ტენდენციურობის მოტივით აკრძალოს „მხატვრული რომანი, სადაც გამოყვანილია მხოლოდ ზოგადი ლიტერატურული ტიპები, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ცნობილ, წინასწარ გამიზნულ პირებთან, ან წოდებებთან და არც საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ გამოვლინებებთან“.

გ) გ. წერეთელს, ცხადია შეგნებულად, მხვილი გადააქვს რომანის I და II ნაწილების იმ შინაარსზე, რომელიც რეფორმამდელი საქართველოს განაპირა მხარის პატრიარქალურ ყოფას და მის უშუალოდ მომდევნო პერიოდს გვაცნობს; ამასთან, რაც მთავარია, ავტორი თითქმის მთლიანად უვლის გვერდს მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობისა და სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის აღწერას ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რომელიც რომანში საკმაო სიმძაფრით არის წარმოსახული და ცენზურასაც ნაწარმოების აკრძალვის საფუძველი მისცა.

დ) როგორც ზემოთ ვთქვით, ცენზურის რისხვის თავიდან აცილების მიზნით საჩივარში გ. წერეთელი მიუთითებს რომანის განუხილველ მესამე ნაწილზედაც, რომელშიც ასახულია 70-იანი წლების განახლებული და გაუმჯობესებული მდგომარეობა: „ისახება მრეწველობა, არსდება ბანკები, მაგრამ ამასთან ერთად პარტიათა შორის წარმოიშობა ბრძოლა საბანკო დაწესებულებებში შემოსავლიანი ადგილებისათვის“. ამ ბრძოლას გ. წერეთელი, ცხადია ცენზურის გულის მოგების მიზნით, იქვე ხსნის ახლად ჩასახული მრეწველობის წინააღმდეგობებით და არა მმართველობის უარყოფითი ზეგავლენით.

ე) გ. წერეთელი ცდილობს რუსულ ლიტერატურაზე მითითებითაც შეიმსუბუქოს მდგომარეობა და წერს: «... თუ ჩემს რომანში გატარებულ ტენდენციას ჩავთვლით საძრახისად, მაშინ მთლიანად უნდა მოგვესპო ორმოციანი წლების მომდევნო პერიოდის რუსული ლიტერატურის ყველა დიდი ნაწარმოები, რომელთა ზეგავლენითაც დაწერილია ჩემი რომანი „გულქანი“».

დასასრულს გ. წერეთელი ბეჭდვით საქმეთა მთავარ სამმართველოს უმორჩილესად სთხოვს, მისი რომანი ხელახალი ცენზურული განხილვისათვის გადასცეს „ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის საფუძვლიანად მცოდნე პირს“<sup>19</sup>.

როვნებანი არ არის წარმოსახული და ქიშიშვივი „საცენზურო წესდების საწინააღმდეგოდ“ თავს უფლებას აძლევს „ავტორის სულში ჩაძვრესო“ („საისტორიო მოამბე“, 1952, № 6, გვ. 215—216).

<sup>19</sup> ამ მხრივ გ. წერეთელს თადარიგი დაუჭერია და პეტერბურგში მყოფი ნიკო მარისა და ალ. ცაგარისათვის წერილობით უთხოვია დახმარება. ნ. მარსა და ალ. ცაგარელს წერილობითვე უპასუხნიათ, რომ მათ დამოკიდებულება არა აქვთ ცენზურასთან და, სამწუხაროდ, ვერ დაეხმარებიან („გულქანი“, 1935, მ. დედუჩავას წინასიტყვაობა, გვ. VII).

ცხადია, გ. წერეთელი დავის დროს ვერ ახერხებს მისი რომანის ტენდენციური შინაარსის დაფარვას. იგი ამოდ ცდილობს ყურადღება გადაიტანოს რომანის იმ მომენტებზე, რომლებიც მეფის ცენზურას ნაკლებად აინტერესებდა. ცენზურა კი თავის მხრივ რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა და მისი უარყოფითი შედეგების შეუფერავ ასახვას, რომელშიც მისთვის არასასურველი ტენდენცია თვალში საცემი იყო, ვერ ურიგდებოდა. ასე რომ, ავტორსა და ცენზურას შორის გამართულ მიმოწერაში ადვილად შეიმჩნევა ენათა ბაბილონური აღრევა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გ. წერეთელს არახელსაყრელი მდგომარეობიდან თავის დაღწევაში ვერ წამოეშველებოდა რუსულ მხატვრულ ლიტერატურაზე მითითებაც. ცხადია, მეფის ოუსეთის მმართველობა და ცენზურა შედარებით იოლად შეურიგდებოდა, მაგალითად ნ. გოგოლის „მკვდარ სულებს“, „რევიზორს“ და სხვ., ვიდრე შეიწყნარებდა იმპერიის განაპირა, ნახევრად კოლონიურ პროვინციაზე მმართველობის მრავალმხრივ უარყოფითი შეგავლენის გამოაშკარავებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს თუ გავითვალისწინებთ, არაფერია მოულოდნელი გ. წერეთლისადმი პეტერბურგიდან საბოლოოდ გაცემულ პასუხში, რომ „კომიტეტის გადაწყვეტილება აღნიშნული ხელნაწერის აკრძალვის შესახებ მთავარმა სამმართველომ სრულიად მართებულად სცნო“<sup>20</sup>. ამით საბოლოოდ სანქცირებულ იქნა გ. წერეთლის რომან „გულქანის“ დატყვევება კავკასიის საცენზურო კომიტეტის განკარგულებაში<sup>21</sup>.

გ. წერეთელი რომანის გამოსაქვეყნებლად ახალ, შეფარვით ხერხს მიმართავს. 1899 წლის „კვალის“ პირველ ნომერში ქვეყნდება ასეთი განცხადება: „კვალის“ მეორე ნომრიდან დაიწყება გ. წერეთლის ახალი რომანის სტამბვა, სახელათ „პირიმზე“. რომანის პირველ ნაწილში ბატონყმობის ხანა დახასიათებული, მეორე ნაწილში ყმების განთავისუფლების ხანა და მესამე ნაწილში სამრეწველო ხანის დასაწყისი».

მართლაც, „კვალის“ მეორე ნომრიდან დაწყებული მეცამეტე ნომრის ჩათვლით იბეჭდება რომან „პირიმზეს“ თორმეტი თავი. მაგრამ მეფის ცენზურა შემდეგ მაინც გაერკვა ავტორის იძულებით სვლაში და კიდევ უფრო მკაცრად დადგა საკუთარი ინტერესების დაცვის სადარაჯოზე, როცა „პირიმზეში“ რომანი „გულქანი“ ამოიცნო. მისი ბეჭდვა დაუყოვნებლივ აკრძალეს<sup>22</sup>.

<sup>20</sup> „საისტორიო მოამბე“, 1952, № 6, გვ. 222—223.

<sup>21</sup> ცენზურის ტყვეობიდან რომანი გამოიხსნა განსვენებული მწერლის მეუღლემ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისამ 1917 წელს.

<sup>22</sup> მწერლის მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა „კვალის“ შესახებ დაწერილ მოკონებაში აღწერს „გულქანისადმი“ კავკასიის საცენზურო კომიტეტის ულმოებელ დამოკიდებულებას, კერძოდ, „პირიმზეს“ შესახებ მოგვითხრობს: „გიორგისათვის არც ადვილი იყო ამის („გულქანის“ აკრძალვის. — ი. დ.) ატანა და ამ საკითხს თუ როგორ მოეახერხობთ, რომ ისევ დავებუდნით, ხშირათ ვუბრუნდებოდით. ამ დროს ქართულ ცენზორათ დაინიშნა გიორგი ქურული, ქიშიშვილი ისევ ისე ფურცაზობდა. ჩვენ მაინც გავბედით და ადრინდელი „პირიმზეს“ სათაურით დავიწყეთ ბეჭდვა, ხელახლათ. როგორი გულის კანკალით ველოდით ცენზურისაგან ხელმოწერილ „პირიმზის“ ფურცლებს! ერთხელ საშინელი ძეხი თავს დამეცა. ახლად ვაგზავნილ, აწყობილ ფურცლებს, სადაც აღწერილი იყო ქუთაისის ქალთა გიმნაზიის ცხოვრება, ბატონი ქურული, როგორც გულბრყვილო ქართველი, თურმე აღტაცებაში მოეყვანა და დაეწყო სცილი. მას მოეხვივნენ დამსწრენი და თხოვეს წავგიკითხო. ქიშიშვილი მაშინვე თურმე ეცა შკაფს, საცა დატყვევებული რომანი იყო შენახული და წარუდგინა დაკვს. ატყდა აურ-ზაური, შეადარეს ხელნაწერი და ახლათ წარდგენილი რომანი. დამძიარეს





2. ამის შემდეგ გ. წერეთელს ცენზურის თვალის ახვევის მიზნით დაუწყია რომან „გულქანის“ შესწორება-გადამუშავება. ეს სამუშაო მას ჩაუტარებია რომანის პირველი ნაწილის მიმართ, რომელიც 24 თავისაგან შედგება. აქედან, როგორც უკვე ვიცით, მან 12 თავის (შეცვლილი სათაურით „პირიმზე“) „კვალში“ გამოქვეყნებაც მოასწრო.

რომანის აღნიშნული ნაწილის შესწავლა საგულისხმოა, რადგან ამ ნაწილში შეტანილია ძირითადად ისეთი ხასიათის ცვლილებანი, რომლებიც ცენზურული პირობებით იყო გამოწვეული. რამდენადაც ჩვენამდე მოღწეულია რომანის პირველი ნაწილის გადამუშავებული ვარიანტი (ე. ი. „პირიმზეს“ ავტოგრაფი), ჩვენ საშუალება გვქონდა მოგვეხილა მისი შედარება „გულქანის“ პირველ ნაწილთან. რასაკვირველია, უფრო სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენ ხელთ გვქონოდა „გულქანის“ ის ხელნაწერი ტექსტი, რომელიც გ. წერეთელმა თავის დროს წარადგინა კავკასიის საცენზურო კომიტეტში. სამწუხაროდ, რომანის ეს საცენზურო ავტოგრაფი ამჟამად დაკარგულად ითვლება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ცენზურის მიერ ორი ათეული წლის განმავლობაში დაკავებული ავტოგრაფი უმნიშვნელო „შესწორებებით“ 1928 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (№ 5—12). ცალკე წიგნად რომანის სამივე ნაწილი მნიშვნელოვანი შესწორებებით (რომელიც განსაკუთრებით მესამე ნაწილს შეეხო) დაიბეჭდა 1929 წელს ვ. ხუროძის რედაქტორობით. 1935 წელს კი მ. დუდუჩავამ გამოსცა აღდგენილი ავტორისეული ტექსტი, თუმცა მას საცენზურო ეგზემპლარი უკვე ხელთ აღარ ჰქონდა, ამიტომ ის ეყრდნობოდა ხუროძის მიერ გამოცემული ტექსტის პირველ და მეორე ნაწილებს და მესამე ნაწილის ავტოგრაფს, რომლის მიხედვითაც ნაწარმოების ავტორისეული ტექსტი აღადგინა<sup>23</sup>. ამ ტექსტს ჩვენ შევუდარეთ „პირიმზეს“ ავტოგრაფი, რის შედეგადაც გამოვლინდა საკმაოდ საინტერესო ავტოცენზურული ცვლილებანი. ამ ცვლილებათა ერთი წყების მიზანს შეადგენს რომანში განვითარებული მოქმედების შესაძლებელი ლოკალიზაციის თავიდან აცილება, რისთვისაც ავტორი ცვლის არა მხოლოდ პირდაპირ მოხსენებულ გეოგრაფიულ თუ სხვა სახელწოდებებს, არამედ ზოგიერთ შერქმეულ სახელსაც კი. მაგალითად, „გულქანში“ მოხსენებული მდინარეები ყვირილა და რიონი შეცვლილია სახელებით: გარულა და ფასკუნჯა, ცაიშის მონასტერი — მწვანე კორდის მონასტრით, აფხაზეთი — შავიზღვისპირეთით, საჯავახო — ორპირით, თავადი ჩიჩუა — თავადი ჩაფხუტაძით. შერქმეული სახელი „ხორხიანეთი“, რომელშიაც ცენზურამ ადვილად ამოიკითხა ქუთაისის გუბერნია, შეცვლილია სახელწოდებით — ქვენამხარე.

ავტორი, სადაც კი ეს შესაძლებელია, ყველგან ცდილობს თავი აარიდოს გეოგრაფიულ აღვნიშვნებზე უშუალოდ მითითებას; ასე მაგალითად:

„გულქან“

„პირიმზე“

„ბაკურიძეს წინდაწინ მოსვლოდა ვაჟე იმერთიდან და გურიიდან მახლობელი ნათესავეები და სახლის შვილები“ (გვ. 50).

„ბაკურიძეს წინ-და-წინ მოსვლოდა მახლობელი ნათესავეები და სახლის შვილები“.

„ანასტასია დევდარიანის ასულს ბაკურიძის მამის დამეებში, ერთი კვირა გაეთია ცაიშს, საყდრის გალავანში...“ (გვ. 3).

„ანასტასია დევდარიანის ასულს ბაკურიძის მამის ერთი კვირა გაეთია ამ მონასტრის გალავანში...“.

გასაჩივრად, ვიხილეთ და რის ვივთავაზებით „კვალში“ დახურვას გადავარჩინე („გულქან“, 1935, მ. დუდუჩავას წინასიტყვაობა, გვ. IX).

<sup>23</sup> „გულქან“, 1935, მამია დუდუჩავას წინასიტყვაობა, გვ. VIII—IX.



„სასოება ცაიშის ღვთისმშობელზე თანდათან მემატებოდა“ (გვ. 4).

„სასოება თანდათან მემატებოდა“.

ავტორი, მისი მთავარი მიზნის მისაღწევად არსებითად ცვლის ან მთლიანად იღებს ტექსტიდან იმ ადგილებს, რომლებშიაც ცენზურამ მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობის გაკიცხვა ამოკითხა:

„...ოქროსთმიანი, ახალგაზრდა რუსის აფიციერი...“ (გვ. 4).

„...ოქროსთმიანი უცხო ახალგაზრდა...“

„როცა ხორხიანეთი რუსმა დაიპირა, სიგელი გადაგვემალა“ (გვ. 3).

„ამ ბოლო ხანებში სიგელი გადაგვემალა“.

„ნარ-ნარ რუსულ სიტყვა პასუხს“ (გვ. 71).

„უცხო ენაზე ნარნარ სიტყვა პასუხს“.

„— აბა, ამდენ ხანს რუსის სამსახურში ვარ, მარტო ფაფას ხომ არ ვჭამდი?“<sup>24</sup> (გვ. 85).

„— აბა, ამდენ ხანს სამსახურში ვარ, მარტო ფაფას ხომ არ ვჭამდი?“

„ტყის ქაჯანა ზედამხედველი“<sup>25</sup> (გვ. 70).

„ზედამხედველი“.

„ყველანი ჯამაგირს შეჩერებოდნენ, რადგან სახელმწიფო მოსამსახურეს უფრო მდიდრული, კარგი შემოსავლიანი ცხოვრებაც ჰქონდა და უფრო ბევრი სიამოვნებაც მოელოდა“ (გვ. 71).

„ყველა ჯამაგირს შეჩერებოდა, რადგან ჯამაგირიან კაცს კარგი შემოსავლიანი ცხოვრებაც ჰქონდა და უფრო ბევრი სიამოვნებაც მოელოდა“.

„...ახლანდელ დროში ურუსულოთ და უტანციოთ მძალდ საზოგადოებაში გამოჩენაც აღარ მოხერხდებოდა, როდესაც უმადლეს სასწავლებელში გამოზრდილ თვით ქართულ ახალგაზრდობას... უკადრისობადაც მიაჩნდა ქართული ლაპარაკი... წარჩინებულ ქართულ თავადაზნაურობასაც ისე უნდა გამოეზარდა თავისი ვაჟები და ქალები, რომ ქართულის მაგიერათ რუსული ენა შეეთვისებინათ...“ (გვ. 70—71).

„...ახლანდელ დროში უსწავლელათ მძალდ საზოგადოებაში გამოჩენაც აღარ მოხერხდებოდა... ეს ის დრო იყო, როცა ყველა ნასწავლი კაცი თავის ენაზე ლაპარაკს თაყილობდა. წარჩინებულ თავადაზნაურობასაც ისე უნდა გამოეზარდა თავისი ქალები, რომ ქართულის მაგიერათ უცხო ენა შეეთვისებინათ“.

გ. წერეთელს, გამოდიოდა რა ზემოთ მითითებული მიზანსწრაფვიდან, ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილი მთლიანად ამოუღია ტექსტიდან; მაგალითად: „...როცა გურიას ბუნტი მოხდა, ბაკურიძე ღენერალ პუზირევსკის თან ახლდა, როგორც გურიის მთებში გზების და ბილიკების კარგი მცოდნე.“

ამას გარდა, მრავალი ნათესაგებისა და ნათელმძირონების გამოისობით განდგომილი გურიის ჯარების ამბავი მიჰქონდა გრიგოლ წერეთელთან და ამის მოხერხებულობით რუსის ჯარები მოულოდნელათ ეცემოდნენ გურულების ბანაკებს და ამარცხებდნენ მათ. ბაკურიძეს ძალიან შეუყვარდა ცინცხალი ოქროები და იმის გულისთვის ცოლსაც გაჰყიდა, რომ შეხვედროდა“ (გულქან“, გვ. 23).

ტექსტიდან ამოღებულია მაშინდელი ვითარების დამახასიათებელი ბაკურიძის სიტყვები: „აბა, მე რომ არ ვყოფილიყავი გურიის აბუნტების დროს და თავადებთან შუამავლობით რომ საქმე არ გამეთავებინა, ბევრს გაარიგებდნენ უცხო ადგილას უცნობი ჯარები! მგონია, არც ერთი სალდათი და მათი წინამძღოლი ცოცხალი არ დაბრუნდებოდა! ახია, ახია ჩვენზე, რაც რომ დღეს გვემართება! განა ასე არ გვიყვებს ჩვენც ხორხიანეთში?“ („გულქან“, გვ. 113). ცხადია, გ. წერეთელი მითითებულ ადგილებს ტექსტიდან იღებს იმიტომ, რომ იქ გამოაშკარავებულია რუსეთის მეფის მმართველობის მორალურად გამხრწნელი ზეგავლენა თავადაზნაურობაზე, მეფის მოხელეთა მხრივ თავად-

<sup>24</sup> ტექსტში ხანგრძლივი სამსახურის პირობებში — გაიქვერობაში დაჩელოვნება ნაფულისხმევი.

<sup>25</sup> „ტყის ქაჯანა ზედამხედველი“ რუსი ქალია.

7. მაინე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 3

აზნაურთა წარმომადგენლების „ცინცხალი ოქროებით“ მოსყიდვა, მათი წაქეზება სამშობლოსა და მოძმეთა ღალატისათვის და სხვ.

ავტორი ტექსტიდან იღებს ისეთ ადგილებსაც, რომელშიაც გამოჰყვანებულა მეფის მმართველობის შედეგად ქართველ თავადაზნაურობაში შემუშავებული ასეთი რწმენა „მთას ზურგი მიაყრდნე, თუ გინდა მუდამ საგრილობელში იყო და მზემ არ შეგაწუხოსო. ამ სოფლის ძლიერთა მორჩილი და მოსამსახურე იყავი“ („გულქანი“, გვ. 4). ეს თავად რევანზ ბაკურიძის სიტყვებია, რომელშიაც „ზურგსაყრდნობი მთისა“ და „ამა სოფლის ძლიერთა“ ამოცნობა ძნელი არ არის. მაგრამ ახლა მოუხსენით მაშინდელი სოციალური წყობის საპირისპირო მხარის წარმომადგენელს როდამ კვესაურს: „ახლა კი ჩვენმა მთავრობამ დებულეზაც უკუღმა აქცია და ყველაფერი. მთავრობას სულ ბატონების მხარე უჭირავს და ყველამ ჩვენზე მოიცალა“ (გულქანი“, გვ. 46). გასაგებია, რომ ნაწარმოების „შესწორების ლოგიკამ“ ავტორს ამ ადგილის „ამოღებაც უკარნახა.

რომანში გამოყვანილი მეფის მოხელეების ერთგვარად გაკეთილშობილების მიზნით ავტორი ტექსტიდან იღებს სიტყვებს: „რუსის ზედამხედველი ქაჯანა მგლის ლეკვს ეძახოდა გვრიტოს, რომელიც ვერ მოეშინაურებია. ის ზნირად იტყოდა ხოლმე: «Волка как ни корми, он все в лес смотрит»“ („გულქანი“, გვ. 72). ყველა სხვა შემთხვევაში რუსული სიტყვები და წინადადებები ავტორს ქართულით შეუცვლია.

როგორც ვიცით, ცენზურამ რომანში აღწერილ ქალთა სასწავლებელში ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელი ამოიციო. ამიტომ რომანის ტექსტში ერთადერთი მითითება: „აქ (ე. ი. რუსულ საქალებო სასწავლებელში. — ი. დ.) იხილდენ წმინდა ნინოს დღეობას“ („გულქანი“, გვ. 103) — ავტორს ამოუღია.

ჩვენ ამჯერად შევვებით რომანის პირველ ნაწილში შეტანილი არსებითი ხასიათის ავტოცენზურულ ცვლილებებს. უკვევლია აღნიშნული ხასიათის ცვლილებანი ავტორს ტექსტში შეაქვს მეფის ცენზურის მრისხანების თავიდან აცილების მიზნით. ავტორმა, როგორც ვნახეთ, ეს სამუშაო საკმაო დაკვირვებითა და გულსყურით შეასრულა: ცენზურისათვის იოლად თვალში მოსახვედრი სახელები და ფრაზები შეცვალა ან მთლიანად ამოიღო ტექსტიდან. მიუხედავად ამისა, რომან „გულქანის“ სულისკვეთება, რომელიც მეფის ცენზურისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო, არსებითად მაინც შეინარჩუნა „პირიმიზემ“. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო: გულმართალ მწერალს სიმართლის სიცრუით შეცვლა არ შეეძლო. მეფის ცენზურაც „საკუთარი ინტერესების“ მოწოდების სიმადლეზე აღმოჩნდა; ავტორის მოუსვენარი ნება — რომანში გამოთქმული სიმართლე ფართო მკითხველამდე როგორმე მიეტანა, — ამჯერადაც განუხორციელებელი დარჩა. შესანიშნავი მწერლისა და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწის მრავალჭირნახული სიცოცხლე თურმე თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა... როგორც ზემოთაც ითქვა, რომანის გამოქვეყნების ოცნება მოგვიანებით, მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში განხორციელდა.

(წარმომადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის-  
 შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
 ისტორიის ინსტიტუტმა)



## ივანე გიგინეიშვილი

**მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თავისებურების  
შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ენაში**

„ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ პოემაში უკვე დარღვეულია ის შეფარდება, რომელიც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში არსებობდა გავრცელების თვალსაზრისით, ერთი მხრით, -**ნ** და -**თ(ა)** სუფიქსებიანი და, მეორე მხრით, -**ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმათა შორის: -**ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმები პოემის ენაში ძველ ქართულთან შედარებით გაცილებით ხშირად გვხვდება.

შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბებო,  
შიგან სისხლისა მორევსა ეყარის გიშრის“ შუბებო,  
მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბებო,  
შუა ძოწსა და აყიყსა სქვირს მარგალიტი ტყუბებო. (1146)

სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარებო;  
თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარებო.  
მას ლამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაქარებო,  
გათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს, თავისთავ ჰქონდა ფარებო. (1412)

„ვიცი, არ მოკლავს შიმშილი, რაზომცა დია ირები:  
შენ შენი შვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირებო,  
ნუთუ კვლა ღმერთმან წყალობით გაგიაღვილოს პირებო,  
მაგრა, თუ მოკვდე, გაზრდილო, ვისგანდა დავიტირები?“ (824)

შეიძლებოდა მოგვეყვანა მრავალი ანალოგიური მაგალითი.

ამ მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ პოემის ენაში ძველი ქართულისაგან არსებითად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე როგორც -**ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმათა სისშირის, ისე მათი გამოყენების ხასიათის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსნის“ ენაში მაინც -**ნ** და -**თ(ა)** სუფიქსებიანი მრავლობითის ფორმებია გაბატონებული. -**ნ** — -**თ(ა)** სუფიქსებიანმა მრავლობითმა დიდხანს გაძლო ქართულ სალიტერატურო ენაში, გაძლო თითქმის თანამედროვე საფეხურამდე ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა. მაინც განსაკუთრებით გავრცელებული იყო ეს ფორმები პოეზიაში, ლექსის ენაში. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლექსში -**ნ** — -**თ(ა)** სუფიქსებიანი ფორმები ბატონობს; ძალიან ხშირია ასეთი ფორმები XIX საუკუნის II ნახევრის ლექსის ენაში და გვხვდება თანამედროვე ლექსშიც. ამდენად, „ვეფხისტყაოსანში“ რომ ეს ფორმებია გაბატონებული, უჩვეულო არაფერია.

-5 — თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითს 'პოემაში ისეთივე სინტაქსური თვისებები აქვს, როგორც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ჰქონდა: ამგვარ მრავლობითში დასმული საზღვრული მრავლობით რიცხვში შეიწყობს მსაზღვრელს, ზმნაში აღინიშნება მრავლობითობა ამგვარი მრავლობითის სახელობით ბრუნვაში დასმული სუბიექტისაც და ობიექტისაც და სხვ. მაგრამ პოემაში მაინც შეინიშნება, რომ ზოგიერთი ძველი ნორმის რღვევა უკვე დაწყებულია, კერძოდ, არის ნიშნები იმისა, რომ სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში უკვე შეიძლება არ აღინიშნებოდეს.

ამ თვალსაზრისით ანალიზი პოემის ენისა გართულებულია. იმის გამო, რომ, ერთი მხრით, პოემის ძველ რედაქტორ-გადამწერთ, ხოლო მეორე მხრით, პოემის ტექსტის გამომცემელთ არაერთი ადგილი პოემისა გადაუსწორ-გადაუუეთებიათ და საკმაოდ ძნელია იმის გარკვევა, თუ რა მომდინარეობს უშუალოდ ავტორისაგან და რა არის გადამწერთა და გამომცემელთა შენატანი პოემაში.

სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობის ზმნაში აღნიშვნის საკითხთანაა დაკავშირებული -ენ/-ნ სუფიქსის გამოვლენა ი- და ე-პრეფიქსებიანი ვნებითების მრავლობით რიცხვში დრო-კილოთა მეორე ჯგუფში. ამ მხრივ პოემაში მყარი ვითარება ჩანს: სუფიქსიანი ფორმები კარგადაა დაცული, მიუხედავად ამისა, პოემაში ახალი ფორმებიც შეინიშნება და არცთუ იშვიათად. მაინც ამ შემთხვევაში უფროა შემონახული ძველი ფორმები, ვიდრე სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის თვალსაზრისით.

„ვეფხისტყაოსანში“ დაცული ვითარება სავესებით ბუნებრივი და კანონზომიერი ჩანს. სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა ქართულ სალიტერატურო ენას კარგა ხანს, თითქმის XVIII საუკუნის გასულამდე, შემორჩა, XIX საუკუნეში კი უკვე გაქრა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებშია და დაცული. რაც შეეხება პრეფიქსებიან ვნებითებში -ენ/-ნ სუფიქსს დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმებში, იგი XIX საუკუნის სალიტერატურო ენაშიაც არ იყო მთლიანად გამქრალი, ხოლო ამჟამად დაცული აქვს არა მარტო მთის კილოებს, არამედ ქართული ენის ძირითად დიალექტებს — ქართლურსა და კახურს.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში ამ მხრივ კრელი სურათია წარმოდგენილი. ამიტომ მათ ჩვენებაზე დამყარება ყოველთვის შესაძლებელი არაა.

მაგალითად ავიღოთ 458-ე სტროფი პოემისა.

მივეც ერთი დიდებული, თანა სპანი წავატანენ,  
 ციხოვანნი ერთობილინი ჩემს წანაშე მოვიყვანენ,  
 ხელთა მომცენს სიმაგრენი, ომნი ასრე შევანანენ,  
 საჭურჭლენი სიმრავლითა რასამცა ვით დავაგვანენ!

ოციოდე ძველი ხელნაწერიდან, რომლებშიაც დაცულია ეს სტროფი, წავატანენ, მოვიყვანენ, შევანანენ, დავაგვანენ ფორმები თითო-ოროლაში გვხვდება მხოლოდ, დიდ უმრავლესობაში წავატანე, მოვიყვანე, შევანანე, დავაგვანე ფორმები იკითხება. რაც შეეხება მომცენს ფორმას, იგი არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება, ყველგან მომცეს იკითხება. მომცენს ა. შანიძის კონიექტურაა.

ამ შემთხვევაში ხელნაწერების ჩვენება ობიექტის მრავლობითობის ზმნაში გამოხატვას მხარს არ უჭერს.

ახლა მაგალითად ავიღოთ 758-ე სტროფი პოემისა.

ხამსა, კაცმან პატრონისა საწყინარსა არ დახედნეს,  
ოდენ სიტყვა უმეცრული უღაგოდ დაიუბედნეს?  
მე მაგისად მოსმენამდის რად არ უური შემეპედნეს!  
შენ თუ მოგლა, სისხლნი შენნი შენმან ქედმან მიიქედნეს!

ამ შემთხვევაში ყველა ხელნაწერის ჩვენება თითქმის ერთგვარია: ობიექტის მრავლობითობა ზმნაში ყველგან აღნიშნულია.

ამრიგად, ხელნაწერებში ამ ხელნაწერთა გადაწერის დროინდელი ვითარებაა მეტ-ნაკლებად ასახული: სადაც კი უმტიყენულოდ იყო შესაძლებელი მრავლობითის სუფიქსის ამოღება, ამოიღეს; რა თქმა უნდა, ბევრგან სუფიქსი შერჩა. ამასთან ერთად ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ სხვადასხვა გადამწერი სხვადასხვაგვარი თვალსაზრისით უცქეროდა საკითხს.

ამდენად, ხელნაწერთა ჩვენებები ამ საკითხში ყოველთვის სარწმუნო არაა.

თუ ხელნაწერთა ჩვენებები სარწმუნო არ ჩანს, სამაგიეროდ დამარწმუნებელი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს სარიტმო სიტყვა-ფორმათა ანალიზი.

მაგალითად ავიღოთ 760-ე სტროფი პოემისა.

დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეაღწნა;  
დააცთუნა, მაგრა მისთვის აალმასნა, არ აძეწნა:  
„ვით მიამბე წასლვა მისი, ვინ აღვისა მორჩი ხე წნა!“  
ვაზირისა ცრემლმან ცხელმან ლაწვნი თეთრნი აახეწნა.

ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის შემთხვევები ზმნაში ამ სტროფაში ტაეპების შიგნითაცაა (შემოსტყორცნა, ჰკრნა, დააცთუნა, აალმასნა) და სარიტმო სიტყვებშიც (შეაღწნა, აახეწნა). პირველ შემთხვევაში ხელნაწერებში ისეთივე ჰრელი სურათი გვაქვს, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში გვექონდა: იკითხება შემოსტყორცნა-ც და შემოსტყორცა-ც, ჰკრნა-ც და ჰკრა-ც, დააცთუნა-ც და დააცთუნა-ც, აალმასნა-ც და აალმასა-ც; სარიტმო სიტყვებში კი ორივე შემთხვევაში ყველგან -ნ სუფიქსიანი ფორმებია ხელნაწერებში: შეაღწნა და აახეწნა. სხვაგვარი ფორმები არც შეიძლებოდა ყოფილიყო; დანარჩენ ორ სარიტმო სიტყვაში აძეწნა და ხე წნა ნარები ორივეგან ფუძის კუთვნილებაა და მათი საკითხი არ დაისმის. რამდენადაც რითმა ამას ადასტურებს, არც შეაღწნა და აახეწნა ფორმებში დაისმის -ნ სუფიქსის საკითხი. ნარიანი ფორმები მოქმედი ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ენაში.

მაგრამ ხელნაწერების ჩვენებათაგან ამ საკითხში ყველაფერი ახალი, გვიანდელი მაინც არ ჩანს. ზმნის რიცხვში შეთანხმების დარღვევის შემთხ-

<sup>1</sup> თითქმის ყველა გამოცემაში ჩემმან ქედმან მიიქედნეს იკითხება, მათ შორის r-ში (ა. შანიძისა და ა. ბარამიძისაში, 1966), s-ში („ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისაში, 1966. რედაქტორები — ი. აბაშიძე და გ. წერეთელი) და t-ში (1966 წლის საიუბილეო გამოცემაში). უნდა იყოს კი სისხლნი შენნი შენმან ქედმან მიიქედნეს, როგორც დაბეჭდა ს. კაკაბაძემ თავის პირველ (1913 წ.) გამოცემაში და შემდგომ პ. ინგოროყვამ 1953 და 1970 წწ. გამოცემებში. შდრ. 861: მოვეკვდი, თავი არ მეწყალობის, სისხლნი ჩემნი ჩემსა ქედსა! ლიტერები r, s, t „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა.



ვევები პოემის ტექსტში იმთავითვე უნდა ყოფილიყო და არცთუ იშვიათად, მაგრამ სრულიად გარკვეულ ვითარებაში.

მართლაც, როდესაც -5 სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის რღვევა უნდა დაწყებულიყო ზმნაში, პირველ ყოვლისა ეს იმ შემთხვევებში უნდა გამხდარიყო შესაძლებელი, როცა ობიექტი პირველი პირისა იყო. ავ- პრეფიქსს რომ ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა დაეკისრა, ზმნაში ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ორი აფიქსი აღმოჩნდა: ავ- პრეფიქსი და -ენ/-5 სუფიქსი<sup>2</sup>. რაკი სუფიქსით ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა ისედაც ქრობას იწყებდა სალიტერატურო ენაში, ამ შემთხვევაში ეს პროცესი უნდა დაჩქარებულიყო. „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება უტყუარი მაგალითი იმისა, რომ პირველი პირის ობიექტის მრავლობითობა სუფიქსით აღარაა აღნიშნული ზმნაში:

მიბრძანეს, თუ: „ღმერთმან ასრე დაგვაბერნა, და-ცა-გვლია:  
 ეამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია;  
 ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია,  
 ყმისა არ-სმა არა გვაგვა, ამთ ზედან წაგვითვლია“. (508)

და-ცა-გვლია, რა თქმა უნდა, ერთადერთი წაკითხვაა პოემის ყველა ხელნაწერში და ეს წაკითხვა დავას არ იწვევს. ეს წაკითხვა „გადარჩა“ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში მხოლოდ იმის გამო, რომ საირთმო სიტყვას წარმოადგენდა. როგორც ვხედავთ, ობიექტის მრავლობითობა ამ ფორმაში აღნიშნული არ არის. იგი რომ შეგვეცვალა ისეთი ფორმით, რომელშიც ობიექტის მრავლობითობა აღნიშნული იქნებოდა, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში იქნა ამ რიგის ფორმები შეცვლილი, ეს გამოიწვევდა გადაულახავ სირთულეებს: საჭირო გახდებოდა ყველა ტაეპის საირთმო სიტყვა-ფორმების გადაკეთება ამის შესაბამისად, რაც, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელი აღმოჩნდებოდა.

მეორე მხრივ, მესამე პირში მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი -5 ადვილად იკარგებოდა იმ შემთხვევაში, როცა მას ზმნის ფუძისეული 5 თანხმოვანი უსწრებდა წინ. ამის მაგალითს გვაძლევს 516-ე სტროფის პირველი ტაეპი — „კვლა გაგზავნეს სხვანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად“. ყველა ძველ ხელნაწერში გაგზავნეს იკითხება და არა გაგზავნეს, როგორც ეს გამოცემებშია. ამ და ამ რიგის სხვა შემთხვევებში ხელნაწერებში შეიძლება სწორედ თავდაპირველი ვითარება იყოს შემორჩენილი.

გამოცემებში, განსაკუთრებით 1951 წლის გამოცემიდან მოკიდებული, ამ მხრივ გატარებულ იქნა სრულიად გარკვეული წესი: პოემის ტექსტი გასწორდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით; გასწორდა, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევებში, როცა ასეთი გასწორების შედეგად არ ირღვეოდა ლექსის მეტრი და რითმა. მაგრამ სადაც ასეთი გასწორება უმტკივნეულოდ არ იყო შესაძლებელი, იქ დარჩა ძველი ვითარება. ამის ერთი მაგალითი ზემოთ იყო დასახელებული. ეს და ამგვარი სხვა შემთხვევები უნდა გამხდარიყო სწორედ იმის მანიშნებელი, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმა პოემის ენაში უკვე ირღვევა და შეუძლებელია მისი

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართულა ზმნის უღვლილების სისტემაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბ., 1946.

აღდგენა, მაგრამ ძველი ქართულის ნორმების გატარებისადმი მისწრაფება იმდენად ძლიერი იყო, რომ გასწორებული ზოგი სხვა რიგის ფორმაც კი აღმოჩნდა.

ასე მაგალითად, 1030-ე სტროფში ასეთი აღგვილია:

უსამ იყო ქარავნისა უხუცესი, კაცი ბრძენი.  
მოახსენა ხობტა სრული, დალოცა და უქნა ზენი (ავთანდილს).

უსამმა ავთანდილს **ზენ უქო, ზენი — უქნა**.

ამ უქნა-ს ნაცვლად მ. ბროსეს გამოცემაში უქმნა დაიბეჭდა. ადგილი შესაძლებელია, რომ ეს იყო კორექტურული შეცდომა, რამდენადაც არც ერთ ხელნაწერს ასეთი წაკითხვა არ მოეპოვება და ვახტანგ VI-ის გამოცემაშიც უქნა იკითხება. უქმნა წაკითხვა გაიმეორა დ. ჩუბინაშვილმა, მერმე განმეორდა ეს წაკითხვა ნ. ქართველიშვილის გამოცემაში და გაიმეორეს დ. კარიკაშვილმა და იუსტ. აბულაძემ თავიანთ პირველ გამოცემებში. შემდგომს გამოცემებში ტაეპი გასწორდა და უქნა წაკითხვა აღდგა ყველგან, მაგრამ... კვლავ დაისვა საკითხი ამ წაკითხვის შეცვლისა: „...დალოცა და უქნა ზენი. უნდა: უქმნა ზენი“<sup>3</sup>.

ასეთი წაკითხვა ტაეპისა და აქედან გამომდინარე გაგება მისი შინაარსისა არ გაიზიარა ალ. ბარამიძემ. ყველაფერს ამას მან დაუპირისპირა ტაეპის სავსებით მართებული გაგება („ქარავანთა უხუცესმა ავთანდილს ხობტა მოახსენა და ზენე შეუქო“-ო) და ეს ტაეპი ფრაზეოლოგიური პარალელიზმის ნიმუშად მიიჩნია.

როგორც ჩანს, ეს გარემოება იყო საფუძველი იმისა, რომ ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით გამოსულ „ვეფხისტყაოსანში“ (r) ასეთი ცვლილება ტექსტისა აღარ ასახულა<sup>4</sup>.

სხვა მაგალითი:

1033-ე სტროფის პირველი ტაეპის — „თქვა: ქარავანი ეგვიპტით გამოვემართეთ ერითა“ — გასწორების საკითხი დაისვა შემდეგი მოსაზრებისა გამო:

„გამოვემართეთ“ ვნებით გვარის ფორმაა და XII—XIII ს.-ის სალიტერატურო ენაში შეუძლებელია; უნდა: „გამოვემართენით“. მაგრამ ეს შეტია ერთი მარცვლით და არ გამოდგება. „გამოვემართეთ“ კი ერთი მარცვლით ნაკლებია და არც ეს გამოდგება. ამიტომ ერთადერთი შესაძლებელი შესწორება თითქო ეს იქნება:

თქვა: ქარავანი ეგვიპტით გამოვემართენთ ერითა.

„გამოვემართენთ“ ძველისძველი ფორმაა. ვნახოთ, რას გვეტყვის ხელნაწერები<sup>3</sup>.

ყველა ხელნაწერმა, უგამონაკლისოდ, გამოვემართეთ ახალ ფორმას დაუჭირა მხარი და თანაც ისეთ კონტექსტში, რომ ექვის შეტანა შეუძლებელია. ამით ისიც დადასტურდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მრავალი ახალი ფორმა

3 ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები, II: „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, თბ., 1956, გვ. 032.

4 ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1958, გვ. 270; აგრეთვე: ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 340.

მოიპოვება, რა თქმა უნდა, ძველთან ერთად, ხოლო პოემაში ძველისძველი ფორმების ძიება დაუშვებელია.

ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოსულ „ვეფხისტყაოსანში (რ) არც ეს ცვლილება ასახულა.

მეტად დამახასიათებელია იარა-გაიარა ზმნასთან დაკავშირებული ზოგი გარემოება.

როდესაც 812-ე სტროფში იკითხება — „რა ილოცა, ცხენსა შეჯდა, მალვით კარნი გაიარნა“, ხოლო 1330-ე სტროფში — „ტარიელისკენ იარნა მან გზანი საწყინარნი“ — ამ ზმნათა ფორმებში -5 სუფიქსის წარმოჩენა სავსებით კანონზომიერია: ერთ შემთხვევაში კარნი, ხოლო მეორე შემთხვევაში — გზანი -5 სუფიქსიანი მრავლობითის სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტებია.

მაგრამ პოემის ტექსტში გვხვდება ასეთი სტრიქონები:

წინა-უკანა იარნეს ორნი დღენი და ღამენი. (218)

იარნეს დღენი მრავალნი ლალთა, ბრძნად მოუბარეთა. (1495)

ერთგან ფრიდონ და ავთანდილ იარნეს დღენი მცირენი. (1661)

ხელნაწერთა უმრავლესობაში შესაფერ ადგილებში ყველგან იარეს იკითხება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ენაში ახალი ვითარების შექმნის მაჩვენებელი და, მასადაამე, ხელნაწერთა გადამწერლების შენატანი ტექსტში. ამ შემთხვევებში იარეს ფორმა იმთავითვე უნდა ყოფილიყო პოემის ტექსტში სათანადოდ ადგილებში ყველგან. საქმე ისაა, რომ დღენი, დღენი და ღამენი ამ მაგალითებში ობიექტები არაა, ამიტომ არც ზმნაში მათი მრავლობითობის აღნიშვნის საკითხი შეიძლება დადგეს. დღენი, დღენი და ღამენი ამ შემთხვევებში გარემოებითი სიტყვებია, დროის აღმნიშვნელი, და ისეთსავე ფუნქციას ასრულებენ, როგორც მათი ტოლფასი მხოლოდობითი რიცხვის ფორმები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

გამოემართა ავთანდილ, მოყმე მხნე, ლალად მავალი,

ოც დღე იარა... (147)

სამ დღე ვიარე, მემთხვია სხვა კაცი მისვე ხანისა. (428)

ნახევარ დღე სხვა ვიარე, ჭირსა თავი არ ვაკრძალე. (438)

ამიტომ, არ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად, როცა უკანასკნელ გამოცემებშიც (r, s, t, u) -5 სუფიქსიანი ფორმებია დატოვებული ამ ტაეპებში.

მრავლობითობის გამოხატვის თვალსაზრისით სხვა მსგავსი ფაქტების დასახელებაც შეიძლება. მაგალითად, არ შეიძლება არ დაგვატყვოს იმ ფაქტმა, რომ 1191-ე სტროფის მე-4 ტაეპში, რომელიც უკანასკნელ გამოცემებში ასეა წარმოდგენილი — „რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა“ — არც ერთ ხელნაწერში -5 სუფიქსიანი ფორმა არ მოიპოვება.

ამგვარი მაგალითების გამრავლება ადვილია. აქ განხილული რამდენიმე მაგალითიდანაც საკმარის ნათლად უნდა ჩანდეს, რომ ძველი ქართლის ნორმების უყოყმანოდ გავრცელება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე არ შეიძლება, რომ პოემის ენაში უკვე დაწყებულია ამ ნორმების რღვევა ობიექტის (და სუბიექტის) მრავლობითობის ზმნაში აღნიშვნის თვალსაზრისით.

ახლა საკუთრივ -5 — -თ სუფიქსებიან მრავლობითში დასმული სახელების თავისებურებათა შესახებ „ვეფხისტყაოსანში“. პირველ რიგში განვიხი-





ლავთ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ამგვარი მრავლობითის ფორმით გვევლინებიან, თუმცა მრავლობითის შინაარსი არ აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ.

მოგვყავს რიცხვითი სახელის -6 — -თ სუფიქსებიან მრავლობითში დასმის რამდენიმე შემთხვევა.

- რა ვრთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან. (435)
- თქვა: „უცილოდ გაიპარა, ვინ მარტომან ასთა ავსნი“. (818)
- ჰვითხე ასთა, ქმენ გულსა, რა გინდ რა ვინ გივაზიროს. (883)

არც ერთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, რეალური მრავლობითის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება.

ქვემოთყვანილ მაგალითებში კი მრავლობით რიცხვში დასმული რიცხვითი სახელი არსებით სახელთან მრავლობითში შეთანხმებულ ფორმას წარმოადგენს:

- მომართვენს ასნი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი. (487)
- მოსახნა ოთხნი მონანი, მისანდობელნი გულითა (1019)
- მოვიხმენ ოთხნი მონანი ჩემსა წინაშე მდგომელნი. (1133)
- მე ორნი შავნი მონანი მყვანან საყენი გრძნებითა. (1238)

და მრავალი სხვა.

ერთი მაგალითი მოიპოვება რიცხვითი სახელის დასმისა -ებ სუფიქსიან მრავლობითში, ოღონდ ამ შემთხვევაში რეალური მრავლობითის გამომხატველი ფორმა გვაქვს, ერთზე მეტი სამი ათასის შესახებაა ლაპარაკი.

- გვირახის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირნასები,
- ათი ათასი ჰაბუკი დგას, ყველაკაი ხასები,
- ქალაქის კართა სამთავე — სამათასსამათასები. (1243)

მეორე მხრივ, -5 სუფიქსიანი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი პოემაში კინობითობის -ა სუფიქსიანი ნაწარმოები ფუძეები.

- თუ არ დაებრუნდე, საძებრად დავყვენ სხვანიცა ხანანი... (187)
- ამოძერეს ორნი მონანი, შავნი მართ ვითა ფისანი. (626)
- ტირილი მიჩნდის ლხინად და მდინდიან ცრემლთა ფონანი. (590)
- დავჰედრე: „სადა მე მევლოს, ვლენით იგივე ველანი“. (427)
- დღეს რომე მესმნეს ამბავნი უკვდავებისა სწორანი...“ (1268)
- უბრძანა: „ქაჩეთს გაგზავნი, წა, გზანი გისხენ შორანი“ (1268)
- მუნ ვარდსა შუა შვენოდეს ძოწ-მარგალიტნი ტყუბანი. (480)
- მათ ლაშქართავან სამასნი კარგი მოყმენი ქველანი... (427)
- „ამისთვის ქაჯად უხმობენ ვარეშემონი ყველანი,
- თვარა იგიცა კაცნია, ჩვენებრეე ხორციელანი“.
- ავთანდილ მაღლი უბრძანა: „ცეცხლი დამივსენ ცხელანი,
- დიდად მეამნეს ამბავნი, სიტყვანი აწინდელანი“. (1249)
- მივიდეს, ჰკადრნეს მეფესა საქმენი დასაგვანანი. (187)
- ჩემნი გულისა მდებელნი და ჩემნი შემაგონანი. (590)
- სამასი კაცი გვეყოფის, წავიდეთ მართ მეოტანი. (1387)
- ქვაბი ჩავლეს და წავიდეს ზახილით ცრემლთა მდენანი. (944)

**რიცხვითი სახელი**

თენი ესხნეს ორანილა, ამაღ სულთქვამს, ამაღ იზობს. (115)

**მასდარი -5 სუფიქსიანი მრავლობითის ფორმით ცნობანი, ნადიმობანი, გმობანი**

პირველ გაჭრისა პირება, მერმე დაწყნარდეს ცნობანი;  
 ჩემთა სწორთაგან იყენიან ჩემს წინა ნადიმობანი;  
 მაგრა დამშლიდეს ღვინთაგან სურვილთა დიადობანი,  
 ზოგჯერ შემევიან სევდათა, ვთქვნი საწუთროსა გმობანი. (390)

### თმენანი

ვაჟ, ჰირნი ჩემნი ეზომნი, ვაჟ სიცოცხლისა თმენანი! (944)

### თქმანი

დადვა, თვალნი გაურტდეს, დააიწყდეს სიტყვის თქმანი. (983)

### ღვრანი, წვანი

მოგხევენეს ერთმანერთსა, გაამრავლეს ცრემლთა ღვრანი,  
 აკოცეს და განუახლდეს მათ ორთავე მათნი წვანი. (1024)

### შველანი

ახლოს მომდევდით, მიშველდით, გიხმობ, თუ მინდენ შველანი. (427)

### ხლებანი, დებანი, თნებანი

... მაშინდა მივალ არაბეთს, მომხვედენ მის მზისა ხლებანი;  
 ოდესცა სწადდეს, დამივსნეს ამა ცეცხლისა დებანი,  
 სხუა თქვენგან არა არ მინდა, მძულან ცუდნადა თნებანი. (1479)

### სრბანი, საღმობანი, წყალობანი

მაშინდა იცნეს ტარიელ, მათგან მი და მო სრბანი,  
 სრულად ნათლითა აივსო ზღუდელ და ბანისბანია.  
 ხმამაღლად ხმობდეს, იზახდეს: „მოგეწორდეს საღმობანი,  
 აქამდის რისხეამაღალმან აწ მოგეცნა წყალობანი“. (1621)

### გონებანი

შენთვის ხელნი გონებანი არა ცუდად არიანო. (1537)

### დაღრეჯანი

თქვენნი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამხობდეს. (107)

### დიდებანი

ერთსა მიხვედეს საზიანოდ, დიდებანი იასოცნეს. (1455)  
 ზედა დასხდეს ხელმწიფურად, დიდებანი უღიადნეს. (1639)

### რისხვანი

მართალ ხართ, თუმცა რისხვანი ჩემთვის იანაზღენითა. (755)

### წყალობანი

კარგა ჰქმენო, დაუმალა, წყალობანი უიმედნა. (61)

### ცნობანი

აკოცეს და აცა-ტირდეს, კვლა ცნობანი ააჩქარეს. (916)

### შებმანი

... მაგრამ ტარიას შებმანი არვისგან მოსანდომნია. (1411)

### ჰამა-სმანი

მოიუბნეს; ვაზირმან ქმნა ჰამა-სმანი მათნი ფერნი. (770)



**გაყრანი**

თამაშობდიან, არ იყვნეს ყოლა გაყრანი სმისანი. (1560)

**ქებანი**

ეთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამორჩეული. (4)  
პირველ ზენი და საქმენი, ქებანი მათ მიუფთანი. (1667)

**სი — ე აფიქსებით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები**

გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია. (193)  
მიუფწერე: „მზეო, შუქი შენი, შენგან მონათენა,  
გულსა მეცა, გამოცუდდეს სიჩაუქე-სიალფენი;  
ხელმან შენნი გავიცადენ სინატიფე-სიტურფენი...“ (503)  
მე გავეკვირვე ჳერეტსა მის ყმისა სინაზეთასა. (597)  
მუნ ბადაზსა აშენებდეს სინატიფე-სინაზენი. (1493)  
მასთანა მკდომსა ტარიელს ჳშენიან სინაზენია. (1549)  
თვით ამანვე მოგაწონნეს სახედნობა-სიფიცენი. (647)<sup>5</sup>

-ობა სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელიცა წარმოდგენილი -ს სუფიქსიანი მრავლობითის ფორმით.

მაგრა დამშლიდეს ლხინთავან სურვილთა დიადობანი. (390)

მოვიყვანთ მრავლობითის ფორმათა თვალსაზრისით კიდევ ერთ დამახასიათებელ სტროფს.

იტყვის: „ღმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ?  
მე ეზომნი სიარულნი კიდე რად, გლახ, გამოცუდენ,  
გულთ ჩემთ სიხარულნი აღჳხვზრენ, ჳირნი დააბუდენ“. (189)

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ის შემთხვევები, როდესაც -ს სუფიქსიანი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი ისეთი არსებითი სახელები, რომელთაც მოცემულ კონტექსტებში არ შეიძლება რეალურად მრავლობითის შინაარსი ჳქონდეთ.

თინათინს „გაძრცივლსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი“ (123); ნესტანს მონებმა „ზღვითკე ვაარნეს სარკმელნი, მაშინვე გაუჩინარდა“ (582); ჳაჯი მონა მოუთხრობს ამხანაგებს: „მივემოწმენით, თათბირნი არ კიდე გავაკიდენით“ (1234); ტარიელი „ცხენსა შეჯდა, მონათამცა საუბარნი რად იყურნა“ (93); ტარიელს „საყელონი გარდეხივნეს, თავი სრულად გაეგლიჯა“ (868); ტარიელი უყვება აეთანდილს: „შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა“-ო (349).

**აბჯარი** ყველგან მსოფლობითის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ (403): „ტიჳთა მათთა სიმაღე, აბჯართა ხვარაზმულობა“; (1599): „ერთხელ შემებნეს, დავხოცენ, შევქმენ აბჯართა ფეთანი“.

**საჯდომი**, ჩვეულებრივ, აგრეთვე მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ (338): „მათ საჯდომთა ახლოს დამსვეს, პატივს მცემდეს ძისა დარად“.

თუ ამ შემთხვევაში კიდევ როგორღაც შეიძლება დაეჳკვება, 481-ე სტროფიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ რეალურად ერთი **საჯდომის** შესახებაა

<sup>5</sup> უახლეს გამოცემებში (r, s, t, u) ამ ტაეპში **სახედრობა** იკითხება, რაც შეცდომაა. მაინც ამ წაკითხვის დასაბუთება ამ გამოცემათა რედაქტორებს არ წარმოუდგენიათ.



ლაპარაკი, მაგრამ: „დედოფალი საჯდომთაგან ადგა, წინა მომეგება“

კიდევ უფრო მეკეთრად ჩანს ამგვარივე ვითარება 691-ე სტროფის პირველ ტაქტში: „ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა საპატრონოსა“; აგრეთვე 1478-ეში: „ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე: ინდოეთს განახო მორკმული, საჯდომთა ზედა მჯდომარე“.

ფრიად საყურადღებოა კიდევ ორი მაგალითი.

ერთი მათგანია **სკამნი**.

**სკამი** ხუთჯერ გვხვდება პოემაში. ოთხ შემთხვევაში იგი მხოლოდობით რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი და ეს სავსებით შეეფერება რეალურ ვითარებას: როსტევანს „ერთილა ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა“ (103); ტარიელი ამბობს: „რა მივე, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავჯე სკამითა“ (507); თინათინმა „ემა მხიარული წინაშე დასვა სკამითა მისითა“ (695); „ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცვნა, დაჯდა სკამითა“ (1062).

მაგრამ როსტევანი ვაზირს რომ გაუწყრა, — „დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეაღწენა“ (760).

სრულიად უდავოა, რომ ნამდვილად **ერთი სკამი** შემოსტყორცნა როსტევანმა ვაზირს.

მეორე მაგალითია **სელნი**.

თინათინმა რომ ავთანდილი მიიწვია, — „მონამან სელნი დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდითა“ (124).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მრავლის მთქმელია ერთი არსებითი სახელის ფორმები. ესაა **რიდე**. **რიდე** საკმაოდ ხშირად გვხვდება პოემაში.

ასე მაგალითად, ტარიელის ქვაბთან დამალული ავთანდილი ხედავს, რომ „გათენდა, ქალი გამოდგა, მოსილი მითვე ფერთა, შავსა აუდვა ლაგამი, სწმენდდა რიდისა წვერითა“ (225);

ავთანდილი რომ მოვიდა დილით როსტევანთან სანადიროდ წასასვლელად, „პიროქრო რიდე ეხვია, შეენოდა ქარქაშოსანი“ (72);

მებაღე მოახსენებს ფატმანს ავთანდილის შესახებ: „ჰშვენის ჯუბა და მოხვევა ძოწეულისა რიდისა“-ო (1073);

ფატმანი უყვება ავთანდილს: „ვიმღერდი და ვემაწვილობდი, ვიცვალე-ბდი რიდე-თმასა“-ო (1125);

ფატმანმა უძღვნა ავთანდილს „...მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდები“ (1255);

„გაგზავნეს კაცი ხვარაზშმას წინა შვილისა მთხოელი“ და „კაცი მოვიდა, ავესო ჯუბაჩითა და რიდითა“ (515);

როდესაც ავთანდილი მოუყვა ფრიდონს ტარიელის ამბავს, „ლაშქართა შიგან შეიქმნა ხმა ტირილისა დიდისა, ზოგთაგან ხოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რიდისა“ (1006);

თინათინს „გაძრცივლისა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი, ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საპირონი“ (123) და თინათინი „დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა“ (124).

შემომოყვანილ მაგალითებში **რიდე** ყოველგან მხოლოდობით რიცხვშია 123-ე სტროფისა და კიდევ ერთი შემთხვევის გარდა, როცა ეს სიტყვა - ებ სუფიქსიან მრავლობითშია წარმოდგენილი: მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდები.

ამ შემთხვევაში ეს რიდეები (=რიდეები) რეალური ვითარების ამსახველია: ფატმანმა უძღვნა ავთანდილს არა ერთი რიდე, არამედ მრავალი (სინტაქსურ შეხამება-შეუხამებლობას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკანასკნელი მაგალითი: თინათინს „ებურნეს მოშლით რ ი დ ე ნ ი“ და იქვე — „დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რ ი დ ი თ ა“. აქ ხომ ერთსა და იმავე რიდეზეა ლაპარაკი, მაგრამ ეს სიტყვა ერთ შემთხვევაში -ნ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმითაა ნახმაღრი, ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლოობითი რიცხვის ფორმით!

ცალკე უნდა განვიხილოთ ერთი რიდის ფორმები.

როდესაც ტარიელმა დაიმორჩილა ხატაელები და „ქვეყანა ჩასხა“, „საკურქლენი გარდანახნა“. აქ იპოვა მან „საკვირველი ყაბაჩა და ერთი რიდე“. ტარიელი მოუთხრობს ავთანდილს:

ვერა შევიგენ, რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად!  
ვისცა ვუჩვენე, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად;  
არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არ ორხაულად;  
სიმტკიცე გვანდის ნაქედსა, ვთქვი ცეცხლთა შენართაულად. (461)

„იგი საძღვნოდ მისად დავდე, ვისი შუქი მანათობდა“-ო — დასძენს ტარიელი. ეს რიდე პირველად დასახელებისას მხოლოობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

მეორედ პოემაში ეს რიდე გამოჩნდება მაშინ, როცა გამარჯვებული ტარიელი ბრუნდება ინდოეთში და მას დიდი ზეიმით შეხვდებიან. „რ ი დ ე ნ ი რომე მეშოვნეს ქალაქსა ხატაელთასა, იგი მეხვივნეს, მშვენოდეს, ვახელებ გულსა ხელთასა“ (479) — მოუთხრობს ტარიელი. რიდე უკვე -ნ სუფიქსიან მრავლობითშია დასმული.

ნესტანმა ნახა ამ ზეიმზე ტარიელი, წიგნი და სამკლავე გაუგზავნა, შეუთვალა — „ესე სამკლავე შეიბი“-ო და თან სთხოვა: „იგი მე მომცენ რ ი დ ე ნ ი, რომელნი წელან გშვენოდეს“-ო (496). ეს რიდე ისევ -ნ სუფიქსიან მრავლობითშია წარმოდგენილი.

ტარიელი განაგრძობს:

წიგნი რა ვნახე, მომართვა ესე საბამი მკლავისა,  
მკლავსა შევიბი მაწინე, მოვიხსენ რ ი დ ე თავისა,  
იგი უცხო და ღარიბი, მტკიცისა რასმე შავისა... (502)

რიდე უკვე მხოლოობითი რიცხვის ფორმაშია.

ტარიელმა რიდე გაუგზავნა ნესტანს და საპასუხო წიგნიც მისწერა: „განაღამცა ვიწინაშე, აჰა რ ი დ ე, რომე მთხოვე“-ო, — მისწერა (505). რიდე კვლავ მხოლოობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

ვითარება შეიცვალა: ხვარაზმშას შვილი მოვიდა ინდოეთს. განრისხებული ნესტანი იბარებს ტარიელს. ტარიელი ასე გადმოგვცემს ნესტანთან შეხვედრას: „იყო არ-ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი, ებურა მოშლით პიროქრო რ ი დ ე, მე მივეც რომელი“ (521). რიდე კვლავ მხოლოობით რიცხვშია.

ვითარება კვლავ იცვლება. ასმათი უყვება ტარიელს ნესტანის გატაცების ამბავს: „პატრონი ჩემი აგრევე იყო, წამოხვე შენ ოდეს, შენეულნივე რ ი დ ე ნ ი ებურნეს, ტურფად ჰშვენოდეს“ (577). რიდე უკვე მრავლობითი რიცხვის ფორმით მოგვევლინა:

ფატმანი უყვება ავთანდილს, თუ როგორ ნახა პირველად, რომ ნესტანი მოჰყავდათ ნავით ზანგებს: „მით ნავიდაღმა, მათ რომე მოჰყვანდა კილობანითა, აჰხადეს, ქალი გადმოსვეს უცხოთა რამე ტანითა, თავსა რიდიტა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა...“ (1131). ამ სტროფში რიდე მოქმედებით ბრუნვაშია და, ბუნებრივია, მხოლოობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. ასევე ანალოგიური ვითარებაა ცოტა ქვემოთ, როცა ფატმანი განაგრძობს ავთანდილისთვის თხრობას: ნესტანსო „არად უნდის საბურავი, არცა წოლა საგებლითა, მიწყვი იყვის რიდიტა და მით ერთითა ყაბაჩითა“ (1148).

მაგრამ ფატმანი განაგრძობს თხრობას ნესტანის შესახებ და შემდგომს, 1149-ე სტროფში კვითხულობთ:

სხვა გიამზო საკვირველი რიდიტა და ყაბაჩისა;  
 ვარ მნახავი ყოვლისავე უცხოთა და ძვირფასისა,  
 მაგრა მისი არა ვიცი. ქმნილი იყო რაგვარ რისა;  
 სიღბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტყიცე — ნაწყედისა.

**კვლავ ანალოგიური ვითარებაა.**

ფატმანი გზავნის გრძნეულ მონას ქაჯეთში და სწერს ნესტანს: „რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გაამელავნე, მერმე შენსა საყვარელსა ნიშანი რამ გაუგზავნე“-ო (1274). ნესტანი უპასუხებს ფატმანს: „გეთქვა ნიშნისა გაგზავნა, აწ ესე განამელავნია, მისეთულთავე რიდეტა ნაკვეთი გამიგზავნია“-ო (1291), ხოლო ტარიელს სწერს: „აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდიტა! გარდმიკვეთია ალაში, ჩემო, ერთისა კილისა“-ო (1309). შემდეგ ნესტანმა „ესე წიგნი, საყვარელსა მისსა თანა მიხაწერი, რა დაწერა, გარდაჰკვეთა მათ რიდეტა ერთი წვერი“ (1310). **რიდეტა, რიდისა, ისევ რიდეტა!**

და ბოლოს, ნესტანის წიგნი და „რიდეტა ნაკვეთი“ წამოიღო ფატმანისგან ავთანდილმა და გადასცა ტარიელს:

„წიგნი და კიდე რიდიტა იცნა და გაცაშალა მან,  
 პირსა დაიდგა, დაეცა, ვარდმან, ფერთა მკრთალამან“. (1340)

აქ მოყვანილ ყველა სტროფში ერთისა და იმავე რიდის, ე. ი. რეალურად არსებული ერთისა და იმავე საგნის შესახებაა ლაპარაკი. ამ საგნის სახელი რვაჯერ მხოლოობითი რიცხვის ფორმაშია (ოთხჯერ სახელობით ბრუნვაში, ორჯერ — ნათესაობითში, ორჯერაც — მოქმედებითში), ხოლო ხუთჯერ -6 — სუფიქსებიან მრავლობითში (სამჯერ — სახელობით ბრუნვაში, ორჯერ — ნათესაობითში).

სრულიად ცხადია, რომ რიდენი-სა და რიდეტა-ს რეალური შინაარსი სავსებით ისეთივეა, როგორც ამავე სიტყვის მხოლოობითი რიცხვის ფორმისა.

როგორც ჩანს, ამგვარი ფორმები ჯერ კიდევ პოემის გადამწერთა დაეკვებას იწვევდა. ამიტომაც არაერთ ადგილს ასწორებდნენ კიდევაც. ამის შედეგია ის სიჭრელე, რომელსაც ასეთი ფორმების გადმოცემისას ვხვდებით ძველ ხელნაწერებშიც კი. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი ცნობილი ადგილი 124-ე სტროფიდან — „მონამან სელნი დაუდგნა...“ სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი ხელნაწერებში: ა) სინტაგმის ორივე წვერი მრავლობითშია (სელნი დაუდგნა); ბ) სახელი მრავლობითშია, ზმნა მხოლოობითში, ე. ი. სახელობით ბრუნვაში და -6 სუფიქსიან მრავლობითში დასმული ობიექტის



მრავლობითობა ზმნაში აღნიშნული არაა (სელნი დაუდგა); გ) სახელი მხოლოლობითშია, ზმნა — მრავლობითში (სელი დაუდგნა); დ) სახელიცა და ზმნაც — ორივე მხოლოლობით რიცხვშია (სელი დაუდგა); ამ უკანასკნელის ვარიანტია სკამი დაუდგა. ეს ფორმა შემდგომაც იწვევდა დაბუკებას, მკვლევართა მხრივაც.

საერთოდ, მსგავს ფორმებს არაერთხელ გამოუწვევიათ მკვლევართა ეჭვი. ასე მაგალითად, 349-ე სტროფის სტრიქონებში — „შიგან ვწევ დიდა დარბაზთა ტურფითა საგებელითა, ზედ დამტიროდეს მეფენი ცრემლითა უშრობელითა“ — მეფესთან ერთად დედოფალსაც გულისხმობდნენ მკვლევრები. ასევე რეალურ მრავლობითს (მეფესა და დედოფალს) ვარაუდობდნენ ტაეპებში — „შენსა ნახვასა მეფენი, — თქვეს, — მართლად ინატრიდესა“ (430), „ნუ სკმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილნი ბნელითა“ (807), „მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა“ (533). მაგრამ მეფესთან ერთად დედოფლის ვარაუდი გამორიცხულია 945-ე სტროფში, სადაც როსტევეანის ნადირობისა და მის მიერ უცხო მოყმის ნახვის შესახებ მოუთხრობს ავთანდილი ფრიდონს: „მათ სპათაგან ვერ-შეპყრობა ცნეს მეფეთა მეტად მწყარალთა...“.

ამ ფაქტს მიექცა რუსთველოლოგთა ყურადღება და კვალიფიცირებულ იქნა როგორც ე. წ. დიდებულების მრავლობითი (pluralis majestatis)<sup>6</sup>.

ცნობითობის -ა სუფიქსიანი ფორმების ფართოდ გავრცელებას „ვეფხისტყაოსანში“ და დასმას -ნ სუფიქსიან მრავლობითში, აგრეთვე ამავე მრავლობითში აბსტრაქტული სახელების წარმოდგენის საკითხს ეხებოდა ნ. მარი. ჯერ კიდევ თავის ცნობილ გამოკვლევაში „Древнегрузинские одописцы“ იგი წერდა: „Появление а в м. о. для рифм наблюдаем весьма часто и в Барсовой коже“<sup>7</sup>. და ქვემოთ: „Гораздо важнее для нас знать, что под давлением рифм и в Барсовой коже наблюдаются не только искусственные построения речи, но и искусственные формы, и это не менее, чем в одах. Между тем размер и вообще система стихосложения романтической поэмы, сравнительно с одами Тамаре, предоставляют автору такой простор, что можно было и не ждать в ней насильственных форм... Особенно часто прибегает Руставели в Барсовой коже по требованию рифмы к щедрой постановке а, напр. ცერასა, დასავანანი, მონატანას, ხანას, შოსანამან, ბნელასა, მრთელასა, ფონანი, ტანასა...“<sup>8</sup>.

როგორც ცნობილია, ეს -ა სუფიქსი ნ. მარს მიცემითი ბრუნვის ნიშნის პირვანდელი სახეობის (-ას) შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა. მან ზემოდასახელებული ნაშრომის გარდა სხვა ნაშრომშიც მიაქცია ყურადღება ამ -ა სუფიქსის ხმარებას „ვეფხისტყაოსანში“. ნ. მარი წერდა: „Довольно распространено образование Д'.-го [дательного I-го] с перичным видом окончания -ас

<sup>6</sup> ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 8. II. 1952; ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 305—306.

<sup>7</sup> Н. Марр, Древнегрузинские одописцы: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. IV, СПб., 1902, გვ. 31.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 68—69.

в поэзии, так у Шоты: დიღსა ხან-ას... долгое время (в рифме) вმ. დიღსა ხანსა<sup>9</sup>. მაგრამ მკვლევარი, როგორც ჩანს, დააეჭვა იმ ფაქტმა, რომ ეს ა სხვა ბრუნვებშიც გვხვდება, და იქვე განაგრძობდა: „...Но это может быть связано с тем, что у месхского поэта излюблены основы с -а в качестве ласкательных или вообще народных, независимо от Д'-го [дательного I-го], напр. им. ერთა-ი вმ. ერთ-ი одинский, Д'' [дательный II] დარაჯა-მან стража вმ. დარაჯ-მან<sup>10</sup>.

აზრი „ვეფხისტყაოსანში“ ხელოვნურ ფორმათა უხვად გამოყენების შესახებ შემდგომ განავითარა იუსტ. აბულაძემ. მისი აზრით, პოემაში არის „აუარებელი ხელოვნური ფორმა“, რომლებიც „რითმისა და ლექსის საკიროებით არის გამოწვეული“. ამგვარ ფორმათა წყარო „ხალხური ენაა“ (sic!); ამ უკანასკნელის თვისებები კი „მდგომარეობს ერთისა და იმავე სიტყვის ნაწილაკის ან პრეფიქსის, ნაცვალსახელის, გულით ნასროლის (შორისდებულის), უარყოფითი კავშირების და სხვათა განმეორებაში“. პოეტი ამითაც არ კმაყოფილდება: „იგი ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა ფორმით ჰხმარობს... ხან ამოკლებს, ხანაც ავრცელებს... ხან ჩაურთავს სიტყვის ამა თუ იმ ფორმაში ზედმეტ პრეფიქსებს, ან სუფიქსებს...“ შემდეგ მკვლევარი ყურადღებას აქცევს „როგორც შემოკლებულს, ისე გავრცელებულს და ზოგჯერ მეტისმეტად ნაძალადევ, ხელოვნურ ფორმებს, რომლებიც შევნიერია პოეტის ქმნილებაში, ხოლო საჩოთირო და შეუფერებელი სასაუბრო ენისათვის“. ასეთია, მაგალითად, „თანხმოვანი არსის სახელის გასახვა ისე როგორც ხმოვანი ა-ნ საფუძვლის არსის სახელისაგან“, „რასაც ეტყობა გავლენა მოუხდენია ხალხურ სასაუბრო ენაზედაც, რადგან ხალხი იმერეთში დღესაც ჰხმარობს ამგვარ ფორმებს“-ო<sup>11</sup>.

ამგვარი შეხედულებები თითქოს უკვე განვილილ ეტაპს წარმოადგენდა რუსთველოლოგიაში. მაგრამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა ივ. იმნაიშვილის გამოკვლევა „რუსთველის რითმა“<sup>12</sup>, რომელშიაც ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ რითმის ანალიზისას ზემოთ განხილულ და მისთ. ფორმებსაც ეხება, ხოლო თეზისი რუსთაველის პოემაში (კერძოდ, რუსთაველის რითმაში) ხელოვნური ფორმების ნაჭარბეად გამოყენების შესახებ განვითარებულია და უკიდურესობამდე მიყვანილი.

„რუსთველი ყოველმხრივ ცდილობს, რომ თუ სადმე რითმის რომელიმე ცალში აღმოჩნდა ზედმეტი ბგერა, ამოაგდოს იგი და სიტყვა ბგერანაკლულად იხმაროს, ან თუ დააკლდა რომელიმე ბგერა, ჩაუმატოს იგი შიგ, სიტყვა ზედმეტი ბგერით იხმაროს, ან, დასასრულ, სიტყვის ერთი ხმოვანი სხვა სარიტმო სიტყვებთან შესარიტმოდ სხვა ხმოვნით შეცვალოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, რუსთველი ცდილობს ზემოთ აღნიშნულ სამ შემთხვევაში ხელოვნური ფორმები გამო-

<sup>9</sup> Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 23.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> იუსტ. აბულაძე, მე-XII-ე საუკუნის ქართული საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“, ტფილისი, 1923: პოემის ენის ხალხურობა; „ვეფხისტყაოსანი“, 26-ე გამოცემა იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1926: პოემის ენის ხალხურობა. ხაზი ჩვენია.

<sup>12</sup> ივ. იმნაიშვილი, ქართული პოეტური ენის საკითხები, თბ., 1966, გვ. 3—123.



იყენოს. აი, სწორედ აქ სჭირდება მას poetica licentia, აქაა, რომ ასე ქარბად გვხვდება ენაში უხმარებელი, პოეტის მიერ შექმნილი ხელოვნური ფორმები. უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ფორმები, რომლებიც კი საერთოდ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, უმთავრესად რითმებზე მოდის. სწორედ რითმებში ხდება ენის ბუნებრივი წესების დარღვევა, ენის კანონებიდან გადახვევა<sup>13</sup>.

ნაშრომის სხვა ადგილას ვკითხულობთ: „რუსთველის რითმას საფუძვლად უძევს კანონი, რომ რითმა უნდა იყოს ზუსტი, რომ სარიტმო კლავსულები უნდა იყოს (და არის კიდევ) აბსოლუტურად ერთი და იგივე, რომ კლავსულებში არ შეიძლება ხმოვანთა და თანხმოვანთა სხვადასხვაობა, მსგავსი ბგერების ურთიერთმონაცვლეობა, ცალკე ბგერების დაკლება ან დამატება...“.

„... რომ შაირის ეს ძირითადი წესი არ დაირღვეს, პოეტი ხარკს უხდის ტრადიციას, პოეტიკის ამ წესს იცავს, მაგრამ ზოგჯერ ენის წესებს არღვევს, ქმნის ხელოვნურ ფორმებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ენაში არ მოიპოვება, ერთი სიტყვით, უხვად სარგებლობს პოეტური ლიცენციის შეღავათებით“<sup>14</sup>.

ეს ზოგადი დებულებები ილუსტრირებულია მაგალითებით, რომლებიც, ავტორის აზრით, ამ დებულებებს ამტკიცებენ.

ასე მაგალითად, როდესაც განხილულია სარიტმო სიტყვა-ფორმები: პირსა — გპირსა — ღირსა — მცირსა, ამ შემთხვევაში მცირსა მიჩნეულია ხელოვნურ ფორმად, რომელიც იმის შედეგადაა მიღებული, რომ „პოეტი რითმას ტოვებს ხელუხლებლად, მაგრამ ხელყოფს სიტყვის ბუნებრივ ქართულ აღნაგობას, იძლევა ხელოვნურ ფორმას“... „აქედან გამოდის, რომ რითმის მთლიანობა ხელშეუხებელია, მისი დარღვევა შეუძლებელია, სიტყვის ბუნებრივი, ქართული აღნაგობა, მისი ფორმა კი შეიძლება ხელყოფილი, შეეცვალოს“<sup>15</sup>. „მაგრამ აღნიშნული სიტყვის რითმის გულისთვის ხელყოფა მარტო ამით არ განისაზღვრება“. ავტორი განიხილავს სხვა სარიტმო სიტყვა-ფორმებს: პირასა — მხდირასა — სირასა და წერს: „ახლა აქ არ გამოდგება ამ სიტყვის ჩვეულებრივი, ბუნებრივი ფორმა მიცემითში (მცირესა), არც შემოთ აღნიშნული, პოეტის მიერ ხელოვნურად შექმნილი მცირსა. ამიტომაც, რომ პოეტი მას აძლევს კიდევ ახალ სახეს — მცირასა, რომლის სავარაუდო სახელობითიც არის მცირა. ერთი შეხედვით, მცირა თითქო კნინობითის ფორმაა, მაგრამ არა: კნინობითობა არაფერ შუაშია, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რითმას, ისაა, რომ ასეთ უცნაურ ფორმას ითხოვს და პოეტიც არ აგვიანებს თავის დასტურს“<sup>16</sup>.

ყველაფერს ამას მოსდევს დასკვნა: „ამგვარად, მცირე, მცირი, მცირა (მცირესა, მცირსა, მცირასა) — აისამი სახეობა ერთი და იმავე სიტყვისა, რო-

<sup>13</sup> იქვე, გვ. 92. აქაც და ქვემოთაც ყველგან ხაზი ავტორისაა, ხოლო დაყოფა ჩვენია.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 107.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 107—108. სქოლიოში ავტორს მოცემული აქვს თავისებური გაგება კნინობითობისა: „კნინობითობას, სიმცირეს თვით ლექსიკურა მხარე უჩვენებს: მცირე. ამას აღარ უნდა კიდევ მეორედ დამცირება ფორმის საშუალებით“-ო.



მელთაგან ერთი (პირველი) სწორია, ბუნებრივი, ორი დანარჩენი კი — არა, ხელოვნურია და მხოლოდ რითმის კაპრიზული მოთხოვნით არის გამოწვეული<sup>17</sup>.

თუმცა ამონაწერები გაგვივარძელდა, მაგრამ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი დასახელებული გამოკვლევებიდან, რამდენადაც იგი უშუალოდ ეხება ჩვენს განსახილველ საკითხს. ივ. იმნაიშვილი წერს:

„პოემაში სწორია თანხმოვანფუძიანი სახელისა (არსებითის, ზედსართავის, ნაცვალსახელის) და მიმღებების ა ფუძიანებად გადაკეთება, მათთვის ფუძის ბოლოს ა ხმოვნის დართვა. აქ მხედველობაში გვაქვს ისეთი ფორმები, როგორცაა: ველანი, ქველანი, ფონანი, ფისანი, რეტასა, ლხინასა, ტანასა, ცხენოსანანი, ხორციელანი, ცხელანი, აწინდელანი, სწორანი, შორანი, ტყუბანი, შუქ-ნაფენამან, შენამან, მკრთალამან და ბევრი სხვა.

ზოგის შეხედულებით, ეს და ამის მსგავსი ფორმები კნინობითია, ა ასეთ სიტყვებში კნინობითობის მაწარმოებელია, ჩვენი აზრით, აქ კნინობითს სახელებზე არ შეიძლება ლაპარაკი. ჯერ ერთი, რა კნინობითია აწინდელანი, სწორანი, შორანი, ლხინასა, რეტასა და სხვა, რომელთა შინაარსი სრულებით ვერ იგუებს კნინობითობას; მეორე: კნინობითობის ა სუფიქსი ჩვეულებრივ არსებითს სახელს ერთვის, აქ კი სადავო ა ყოველგვარ სახელს ემატება, საწყისსა და მიმღებობაც კი, რაც სრულიად შეუძლებელია ნამდვილ კნინობითს ფორმებში; მესამე: ასეთი ა დართული ფორმები გვხვდება მხოლოდ რითმებში, მაშასადამე, აქ უნდა ვეძიოთ მისი წარმოშობის მიზეზიც; მეოთხე: სართომო სიტყვებზე დართული ა არ უნდა მოვწყვიტოთ იმ შემთხვევებს, როცა სწორედ ამგვარ პირობებში მსგავს სიტყვებს ერთვის ე და ო სუფიქსები (გასაგმირეთა, გასაგონოსა), ანდა ხმოვანფუძიანი სახელი თანხმოვანფუძიანად არის წარმოდგენილი (სამარი, მცირსა). ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ა-ს დართვა ასეთ შემთხვევებში მხოლოდ რითმის საჭიროებით არის გამოწვეული<sup>18</sup>.

ამრიგად, ყველა ამგვარი ფორმა ისეთია, როგორც ენაში არ არსებობდა და შეთხზა პოეტმა. ასეთი ფორმები არაა ენაში არსებული ბუნებრივი ყალიბების მიხედვით შექმნილი, ხელოვნურია, მაშასადამე, არ ეგუება ენის აგებულებას. ა დართული ფორმები კნინობითის ბუნებრივი ფორმები კი არაა, პოეტის მიერ რითმის მოთხოვნილების შესაბამისად გამოყენებული, არამედ ხელოვნურადაა ნაკეთები რითმის საჭიროების გამო.

ნ. მარი - ა სუფიქსით ნაწარმოები კნინობითის მრავლობითი რიცხვის ფორმათა სიმრავლეს „ვეფხისტყაოსანში“ იმიტ ხსნიდა, რომ ასეთ ფორმებს რუსთაველი თითქოს ქმნიდა „для рифм“ და „под давлением рифм“. ნ. მარი ფიქრობდა, რომ პოემაში არის „не только искусственные построения речи, но и искусственные формы“ და საყვედურს გამოთქვამდა პოეტის მიმართ: შაირის მეტრი, და საერთოდ ლექსთწყობის სისტემა, მას საშუალებას აძლევდა, თავიდან აეცდინა ნაძალადევი ფორმებიო. და მაინც, ნ. მარი არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ - ა სუფიქსიანი ფორმები ხალხური წარმოშობისა ყოფილიყო რუსთაველის („მესხი პოეტის“) პოემაში.

17 იქვე, გვ. 108.

18 იქვე, გვ. 110—111.

იუსტ. აბულაძის შეხედულებები ამ საკითხზე, სამწუხაროდ, ბუნდოვანდაა გამოთქმული. სათანადო ცნებებიც, რომელთაც მკვლევარი იყენებს, არაა ზუსტი.

რაც შეეხება ივ. იმნაიშვილის შემომოყვანილ დებულებებს, მათი გაზიარება შეუძლებელია. შეუძლებელია გაზიარება ავტორის მსჯელობისა კინობითის ფორმათა შესახებ; შეუძლებელია გაზიარება „ხელოვნურ ფორმათა“ იმ გაგებისა, რომელიც ავტორს აქვს თავის ნაშრომში წარმოდგენილი, თითქოს ეს ფორმები „ენაში უხმარებელი“ იყოს; მრავალ შემთხვევაში შეუძლებელია გაზიარება ცალკეულ ფორმათა კვალიფიკაციისა. მართალია, ჩვენ მხოლოდ ჩვენი საკითხის თვალსაზრისით საინტერესო ნაწილის შესახებ გვაქვს საუბარი, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ის, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით ითქმის, სავსებით ვრცელდება ყველა სხვა ფორმასა თუ წარმოებაზე, რომლებიც პოეტის ისეთ შენათხზად არის გამოცხადებული, ენაში რომ საფუძველი არ მოეპოვება<sup>19</sup>.

უეჭველია ერთი რამ. ასეთი მოვლენები მეტწილად მართლაც სწორედ სართიმო სიტყვა-ფორმებში გვხვდება და მრავალ შემთხვევაში პოეტური თავისუფლების გამოვლინებად უნდა იქნეს მიჩნეული, მაგრამ ეს პოეტური თავისუფლება არასგზით არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც პოეტის თვითნებური ძალდატანება ენობრივ ფაქტებზე.

ზემით განხილული ფორმები, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება და ხელოვნურად შეთხზულ ფორმებადაა გამოცხადებული, ნამდვილად ხელოვნური არ არის. ამ ტიპის წარმოება დღემდე დაცულია ქართული ენის კილოებში — ფშაურში, ხევსურულში, მოხურში... სხვაგანაც. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს სიუხვე მრავლობით რიცხვში წარმოდგენილი კინობითის ფორმებისა და საერთოდ მრავლობითის ფორმათა თავისებური შინაარსი.

მოგვეყვას სათანადო საილუსტრაციო მასალა.

### ფშაური<sup>20</sup>

— რამთენიანი გყვანთ, დეღავ, ძროხეები? — ო თ ხ ა ნ ფ უ რ ა ნ ი ა, ს ა მ ა ნ დ ე კ ე უ ლ ა ნ ი, ს ა მ ა ნ კ ბ უ ა ნ ი.

ა ე ს ი მ ი ნ დ ა ნ ი მ ქ ო ნ დ ე ნ მ ო ჳ ნ უ ლ ნ ი, ა რ ც ა რ ა მ ა გ ა თ ა მ ა მ ა გ ა რ დ ა, ა რ ა დ ა ი ს ხ ა.

ე რ თ ა ქ ე ვ ი ა ა ღ ა რ ა - მ გ დ ა ვ ი ს.

ბ ა ტ ა რ ი ა ი შ ვ ი ნ დ ა ი რ ა მ ა რ ა რ ი ს ა ხ ა ტ გ ო რ ზ ე ლ ა?

<sup>19</sup> შდრ. მაგალითად, მტკიცება იმისა, თითქოს 267-გ სტროფის მეოთხე ტაქტის სატე („სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატებო“) მიღებული იყოს სალტე-საგან იმის შედეგად, რომ რუსთაველმა რითმის გასამართავად ლ ამოაგდო სიტყვის ფუძიდან; ან რომ თითქოს 441-ე სტროფის მეოთხე ტაქტის დაფითა („მას დღესა ჩემნი მებრძოლნი ჩემმანვე სრმაღან და ფითა“) ასევე რითმის გამართვის მიზნით რუსთაველის მიერ დაფლითა ფორმისაგან ლ-ს ამოგდების შედეგად იყოს მიღებული. პირველ შემთხვევაში საქმარისია გათვალისწინება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ჩვენებისა („სატები — სარდილოლები“), ხოლო მეორე შემთხვევაში დაფითა ფორმის გათვალისწინება ხევსურულსა და ფშაურში („შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ, დაქანცული ხარ ჯაფითა, ი შენი ჯაჟვის კალთები ოკერმა როგორ და ფითა“) — „მოყმე და ვეფხი“: ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931, გვ. 208—209), რომ აღვიღად დავრწმუნდეთ ამგვარი მტკიცების მცდარობაში.

<sup>20</sup> ფშაური მაგალითები მოგვეყვას თებერა გოგოლაურის მიერ ფშაურში, კეობის სოფლებში (კეობა, სონდისველა, შივარიალნი, საბუღარა, ბიკურთა...) ჩაწერილი ტექსტებიდან.

— ჩემო ბებია, შენ გამოაცხოდე პურაი! — აგრე ბებიაი გენაცლოს, თხელას პურეებს მეხვევება.

გუშინ გუდიოი წავილე, შეინდს ხვარას შავხვლები-მეთქი.

იმ დროთაი ვაჭაი ბალაი, რო — მე გავყვები გუთანასო, — დედისათვი უთქომ. ერთაჭარაი ჰყოლია, ერთი სხვიმათვი გამოურთმევია.

ერთი ჭაკაი ცხენაი რამა-აჰყვანდა, მკვდარაი, ლურჯი, ი მკვდარაი ცხენაი ჩეყუღა ფიცრის კიღშია და მოაქცუდა ფეკი.

გომწარზე გადმოიარე, ცხენა ვისიმ ება, ავაზეზე ი ცხენაი-დ' შავე.

ყვითელან ტყავანი სცმიან.

ორ-სამან თხილან რანიმ ჩუყარნა.

იმათ სახთ აქათ ბატარან წყალანი.

მშიერას უძლვე კაცსა, დედავ: აი ტიფაისაგან ვიყავ ავადა, ხუთმეტ დღეს ვაძილე.

ი ჩემ ძმისწულა ქალაის ამბავი კი რაღამ გამოგადგება?

შენ კრამიტთან სახ გიდგა, მე ქოხაი მქვე მიწური.

რძენი ეღვებენ, ერთა ფურაის რძენ მითხარ შენა.

ვაიმე, ვენაცვლე ი გიორგის სულთა, გიორგი რო სახშია ყოფილიყო, ნიდავამ წამავილოდი.

ქალმა ჩაიცივა თავის ჯუბის ძველანი და დაჯდა; ი კაი ტანისამოს ორმოშიავ ჩაყარა.

დიდ პირნი აქქონდენ, ერთ უბრალო ქოთან იყო, მანათიან ფულ ეწყვა, ზედ მწვანე ბიბკი აქქონდა.

ჩავიცნოდი აი ფაფანაგანი, დაბალა ვიყავ, ცოტაი.

დაჯე, გენაცვლე, სკამანი დაიდგი!

ი ქალის სულთა თოლეს, რომაო, ნუ-ატირი, ჩემო დედაო. ნუ შამაწუხეო!

დონ დაუსხენით პაპასაო, პაპა არ გიჯამთ ფაფასაო.

ლექსო წამოსულიყო მკითხავსთანა, აი ბალაის პერანგან წამევენგენს.

წინ-წინ ქედანსა-აქონია კოჭობის ბოლო. ქედნისია ი ბოლონი, კოჭობმა სთხოვნა.

ერთან მჭარტყავან გაციან, წინ-დ' უკან ჩამოხეული.

ალაბლაბდა რამი არყის ალივითა, ბნელან კი არიან.

ეგენ კი ხინკალობდენ, მე ტყეში ვხიენ ჩოქანი.

მოიპარავდი საითა, ძველან ჩოქანი მცვიანო.

სად რა ექნებთან ი ქობნი, ქობნ მინდანან, საარაყე ქობნი ჰქონდენ, რა უყვენენ? ბატარანი ჩემი მოკრეფილანი რამ იყო, ერთ ლიტრანი იქნებოდენა თუ არა, ის წაიღო.

კლდის ძირ რო წყარონ მოდიან, ევკახურ ღვინოს მიჯობსა.

ა ეციხეთ ძირს იყვის წისქვილი.

ნოჯის ვაღმე ზღვმიან სახსნი.

ცეცხნ არ გვინთიანა?

მეორესავ დღესავ რძენ შამიღვებნაო. აქ არც რძენ შაუღვებნიან, არც ფურისად კელ გამაუსომ.

დამიმეადვებიან აი დოვნიცა.

მოგვივიდა კაცობაი, სომეხვით ვაბერილი, სალდათურან შინელანი, დერისკების შაქერილი.

ავოცა ბიჭმა რეგვენმა, თავს ვადიმტვრივნა კმალნიო.

### ვაჟა-ფშაველა

არამც ცომა იყოს. — ცომა კი არა მგელი სუ ცომა ს არა სკამსა, მაგრამ ბიჭობით კი ვერავინ სჯობს („სცენები“).

მაშ, რატომ არას შავაქმევეთ, დედილო, არაყანი, ვიცი გეგულებიან?! („მოკვეთილი“).

ტილო დურდურაო, რარიგს ბოლთ გამაჰყუღებებს, ნისლ გეგონებას, მიწან იძვრინა... იქნებთან ტყარუ შნი... ნისლთავით ბოლნ გამეყუღებია-დ დაღებების გუგუნო, მიწათ მპაზინებს სატიალე („სცენა მთაში“).



პაი, ვენაცვლე იმის სულთა, კი ლაშარისჯვრის ყმაა! („მოკვეთილი“).

ეს არაყანი ძოღანისავ ამოიტანე შინათა („სცენები“).

მუქარა დავსთხოვე, ცეცხლან ავაგზენ („სცენა მთაში“).

ბერი მაუძღვა ლუხუმი,

ლურჯამ მაიღო თქერანი...

კლდეთაც კი ესმისთ, სალს კლდეთა

მათურელთ გულის ძგერანი...

ცაბაურ-ვაზბიდოურთა

ცხენთაც მაიღეს ტყერანი („ბახტრიონი“).

ჩემს ტანადაბალს ხუმარას,

ბატარას, შუბიანასა...

ვაჯაცის წესი სცოდნიყო

არა ჰგავს ჯუბიანასა („ბახტრიონი“).

ერთა ქალაი გავზარდე,

მის მეტი არც-რა მყოლია („ივანე კოტორაშვილის ამბავი“).

არც ახლა გეჭირსა, რჯულძაღლო,

შამაუჭყვიელებს ქისტასა („ალუდა ქეთელაური“).

ცუდას რად უნდა მტერობა,

კარგია მუდამ მტრიანი („ალუდა ქეთელაური“).

### ხევსურული<sup>21</sup>

ბევრამ გაკვების ქალამა სათარეშოდა ქმარია,

ბევრამ გაბანდა ვაჟამა სამითხოოდა ჯღანია (67).

ლაშქრობა დაუგვიანდა ლაღა გუღანის ჯვარსაო,

კირჩლასა ბაბურაულსა, მაგის მოკლია ქმალსაო (13).

ემა ქართლის მათქომი გლეხაი ვიყავ მთისაო (26).

მინდიათაი ხთისოი ქართულას თოფას ზიდნავსა (260).

ჯივსა თოფ დახკრა ბეჭენსა, ჭლას ჯაჭნ იქნეს რქისანი...

შაიბნეს ვეფხი, მოყმეი, მაშინ დაიძრნეს მიწანი (208).

ციხით ნარცხან გადმოვღვარენ, ძირში დამჩეს თორანიო,

შენ კი მაინც არ მინდოდი, გინდა შავრჩეთ თრანიო (161).

აქ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა, როგორც ვხედავთ, არაფრით განსხვავდება „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ გაანალიზებული მასალისაგან. აქაც, კილოებში, და აქედან ვაჟა-ფშაველას ენაში, ჩვეულებრივია და ძალიან გავრცელებული კნინობითის ფორმები (ჯბო — ჯბუა — ჯბოა, ფური — ფურა, ქვა — ქვია, შვინდი — შვინდა, ბატარა — ბატარია, გზა — გზია, საკომი — საკომა, პური — პურა, გუდა — გუღია, ბალღი — ბაღღია, ჯარი — ჯარია, ცომი — ცომა, ქისტი — ქისტა, ჭაკაი ცხენაი, მკვდარაი ცხენაი და მრავალი სხვა). ამასთან, რა თქმა უნდა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რეალურად რა ზომისაა საგანი, რომლის სახელიც კნინობითის ფორმითაა წარმოდგენილი: ფურ-ფუძისაგან ფურა იწარმოება, დეკეულ-ფუძისაგან — დეკეულა და კბო-ფუძისგან — კბუა. მეტიც: საყოველთაო ცნობილი ფაქტია, რომ მეტწილად კნინობითის სუფიქსებითაა გაფორმებული სწორედ ის ფუძეები, რომელთაც სიმკირის მნიშვნელობა აქვთ. ასეთებია, მაგალითად, ხევსურულში ცოტა, რომლისაგანაც ნაწარმოებია კნინობითის ფორმები ცოტინა და ცოტი-

21 ხევსურული მაგალიტები ამოღებულია წიგნიდან: ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი, 1931. ფრჩხილებში ჩასმული რიცხვები ამ წიგნის გვერდზე მიუთითებს.

ნიკა<sup>22</sup>, თიკან-ი, რომლისაგანაცა ნაწარმოები თიკნია-ი („თიკნიის თიკანი“)<sup>23</sup>; გუდამაყრულში იმავე ცოტა ფუძისაგან ნაწარმოებია კნინობითის ფორმა ცოტია<sup>24</sup>; კიდევ უფრო დამახასიათებელ მაგალითებს გვაწვდის რაჭული კილო, სადაც თიკან-ფუძისაგან, ერთი მხრით, კნინობითი თიკნუკა არის ნაწარმოები, ხოლო, მეორე მხრით, თიკნუჩა<sup>25</sup>; ბოშ- (=ბავშვი) ფუძისაგან — ბოშუნა და ბოშუკა; პატარა- ფუძისაგან პატარიკა, პატარიკუნა და პატარიკა და ა. შ.<sup>26</sup>

ეს კნინობითის ფორმები, ჩვეულებრივ -ნ —-თ სუფიქსებიან მრავლობითში დაისმის ფშაურსა და ხევსურულში. მასდარები აგრეთვე ამავე ფორმითაა ძალიან ხშირად წარმოდგენილი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სრულიად ჩვეულებრივია ისეთი შემთხვევები, როცა არსებითი სახელები იხმარება ამგვარი მრავლობითის ფორმით, კონტექსტის მიხედვით კი არასგზით არ შეიძლება რეალურად მრავლობა ვივარაუდოთ საგნისა, ასეთი ფორმები შინაარსით სრული ბადალია მხოლოლობითის ფორმებისა. მართლაც, როცა ფშაველი ეუბნება სტუმარს — „დაჯე, გენაცვლე, სკამანი დაიდგო“ — აქ ყოვლად შეუძლებელია ერთ სკამზე მეტის შესახებ იყოს ლაპარაკი, ისევე როგორც შეუძლებელია იყო რეალური სიმრავლე გვევარაუდა „ვეფხისტყაოსნის“ ზემოგანხილულ ფრაზებში („დადგა, სკამნი შემოსტყორცნა...“ ან „მონამან სეღნი დაუდგანა...“).

როგორც ფშაურსა და ხევსურულში, ისე „ვეფხისტყაოსანში“ ამგვარ ფორმებს სრული, ყოველმხრივი სინტაქსური ძალა აქვს: ამგვარ სასაზღვრ სახელთან მსაზღვრელი მრავლობით რიცხვში შეთანხმებულია, ამგვარი სუბიექტისა თუ ობიექტის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება. მაშასადამე, არასგზით არ შეიძლება ლაპარაკი ამ შემთხვევებში მრავლობითობის ფუნქციების მომლაზგე.

ეს ფორმები ძალიან ახლოს დგას ე. წ. ემფატიკური მრავლობითის ფორმებთან, ოღონდ ეს მრავლობითი ისეთ სახელებსაც უჩნდება, რომელთაც აქვთ ჩვეულებრივი მრავლობითი რიცხვის ფორმები; მაგრამ ჩვეულებრივი მრავლობითი რიცხვის ფორმებისაგან ასეთი ფორმები იმით განსხვავდება, რომ შინაარსით მხოლოლობითის ბადალი ფორმებია. ამასთან, ასეთი ფორმები მხოლოდ პოეზიის ენისათვის არაა დამახასიათებელი, მაშასადამე, ხელოვნური წარმოშობისა კი არ არის, არამედ ხალხური მეტყველებიდან ჩანს შეტანილი პოეზიის ენაში.

რაც შეეხება კნინობითობის ფორმებს, მათს ხალხურ წარმოშობაზე სამართლიანად (თუმცა არათანმიმდევრულად) მიუთითებდა ჯერ კიდევ ნ. მარი. ამგვარ ფორმათა ხალხურობა უდავოა ჩანს.

რუსთაველი დიდი პოეტი იყო და სიტყვისადმი მისი დამოკიდებულებაც ამის შესაფერისი იყო, სიტყვისათვის უთამამესი მოპყრობა მანაც იცოდა, ნე-

22 ა. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 82.

23 იქვე, გვ. 236.

24 ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, გვ. 575.

25 იქვე, გვ. 684.

26 იქვე, გვ. 689. აქედან ცხადია უნდა იყოს, თუ რატომ არ უნდა გვიკვირდეს, როცა „ვეფხისტყაოსანში“ მცირე ფუძის გვერდით კნინობითი მცირა-ც გვხვდება და თუ რატომაა ეს უკანასკნელი მისაჩნევი სავსებით ბუნებრივ ფორმად.

ოლოგიზმებიც და პოეტური ლიცენციებიც მასაც მოეპოვება და უხვდაც. მაგრამ პოეტური ლიცენცია არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს პოეტი ქმნიდეს, თხზავდეს ენისათვის შეუძლებელ ფორმებს ან ნებისმიერად ეპყრობოდეს არსებულ ფორმებს. რუსთაველი თავისი ენის საშუალებებს, თავისი ენის სიმდიდრეს იყენებს და იყენებს თავისებურად, შემოქმედებითად. აქ იჩენს იგი პოეტურ თავისუფლებას. რუსთაველი ბრწყინვალედ ფლობს როგორც წინა ეპოქების ქართული სალიტერატურო ენის საგანძურს, ისე მისდროინდელი სალიტერატურო ენის ფართო შესაძლებლობებს. რუსთაველის დროინდელი სალიტერატურო ენა უკვე აღარ იყო ძველი სალიტერატურო ქართული, დასაბამი ეძლეოდა ახალ სალიტერატურო ენას, ქართული საერო მწერლობის ენას<sup>27</sup>. ამ ენაში უთუოდ იგრძნობოდა დიალექტთა მონაწილეობის გაძლიერება, ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ერთგვარი მოძალემაც. რაც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში მხოლოდ აქა-იქ თუ იჩენდა თავს, ახლა საერო მწერლობის ენის შემადგენელი ელემენტი გახდა.

ყველაფერი ეს საფუძველს ქმნიდა იმისათვის, რომ სალიტერატურო ენაში მომრავლებულიყო როგორც ლექსიკური, ისე სიტყვაწარმოებითი და მორფოლოგიურ-სინტაქსური ვარიანტები და გაზრდილიყო ამათი ხვედრითი წონა და მნიშვნელობა. ამის გამო ეს სალიტერატურო ენა აღარ იყო ისე უნიფიცირებული და მკაცრი ნორმების მქონე, როგორც, ვთქვათ, მისი წინამორბედი სალიტერატურო ენა იყო, ენა საეკლესიო მწერლობის ძეგლებისა. სალიტერატურო ენის ეს თავისებურება ყველაზე რელიეფურად სწორედ პოეზიის ენაში შეიძლებოდა წარმოჩენილიყო და საამისოდ სწორედ ისეთი უმაღლესი რანგის ლექსი იყო ზედგამოჭრილი, როგორც გენიოსმა პოეტმა შექმნა.

რუსთაველი მისდროინდელი სალიტერატურო ქართულის ამ შესაძლებლობებს იყენებს ბრწყინვალედ, დიდი მხატვრული გემოვნებითა და ტაქტით და სწორედ აქ იჩენს იგი უსაზღვრო პოეტურ თავისუფლებას. ყოველ საჭირო შემთხვევაში იგი სწორედ ისეთ ფორმას მიაგნებს, რომელიც ოპტიმალურია მოცემული გარემოსათვის. რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები მეტწილად რითმებზე მოდის.

სტროფის სარიტმო სიტყვა-ფორმებია: **დასაწველად, მკვლელად, სანახველად**; ამათთან შერითმულია **ქველად** (415). სარიტმო სიტყვაფორმებია: **მკვლელო, სანახველო, სასურველო**; ამათთან შეწყობილია **ქველო** (1442). სარიტმო სიტყვა-ფორმებია: **სიძნელითა, გრძელითა, ძელითა**; მათთან შერითმულია **ქველითა**, მოქმედებითი ბრუნვის ფორმა. სარიტმო სიტყვა-ფორმებია: **ყელისა, მრთელისა, ხელისა**; მათთან შერითმულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმა **ქველისა** (1466) და ა. შ. მაგრამ, თუ რითმა სხვაგვარია, პოეტი სალიტერატურო ენის სხვა შესაძლებლობას იყენებს. სარიტმო სიტყვა-ფორმებია: **ყველანი, შველანი**; ამათთან შერითმულია **ქველანი**, და აგრეთვე **ველანი** (427). **ქველანი** ისეთივე შესაძლებელი ფორმაა, როგორც ამ სიტყვის ნათესაობითი ან მოქმედებითი ბრუნვის ფორმები, რომლებიც წინა სტროფებში იყო გამოყენებული.

კიდევ მეტი. რუსთაველს მოეპოვება არაერთი ზმნის. ისეთი ფორმები, რომლებიც რუსთაველის პოემის გარდა ქართულში არსად გვხვდება:

<sup>27</sup> არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, ენისკის მოამბე, III, თბ., 1938.



მე ვიცი ჩემსა ხელმძღვანელსა თმად ყორნის ბოლო სთმოზია. ((965)

ვაჲ ჰმართებს მისსა გაყრილსა, შავი ხლა თავსა ჰხლებია. (998)

ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია. (1429)

**სთმოზია, ჰხლებია, სდედებია, სდებია** თურმეობითი პირველის ფორმებია ნასახელარი ზმნებისა, რომელთათვისაც ამოსავალ ფუძეებად ივარაუდება **თმა, ხლა, დედა, და. სთმოზია** — თმად ჰქონია, მისი თმა ყორნის ბოლოსავით შავი ყოფილა; **ჰხლებია** — ხლად მოხვევია; **სდედებია** — დედად გახდომია, დედობა გაუწევია; **სდებია** — დად გახდომია, დობა გაუწევია. სხვა დრო-კილოთა ფორმები ამათ არ მოეპოვებათ, ისევე როგორც არც ეს ფორმები ჩანს სადმე სხვაგან. ამ ზმნათა ეს ფორმები რუსთაველის შექმნილი ჩანს და მხოლოდ რუსთაველის პოემის ამ ტაეპებშია გამართლებული. მაგრამ ეს ფორმები სავსებით შესაძლებელი და უნაკლო ფორმებია ქართული ზმნის უღვლილებების პარადიგმათა თვალსაზრისით. რუსთაველის პოეტური თავისუფლება იმაში გამოიხატა, რომ მან ზმნათა სავსებით ბუნებრივი ფორმები შექმნა ისეთი სახელური ფუძეებისაგან, რომელთაგან ენაში, ჩვეულებრივ, ზმნა არ იწარმოებოდა.

ენაში არსებულ შესაძლებლობებს პოეტი „ისე იყენებს, როგორც ამას პოეტური სიტყვის საჭიროება მოითხოვს“. „პოეტური სიტყვის საჭიროება განსაზღვრავს გრამატიკულ ფორმათა ვარიანტების შერჩევას“<sup>28</sup>.

და თუ მინც ზოგი რამ გამოგონილსა და ხელოვნურად შეთხზულსა ჰგავს, ეს იმიტომ, რომ ამგვარი ფორმები არ იყო ძველ სალიტერატურო ქართულში, ხოლო იმ ენობრივი გარემოს მასალა, რომელმაც რუსთაველის პოემა წარმოშვა, ჩვენამდე შედარებით ძუნწადაა მოღწეული და, რაც მოღწეულია, ისიც არაა საკმარისად შესწავლილი.

პოეტური ლიცენცია „ვეფხისტყაოსნის“ ენაში გაუგებარი ფაქტების ახსნის უნივერსალურ საშუალებად იყო ქცეული. ამისი მრავალი ნიმუში უკვე ვნახეთ და კიდევ არაერთის დასახელება შეიძლებოდა. პოეტურ ლიცენციად იყო, მაგალითად, მიჩნეული 1445-ე სტროფის მესამე ტაეპის ტრადიციული წაკითხვა — „უთქვენოდ მყოფსა არ გვინდან ნიშაგნი, ნაჩანგდაფენი“, პოეტურ ლიცენციად იყო მიჩნეული **დილ** სიტყვა 608-ე სტროფის მესამე ტაეპში — „ოხრად გავუზდი ყოფსა მათ სალამოსა და დილსა“ —, სანამ არ გამოირკვა, რომ პირველ შემთხვევაში ვახტანგის გამოცემის კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე<sup>29</sup>, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელოვნურად მიჩნეული **დილ**-ი ნამდვილად **დილა** სიტყვის კანონზომიერი ვარიანტია<sup>30</sup>. რაც უფრო გაღრმავდება პოემის ტექსტის შესწავლა, მით უფრო შემცირდება ასეთ „ხელოვნურ“ ფორმათა რიცხვი პოემაში.

<sup>28</sup> არნ. ჩიქობავა, ძველისა და ახალი ქართლის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XV, თბ., 1966, გვ. 23,9.

<sup>29</sup> ივ. გიგინეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი (ერთი სტროფის ანალიზის მაგალითზე), „მაცნე“, 1966, № 3, გვ. 209—213.

<sup>30</sup> ქ. ლომთათიძე, **დილა** სიტყვის **დილ**-სახეობისათვის „ვეფხისტყაოსანში“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XV, 1966, გვ. 35—38.

### შუქუნა შვიკრიშვილი

## ორპირიანი გარდაუვალი ზმნების დრო-კილოთა მესამე სმრია ახალ ქართულში

ახალ ქართულში ორპირიან გარდაუვალ ზმნათა მესამე სერიის წარმოება მრავალფეროვანია. ამ მრავალფეროვნებას ქმნის დასახელებული ტიპის ზმნებში როგორც ამოსავალი ფუძის (მასდარის) სხვადასხვაობა, ისე ორგანული და აღწერითი წარმოების თავისებურებანი.

1. ორპირიან გარდაუვალ ზმნათა წარმოებისას ამოსავალი ფუძის თვალსაზრისით ახალ ქართულში მესამე სერიის ყველა ნაკვთი ძირითადად ერთნაირია: საყრდენია საუღლებელი ზმნის მასდარი, რომელიც გართულებულია მეშველი ზმნით (პირველ თურმეობითში) ან -ოდ-ი, -ოდ-ე სუფიქსებით (მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში): გავზრდი-ვარ, გავზრდ-ოდ-ი, გავზრდ-ოდ-ე. ამის გამო თურმეობითებსა და მესამე კავშირებითში ძირითადად საერთოა როგორც ორდინარული ფორმები, ისე თავისებურებანიც. ამის საფუძველს წარმოადგენს მასდარის ფუძის სხვადასხვაობა, არქაული და ახალი წარმოების ფორმათა პარალელური გამოყენება.

ცნობილია, რომ მასდარი საზიაროა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათათვის და იგი, ჩვეულებრივ, ეყრდნობა მოქმედებითი გვარის ზმნის აწმყო-მყოფადის ფუძეს. ორპირიან გარდაუვალ ზმნათა უმრავლესობაც მესამე სერიის ნაკვთებში სწორედ ამ უკანასკნელი ტიპის მასდარს იყენებს ამოსავლად.

იმ სტამბის მუშას, ჩვენზედ... გული შესტკენია (აკაკი, პუბ. 494). მთის კალთებს მიბჯენია მოსახლეობა (მ. გარიყ. 149). ქეთოს ცოტა იერი შესცვლოდა ი. გოგებ. 57). მონადირემ ჩაღვა გულა, რომ დაჰხვედროდა... მხეცს (გ. ბარნ. 108). აბა თუ გაგიგონია, ვინმეს... წავჩხუბებოდე (კ. გამს. V, 230). ვინ ვინ იტყვის შენს დიდ გარჯას, რომ თან გული არ დასწოდეს (გ. ლეონ. 10).

გარდა ამისა, ქართულში გვხვდება ისეთი ვნებითი გვარის ზმნები, რომელთაც შესაბამისი ფუძის მოქმედებითი არ ეწარმოებათ. ასეთ შემთხვევაში გარდაუვალ ზმნათა მესამე სერიისათვის საყრდენია თავისივე მასდარი (-ომ, -ოლ, -ნ სუფიქსიანი).

-ომ:

მითამ შვილი კალთაში მჯდომია (ილია, 466). თაფლო ბუხარს მისჯდომია (მ. გარიყ. 136). თვალი მავას დასდვომია (ბ. ჩხ. 257). [ვაჰა] ციკანს გამოსდგომია (მელან. 17). თანდარუხს უცაბედათ შემოჰკედომია კაცი (ნ. ლორთქ. 571). ვიღაც მოხტომია ამ დამთხვეულ ცხენს (ლ. მრულ. 78). მონაგარიზე მაგიდას მის-

<sup>1</sup> მწერალთა დასახელებაში მიღებული გვაქვს ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში გატარებული შემოკლება.

ჯდომოდა (რ. ჯაფარი. 316). ბაბლია [ნაპა მიქელას] ამოსდგომოდა (ჯ. გამს. V, 19). რაც ქმარი მოჰყვდომოდა, მას აქეთსულას ექცეოდა ქვრივი ამ იარაღს (ილია, 522). გარშემო დედაკაცი მისხდომოდნენ (ლ. მრელ. 137). თითქოს იმათად ჩვენც მოგვჯდომოდეს [გული] (ილია, 569). ვითომც ვიორგი მიხტომოდეს მას სასახლეში (ა. ფურც. 272). ვითომც ვიორგი ჩასჯდომოდეს როსტომს ქალაში (ა. ფურც. 272).

-ოლ:

კორნელი დიდხანს არ გაჰყოლია ამ ფიქრებს (ალ. ქუთათ. 14). მამაკი თავის მუხლისთავეს დასწოლია (გ. შატბ. 234). საადროდ გადასწოლია ლეგარუბელი ბნელი (ა. გომ. 199). მეფემ ბრძანება გასცა... გაჰყოლიდნენ საბრძოლველად (ვ. ბარნ. 287). მას დიდი თავაზით მიეპატივნა და წინ წამოსძლოლოდა (ს. შანშ. 39). ნუგზარს კი ბოღმა მოსწოლოდა ყელში (ვ. ბარნ. 282). მოურავი არა თუ მარტო თათრებს უნდა ჰბრძოლოდა, უნდა ჰბრძოლოდა თვით ქართველთაც (ა. ფურც. 498).

-ნ:

ესეც შენ, ჩანი გავარდნია (ბ. ჩხ. 30). ლუარსაბი... შაჰს უნდა ჩავარდნოდა ხელში (ვ. ბარნ. 333). თითქოს ამ ქალს მართლაც გულიდან ამოვარდნოდეს იგი (ნ. ლორთქ. 356).

-ომ სუფიქსიან ზმნათაგან დასდგომია მესამე სერიის ნაკეთებში, როგორც წესი, ემყარება დგომა მასდარს. მაგრამ ამ უკანასკნელის ნაცვლად სალიტერატურო ქართულში იშვიათად მოქმედებითი გვარის აწმყო-მყოფადის თემატ გვევლინება.

იცოცხლე, ორთავეს სიმწრის დღე მიჰყენებიათ (დ. კლდ. 605). მითხარით, ჩემგან [პლატონს] რა შეწუხება მიჰყენებია (დ. კლდ. 391). მაგკვარი დენა... თქვენგან იმას მიჰყენებია (ა. ფურც. 458).

მოცემულ კონტექსტში მიჰყენებია<sup>2</sup>ს ხმარება (ხელოვნური ჩანს. იგი უნდა მომდინარეობდეს მიაყენებს ფორმისაგან სხვა ზმნათა ანალოგიით (შდრ.: წვდომა — მისწვდომა და აწვდენს — მისწვდენია). ამავე ტიპის წარმოება გამოჰყენებია სპეციალურ ლიტერატურაში ახსნილია, როგორც ანდაზისათვის შექმნილი ფორმა („ერთხელ ქაჩალის თავი მეწისქვილეს გამოჰყენებია გაკირვებაში“)<sup>3</sup>.

გასხლტომია ზმნისათვისაც საანალიზო ფორმებში, ჩვეულებრივ, ამოსავალი -ომ სუფიქსიანი მასდარი (სხლტომა).

ბევრჯერ დაგვსხლტომია... ცხვარი (მელან. 148). რა ჩაწყვეტია, რა ჩაქრობია, რა მოფლეთია, რა გასხლტომია (ირ. აბაშ. 102). პაულე ამოდ ცდილობდა გასხლტომოდა... იაშვილს (დ. კასრ. 349). ნაკადული დასხლტომოდა ქვებს (ლ. ავალ. 149). ბიჭმა სცადა გასხლტომოდა, მაგრამ ლაღომ აღარ გაუშვა (ს. შანშ. 261).

აქაც არაა წარმოების ეს ტიპი ერთადერთი: ზოგჯერ მასდარს ცვლის მოქმედებითი გვარის აწმყო-მყოფადის თემა (შდრ.: სხლტის მას და მოხსლტეთა ის მას):

<sup>2</sup> ასეთი წარმოება სალიტერატურო ქართულში იშვიათია. ჩვეულებრივ, გაბატონებულია -ებ თემატური ნიშნით ვართულებული -ოლ სუფიქსიანი მასდარი: გადაწყვიტეს მტერს შებრძოლოდნენ (გ. ნატრ. 245); იგი ნახირის დასაცავად ნადირს შებრძოლებია (ვ. ბარნ. 108).

<sup>3</sup> ლ. ლეჟავა, ქართული ანდაზების ენა: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959, გვ. 153.

<sup>4</sup> -ომ სუფიქსი არაა წარმოდგენილი ფორმაში: „რომ ხელიდან არ გავსხლტოდო... თავს მოვიკლავდი“ (უიარ. 473).



ხედავ კლდის პირას ჰედელა მოსხლეთია ფარას (ი. მოსაშ. 206). ფეხს ძალა დასდგომია და მოსხლეთია. აი, სად მოსხლეთია, ხედავთ, ბალახზე კვალიც ჩანს (გ. შატბ. 234). დაჰსხლეთოდა მას განწირული მსხვერპლი (გ. ბარნ. 285). მწვევარი ცდილობდა დასხლეთოდა მონადირეს (ა. ბელ. 10). კორნელის წარბი მალა ასხლეთოდა (ა. ქუთათ. 66).

ამ პარალელურ საყრდენ ფუძეთაგან მოხმარების თვალსაზრისით ჯერ კიდევ გაბატონებულია -ომ სუფიქსიანი მასდარი, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში ორივე სახეობა (გასხლტომია || გასხლეთია) მართებულ ფორმებადაა მიჩნეული<sup>5</sup>.

როგორც ვხედავთ, ორპირიან გარდაუვალ ზმნათა მესამე სერიის წარმოებისას ამოსავალია, ერთი მხრით, მოქმედებითი გვარის ზმნის აწმყო-მყოფადის ფუძეზე დამყარებული მასდარი და, მეორე მხრით, მხოლოდ ვნებითი გვარის ზმნათათვის შესაფერისი ფორმა. მაგრამ წარმოების ეს ორი ტიპი ყოველთვის როდია აბსოლუტურად გამიჯნული. სალიტერატურო ქართულში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი და იგივე ზმნა პარალელურად ემყარება ზემოაღნიშნულ ორივე ფუძეს და ამის გამო თავს იჩენს -ენ || -ომ სუფიქსიანი წარმოება:

-ენ:

ბსოვნა მჭონია, გონებაში ჩამრჩენია (ილია, 323). ერთსაც არ დასცდენია სამიმირის სიტყვა (რ. ჯაფარ. 79). აი, რამდენი შემცდენია (ი. ლისაშ. 505). დრმად ჩასწვდენია... სცნურ სახეებს („დროშა“, 1971, № 3, გვ. 4). მარდი ოცნება გრძელრიდესაც გადასწვდენია (გ. ვაფრ. 176). მე, ჯერაან ვარდოსანიძეს, კი არ შემრცხვენია (ქ. ლომთ. 110). შეუნახავთ კვალი იმ ოცნებისაც, რაც არ ახდენიათ (გ. ნატრ. 119). ვინ მოსთვლის რა არ გადახდენია მახარას (მ. ჯავახ. არს. 60). [სანთლის ნაშწიქ] მგონია სალდათს დარჩენოდა (გრ. ორბ. 273). ერთი სიტყვაც არ უნდა დასცდენოდათ მასთან (ა. ბელ. 69). ბეჟანამ დანა დადო გვერდზე... რომ სწრაფად მისწვდენოდა (გ. ფანჯიკ. № 1, 32). რომ არ შემრცხვენოდა, მეც ვიტრებდი (ილია, 359). რაც რამ გადახდენოდა, ყველაფერი გაუზიარა ხალხს (ი. ეკალ. 43). იქნება ბავში მენახოს და გულში ჩამრჩენოდეს (ილია, 501).

-ენ სუფიქსიან ზმნათაგან გადახდენია (პირველი თურმეობითი) ამოდის ძველი წყვეტილისაგან — გარდამო-ჰედ. ეს უკანასკნელი ფუძე მერეა გართულებული -ენ სუფიქსით: ჰედ-ენ → ხდენია.

არქაულ ჰედ ფუძეზე დაყრდნობილი თურმეობითის ფორმა იშვიათად მაინც შემოუნახავს XIX საუკუნის ქართულს:

თავის ჩაღუნა მაშინა მფერობს, როცა თავზედ გადამხედია რამე (მელან. 46). რამდენი რამე გადამხედია (თ. რაზიკ. 64). რამდენი გინახავთ, რამდენი თავს გადგხედიათ (ნ. ლორთქ. 472). სოსიკამ უამბო იმათ ყველაფერი, რაც... გადახედოდა (ა. ფურც. 251). ბერომ იცოდა სოფელში ვისაც კი რამ... გადახედოდა (ი. ევდ. 270). მასწავლებლებს, რაც თვითონ გადახედოდათ, სხვისაგანაც იმას თხოულობდნენ (ი. ეკალ. 17).

<sup>5</sup> იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, სექტი 918; ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968, გვ. 253.

<sup>6</sup> შდრ.: „ნანანოს მულისა რომ არ რცხვინებოდ, მთელ ვლეს კარში იდგებოდა“ (მელან. 124).

<sup>7</sup> ივ. ქავთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში: იეე, VII, თბ., 1955, გვ. 74.

-ომ:

თქვენ შეგცდომითა — ვუთხარ (ა. ყაზბ. 473). შატის ჯერ არ ჩასწვდომია შუქი შუადღის მზისაო (ვაჟა, 144). მისი მადლიანი ხელი უცხოეთში გაფანტულ დაწესებულებებსაც მისწვდომია (ივ. ჯავახ. 36). მე რაღა დამარჩომია ამის მეტი (მელან. 256). ევერ არსად შამარცხომია (მელან. 33). ჩანს, გიორგის არაერთხელ მოხდომია... ყოფნა კონსტანტინეპოლში (კ. კეკ. 216). უცნაური რამ გადახდომია თავს (კ. ლორთქ. 247). [ზავშეს] უნდოდა ქილებს მისწვდომოდა (ფ. დგებ-ფულ. 509). რამდენიმე დღედა და გვრჩომოდა სასწავლებლიდან დათხოვნამდე (ი. ვედ. 139). მას ყოველივე ზემოხსენებული თავს გადახდომოდა (დ. კლდ. 275). იქნება მართლაც ამხდომოდა იმათი სიტყვა (მიხ. შრევ. 260).

ზოგიერთი ორპირიანი გარდაუვალი ზმნა მესამე სერიის ნაკეთთა საყრდენ ფუძედ იყენებს როგორც მოქმედებითი გვარის ზმნის აწმყო-მყოფადის, ისე ვნებითი გვარის აწმყოს თემას: შდრ.: აცვენს—დასცვენია, ცვივდება || სცივია—დასცივენია; აჩენს—დასჩენია, ემჩნევა—დამჩნევია; ახვედრებს—შეხვედრია, ხვედება—შეხვედენია:

ა. ამ თქვენს ჰადარს... ფოთლები გასცვენია (აკაკი, 461). კიბეს საფეხურები ჩასცვენია (ფ. დგებ-ფულ. 418). ყაფლანს თვალები ჩასცვენოდა (რ. გვძ. 94). ნინოს ნაწნავები კალთაში ჩაცვენოდა (ალ. ქუთათ. 94). ჩარჩოს სილუეტი დასჩენოდა იატაკს (ლ. ავალ. 114). ერისთავს სახეზე ფერფლის ფერი დასჩენოდა (ალ. ქუთათ. 322). ხშირად შემხვედრია ამ საბძლისავე ავლა (ილია, 308). იგი ნელ-ნელა ჩაჰყვა გზას... არავინ შეხვედრია: (გ. ნატრ. 25). ყველა ცდილობდა... ტასოს მევობლობა შეხვედროდა (ე. ნინოშ. 199). [მოხუცს] მეორედ ოტასი შვილი დაჰხვედროდა (ნ. ლორთქ. 26).

ბ. ურემს თვია გასცვიენია (თ. რაზიკ. 234). ქალს შავი თვალები... ჩასცვიენია (მ. ჯავახ. 70). ხეს ფოთოლი არ გასცვიენოდა (ვ. ბარნ. 121). გაფითრებულ სახეზე ოპანას არაფერი დამჩნევია (ნ. ამაშუკ. 96). სულას სიმაღლე ზედ დასჩნეოდა (ილია, 223). ხალხს ვადარებუბა უნდა დასჩნეოდა (ივ. ჯავახ. 184). სადაც შეხთენიან, ერთს მეორე გაუძარცვავს (ე. ნინოშ. 69). შინ მარჩენალი ხარები აღარ დამხეთენია (ლალ. 37). გლეხები დახვედრიათ<sup>10</sup> გზაზე თავადანურებს (ე. ნინოშ. 66). ი. თიბაძე რო აქ შეგხვედეროდა, გლახათ იქნებოდა შენი საქმე (ა. ჭუმბ. 49).

განხილულ პარალელურ ფორმათაგან სალიტერატურო ქართულში ჯერ-ჯერობით დამჩნევია, ჩასცივენია უფრო ხშირად მოიხმარება, ვიდრე დასჩენია, ჩასცვენია. მაგრამ, თუ გაეთვალისწინებთ ანალოგია-უნიფორმაციას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძეზე დამყარებული ვნებითი გვარის ზმნათა მესამე სერიის წარმოება მოცემულ შემთხვევაში თანდათან გაბატონდება. სალიტერატურო ენისათვის ნორმად მიჩნეულია როგორც დამჩნევია, ჩასცივენია, ისე დასჩენია, ჩასცვენია<sup>11</sup>.

ქართულში ცნობილია რამდენიმე ზმნა, რომელმაც თავ-თავისი საწყისი აქვთ მოქმედებითსა და ვნებითში. ასეთებია: ტეხა — ტყდომა, წყვეტა — წყდომა, ხეთქა — სკდომა და ა. შ. ასეთი ვნებითი გვარის ზმნების მესამე სერიისათვის საყრდენია შესაფერისი საწყისის ფორმა<sup>12</sup>.

<sup>8</sup> ანალოგიითა, დიალექტობშია.

<sup>9</sup> შეხთენია ასიმილაციით მიღებულია შეხვედენია<sup>1</sup>საგან.

<sup>10</sup> დახვედრია — \*დახვედერია.

<sup>11</sup> ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, გვ. 252, 345; ქეგლ, III, სვ. 123; VIII, სვ. 609.

<sup>12</sup> ა. შანშიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 468.

ნეტავ იმას, ვისაც... ბეწვის ხიდი ფეხთა ქვეშ არ ჩასტყდომია (ილია, 238). ჩვენს ერს [ესეთი] მტარვალობის მსგავსი არასდროს თავს არ დასტყდომია (ივ. ჯავახ. 14). მოსლოდნელი იყო... მთელი ვულისწყრომა გიგიშას დასტყდომოდა (ფ. დგებ-ფულ. 199). კიდევ მგონია... ამ ქვეყანასთან ძაფი არ გამწყდომია (ილია, 347). ზურისას არ უნდოდა მოსწყდომოდა ქალი კერას (მიხ. მრევ. 211). კათალიკოსს ერჩია მიწა გასკდომოდა (გრ. აბაშ. 36). ნეტავ მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავეტანე (ნ. წულეისკ. № 7, გვ. 18).

მაგრამ ასეთ კონსტრუქციაში არცთუ იშვიათია მოქმედებითი გვარის ზმნათა აწმყო-მყოფადის თემა:

იმ ხარს ერთი რქა მოსტყეხია (ილია, 415). ზაფხულს ნირი გასტეხია (მ. გარიყ. 218). [თერგს] როგორღაც დევგმირული ხმა ჩასწყვეტია (ილია, 287). გობი-ჯვარში ჩასახლებულებს ილაჯი გასწყვეტიათ (მ. გარიყ. 152). [შიშის] ზვავიც ბევრჯერ მოხეთქია (თ. რაზიყ. 201). თუ რამე მოხდებოდა, მე უნდა დამტეხოდა თავზე (დ. კლდ. 164). ქალებს ძრწოლა ასტეხოდათ (ვ. ბარნ. 179). გვეშინოდა მტერს არსად არ წავწყვეტოდიოთ (ი. ევდ. 204). კოფთას ზედა ღილი აწყვეტოდა (ნ. ამაშუკ. 35). მათხოვარს ფეხები დახეთქოდა ფეხუცემლობით (ილია, 518).

ორპირიან გარდაუვალ ზმნათა წასწყდომია || წასწყვეტია და მისთ. ფორმებიდან წარმოების მიხედვით მართებულია პირველი სახეობა (წასწყდომია...), მეორე კი (წასწყვეტია...) მიღებული ჩანს იმ ზმნათა ანალოგიით, რომლებიც, ჩვეულებრივ, ამოსავალ ფუძედ იყენებს მოქმედებითი გვარის აწმყო-მყოფადის თემას. ეს ანალოგიური წარმოება ისე დამკვიდრებულა სალიტერატურო ენაში, რომ კიდევ აპირებებს რიცხობრივად ვნებითი გვარისათვის დამახასიათებელ მასდარზე დაყრდნობილ წარმოებას. სალიტერატურო ქართულში ნორმად მიღებულია ორივე დასახელებული ფორმა<sup>13</sup>: ერთი (წასწყდომია) — როგორც წარმოებით მართებული, მეორე (წასწყვეტოდა) — როგორც მოხმარებით გაბატონებული.

საყრდენი ფუძის თვალსაზრისით სხვადასხვაობას უჩვენებს დახსომეზია || დამახსოვრებია; დამსგავსებია || დამგვანებია ზმნათა მესამე სერიის ფორმებიც. აქ ამოსავალია ან უშუალოდ მასდარი, ან მიმღობათაგან ნაწარმოებ პირის ფორმაზე დამყარებული მასდარის ფუძე: ჰ-გავ-ს : მ-გვ-ან-ი : დამგვანება — დამგვანებია და ა. შ.

აი, ხომ ხედავ, ყველაფერი დამხსომეზია (უიარ. 156). შენ კანონის პირველი ნახევარი კარგად დაგხსომეზია (მ. ჯავახ. 228). ტატე ბიჭო, ნახწაელ კაცს დამსგავსებია (მ. გარიყ. 45). ქორწინება განშორებას დამსგავსებია (მ. მრევ. 324). ისე უნდა გვექმნათ, რომ სამუდამოდ დახსომეზოდათ (ა. ყაზბ. 116). მისი ღია ვული მრავალ ზემოურს დაჰხსომეზოდა (მ. ჯავახ. არს. 563). ქალამანი ჩვარს დამსგავსებოდა (ს. კლდ. 12). ეს შეიძლება მკვლელობას დამსგავსებოდა (ვ. ლორთქ. 132). თითქოს კალისტრატეს არც ერთი აღარ ხსომეზოდეც (რ. ჯაფ. 66). მისი კაცს სიზმრის შინაარსი არ დამახსოვრებოდა (ლ. ქიჩა. 239). რას დამგვანებია, ღმერთო! (რ. გვეტ. 324). დამგვანებია ავსებულ მთვარეს (ს. ჩიქ. 220). არ ჰგვანებია ჩვენ მწერალს (მელან. 35). მე რომ დამგვანებოდა, რა იქნებოდა (ს. მგალობ. 164). ძალი პატრონს დამგვანებოდა (ო. იოს. 397). ჯერ ქალი უნდა ყოფილიყო, რომ ქალს გვანებოდა (ბ. ჩხ. 120). არ მოხდარა ისეთი რამე, რომ მეხის გავარდნას ჰგვანებოდეც (დ. კასრ. 192).

განხილული მასალების მიხედვით, სალიტერატურო ქართულში უფრო ხშირია მასდარის ფუძეზე დაყრდნობილი მესამე სერიის ფორმათა წარმოება.

<sup>13</sup> ქე გლ, VIII, სვ. 302; ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, გვ. 251, 253, 344, 375; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970, გვ. 199.



სპეციალურ ლიტერატურაშიც ძირითადად ნორმა ეს უკანასკნელი<sup>14</sup>. მიმდებარის ფუძეზე დამყარებული წარმოება (დამგვანებია, დამახსოვრებია) შედარებით ახალი წარმონაქმნი უნდა ჩანდეს.

ორპირიან გარდაუვალ ზმნათა მესამე სერიის წარმოებისას თავისებურებებს ქმნის არამართო სხვადასხვა ტიპის ზმნათა გამოყენება საყრდენ ფუძედ, არამედ ზმნის ერთსა და იმავე ფორმაში არქაული და ახალი წარმოების პარალელური არსებობა. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი:

1. როცა მოქმედებითი გვარის ზმნა აწმყო-მყოფადში -ებ, -ობ სუფიქსიანია, შესაბამისად ეგვევ სუფიქსები შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს ორპირიან გარდაუვალ ზმნებსაც საანალიზო ნაკვეთებში, რამდენადაც ამ უკანასკნელთა ფუძე ემყარება მოქმედებითი გვარის აწმყო-მყოფადის თემას (ახებს, ეხება — შეჭებია — შეჭებოდა — შეჭებოდეს).

ზედმეტი სმისაგან ნიკას ქუთუთობთან პარკები და ჰკიდებია (მ. ვარიყ. 130). კაბიტალიზმი ჩვენს ქვეყანას ჯერ არც კი შეჭებია (ალ. ქუთათ. 114). მიწერი არაფერი მიჰკარებია ყმის სულს (ს. კლდ. 112). ნუშს მოუქარავს შტო შარზანდე, მკვრლზე კვირები აჰფეთქებია (ალ. აბაშ. 35). სოფიო კედელს მიყუდებია (მ. ჯავახ. 29). ტყვიებს ტყვიები დასჯახებია (კ. ბობ. 292). სარდლონს მომსვლელი მაინც არ შემოჰკლებია (დ. კლდ. 509). ჰრიალა ჯერ ქათმების სამეფოს არ გასცილებოდა (თ. რაზიყ. 278). გრაციელას წინა თმები კულულებად ჩამოჰკიდებოდა (ლ. მეტრ. 7). გაბრიელი რომელ ღმერთს უნდა შევედრებოდა (დ. კასრ. 416). მოხუცს დასჰკნობოდა გალუელი პირის სახე (კ. ლორთქ. 203). მოვსწრებოდე თ, შრომის გმირი ვიყოთ ყველა (კ. ბობ. 165). კანცელარიის წინ ვიდექი, რომ სამუდამოდ გამოეთხოვებოდი ამ სატუსაღოს (ჭ. ლომთ. 136).

მაგრამ დასახელებული ტიპის ზმნები ყოველთვის უგამონაკლისოდ როდი მისდევნენ წარმოების ამ წესს. ზოგჯერ ამოსავალია არა პირველი სერიის თემა, არამედ მეორისა<sup>15</sup>. შესაძლებელია ამ შემთხვევაში გარკვეული წილი ედოს იმ გარდამავალ ზმნებს, რომლებიც თურმეობით პირველს წყვეტილის ფუძეზე დაყრდნობით აწარმოებს (აკლებს — დააკლო — დაუკლია, შდრ.: აკლდება — მოაკლდა — მოჰკლია):

ფელეტონი არ მოჰკლია ჩემგნით ივერიის რედაქციას (ე. ნინოშ. 594). მოკიდია ცეცხლი და გამოშვარა ორივე (ე. ნინოშ. 218—219). [გოგოს] მაჩის სიმსხო... კავები ჩამოკიდია (მელან. 34). არა?.. მე არ გამოჰკიდობარ? — ღრიალებდა თეიმურაზი (ნ. ნაყაშ. 220). ვიორგა თავის დღეში არავის წასახლებია (ეკ. ვაბაშ. 468). ხავსი მსხალს აბლაბუდასავით ჩამოჰკიდოდა (თ. რაზიყ. 94). ოთარაანთ ქვრივს მართო სახე უფრო ჩამოჰკნოდა (ილია, 562). მე კი მინდოდა შევედროდი (შ. არაგვ. 209). იავო სამუდამოდ უნდა გამოსთხოვოდა თავის სატრფოვდ ფიქრს (ა. ყაზბ. 183). ინეინერს... ერთი ვილაც... აფიციბი ასჩემოდა (გ. წერეთ. პირე. 28). ბიძიყო შენ გაბრალევენ ვითომც... ეშმაკებს მიჰკეროდე (დ. კლდ. 284). ჩვენში შგონია არავინ მოსწროდეს ასეთ აკრძალულ საქმეს (ნ. ნინოშ. 51).

XIX—XX საუკუნეების სალიტერატურო ქართულის მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ პარალელური წარმოებიდან (მოჰკლებია || მოჰკლია) უსუფიქსო ფორმები (მეორე სერიის ფუძეზე დაყრდნობილი) ძირითადად XIX საუკუნის სალიტერატურო ენის კუთვნილებას წარმოადგენს. თანამედროვე მწერლობა მას თითქმის აღარ იყენებს, სამაგიეროდ, ნორმა სალიტერატურო ქარ-

<sup>14</sup> ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, გვ. 329.

<sup>15</sup> არნ. ჩიქობავა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში: ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 130—138.

თულისათვის ზემოდასახელებული სუფიქსიანი ფორმები, როგორც მართებუ-  
 ლი წარმოების მიხედვით და გაბატონებული მოხმარების თვალსაზრისით.

2. ვნებითი გვარის იმ ზმნებისათვის, რომელთა გარდამავალ ფუძეს  
 აწმყო-მყოფადში -ავ თემატური სუფიქსი აწარმოებს, მესამე სერიის ფორ-  
 მათა უფრო ძველი და ტიპობრივი სახეობაა დამკვიდრებული სალიტერატუ-  
 რო ქართულში. ორპირიანი გარდაუვალ ზმნათა ამ უძველესი სახეობისათვის  
 ამოსავალია აწმყოს უძველესი ვარიანტი, რომელიც -ებ სუფიქსით არაა გარ-  
 თულებული (მართავს: ემართვის — დამრთვია), ე. ი. არქაული ვნებითის  
 აწმყოა საყრდენი თურმეობითებში.

რა დამართვია... რა არის ეს? (რ. ერისთ. 466). მაგი გლახათ დამართიან,  
 ბატონო (შ. დად. პიეს. 85). მასწავლებელი არც ერთს არ დაჰკითხვია სკოლის საქ-  
 მეზე (ი. გოგებ. 206). მას ეხლა არავინ შეჰკითხვია (ა. სულაჯ. 36). მაგ კიებმა  
 ჩაყლაპეს, შენ რომ შემოგხიზვნიან (თ. რაზიკ. 90). ერეკლეს თვალს არ გამო-  
 ჰპარვია (დ. კასრ. 10). ბევრჯერ მეფის მკერდს გადაჰფარვია  
 ეამს განწირვისას, მტრის მოწოლაში (გ. ლონ. 242). [მთვარეს] თითქოს  
 დამართვია ბრწყინვალე სხივები (ჭ. ლომთ. 11). ბევრს ჩასახვია გულში იმისი  
 სურვილი (ილია, 525). ხალხიც უწინა ყოფილა და ქუდიც იმათა ხურვიათ (ს. მგა-  
 ლობ. 420). რად მონატრვია ამ დიდკაცს მწირის ძონძები (კ. გამს. 482). მთის კაცს  
 უნდოდა ამის შესახებ შეჰკითხვოდა შეილს (ლ. ქიაჩ. 262). ბოლოს ვარჩიე მთებს  
 შეეხიზნოდი (ბ. კაკაბ. 151). მატახერია ბუხარს აჰფაროდა (დ. შენგ. 463). ბ-ნ  
 მარს ეჭვი მიანც უნდა შეჰპარვოდა (ილია, პუბ. 122). მაშინვე გადავწყვიტე  
 თვალთ არ დავნახვოდი (შ. არაგვ. 76). ხატის წყენთ ტუჩები აბურცვოდა  
 (ნ. დუმბ. 239). რაც უნდა დამართოდა, [მეგლარი] უსათუოდ უნდა დამოტრალყო  
 (დ. კლდ. 480). მხატვარს... მისი დახატვის სურვილი ჩასახვოდა გულში (ალ. ქუ-  
 თათ. 227). ამის შემდეგ ყველაფერი კარგი დამართოდეს ქვეყანას (ფ. დგებ-  
 ფულ. 303).

მაგრამ ახალ სალიტერატურო ქართულში ზემოდასახელებულ ფორმათა-  
 გან ზოგიერთი ვნებითი გვარის ზმნა შემდგომ გართულდა აწმყო-მყოფადში  
 -ებ სუფიქსით და ეს უკანასკნელი ფუძე გამოყენებულ იქნა მესამე სერიის  
 მწკრივითათვის საყრდენად, ე. ი. თურმეობითებში ახალი წარმოების ვნებითია  
 ამოსავალი (დამართებს: დემართება — დამართებია).

ამ გემს რა დამართებია (რ. ერისთ. 338). [ამაზე] არც კი შეეკითხებო-  
 ვარ შტაბში (დ. კლდ. 165). გრძელოვი არც კი შეემკითხებია (უიარ. 297). სა-  
 სახლეს შორეულიც შეჰხიზნებია (ვ. ბარნ. 64). მარინეს ისიც არ გამოჰპარე-  
 ბია (ეკ. გაბაშ. 288). აგვისტოს დამე გადაჰფარებია დედამიწას (გ. ნატრ. 159).  
 თუ შენი სული ჩაჰსახებია ვისმე ქვეყანაზედ... (ილია, 332). აი, ქუდიც არ მხურ-  
 ებია... თუ მაგის სისხლი შეგარჩინო (ილია, 543). იამ ვერც კი გაბედა შეჰკითხე-  
 ბოდა... გოგის (ი. ევდ. 197). საიმედო თავშესაფარს შეხიზნებოდა ოთხასი კაცი  
 (კ. ლორთქ. 256). ეს შეენიშნა ცბიერ მელასა და ჩუმა-ჩუმა მიჰპარებოდა (ბაჩ.  
 262). [ხალისარს] თვალის ქუთუთოები აბურცებოდა (ი. ევალ. 48). და თუ მტრის  
 მახვილს მონატრებია (ი. ნონეშ. 22). წამი არ დასცალებია, რომ ზუთი თუ  
 ექვსი ცხენოსანი ზედ წამოგავწყდა (ილია, 372). ცირცელი კლდეს გულზე მიჰკრო-  
 ბოდა (თ. რაზიკ. 132). ეშმაკსა თუ დახშობოდა სასმენელი ამ ვასპირში (ვ.  
 ბარნ. 82).

თავისი წარმოების წესით ორპირიანი გარდაუვალ ზმნათა ამ ჯგუფს მი-  
 ეკუთვნება რქმევია, რომელიც მესამე სერიაში ემყარება არქაულ აწმყო-  
 მყოფადს (არქმევს — ერქმევს — [და]რქმევია):

ამ სოფელს ცხრამუხა რქმევია ოდესღაც (კ. გამს. V, 9). უფროსს მტხახვლად  
 „ურის ცხენი“ რქმევია (ი. ევალ. 22). სტუმარს ნათელა რქმევია (ს. შანშ. 39).

16 თემისნისნისეული ვ ყოველთვის არაა შენარჩუნებულ.

ოდესდა ამ ფერდობს გვიმრალი რქმეოდა (ს. კლდ. 7). დაუქრებელი რამეა, ორივეს ალექსანდრე რქმეოდეს (ივ. ჯავახ. 91).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნორმაა რქმევია. მაგრამ აქაიქ მის ნაცვლად ჰქვიებია<sup>17</sup> იჩენს თავს. ჩანს, ამ უკანასკნელ ფორმაში სტატიკურმა ზმნამ (ჰქვია) საყრდენ ფუძედ გამოიყენა თავისივე აწმყო და გართულა - ებ სუფიქსით: ჰქვია — ჰქვიებია (შდრ. ზგონია — ზგონებია).

თანდარუხი კი ჰქვიებია სახელათა (ნ. ლორთქ. 577). დიახ, ირინე ჰქვიებია (პ. კაკაბ. 72). თეკლას დას მზია ჰქვიებია (ო. იოს. 164).

ამგვარად, სალიტერატურო ქართულში დასტურდება ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის მესამე სერიის ისეთი პარალელური ფორმები, რომლებიც ეყრდნობიან როგორც არქაულ, ისე ახალი წარმოების აწმყო-მყოფადის ფუძეს. ამ შემთხვევაში ყოველთვის აღარაა დაცული გარკვეული კანონზომიერება. ცხადია, თუ მესამე სერიის ფორმა არაა გართულებული - ებ სუფიქსით, წარმოება ძველია. - ებ თემატური ნიშნის გაჩენა საანალიზო კონტექსტში უფრო მერმინდელი მოვლენა ჩანს. თუ, ერთი მხრით, გადაჰფარებია, გამოსთხოვებია, გადაჰკიდებია, ხურებია და, მეორე მხრით, მიჰპარვია, დაჰკვრია, დამართ 161 ია || დამართვია ფორმები აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ, შეჰკითხვია, შეხიზვნია || შეჰკითხებია, შეხიზნებია თითქმის თანაბარი რაოდენობით იხმარება. ასეთ შემთხვევაში სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ძნელია დადგინდეს წარმოების რომელი სახეა გაბატონებული ან საითყენაა ტენდენცია. ამ უკანასკნელათვისაც სპეციალურ ლიტერატურაში ნორმადაა მიღებული როგორც შეჰკითხვია, შეხიზვნია<sup>17</sup>, ისე შეჰკითხებია, შეხიზნებია<sup>18</sup>. მაგრამ სხვა მსგავს ფორმებთან ერთად საანალიზო პარალელურ წარმოებათა ასეთი მრავალფეროვნება კიდევ უფრო ართულებს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის საკითხს. ამიტომ უმჯობესია დამკვიდრდეს ერთ-ერთი სახეობა, კერძოდ, - ებ სუფიქსიანი (შეხიზნებია), რამდენადაც მისთვის ამოსავალია ახალ ქართულში გაბატონებული და ერთადერთი წარმოების ვნებითი გვარის ზმნათა აწმყო-მყოფადის ფუძე (შდრ. ეხიზნება).

3. მესამე სერიის ფორმათა წარმოების მხრივ ძველსა და ახალ ქართულში ნაწილობრივ განსხვავებას უჩვენებს აგრეთვე ის გარდაუვალი (საშუალო გვარის) ზმნები, რომელთა ნაკლები ნაკვთების შესავსებად გამოყენებულია - ებ სუფიქსიანი ფუძე და ეს უკანასკნელი ფორმა ამოსავალია მესამე სერიისათვის. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ჰქონია, ჰყოლია ტიპის ზმნები.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, წარმოების ეს წესი დაცულია უფრო ადრინდელ ძეგლებში და ნაწილობრივ თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც (შდრ.: მოსწონს — მოეწონება მოსწონებია). მაგრამ ახალ ქართულში ზოგიერთი ზემოდასახელებული ტიპის ზმნის თურმეობითებსა და მესამე კავშირებითში მასდართან ან მეორე სერიასთან საზიარო ფუძეა გამოყენებული. წარმოების ეს ფორმა დღეს ძირითად ნორმადაა დამკვიდრებული, როგორც საკმაოდ გავრცელებული<sup>19</sup>.

<sup>17</sup> ქე გლ, III, სვ. 1303, 1526; ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, გვ. 846.

<sup>18</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (არნ. ჩიქობავას მოხსენების მიხედვით), I, 1970, გვ. 214; გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, 1965, გვ. 86.

<sup>19</sup> ივ. ქავთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში, გვ. 65.



ვენახი ჰქონიათ და ბატონს წაუტომეცია (ილია, 482). ბესიასაც სიცხე ჰქონია (ე. ნინოშ. 69), ილიკოს თან ჰყოლია ოცი ყმაწვილი (გ. ბარათ. 176). კაი დალაგება გცოდნია (ილია, 477). საბჭოს სხდომა რომ ჰქონოდათ, უსათუოდ შემატყობინებდნენ (ი. გოგებ. 360). შვილი რომ გყოლოდათ, მაშინ უფრო მხნედ იქნებოდით (გ. შატბ. 254). მცხეთის ჭვარის შესახებ მოთხრობა უნდა ცოდნოდა სომხის მწერალს (კ. კეკ. 128). სუფთა ყმები... ისე ჰქონდა გაპარსული, თითქოს წვერიც სულ არ ჰქონოდე (მ. ჭავჭა. არს. 20). როდის ყოფილა... რომ ადამიანს მოწინააღმდეგე არყოლოდე (აკაკი, პუბ. 157). ვითომც კონსტანტინეს... გალაშქრებისა არს ცოდნოდე (ივ. ჭავჭა. 138).

ამ ძირითადი გაბატონებული წარმოების გვერდით, XIX—XX სს. მწერლობაში იშვიათად მაინც ვლინდება დასახელებულ ზმნათა მესამე სერიის დიალექტური ფორმები (-ებ სუფიქსიან აწმყო-მყოფაღზე დაყრდნობილი):

თქვენ უფრო სამძიხო ხვედრი გიძევე წინ, ვინემც მე მქონებია (გ. წერეთ. II. 185). ძალიან საქმე გქონებიან (ე. ნინოშ. 16). ბევრ პოეტს არ ჰქონებია ისეთი გამოხმაურება (ე. კოტეხ. 217). თან ბავშვსაც ვზრდიდი... შემწე ვინ მყოლებია (დ. კლდ. 264). იქნება სხვაგვარად მშველოდა რამე, თუ მე მქონებოდა მოთმინება (გრ. ორბ. 430). ვაი ერთი დანა მქონებოდა (ე. ნინოშ. 182). რისი იმედი უნდა ჰქონებოდათ ამომრჩეველთ (ილია პუბ. 123). თუ საკუთარი სახსარი არ ჰქონებოდა,... თავადი გადმოსვლას ვერ გაბედავდა (ი. გოგებ. 367). არც ერთი მწერალი კალამს არ მოჰკიდებდა ხელს, რაიმე იდეა რომ არ ჰქონებოდა (გ. ჭიბლ. 311). შეიძლებოდა კონსტანტინეპოლის აღებას ისეთი გავლენა არ ჰქონებოდა (გ. ქიქ. 183). მთავრის შვილსაც უნდა ქონებოდა განზრახვა (ნ. ლორთქ. 319). ახნეტავი დაიარ მყოლებოდა (გ. ბარნ. 179). თურმე ჩვენს მასპინძელსა მყოლებოდა ბუღბუღი (დ. კლდ. 595). ჩემი ესრეთ ახლოს ყოფნა რომ გცოდნებოდა... (გ. ერისთ. 350). რომ სცოდნებოდა, თუ ვინ ბრძანდებოდა, კაღნიერებას ვერ გაბედავდა (აკაკი, 264). იქნება საბაიას არც გვარი... არს ცოდნებოდა იმ კაცის (გ. წერეთ. 170). საფიქრებელია, რომ თერგდალეულს ექვსი თვალი უნდა ჰქონებოდე (ლ. არღ. 337). თითქოს ამ ქალს იმედი არ ჰქონებოდე (ნ. ლორთქ. 356). თუწინდ მომაკვდავი მყოლებოდე და ის გამოგებრუნებისოს (დ. კლდ. 309).

ამგვარად, ჰქონებია, მყოლებია ტიპის ზმნათა არსებობა XIX—XX სს. ქართულში შეიძლება აიხსნას ანალოგია-უნიფორმაციით, ე. ი. ამავე ზმნათა -ებ სუფიქსიანი აწმყო-მყოფადი, ერთი მხრით, და თურმეობითებში სხვა -ებ სუფიქსიანი ფორმები, მეორე მხრივ, შესაძლებელია ხელს უწყობდნენ ამ წარმოების ჯერ კიდევ შენარჩუნებას: მაგ. ექნება — ჰქონებია (მდრ.: ეკარება — მიჰკარებია); მყავს — მყოლებია (მდრ.: უყვარს — მყვარებია).

ჰქონებია ტიპის წარმოება მეტწილად გვხვდება დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ენაში, სადაც ამ ფორმათა არსებობას უნდა განაპირობებდეს დასავლური დიალექტები. ამ უკანასკნელთათვის დღესაც არაა უცხო საანალიზო წარმოება:

[კაცს] ომ ფარა ქონებია, მუჰჰუკავს (ქართ. დიალექტ. 399, აჭარ.). შენ სული თან არ ჰქონებია (იქვე, 423, გურ.). დედობილი ყოლებოდა მამას (იქვე, 468, იმერ.).

სალიტერატურო ქართულისათვის ნორმაა ჰქონია, მყოლია, სცოდნია ფორმები; ჰქონებია, მყოლებია, სცოდნებია კი დიალექტიზმია, ამდენად მიუღებელი.

უფრო მრავალფეროვანი და თავისებურია უნდა ზმნის მესამე სერიის წარმოება. ცნობილია, რომ „უნდა საშუალო გვარის ზმნათა ისეთ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელსაც მეორე სერიის მწკრივები საერთოდ არ ეწარმოება, მყოფადის წრის მწკრივები ე-ნით არის ნაწარმოები საწყისისაგან: ენდომება.

მესამე სერიის ფორმებია: მნდომია, მნდომოდა, მნდომოდეს. აქ თანხმოვანთა თავმოყრის გამო ჩვეულებრივ იკარგება ფუძისეული **ნ** და ზმნის დასაწყისად **დ** რჩება. ამის გამო მის წინ მესამე ობიექტური პირის ნიშნად **ს** ჩნდება: მ-დომია, გ-დომია, ს-დომია<sup>20</sup>.

მაშასადამე, მესამე სერიის ფორმათათვის ამოსავალია ახალწარმოქმნილი მასდარი **ნდომა**, რომლის ფუძე წარმოდგენილია სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით:

ა) ფუძეში შენარჩუნებულია **ნდ** თანხმოვნები:

გულს არ ნდომია ეს ზღვარ-სამანი (ირ. აბაშ. 49). მეფე გიორგის ნდომია იგი საცოლედ (ჯ. ვაშ. 784). უკეთუ ავი მნდომოდა... იმ საღამოს შინიდან არ გამოვიდოდი (გრ. აბაშ. 160). იმას რომ შურისძიება ნდომოდა, აქამდე ვერ მოახერხებდა? (შ. დად. IV, 128).

ბ) ზმნის ფორმაში არაა წარმოდგენილი ფუძისეული **ნ** თანხმოვანი:

იმისთანას ვერ იშოვიდა, როგორც შენ გდომია (რ. ერისთ. 472). მამულის დამსხნელს ვაჟკაცის გული და ხმალი სდომია (ილია, 169). თუ არ მდომოდა, მაშ აქ რათ ჩამოვიდოდი (ა. ყაზბ. 173). თქმა რომ გდომოდა, განა მაშინ არ მეტყოდი? (ლ. მრელ. № 6, გვ. 17). თითქოს შალვას მისი შეჩერება სდომოდეს (რ. ჯაფარ. 103).

გ) უნდა ზმნის მესამე სერიის ფორმები ემყარება -ებ სუფიქსიან აწმყო-მყოფადის თემას (ენდომება — სდომება || ნდომება):

არ გვდომებია, არ გვიენდა (ი. ნონეშ. 150). შენ სულ არ გდომებია მაგის გათხოვება (მელან. 159). იმე, ამა თავრობას ქვეყნის წახდენა დომებია (ა. ქუმბ. 137). მაშ არ გნდომებია და ეს არის (დ. შენგ. 106). ძმებს ნდომებიათ აღწერილი უოფილიყო გიორგის... ცხოვრება (ჯ. კეკ. 248). ეგრემ მდომებოდა, ზომ ოთხინიც აღარ მეყოლებოდა (ბ. ჩხ. 16). არ იფიქროთ, რომ მე მისი შურისძიება მდომებოდა (აკაკი, 387).

დ) ზოგ შემთხვევაში აწმყოსეული -ებ სუფიქსი შეცვალა -ნმ:

ასე არასდროს მდომნია შენი სიბოთ (მის. მრევ. 322). ზურნები რაღათა გდომნია (რ. ერისთ. 318). აღექსანდრე მეფეს... გაერთიანება სდომნია (ივ. ჯავახ. 301). წამლად რომ გდომნოდა, ერთ ცალს ვერ დაინახავდი (ლ. მრელ. 407). მას თუ კი მოსვლა არ სდომნოდა (შ. არაგვ. 368).

ე) აქა-იქ თავს იჩენს **სდომებია || სდომნია**'ს კონტამინაციური ფორმა **სდომნებია**:

შამილს სდომნებია ილიას გამოშვება (ნ. ბარათ. 176). ეთერი... თავისი შემადგენლობით სდომნებია (შ. არაგვ. 315).

ჩამოთვლილ პარალელურ ფორმათაგან სალიტერატურო ქართულში გაბატონებულია -ებ სუფიქსიანი წარმოება (**სდომებია, ნდომებია**). ამ გარემოებისათვის შესაძლებელია ხელი შეეწყოს **მოინდომებს-მოუნდება** ზმნებს და დიალექტურ **მინდებარ, გინდებარ** ფორმებს, შდრ.: არავის გინდებვართ? არც მე მინდებხართ (ნ. ღუმბ. 243); რა ოხრად უნდებხართ (ს. კლდ. 190).

II. ორპირიანი გარდაუვალი ზმნები (უმეტესად დინამიკური ვნებითები) ახალ ქართულში მესამე სერიის ნაკვთებს აწარმოებს აღწერილად და ორგანულად. აღწერილი წარმოება ახასიათებს თურმეობით პირველს, ხოლო თურ-

<sup>20</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 558—559.

მეობით მეორესა და კავშირებით მესამეში გაბატონებულია ორგანული წარმოება, თუმცა არცთუ იშვიათად აღწერთიცი გვხვდება.

თურმეობით პირველში (და ზოგჯერ მეორეშიც) დასახელებული ტიპის ზმნათა წარმოება ძველ ქართულთან შედარებით უფრო გართულდა, რამდენადაც ამოსავალ ფუძეს დაერთო მეშველი ზმნის შესაბამისი ფორმები. ძველ ქართულში იყო **ვწვევი** მე მას, ახალ ქართულში დამკვიდრდა **ვწვევივარ** მე მას და მისთა:

შენს სუფრას არც წინეთ ვწვევივარ (ი. გოგებ. 8). არა ერთხელ შეეფარებოვიართ... მთას (ს. შანშ. 203). აქურობას არ გაეცილებივარ (თ. რაზიკ. 133). მე ზმირად დაგშორებოვივარ (ვ. ვაფრ. 23). ცუდად ნუ გადაძკიდებოხარ (ილია, 355). კონსაგით მიყუღებოხარ ხეს (ლ. მრულ. 166). შენ მაგდანას ნუ აპყოლიოხარ (ს. შანშ. 84). ვინც თავის ქვეყანას მოშორებოხარ (ილია, 288). პალატი სჯობნებოხარ (მელან. 168). არ მოსწრებოხარ მამას შვილის დანახვა (დ. კლდ. 468). [ეს] ოჯახი სიცოცხლესაც მოსძულებოხარ (გ. შატბ. 169). ზღვას... ჩემი ბედისწერა შეჩვევიოხარ (გ. ტაბ. 260). ერთმანეთს გადაპხვევიოხარ ეს ძველი ამხანაგები (ირ. აბაშ. 172).

მაშასადამე, ახალ ქართულში ორპირიანი გარდაუვალი ზმნის თურმეობითი პირველის ფორმა წარმოადგენს საუღლებელი ზმნის მასდარისა და მეშველი ზმნის ნაერთს.

მაგრამ ამ ძირითადი წარმოების გვერდით XIX—XX სს. მწერლობაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა საანალიზო კონსტრუქციაში საყრდენი ფუძეა არა მასდარი, არამედ წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა. ამის შედეგად ზოგიერთი ზემოდასახელებული ზმნა ასეთი ფორმითაც უხმარიათ:

განვშორებულვარ შენთანა შევბას (ალ. ქავკ. 63). ზამთარში მოედანს არ მოვშორებულვარ (ლ. არდაზ. 35). არ მოვშორებულვარ მის სასთუმალს (ა. ქუთათ. 178). ათი წელია... ერთმანეთს დავშორებულვართ (ა. მირცხ. 42). შინ ჯალაბთ მოვძულებულვარ (ა. ყაზბ. 163). არ მივჩვეულვარ მუშაობას (ე. ნინოშ. 58). მაგ ოხერს ვერ შევჩვეულვარ (მელან. 357). საშინლად გადავჩვეულვართ სიარულს (რ. ინანიშ. 31). ქანაანის ქვეყანას არ გაეცილებულვარ (უიარ. 263). [ჯამაგირს] ხუთ თუმანს არ აეცილებულვარ (შ. დიდ. 154). კარლ შოტის დედანში გაეცნობილვარ (გ. ნატრ. 165). ქმაო, გადავყოლილვართ [თამაშს] (უიარ. 176). არც არავის ჩამოვრჩენილვარ (გ. შატბ. 315). ვინა ხარ შენა... მოშორებულხარ ჯალაბობას (ილია, 66). აი სიყრმიდგან შეჩვეულხარ ოხერას (გ. ერისთ. 53). ცუდად არ გაძლოლილხარ საქმეს (ფ. დგფულ. 148). არხეინად სვეტს მიყრდნობილხარ (უიარ. 197). რას გადაპყოლილხარ მაგ კაცს (კ. ლორთქ. 226). შენც აპყოლილხარ ჩემს ქმარს (ა. მირცხ. 471, 366). რამოდენად სჯობნებულა პირუტყვი ადამიანს (ს. მაგლობ. 683). ვინმე შემსწვრალა შეურაცხებას ამგვარსა? (ზაჩ. 75).

მსგავსი მაგალითები შეიძლება დავიმოწმოთ საშუალი ქართულის მწერლობიდან და თანამედროვე დიალექტებიდან:

შევდგომილვარ მაჯუნისა... კვალსა (თეიმ. I, 80). შენ... ლეონის... სიტყვას აყოლილხარ (საბა, 61). არ შევძულებულვართ ერთმანეთს (ქართ. დიალექტ. 342). უდელეხს... შეხვედრილა ერთი... დედაკაცი (ქართ. დიალექტ. 363).

ყველა ეს ზმნა თურმეობით პირველში უნდა ემყარებოდეს მასდარს, როგორც წარმოების ძირითადს ნორმას სალიტერატურო ქართულისათვის (მოშორება-: მოვშორებოვივარ, მოშორებოხარ, მოშორებოხარ და ა. შ.), მაგრამ, თუ მაინც აქა-იქ მოსალოდნელი მასდარის ადგილზე მიმღეობა გამოვლინდება, ეს გამოწვეული ჩანს თავიდანვე ერთპირიან ან შემდეგ ერთპირიანად ქცეულ



ზმნათა (შდრ. დაეცა ის მას: დასცემია; დაეცა ის: დაცემულა) თურმეობითი პირველის წარმოების ვაგლენით<sup>21</sup>, როდესაც აღწერთს ფორმაში ამოსავალი ფუძეა საუღლებელი ზმნის მიმღეობა (აშენ-დ-ა: აშენებულ-ი—ავშენებულვარ მე; შდრ. იყრება — დაყრილა და ა. შ.).

მიმღეობის ფუძეზე დამყარებული ორპირიან გარდაუვალ ზმნათა თურმეობითი პირველის აღწერითი წარმოება მიუღებელია თანამედროვე სალიტერატურო ქართულსათვის: იგი წარმოებით გაუმართლებელია და, ამდენად, არც არის საყოველთაოდ დამკვიდრებული. ახალ ქართულში შედარებით გვიან გაჩენილი ეს მოვლენა ასე თუ ისე მაინც გავრცელებულა, ლიტერატურულ ენაშიც შეუღწევია.

თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში ორპირიან გარდაუვალ ზმნათა წარმოებისათვის ახალ სალიტერატურო ქართულშიც ამოსავალი ფუძეა მასდარი, რომელიც, თავის მხრით, გართულებულია -ოდ-ი (თურმ. II) და -ოდ-ე (კავშირ. III) სუფიქსებით:

ვაგდებოდი... ვწვეოდი თქვენს ხილისთავს (ი. გოგებ. 320). ... რომ ერთმანეთს შევხვდართ დით (ილია, 379). მინდოდა მალულად გსტუმრებოდი (ა. ბელ. 320). ქვეყანა გაძლიერების გზას უნდა დადგომოდა (ივ. ჯავახ. 171). თუგინდ... მიხელილ დამბრუნებოდეს (ს. კლდ. 488). იშვიათია, რამე არ დამსიზმრებოდეს (ნ. ღუმბ. 319). ნუ იფიქრებთ... გაპარვა მდომებოდეს (ნ. ლორთქ. 80).

საანალიზო ტიპის ზმნებს ორგანული წარმოება ახასიათებდათ ძველ ქართულშიც მესამე სტრიის ყველა ნაკეთში. ახალმა ქართულმა კი აღწერითი წარმოება მხოლოდ თურმეობით პირველს გაუჩინა. „ამ ეტაპზე შეჩერდა დასავლური კილოები და ძირითადი ნაკადი სალიტერატურო ენაში. აღმოსავლურ კილოებსა და რამდენადმე სალიტერატურო ენაშიც მეშველი ზმნის ხმარება იქნა შემოღებული მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითშიც“<sup>22</sup>.

მაშასადამე, მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში ორპირიან გარდაუვალი ზმნების ორგანული წარმოების გვერდით ახალი ქართული ზოგჯერ მეშველზმნიან წარმოებასაც გვიჩვენებს. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვყოთ წარმოების ორი ტიპი: ა) ამოსავალია მასდარი, ბ) ამოსავალია ენებითი გვარის მიმღეობა.

ა) ორპირიან გარდაუვალ ზმნათა თურმეობითი მეორისა და კავშირებითი მესამის ორგანულ წარმოებაში საუღლებელი ზმნის მასდართან -ოდ სუფიქსის ნაცვლად მეშველი ზმნის ნამყო (ვიყავი, იყავ, იყო) გვევლინება შემდეგ მაგალითებში:

### თურმეობითი მეორე:

შემძლო არ ვაგვოლიყავ (ვაჟა, 515). რომ არ დავნაძლევებიყავ, არ წვიდოდა (თ. რაზიკ. 130). მინდოდა... წვერში ვცემიყავ (დ. შენგ. 224). რომ შამხვეწნიყავით... არ ვიხამდი (ვაჟა, 433). ცოცხალსა მურმან ვეზირსა, მე გირჩევნიყო მკედარია (ი. მოსაშ. 432). შენ უნდა გამოსარჩლებიყავ მამასა (ვ. ერისთ. 344). საღ გადაიყარა, მყოლიყო... გვერდათ (მ. გარბ. 136). ...რომ კეთილი საქმე აგვსრულებიყო (ი. ეკალ. 95). ათასი სიცოცხლე მინდოდა მქონიყო (ჭ. ლომთ. 421). გაღვიხარე, რომ ნიავე მომფენიყო (შ. არაგვ. 52). მეზინოდა ისიც არ დამქარგვიყო (დ. კლდ. 572). თვლები გავიშეშე, რომ [ის] არ

<sup>21</sup> თუმცა მსგავს შემთხვევაში მაინც ძველი კონსტრუქციაა შენარჩუნებული ერთგან: სადაური ვარ მე, ვისი ბოროტი ხუმრობით მოვქცევივარ აქ, ამ უცხო ქვეყანაში (ჭ. ლომთ. 316). შდრ.: ალყაში მოქცა — ალყაში მოქცეულა...

<sup>22</sup> ა. შანიძე, ღასახ. ნაშრ., გვ. 470—471.

ამ ცდენიყო (ლ. არდ. 85). დიდი ხნის... არა ვარ, რომ... ერისთავი მხსომებიყო (ილია, 475). ტოლემიცი დამცოცხლებიყვნენ (ბაჩ. 102). მოსვენება როდისღა უნდა მღირსებიყო (ა. ყაზბ. 199). კაცი ბოლოს მისდგომიყო მდინარეს (გ. წერეთ. 131). ...რომ იმათი მოსწავლე ბავშვობას განზე არ გასდგომიყო (ე. ვაბ. 291). დურმიშხანს რომ არ ყვარებიყო, შევიტყობ შემდგომ (ლ. კონქ. 425). [თუთა] თავის დღეში არ ჰყოლიყო ქმარს (ე. ნინოშ. 61). ...რომ ჩახრუხასიძე თავისიანებს გაჰყოლიყო (შ. დად. 217). იქნება მართლა [ეს] სჯობნიებიყო (მ. ჯავახ. არს. 310). სოსეს თმა... გაჰბურძგენიყო (ს. მგალობ. 509). მეფეს სახიფათო გზატეხილი გადაჰხრიყო (ე. ბარნ. 177). რა ფერი ხვედრისა უნდა შეკერიყო მათ კამილაკა (მელან. 212). გამოუშვეს თედო მუქარით, რომ... აღარ მოხვედრიყო ხელში (ლ. მეტრ. 183). [ძალი] ბალღებს მისტანებიყო (გრ. აბაშ. 266).

**კავშირებითი შესამე:**

მაგალითი... არსად არი, რომ სხვა... ერსა ეგ შესძლებიყოს (ილია, 159). როდამს... შემთხვევაც არ დარჩენია... რომ... არ გახსენებიყოს (გ. წერეთ. 223). თითქოს მისზედ... არ ჰქონიყვეს ადგილი მხიარულების გამოხატულებას (ნ. ლომ. 98). ნადირი ისე წამოიჭრა, თითქოს ტყვია არც კი ჰქონიყოს მოხვედრილი (ი. ელელთ. 32). ვითომც ერთ გლეს... ალი... სახლში ჰყოლიყოს (ს. მგალობ. 359). ვითომც... გაგვღვიძებიყოს მძინარსა (ი. მოსაშ. 417).

ბ) ორპირიანი გარდაუვალი ზმნის აღწერითს ფორმაში ამოსავალი ფუძეა არა მასდარი, არამედ წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა, რომელსაც ემატება იგივე მეშველი ზმნა:

ქმარი მაფიცებდა არ გავშორებულიყავ იმის საწოლსა (გ. ერისთ. 344). მე ხურჯანს არ უნდა მოვშორებულიყავ (ლ. არდაზ. 51). არ შემეძლო... მის ფეხთა მტვერს ვმთხვეულიყავ (შ. არაგვ. 52). მე როგორ ჩამოვრჩენილიყავ სხვას (მელან. 214). სხვა კუთხეებს არც ბზიფის ხეობა ჩამორჩენილიყო (ლ. ქიაჩ. 279). ჭარები ტყეს მიახლოვებულიყვნენ (ა. ყაზბ. 371). თუკლე... ბოძს მიყუდებულიყო (ს. მგალობ. 637). [გლახა] უნდა შეერთებულიყო სხვა მგზავრებს (ა. ყაზბ. 170). მკითხავთან გხლებულიყოთ ისიცა (ს. მგალობ. 427). გმირი უნდა... ზრძანებას დამორჩილებულიყო (შ. არაგვ. 162). მათა... წვერები, თითქოს ცას მიბჭენილიყო (ბაჩ. 309). კაცები ახლა მათხოვრებს დამსგავსებულნიყვნენ (მ. ჯავახ. არს. 241).

საილუსტრაციო მაგალითები ცხადყოფს, რომ პირველ შემთხვევაში განხილული აღწერითი ფორმებისათვის ამოსავალი ფუძე, როგორც წესი, მასდარია, მეორეში კი — წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა. როგორც აღინიშნა, ეს უკანასკნელი მიმდინარეობს ერთპირიანად გაგებულ ზმნის (შდრ. ჩამოჰრჩება ის მას — ჩამორჩება იგი სწავლაში) შესაბამისი თურმეობითი პირველის ფორმებისაგან (ჩამორჩა — ჩამორჩენილა...): ჩამოვრჩენილვარ მე — ჩამოვრჩენილიყავი მე და ა. შ. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში აღწერითი წარმოების მიმღეობიანი კონსტრუქცია ზოგჯერ გვხვდება ერთა და იმავე მწერლის ნაწერში. ეს თავისებური წარმოება ნაკლებგავრცელებულია. ის უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან გამოსულ მწერლებს უხმარიათ.

მაშასადამე, XIX—XX სს. სალიტერატურო ქართულის მიხედვით გამოვლენილი ორპირიანი გარდაუვალ ზმნათა აღწერითი ფორმების საფუძველი დიალექტურია, სადაც არასწორი გააზრდიანებისა და მეტაანალიზის გვერდით გარკვეული შედეგი აქვს ანალოგიისა და უნიფორმაციის ტენდენციებს. მართლაც, აღმოსავლურ დიალექტებში დასახელებული ტიპის წარმოება დღესაც შესამჩნევია (მაგ.: ღორი გამადგომიყო უკან (ქართ. დიალექტ. 179, კახ.). იმ



კაცსა ჰყოლიყო 15—16 მუშა კაცი (იქვე, 284, ქართლ.). პაპაჩემს მემრე გასჩენიყო ორი ვაჟი (იქვე, 321). რაც შეეხება ე. ნინოშვილის<sup>23</sup>, ლ. ქიაჩელის, დ. კლდიაშვილის, დ. შენგელაის ნაწერებში არსებულ თითო-ორი მსგავს ფორმას, ისინიც აღმოსავლური კილოების მიბაძვა-ანალოგიის ან გავლენის შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

სპეციალურ ლიტერატურაში დიალექტებისა და ცალკეული მწერლის ენის შესწავლასთან დაკავშირებით ორპირიან გარდაუვალ ზმნათა თურმეობითი მეორისა და კავშირებითი მესამის მეშველზმნიანი ფორმები დასახელებულია, ზოგან კიდევ განხილულიცაა<sup>24</sup>. მოცემულ კონსტრუქციაში მეშველი ზმნის გამოყენება ახსნილია, ერთი მხრით, ერთპირიან ზმნათა უღლებების გავლენით<sup>25</sup>, მეორე მხრით, ორპირიანი ზმნების თურმეობით პირველში შემოღებული მეშველზმნიანი წარმოებების თურმეობით მეორეში გადატანით<sup>26</sup>, წარმოებების გაერთფეროვნებისაკენ მიდრეკილებით<sup>27</sup>. ორპირიან გარდაუვალ ზმნათა თურმეობითი მეორისა და კავშირებითი მესამის პარალელური წარმოებიდან (ორგანული და აღწერითი) ისტორიულად უპირატესობა აქვს -ოდ-იანს. იგი კანონიერია და გაბატონებული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ამიტომაც უნდა დარჩეს ერთადერთ ნორმად<sup>28</sup>. აღწერითი წარმოება კი საშუალო და ახლო ქართულში სპორადულად გვხვდებოდა, უფრო იშვიათია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. იგი, როგორც დიალექტიზმი, უნდა აღიკვეთოს. სწორედ ამ ფაქტის დამადასტურებელია დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ტენდენცია — მთლიანად გაბატონოს ორგანული წარმოება. თუ XIX საუკუნის მწერალთა ენაში ასე თუ ისე შესამჩნევია აღწერითი ფორმების გამოყენება მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში, XX საუკუნის მწერალთა ენაში დასახელებული ფორმები თითო-ორი მსგავს შემთხვევაში გვხვდება.

**დასკვნა.** ორპირიან გარდაუვალ ზმნათა მესამე სერიის ფორმებში საყრდენი ფუძეა, ჩვეულებრივ, მასდარი (ორიოდე შემთხვევაში იგი ეყრდნო-

<sup>23</sup> ივ. ქავთარაძე, ე. ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები, „მნათობი“, 1959, № 7, გვ. 34.

<sup>24</sup> ვ. თოფურია, ქართული: არილი, 1925, გვ. 143; არნ. ჩიქობავა, ფერეიდუნის მთავარი თავისებურებანი: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, XII, 1926, გვ. 211; მისივე მთიულურის თავისებურებანი: ენიქის მოამბე, 1937, II, გვ. 54; ივ. ქავთარაძე, მოხეტური კილო ა. ყაზბეგის ენაში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრ., ტ. XXXVb, 1949, გვ. 90—98; ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV—XVII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში: ივე, IV, გვ. 266; ქ. ძოწენიძე, ქართულ-კახური ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი ი. ქავჭავაძის ენაში: ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრ., ტ. XIII, 1955, გვ. 22; ვ. შალამბერიძე, დიალექტიზმები ს. მაგლობლიშვილის ენაში: ივე, IX—X, 1958, გვ. 165; მისივე, ი. ქავჭავაძის ენა, 1966, გვ. 104; ე. კოშორიძე, ვ. ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით, 1966, გვ. 71; შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, 1970, გვ. 169, 241.

<sup>25</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 471.

<sup>26</sup> ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში: ივე, VII, 1955, გვ. 91.

<sup>27</sup> ა. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, კახური დიალექტი, 1956, გვ. 99.

<sup>28</sup> ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, 1927, გვ. 25; ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 470—471; ვ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, 1965, გვ. 90; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (არნ. ჩიქობავას მოხსენების მიხედვით), I, 1970, გვ. 214.



ბა მიმღებობს: **დამგვანებია, დამახსოვრებია**), მაგრამ ეს მასდარი არაა ყოველთვის საცხებით ერთნაირი: იგი ემყარება მოქმედებითი გვარის ზმნის აწმყო-მყოფადის ფუძეს (**შესცვლია, მიბჯენია, მიხატვია...**), ზოგჯერ კი დამახასიათებელია მხოლოდ ვნებითი გვარის ზმნათათვის (**მისხდომია, შემოჰკვდომია, გავარდნია, გადასწოლია...**). ამ უკანასკნელი წარმოების დროსაც ზმირად -**მ** სუფიქსიანი მასდარის მონაცვლედ გვევლინება მოქმედებითი გვარის აწმყო-მყოფადის თემა. ამის გამო თავს იჩენს პარალელური ფორმები: **დარჩომია || დარჩენია, მისწვდომია || მისწვდენია, გახსლტომია || გახსლტენია, დასტყომია || დასტყენია** და ა. შ.

მოცემულ კონსტრუქციაში საყრდენ ფუძედ გარდამავალი ზმნის აწმყო-მყოფადის თემის გამოყენება შედარებით ახალი ფაქტია. იგი გამოწვეული უნდა იყოს სხვა ზმნების ანალოგიითა და უნიფორმაციის ტენდენციით. ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნება, თუ წარმოების ერთ ყალიბში მოექცევა პარალელურფორმიანი ზმნები და ნორმად დამკვიდრდება მოქმედებითი გვარის აწმყო-მყოფადის ფუძეზე დამყარებული ორპირიანი გარდაუვალი ზმნათა მესამე სერიის ფორმები.

მეორე მხრივ, ორპირიანი გარდაუვალი ზმნათა მესამე სერიაში წარმოების მრავალფეროვნების მიზეზია ძველი და ახალი ფორმების პარალელური გამოყენება. თუ ვნებითი გვარის ზმნათათვის ამოსავალია -**ებ, -ობ** სუფიქსიანი მოქმედებითი გვარის ზმნების აწმყო-მყოფადი, შესაბამისად თემატური სუფიქსები წარმოდგენილია ვნებითის თურმეობითებსა და მესამე კავშირებითში (**დაჰკიდებია, შემოჰკვლენია, დასჰკნობია, შევედრებოდა, მოსწრებოდეს...**). მაგრამ სალიტერატურო ქართულის ამ ძირითადი ნორმის გვერდით აქა-იქ, განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მწერლობაში, მაინცაა შემორჩენილი არქაული (წყვეტილის ფუძეზე დამყარებული) წარმოება (**ჩამოჰკიდია, მოჰკვლია, ჩამოსჰკნოდა, შევედროდა, მოსწროდეს...**), რომელიც უკვე მიუღებელია თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის.

გარდა ამისა, ზოგიერთი ვნებითი გვარის ზმნისათვის (**მიჰპარვია, დაჰკვრია, დამართნა || დამართვია**) მესამე სერიაში ამოსავალია არქაული ვნებითის აწმყო (რომელიც მომდინარეობს -**ავ** სუფიქსიანი მოქმედებითი გვარის ზმნებისაგან) და წარმოების ეს სახე თითქმის ერთადერთია მოხმარების თვალსაზრისითაც, ამდენად, ძირითად ნორმად რჩება სალიტერატურო ენაში. ამ ტიპის ზმნათაგან ზოგიერთი საწინააღმდეგო ვითარებასაც უჩვენებს: უმრავლეს შემთხვევაში ემყარება ახალი წარმოების (-**ებ** სუფიქსით გართულებულ) ვნებითის აწმყო-მყოფადს (**გადაჰფარებია, გამოსთხოვებია, გადაჰკიდებია, ხურებია**), ზოგი კიდევ თანაბარი სიზმირით იყენებს საყრდენად ძველი და ახალი წარმოების აწმყო-მყოფადის ფუძეს (შდრ.: **შეჰკითხვია || შეჰკითხებია, შეხიზვნია || შეხიზნებია**). ამ უკანასკნელ შემთხვევებში საანალიზო ფორმათა მოხმარების მიხედვითა და წარმოების გაერთიანოვნების საჭიროებით, სასურველია სალიტერატურო ქართულისათვის ნორმად დარჩეს -**ებ** სუფიქსიანი მესამე სერიის ფორმები.

ახალი სალიტერატურო ქართულისათვის მიუღებელია **ჰქონებია, ჰყოლებია, სცოდნებია** ტიპის წარმოება (ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ზოგიერთი დიალექტის კუთვნილებას). დღეს ფართოდაა დამკვიდრებული ამ ზმნათა მასდართან ან მეორე სერიასთან საზიარო ფუძე მესამე სერიის ნაკეთებისათვის (**ჰქონია, ჰყოლია, სცოდნია**).



გარდა ამისა, ახალ ქართულში ნორმაა ორპირიან გარდაუვალ ზმნათა პირ-ველ თურმეობითში აღწერითი წარმოება (სადაც ამოსავალი ფუძეა მასდარი), ხოლო მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში — ორგანული. ამიტომ XIX—XX სს. სალიტერატურო ენაში გამოვლენილი პარალელური ფორმებიდან — მოშორებივარ მე მას || მოვშორებულვარ მე მას; გავყოლოდი მე მას || გავყოლიყავ მე მას || გავყოლილიყავ მე მას; გახსენებოდეს ის მას || გახსენებიყოს ის მას — მისადებია პირველი სახეობები, როგორც მართებული წარმოებითა და გაბატონებული მოხმარების თვალსაზრისით. ცხადია, გრამატიკულად სწორ წარმოებას და გავრცელება-დამკვიდრების უნარის მქონე ფორმებს უნდა იყენებდეს თანამედროვე მწერლობის ენა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

ალექსანდრე ონიანი

პირველი სუბიექტური პირის მორფემა ქართულურ ენებში

(ლიაქრონიული ანალიზი)

დავას არ იწვევს, რომ პირველი სუბიექტური პირის მორფემის წარმომადგენლად დადასტურებულ ქართ. /ვ-/-სა და მეგრ.-ჰან. /ვ-/-ს სვანურში /ხჷ-/ პრეფიქსის უ ელემენტი შეესატყვისება. მაგრამ სვან. /ხჷ-/ს ხ- ელემენტის შესახებ რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისია წამოყენებული:

3. შუხართის ვარაუდით, ეს ხ- წარმომავლობით მესამე ობიექტური პირის ნიშანია, რომელიც ამ ფუნქციით თანამედროვე სვანურშიც დასტურდება. მაშასადამე, ხჷ < ხ-ჷ (< \*ჷ-ხ)<sup>1</sup>.

ა. შანიძე 1925 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აღნიშნავდა: „მეორე პირის სუბ. პრეფიქსი პირველ სუბ. პირშია გადასული ანალოგიის წყალობით“<sup>2</sup>. ამავე შრომის შემდგომ გამოცემაში კი წერს: „... ხ პრეფიქსი ხმოვნით დაწყებული ზმნების პირველ სუბ. პირშია გადასული ანალოგიის წყალობით (ისეთი ფორმებიდან, სადაც ხ პირველ სუბ. პირშიც არის, მაგრამ მე-3 ობიექტური პირის აღსანიშნავად)“<sup>3</sup>.

ვ. თოფურია უარყოფს შესაძლებლობას სვან. ხჷ- წარმოქმნილი იყოს S<sub>2</sub> ხ-სა და S<sub>1</sub> ჷ-ს შეერთების საფუძველზე, რადგანაც მაშინ ის ინკლუზივის ნიშანი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი ექსკლუზივს გამოხატავს<sup>4</sup>.

გ. დეტერსის აზრით, მართალია, სვანურის მიხედვით არ მტკიცდება, რომ ხჷ- პრეფიქსი ძველი არ იყოს, მაგრამ რამდენადაც უძველეს ქართულში პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსად მხოლოდ ვ- დასტურდება, ამდენად სვან. ხჷ- ინოვაციად უნდა მივიჩნიოთ<sup>5</sup>.

კ. დონდუა აღნიშნავს, რომ სვან. ხჷ- პრეფიქსის უ- ელემენტი გენეტურად ქართულ ვ-ს უკავშირდება, ამდენად, I სუბიექტური პირის გამოხატვა მისი თავდაპირველი ფუნქციაა. მაგრამ შეუძლებელია ხ- ელემენტის ამოსავალ ფუნქციად მივიჩნიოთ რომელიმე პირის გამოხატვა, რაც იქიდან ჩანს, რომ, ჯერ ერთი, ხჷ- პრეფიქსში ხ- მოკლებულია მეორე სუბიექტური პირის

<sup>1</sup> H. Schuchardt, Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, Wien, 1895, გვ. 48.

<sup>2</sup> ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, არილი, 1925, გვ. 182.

<sup>3</sup> ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 333.

<sup>4</sup> ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, 1931, გვ. 29.

<sup>5</sup> G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1933, გვ. 26.



რეალურ ფუნქციას — ექსკლუზივში სწორედ მეორე სუბიექტურა პირი გამოირიცხება და, მეორეც, **ხ**- ელემენტი დასტურდება მხოლოდით რიცხვშიც, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ **ხტ**- ორ პირს არ გამოხატავს. **ხტ**- პრეფიქსის **ხ**- ელემენტი, კ. დონდუას აზრით, დამოუკიდებელი მორფოლოგიური ერთეული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი ოდინდელი ფუნქცია ამჟამად უცნობია<sup>6</sup>.

სრულიად განსხვავებული ვარაუდი წამოაყენა აზნ. ჩიქობავამ: „**გტ**- და **ხტ**- პრეფიქსებში უნდა შედიოდეს **ტ**- პრეფიქსი პირველი პირისა. სუბიექტისა თუ ობიექტისა? იგი ორივესთვის საზიარო უნდა ყოფილიყო; მაგრამ აქ ეს არაა მთავარი; მთავარი აქ ისაა, რომ **ტ**- ფორმანტია პირველი პირისა. რაღაა **გ**- და **ხ**-? მორფოლოგიური ოდენობა არც ერთი უნდა იყოს და არც მეორე; ორივე ფონეტიკური დანართი ჩანს. **გ-ტ**—**ტ**, **ხ-ტ**—**ტ**“<sup>7</sup>.

ამ ვარაუდს, ავტორის აზრით, ამართლებს ის, რომ ქართველურ ენებში მოიპოვება ვ-ს წინ **გ**, **ღ**, **ქ** უკანანისმიერ თანხმოვანთა განვითარების შემთხვევები<sup>8</sup>.

როგორც ვხედავთ, სპეციალურ ლიტერატურაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ სვან. /**ხტ**-/-ს **ხ**- ელემენტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მეორე სუბიექტური პირის მორფემის ოდინდელ წარმომადგენლად.

/**ხტ**-/-ს ვერც  $O_3$  და  $S_1$  მორფემათა კომბინაციის საფუძველზე მიღებულად მივიჩნევთ, რადგანაც სუბიექტის ექსკლუზივი, სადაც /**ხტ**-/ დასტურდება, სუბიექტურ პირთა (პირველისა და მესამის) კომბინაციის წარმომადგენს და არა სუბიექტურისა და ობიექტურისას. ეს ითქმის მით უფრო, რომ /**ხტ**-/ ექსკლუზივს გამოხატავს უობიექტო ზმნებშიც: **ხტ**-პრი-დ „ვართ მე და ის// ისინი“. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ /**ხტ**-/ გამოხატავს  $S_1$ -ს მხოლოდითი რიცხვის ფორმაშიც: **ხტ**-პრი „ვარ“, **ხტ**-სყი „ვაკეთებ“.

ყველაზე ანგარიშგასაწევეია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც /**ხტ**-/ მიღებულია ანალოგიის (resp. ფორმათა გათანაბრების) საფუძველზე. ამ ვარაუდს, როგორც ჩანს, საფუძვლად უდევს დაშვება:  $S_1$ -ს აღნიშნავდა /**ტ**-/, მესამე ირიბობიექტურ პირს კი —/ხ-/, ამიტომ უირიბობიექტო ზმნათა I სუბიექტური პირის ფორმაში გვექნებოდა მხოლოდ /**ტ**-/, ხოლო ირიბობიექტიან ზმნათა I სუბიექტური პირის ფორმაში კი /ხ-**ტ**-/ (ხანმეტი ტექსტების მსგავსად). ამ უკანასკნელი ფორმის ანალოგიის საფუძველზე მიღებულად მიიჩნევა, როგორც ჩანს, /**ხტ**-/ ყოველგვარი ზმნის პირველი სუბიექტურა პირის ფორმაში.

ჯერ ერთი, ქართველურ ენათათვის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ არის დამახასიათებელი ორი პირის (სუბიექტისა და ობიექტის) სეგმენტურ წარმომადგენელთა ერთმანეთის გვერდით თავმოყრა, ამიტომ თვით ანალოგიის საფუძვლის არსებობა იწვევს ეჭვს. მეორეც, ძნელი დასაშვებია ირიბობიექტიან და უირიბობიექტო ზმნებს შორის დაპირისპირების მოხსნა მომხდარიყო ფონოლოგიური მოტივაციის გარეშე — ოპოზიციის ერთ-ერთი წევრის მიხედვით ფორმათა გათანაბრების (ანალოგიის) საფუძველზე. ასეთი რამ

<sup>6</sup> К. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и её следы в древне-грузинском, რჩეული ნაშრომები, I, თბილისი, 1967, გვ. 280—285; იხ. აგრეთვე კ. დონდუა, ფურცლები კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიიდან, რჩეული ნაშრომები, I, გვ. 100.

<sup>7</sup> არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, ივე, I, 1946, გვ. 123.

<sup>8</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 123—126.

არ არის მოსალოდნელი, ეს ითქმის მით უფრო, რომ აღნიშნული დაპირისპირება მესამე სუბიექტური პირის ფორმაში თანამედროვე სვანურშიც მკვეთრად არის გამოხატული: აგემ „დგამს, აგებს“ (ორპირიანი, უირიზობიექტო) — ხ-აგემ „აღდამს“ (სამპირიანი).

აღნიშნული ვარაუდის მიხედვით, უირიზობიექტო (ე. ი. ერთპირიანსა და ორპირიან გარდამავალ) ზმნებში უნდა გვექონოდა შემდეგი სახის პარადიგმები:

ჟ-აგემ „ვაგებ, ვდგამ“	შდრ. თანამედრ. სვან.	ხჟ-აგემ
ხ-აგემ „აგებ, დგამ“		ხ-აგემ
აგემ „აგებს, დგამს“		აგემ

ირიზობიექტიან (ე. ი. ორპირიან გარდაუვალსა და სამპირიან) ზმნებში კი:

ხ-ჟ-აგემ „ვადგამ“	შდრ. თანამედრ. სვან.	ხჟ-აგემ
ხ-აგემ „ადგამ“		ხ-აგემ
ხ-აგემ „ადგამს“		ხ-აგემ

თუ პირველი პირის ფორმაში „ხ-ჟ-აგემ“-ის ანალოგიით მოხდა ჟ-აგემ > ხჟ-აგემ, მაშინ მესამე პირის ფორმაშიც „ხ-აგემ“-ის ანალოგიით ავტომატურად უნდა მომხდარიყო აგემ > ხ-აგემ. მაგრამ რადგანაც მესამე პირის ფორმაში ასეთი რამ არ მომხდარა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარ ანალოგიას არც პირველი სუბიექტური პირის ფორმაში ჰქონია ადგილი.

ამრიგად, /ხჟ-/ პრეფიქსს ვერც ორი პირის ნიშნის კომბინაციად მივიჩნევთ და ვერც ანალოგიის საფუძველზე მიღებულ ერთეულად.

რაიმე დამოუკიდებელი მორფოლოგიური ფუნქცია კი /ხჟ-/ პრეფიქსის ხ- ელემენტისათვის არ იქნებება. მართლაც, რა შეიძლებაოდა ყოფილიყო ისეთი მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც მხოლოდ პირველი სუბიექტური პირის ფორმაში გაიჩნეოდა?

ერთადერთი, რაც შეიძლება ვიფიქროთ, არის ექსკლუზივის გამოხატვა, მაგრამ მას ექსკლუზივის მორფემის დამოუკიდებელ წარმომადგენლად ვერ მივიჩნევთ, რადგანაც:

1. ექსკლუზივი (ასევე ინკლუზივი) და პირი სხვადასხვა სეგმენტური ერთეულებით არ აღინიშნება სვანური ზმნის სისტემაში არც სუბიექტურსა და არც ობიექტურ პირში.

2. რამდენადაც /ხჟ-/ დასტურდება არა მხოლოდ ექსკლუზივის ფორმაში, არამედ მხოლოდობით რიცხვშიც, ამდენად არ არსებობს საფუძველი ხ- ელემენტის ექსკლუზივის მორფემის დამოუკიდებელ წარმომადგენლად მიჩნევისათვის.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სვანურ ზმნაში დასტურდება ორი ომონიმური პრეფიქსი — S<sub>2</sub> /ხ-/ და O<sub>3</sub> /ხ-/. ცოტაა იმის ალბათობა, რომ იმავე სვანურ ზმნაში არსებულები აგრეთვე მესამე /ხ-/ პრეფიქსი განსხვავებული მორფოლოგიური ფუნქციით.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს /ხჟ-/ პრეფიქსი სვანურში ერთ განუყოფელ მორფოლოგიურ სეგმენტად მივაჩნიოთ მისი არსებობის მთელ მანძილზე.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც /ხჟ-/ პრეფიქსში ხ- ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი (ისევე როგორც /გჟ-/ პრეფიქსში გ-).



საქმე ის არის, რომ ქართველურ ენებში (და არა მარტო ქართველურ ენებში) არ არის ცნობილი აფიქსურ მორფემათა ამგვარი გართულების შემთხვევები, ჩვეულებრივია სწორედ საწინააღმდეგო პროცესი — აფიქსურ მორფემათა გამარტივება (ამის ნიმუშები საძებარი არ არის). ქართველურ ენებში ბგერათა განვითარების უდავო შემთხვევები მხოლოდ ძირეულ მორფემებშია დადასტურებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირეულ მორფემაში ჟ-ს წინ ხ-ს განვითარების უდავო მაგალითების არსებობაც კი ვერ გადაწყვეტდა საკითხს /ხჟ-/ პრეფიქსში ხ-ს განვითარებულობის შესახებ. ხოლო ამჟამად, როდესაც სვანურში არ არის ცნობილი ხ-ს განვითარების არც ერთი შემთხვევა ძირეულ მორფემაშიც კი, არა ვაქვს არავითარი საფუძველი /ხჟ-/ პრეფიქსში ხ- ელემენტის განვითარებულობის მტკიცებისათვის.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სვანურში არსებობს /ხჟ-/ის მსგავსი აგებულების სხვა პრეფიქსიც — /გჟ-/; სადაც გ- ელემენტი არ არის ფონეტიკურად განვითარებული, რადგანაც /\*გჟ-/ საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება როგორც ობიექტის ინკლუზივის მორფემის წარმომადგენელი<sup>9</sup>.

პირველი სუბიექტური პირის მორფემის /ხჟ-/ ვარიანტი შინაგანი რეკონსტრუქციის გზით აღდგება იმ პოზიციებშიც, სადაც თანამედროვე სვანურში დასტურდება /ჟ-/; /-ჟ-/ და /შ-/ ალომორფები (აღ-; [ეს-] ზმნისწინების მომდევნოდ და ძირეულ მორფემათა თანხმოვნების წინ)<sup>10</sup>.

რადგანაც ქართულსა და მეგრულ-ქანურში მხოლოდ S<sub>1</sub> /ვ-/ს პოსტულირება არის შესაძლებელი, ამიტომ ბუნებრივად დგება ქართ. /ვ-/; მეგრ.-ქან. /ვ-/ და სვან. /ხჟ-/ სახესხვაობათა დიაქრონიული ურთიერთიმარტების საკითხი. საჭიროა მათი საერთო არქეტიპის დადგენა.

რადგანაც /ხჟ-/ პრეფიქსის ხ- ელემენტის გაჩენას სვანურში ისევე არ მოეპოვება უდავო არგუმენტაცია, როგორც ხ-ს დაკარგვას ქართულსა და მეგრულ-ქანურში, ჩვენ უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია ვივარაუდოთ პრეფიქსის გამარტივება ქართულსა და მეგრულ-ქანურში, ვიდრე მისი გართულება სვანურში. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს წამოვაყენოთ ჰიპოთეზა: პირველი სუბიექტური პირის მორფემის საერთო-ქართველური არქეტიპი /\*ხჟ-/ უნდა იყოს.

ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. აფიქსურ მორფემათათვის, როგორც ითქვა, დამახასიათებელია გამარტივებისაკენ (და არა გართულებისაკენ) მიდრეკილება.
2. ქართველური ენები ხასიათდებიან პრეფიქსულ მორფემათა ხ-ს ნულთან გათანაბრების ტენდენციით: ა) ქართლისა და სვანურის ჩვენება უდავოდ ადასტურებს, რომ S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> მორფემათა წარმომადგენლად /\*ხ-/ გარკვეულ საფეხურამდე მეგრულ-ქანურშიც უნდა არსებულებოდა. მისი ნულთან გათანაბრება კი შედარებით გვიანდელი მოვლენაა, ბ) S<sub>2</sub> /\*ხ-/ გარკვეული საფეხურების გავლით დაიკარგა ქართულშიც, გარდა რამდენიმე არქაიზმისა

<sup>9</sup> ა. შანიძე, ქართული ენის საქვეყი, ოსუ მოამბე, ტ. IV, 1926, გვ. 335; ა. შანიძე, ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურში, წილიწილად, 1923—1924, გვ. 373—374; ა. ონიანი, ინკლუზიუ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, მაცნე, 1965, № 1, გვ. 232—236 და სხვ.

<sup>10</sup> ა. ონიანი, თანხმოვნათა დისტრიბუცია სვანური ზმნის თავიკდურ მორფემათა მიჯნაზე, მეტყველების ანალიზის საკითხები, 1959, გვ. 99—104.



(ხ-არ, მო-ხ-ვალ, მო-ხ-ვედი), განსაზღვრულ პოზიციებში დაიკარგა აგრეთვე /<sup>\*</sup>ხ-/-საგან მომდინარე O<sub>3</sub> მორფემაც, ვ) პოზიციათა ერთ ნაწილში S<sub>2</sub>, O<sub>3</sub> მორფემათა /ხ-/- და S<sub>1</sub> მორფემის ხ- ელემენტი დაიკარგა სვანურში<sup>11</sup>.

3. /ხჟ-/ პრეფიქსის ხ- ელემენტის ნულთან გათანაბრება პირველ სუბიექტურ პირს არ აქცევს ოპოზიციის არამარკირებულ წევრად, რამდენადაც მის აღმნიშვნელად რჩება /ჟ-/. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამგვარი ცვლილებისათვის მორფოლოგიური დაბრკოლება არ არსებობს, განსხვავებით მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტურ პირთაგან, /ხ-/-ს ნულთან გათანაბრება ამ პირებს ოპოზიციის არამარკირებულ წევრად აქცევს. შეუძლებელი არ არის ამით აიხსნას ის გარემოება, რომ S<sub>1</sub> /<sup>\*</sup>ხჟ-/-ს ხ- ელემენტის დაიკარგვა ქართულში (იქნებ მეგრულ-ქანურშიც) ქრონოლოგიურად წინ უსწრებს S<sub>2</sub> და O<sub>3</sub> მორფემათა ნულთან გათანაბრების ტენდენციის ჩასახვას.

4. სვანურში არ არის იშვიათი ისეთი საერთო-ქართველური არქაიზმები, რომლებიც სხვა თანამედროვე ქართველურ ენებში არ დასტურდება<sup>12</sup>. ასეთი არქაული მოვლენები მოიპოვება პირის აღმნიშვნელ მორფემებშიც: S<sub>2</sub> /ხ-/, O<sub>3</sub> /ხ-/, ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფემები (როგორც ობიექტურა, ისე სუბიექტური პირის ფორმებში) და სხვა. ასეთ ვითარებაში არ უნდა იყოს მოულოდნელი, რომ პირველი სუბიექტური პირის მორფემაც არქაული სახით სწორედ სვანურს შემოინახა.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ამგვარი ჰიპოთეზის წამოყენება შესაძლებელია, მისი არგუმენტაციისათვის კი საჭიროა რაიმე ხელშესახები ფაქტების დაძებნა ქართველურ ენებში.

ამ მხრივ პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ქართველურ ენებში არ დასტურდება შემთხვევა, სადაც ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილი იყოს სუბიექტურ და ობიექტურ პირთა აღმნიშვნელი ორი სეგმენტური პრეფიქსული მორფემა<sup>13</sup>. როდესაც ზმნაში სუბიექტია პირველი პირი, ობიექტი კი — მეორე, წარმოდგენილია მხოლოდ მეორე ობიექტური პირის ნიშანი, მაგ., ქართ. გ-ხატავ, გ-იხატავ (და არა — გ-ვ-ხატავ, გ-ვ-იხატავ, ან ვ-გ-ხატავ, ვ-გ-იხატავ), ხოლო როდესაც სუბიექტია მეორე პირი, ობიექტი კი — პირველი, დასტურდება მხოლოდ პირველი ობიექტური პირის ნიშანი, მაგ., სვან. მ-ანტაჟი „მხატავ“, მ-იხტაჟი „მიხატავ“ (და არა ხ-მ-ანტაჟი, ხ-მ-იხტაჟი ან მ-ხ-ანტაჟი, მ-ხ-იხტაჟი). ასეთივე ვითარება ყველა ქართველურ ენაში, მათ შორის ქართულ ენის უძველეს წერილობით ძეგლებში — ხანმეტსა და ჰემეტ ტექსტებში. ზემოთ აღნიშნული ტიპები (გ-ვ-ხატავ, ვ-გ-ხატავ, ხ-მ-ხატავ, მ-ხ-ხატავ) ხანმეტი და ჰემეტი ტექსტებისათვისაც უცხოა.

11 ა. ონიანი, თანმთავანთა დისტრიბუცია სვანური ზმნის თავიჯდურ მორფემათა მიჯნაზე, მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 99—104.

12 ამის შესახებ იხ., მაგ., Г. А. Климов, Опыт реконструкции фонемного состава обшкартвельского языка-основы, Известия АН СССР, Отд. линг. и языка, том XIX, вып. 1, გვ. 28.

13 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1, 1957, გვ. 136; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 189; არნ. ჩიქოლაძე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 054.

ეს კი ნათლად ადასტურებს იმას, რომ ორი სხვადასხვა პირის (სუბიექტისა და ობიექტის) პრეფიქსული მორფემის სეგმენტურ წარმომადგენელთა ერთმანეთის ვერადით თავმოყრა ქართველური ენებისათვის არ არის დამახასიათებელი. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი არის  $O_3$  /ხ-/ ( $>/ჰ-/$ )-სა და  $S_1$  /ვ-/ს თავმოყრა ხანმეტსა და ჰემეტ ტექსტებში (შე-ხ-უ-აბთ, მი-ხ-უ-ეც, ხ-უ-ესავთ, ჰ-უ-იცოდე)<sup>14</sup>. ეს გამონაკლისი (ისევე როგორც ყოველი გამონაკლისი) მოითხოვს ახსნას.

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს გამონაკლისი წარმომავლობით დაკავშირებულია პირველი სუბიექტური პირის მორფემის წარმომადგენლად /ხტ-/ს ოდინდელ არსებობასთან. ასეთი ვარაუდის შემთხვევაში ასახსნელია, თუ როგორ მივიღეთ ის ვითარება, რომელიც ხანმეტსა და ჰემეტ ტექსტებში დასტურდება.

ცნობილია, რომ ხანმეტ ტექსტთა მეორე სუბიექტური პირის ფორმაში /ხ-/ (ჰემეტში-ჰ-/) წარმოდგენილია როგორც უირიბობიექტო, ისე ირიბობიექტიან ზმნებში, პირველ შემთხვევაში /ხ-/ აშკარად  $S_2$  მორფემის კუთვნილებაა, მეორე შემთხვევაში კი ლოგიკურად მოსალოდნელი იყო  $S_2$  /ხ-/ და  $O_3$  /ხ-/ სეგმენტთა თანმიმდევრობა — მი-ხ-ხ-ეც, ხ-ხ-ემსავსე, მი-ხ-ხ-უტევენე. სინამდვილეში კი ასეთი თანმიმდევრობის არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება, გვაქვს მხოლოდ — მი-ხ-ეც, ხ-ემსავსე, მი-ხ-უტევენე და ა. შ. ეს კი უდავო რეალიზაციაა წესისა — პირის (სუბიექტურისა და ობიექტურის) პრეფიქსული მორფემების სეგმენტურ წარმომადგენელთა უშუალო თანმიმდევრობა აკრძალულია<sup>15</sup>. აბსოლუტურად ასეთივე ვითარება სვანურში, მაგრამ არა მხოლოდ  $S_2$ , არამედ  $S_1$  ფორმაშიც — აქ სუბიექტურ და ობიექტურ პირთა პრეფიქსული მორფემების თანმიმდევრობის არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება, მაგ.,

1. ხტ-აბემ (და არა ხ-ხტ-აბემ ან ხტ-ხ-აბემ) „ვაბამ“
2. ხ-აბემ (და არა ხ-ხ-აბემ) „აბამ“
3. ხ-აბემ „აბამს“

ესეც ქართველურ ენათათვის დამახასიათებელი ზემოაღნიშნული წესის უდავო რეალიზაციაა. შდრ. უირიბობიექტო ზმნის პარადიგმა:


1. ხტ-ამარე „ვამზადებ“
2. ხ-ამარე „ამზადებ“
3. ამარე „ამზადებს“

სვანური პირველი სუბიექტური პირის ფორმა ნათლად გვიჩვენებს, რომ  $S_1$  და  $O_3$  პირის მორფემათა კომბინაციაში მოცემულია მხოლოდ  $S_1$  მორფემის სეგმენტური წარმომადგენელი — /ხტ-/ს, ეს კი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ  $S_2$  და  $O_3$  მორფემათა კომბინაციაშიც (როგორც სვანურში, ისე ხანმეტსა და ჰემეტ ტექსტებში) წარმოდგენილია მხოლოდ  $S_2$  მორფემის /ხ-/ (ჰემეტში — /ჰ-/).


<sup>14</sup> ამის გაგრძელებაა  $S_1$  და  $O_3$  პრეფიქსულ მორფემათა თავმოყრას შემთხვევები შემდგომდროინდელ ქართულში: ვ-ჰ-კითხე, მი-ვ-სწერე. ნიშანდობლივია, რომ სხვა ამგვარი შემთხვევა ქართველურ ენებში არ დასტურდება. იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, გვ. 189

<sup>15</sup> თავდაპირველად შესაძლებლად მიგვაჩნდა ამ თანმიმდევრობის ( $S_2$  /ხ-/ +  $O_3$  /ხ-/) არარსებობა ფონოლოგიური აკრძალვით ყოფილიყო შეპირობებული, მაგრამ შემდგომ გავიზიარეთ თ. გამყრელიძის შენიშვნა, რომლის მიხედვითაც ის ჩვენ მიერ მითითებული ზემოაღნიშნული წესის რეალიზაციის შედეგია.

ნათქვამის საფუძველზე ქართველურ ენათათვის შეიძლება შევადგინოთ სუბიექტურ და ობიექტურ პირთა პრეფიქსული მორფემების კომბინაციის სქემა<sup>16</sup>:



იქ, სადაც  $S_3$  მორფემა სუფიქსურია, მასთან ობიექტური პირის მორფემათა კომბინაცია ასეთ სახეს იღებს:



ქართველურ ენებში ერთადერთ გამონაკლისს ქმნის ხანმეტ და ჰემეტ ტექსტა (და აგრეთვე შემდგომდროინდელი ქართულის)  $S_1$  ფორმა, სადაც სინკრონიული ანალოზის საფუძველზე ერთამეორის გვერდით გამოიყოფა  $O_3$  /ხ-/ (ჰემეტში /ჰ-/) და  $S_1$  /ჭ-/: შე-ხ-უ-აბთ (ქრესტ. 1,13), მი-ხ-უ-ემსგავსნეთ (ქრესტ., 25,27) და სხვა.

სწორედ ეს გამონაკლისი ( $O_3$  და  $S_1$  მორფემათა თანმიმდევრობის არსებობა) უნდა იყოს ინოვაცია:  $O_3/ხ-/ + S_1/ჭ-/ < S_1/ხჭ-/$ . რეინტერპრეტაციის პროცესი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: მას შემდეგ, რაც გაჩნდა  $S_1/ხჭ-/$ -ს გამართივების (ე. ი. ხ- ელემენტის ნულთან გათანაბრების) ტენდენცია, უირიბობიექტო ზმნებში /ხჭ-/-საგან ბუნებრივად უნდა მიგველო /ვ-/, ისევე როგორც ხანმეტ ტექსტა წართმით ბრძანებითში  $S_2/ხ-/$  გვაძლევს /Ø/-ს<sup>17</sup>: იბანე (ქრესტ., 6,9), აღდეგ (ქრესტ., 4,4), აღმოიღე (ქრესტ., 6,26), განაგდე (ქრესტ., 13,32). ირიბობიექტიან ზმნებში კი  $S_1/ხჭ-/-$ საგან უნდა მიგველო /ხ-ჭ-/ ისევე, როგორც ამგვარივე ზმნათა წართმით ბრძანებითში ვიღებთ  $O_3/ხ-/-$ ს, მაგ., ხ-უჩუენე (ქრესტ., 8,3), ხ-არქუ (ლექც., 61,17), მი-ხ-ეც (ქრესტ., 5,6), შე-ხ-ეწიე (ქრესტ., 1,18). ამ საფეხურზე იქცა  $S_1/ხჭ-/-$ ს ხ- ელემენტი  $O_3$  მორფემის წარმომადგენლად, ხოლო /ვ-/-  $S_1$ -ის ალომორფად. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთ ფორმებში, როგორიცაა შეხუაბთ, ხუესავთ, მიხუემსგავსნეთ და სხვა, /ხჭ-/ წარმომავლობით  $S_1$  მორფემის კუთვნილებაა.

მაშასადამე, ქართველურ ენათათვის არაბუნებრივი თანმიმდევრობის — /ხ-ჭ-/ (ე. ი. ობიექტისა და სუბიექტის პრეფიქსულ მორფემათა თანმიმდევრობის) ჩამოყალიბება  $S_1/*ხჭ-/-$ ს ოდინდელი არსებობით უნდა იყოს შეპირობებული.

უკვე იმ საფეხურზე, რომელსაც ხანმეტი (ასევე ჰემეტი) ტექსტები ასახავენ, ჩამოყალიბებულია ზმნის პარადიგმათა ორი განსხვავებული მოდელი:

I მოდელი:  $O_3/ხ-/-$  არც ერთი სუბიექტური პირის ფორმაში არ არის წარმოდგენილი. ეს მოდელი დამახასიათებელია უირიბობიექტო, ე. ი. ერთპირიანი (resp. უობიექტო) და ორპირიანი გარდამავალი ზმნებისათვის, მაგ.,

<sup>16</sup> ამ სქემის შედგენაზე პროფ. თ. გამყრელიძემ მიგვიითთა.

<sup>17</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, გვ. 119—120; ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, თსუ მოამბე, VII, 1926, გვ. 113 და 116.



- |                         |                           |
|-------------------------|---------------------------|
| 1. ვ-არ (ქრესტ., 10,2)  | 1. ვ-იხილო (ლექც., 62,25) |
| 2. ხ-არ (ქრესტ., 45,23) | 2. ხ-იხილოთ (ლექც., 58,7) |
| 3 არ-ს (ქრესტ., 41,5)   | 3. იხილონ (ლექც., 63,30)  |

II მოდელი:  $O_3$  /ხ-/ წარმოდგენილია I და III სუბიექტური პირის ფორმაში. ეს მოდელი დამახასიათებელია ირიბობიექტიანი (ე. ი. ორპირიანი გარდაუვალი და სამპირიანი) ზმნებისათვის, მაგ.,

- |                                    |   |
|------------------------------------|---|
| 1. ხ-უ-ემსგავსენით (მრ., 18,10—11) | 1. მი-ხ-უ-ეც (ქრესტ., 17,11)              |
| 2. ნუ ხ-ემსგავსებით (ქრესტ. 5,25)  | 2. მი-ხ-ეცით (ლექც., 64,33)               |
| 3. ხ-ემსაგვსნეს (მრ., 18a4)        | 3. მი-ხ-ცა (ქრესტ., 22,7) <sup>18</sup> . |

როგორც ვხედავთ, პრინციპი ასეთია: თუ ზმნაში წარმოდგენილია მესამე ირიბობიექტური პირი, ის /ხ-/თი აღინიშნება  $S_1$  და  $S_3$  ფორმაში, თუ არა, მაშინ ეს /ხ-/ არც ერთი პირის ფორმაში არ დასტურდება.

ტიპოლოგიურად ასეთივეა ვითარება ჰაემეტ ტექსტებშიც, იმ განსხვავებით, რომ  $O_3$  (ასევე  $S_2$ ) /ჰ-/ს ხმოვნების წინ ზოგჯერ /თ/ ენაცვლება

ეს პრინციპი ირლევება ხანმეტ (ასევე ჰაემეტ) ტექსტთა ზოგ უირიბობიექტორ ზმნაში, კერძოდ ე. წ. ინიან ვნებთში (აგრეთვე ზოგ ორპირიან გარდამავალ ზმნაში): ნაცვლად იმისა, რომ ისინი იუღლებოდნენ პირველი მოდელის მიხედვით, იუღლებიან მეორე მოდელის შესაბამისად. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ ზმნებს ობიექტური პირი საერთოდ არ მოეპოვებათ, მაგ.,

1. ხ-ყვენით /ხ-ყ-იყვენით/ (ქრესტ., 11,4)
2. ხ-იყვენთ (ქრესტ., 5,11)
3. ხ-იყვენ (ქრესტ., 9,1)

შდრ. აგრეთვე: და-ხ-იწერა (ლექც., 62,31), ხ-იყო (ქრესტ., 16,21), ჰ-იყო (ქრესტ., 47,19) და სხვა.

თუ ამგვარ ზმნათა მეორე სუბიექტური პირის ფორმაში /ხ-/ს (შესაბამისად /ჰ-/ს) ექებნება სათანადო მორფოლოგიური ფუნქცია — მეორე სუბიექტური პირის გამოხატვა, სამაგიეროდ პირველსა და მესამე პირში წარმოდგენილ /ხ-/ს (აგრეთვე /ჰ-/ს) დღემდე არ მოეპოვება არც სინქრონიული კვალიფიკაცია და არც დიაქრონიული ახსნა.

/ი-/ ალომორფიანი ვნებითი ყველა ქართველურ ენაში დასტურდება. რადგანაც აქ დატულია როგორც ფუნქციური, ისე ფონეტიკური შესატყვისობა (საერთო-ქართველურ /\*ა/ სონანტს ყველა ქართველურ ენაში /ი/ შეესატყვისება)<sup>19</sup>, ამიტომ ე. წ. ინიანი ვნებითი საერთო-ქართველურ დონემდე აღის. ამავდროს, რადგანაც /ი-/ ალომორფიანი ვნებითი ყველა ქართველურ ენაში უგამოხატავს ერთპირიანია, ამიტომ არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის როდისმე ორპირიანი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების ინიან ვნებითში დადასტურებული /ხ-/ და /ჰ-/ არ შეიძლება ირიბი ობი-

<sup>18</sup> პარადიგმათა დამოწმებული წევრები ზოგჯერ ერთმანეთსაგან ვანსხვადებიან რიცხვის ან მწკრივის მიხედვით (რადგანაც პარადიგმათა ყოველმხრივ ერთმანეთის შესაფერი წევრები ტექსტებში ყოველთვის არ დასტურდება), მაგრამ მესამე ობიექტური პირის გამოხატვის სურათი აქ უნაკლოდ აისახება. მსგავსი შემთხვევები ქვემოთაც იქნება.

<sup>19</sup> თ. ვამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 64—72.

ექტის გამობატვის ნაშთად მივიჩნით. და მაშინ ამ სეგმენტათვის არ იძებნება შესაბამისი მორფოლოგიური ფუნქცია. ეს უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ინიანი ვნებითის პირველი და მესამე პირის ფორმებში /ხ-/ (>/ჰ-/), როგორც დამოუკიდებელი მორფოლოგიური ერთეული, ისტორიულად არ არსებობდა. მაგრამ მაშინ ასახსნელია ამ უფუნქციო სეგმენტის გაჩენის მიზეზი.

ასეთი მიზეზი ისევ  $S_1$  მორფემის /\*ხტ-/ უნდა იყოს. რადგანაც  $S_1$  /ხტ-/ -ს გამარტივების პროცესში ერთი მხრივ ვიღებდით /ვ-/ -ს (უირიბობიექტო ზმნებთან), ხოლო, მეორე მხრივ, /ხ-ტ-/ -ს (ირიბობიექტიან ზმნებთან), ადვილი შესაძლებელი იყო ამ რთული პროცესის განხორციელების დროს /ვ-/ -ს ნაცვლად /ხტ-/ არქაიზმის სახით შემოგვარჩენოდა ზოგ უირიბობიექტო (ან უობიექტო) ზმნასთან.

ვგვიკრობთ, ხანმეტი (ასევე ჰემეტი) ტექსტების ინიან ვნებითში დადასტურებული „გაუგებარი“ /ხ-/ (>/ჰ-) მიღებული უნდა იყოს  $S_1$  /\*ხტ-/ -ს არქაიზმის სახით შემონახვის საფუძველზე. მაგრამ ამ ჰიპოთეზის მიღების შემთხვევაში ახსნას მოითხოვს ორი საკითხი: 1. რატომ შემოვკვნახა  $S_1$  /ხტ-/ უირიბობიექტო ზმნათაგან სისტემატურად მხოლოდ /ი-/ ალომორფიან ვნებითში? 2. რატომ გაჩნდა /ხ-/ მესამე სუბიექტური პირის ფორმაში?

ინიანი ვნებითის ფორმებში /ხტ-/ -ს სისტემატურად შემონახვა შეიძლება /ე-/ ალომორფიანი (ე. ი. ორპირიანი) ვნებითის ანალოგიით აიხსნას, სადაც პირველი სუბიექტური პირის ფორმაში /ხ-ტ/ დარჩა  $S_1$  /\*ხტ-/ -ს გამარტივების შემდეგაც როგორც  $C_2$  და  $S_1$  მორფემათა თანმიმდევრობა.

მოსალოდნელი იყო ინიანი ვნებითის პარადიგმა აგებულყო ერთ-ერთი იმ მოდელის მიხედვით, რომელიც ქართულში  $S_1$  /\*ხტ-/ -ს გამარტივების შემდეგ ჩამოყალიბდა (იხ. ზემოთ). რადგანაც /ი-/ ალომორფიანი ვნებითის  $S_1$  ფორმაში არქაიზმის სახით დარჩა /ხტ-/ , ბუნებრივი იყო მისი ხ- ელემენტი ისევე გაგებულყო, როგორც ირიბობიექტიან ზმნებში. ამიტომ უნდა მომხდარიყო პარადიგმის გათანაბრება პირველი სუბიექტური პირის ფორმის მიხედვით და ინიანი ვნებითის პარადიგმა II მოდელს დამთხვეოდა. ასე უნდა გაჩენლიყო /ხ-/ ინიანი ვნებითის მესამე სუბიექტური პირის ფორმაში. ამჟამად არ არის ცნობილი ისეთ ფორმათა წარმომავლობის ახსნის სხვა გზა, როგორცაა: ხ-იყო, ხ-იძლია, და-ხ-იწერა, ხ-იღვა, აღ-ხ-ივსო და სხვა.

ასევე შეიძლება აიხსნას /ხ-/ -ს გაჩენა ზოგ ორპირიან გარდაამავალ ზმნაში, ე. ი. ისეთ ზმნებში, სადაც მხოლოდ პირდაპირი ობიექტია წარმოდგენილი.

ა. შანიძემ დამაჯერებლად აჩვენა, რომ ზოგი ზმნა, რომელიც ორპირიანია ძველ ქართულში და შეიცავს მხოლოდ პირდაპირ ობიექტს, სამპირიანი უნდა ყოფილიყო ისტორიულად. ამ მესამე პირის (ირიბი ობიექტის) ტრადიციით შემორჩენილ ნიშნად მიიჩნევს მკვლევარი ამგვარ ზმნებში დადასტურებულ მესამე ობიექტურ პირის ნიშანს. ასეთია ის ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნები, რომელთაც კონვერსიული ვნებითი /ე-/ ალომორფით აქვთ ნაწარმოები: და-ჰ-ბადა — და-ე-ბადა, აღ-ჰ-მართა — აღ-ე-მართა, და-ჰ-ფლა — და-ე-ფლა და სხვა<sup>20</sup>. იგივე შეიძლება ითქვას ხანმეტი ტექსტების ანალოგიურ

<sup>20</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, გვ. 170—180; ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 115.

ზმნებზე, სადაც  $O_3$  /ხ-/ არის წარმოდგენილი უირაბობიექტო გარდამავალ ზმნებში.

მაგრამ ხანმეტ ტექსტებში დასტურდება ისეთი ორპირიანი უირაბობიექტო ზმნებიც, რომელთა სამპირიანთაგან წარმომავლობის მტკიცების საფუძველი არ არსებობს, მაგ., ხ-ადიდებდეს (ქრესტ., 14,29), ხ-თქუა (ქრესტ., 45,7), მი-ხ-ი-ყვანის (პალ., 332,14) და სხვა. ამ ზმნათა კონვერსიული ვნებითი /ი-/ ალო-მორფიანია<sup>21</sup>.

ამგვარ ზმნებშიც  $O_3$  /ხ-/ წარმომავლობით  $S_1$  /\*ხტ-/-სთან უნდა იყოს დაკავშირებული ისევე, როგორც ე. წ. ინიან ვნებითში.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს პირველი სუბიექტური პირის მორფემის წარმომადგენლად საერთო-ქართველურ ქრონოლოგიურ საფეხურზე მოვახდინოთ /\*ხტ-/-ს რეკონსტრუქცია. მისი გამარტივება, ე. ი. ხ- ელემენტის ნულთან გათანაბრება, შემდგომ მოხდა ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, სვანურში კი /ხტ-/-ს გამარტივება მხოლოდ ზოგიერთ პოზიციაში განხორციელდა.

#### შემოკლებათა განმარტება:

ქრესტ. — ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, გამომცემელი და ლექსიკონის შემდგენელი ი. იმნაიშვილი, 1953.

ლექც. — ხანმეტი ლექციონარი, ა. შანიძის გამოცემა, 1944.

მრ. — ხანმეტი მრავალთავი, ა. შანიძის გამოცემა, თსუ მოამბე, ტ. VII, 1927.

პალ. — ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, 1949.

21 იხ. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, გამომცემელი და ლექსიკონის შემდგენელი ი. იმნაიშვილი, 1953, გვ. 458, 473; ძველქართულ-რუსული ლექსიკონი, შემდგენელი ს. სერბერიაკოვი, 1962, გვ. 58, 74, 99.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 წევრ-კორესპონდენტმა თ. გამყრელიძემ)



## ზურაბ ხარჭველაძე

## ახალი მასალები მესამე ხოლმეობითის შესახებ

ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია XI—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში მის მიერ დადასტურებულ ზმნურ ფორმებს: **განეველიან, ბრძოლა-ეცის, ებრძანის...** და მისთ. ისინი ა. შანიძემ III ხოლმეობითად მიიჩნია. იგი წერს: „სხვათა შორის XI—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში გვხვდება ერთი იშვიათი მწკრივი, რომელიც აქამომდე შეუმჩნეველი იყო“<sup>1</sup>. ა. შანიძე იმოწმებს 11 ზმნას ამ მწკრივის ფორმით.

X—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში ამ მწკრივის ხმარების შეიღი შემთხვევა დადასტურა დ. გეწაძემ<sup>2</sup>.

X—XI საუკუნეთა ძეგლებში გამოვლენილ იქნა რამდენიმე ახალი ფაქტი ამ მწკრივის ხმარებისა. თანაც ჩვენი მასალების მიხედვითაც ამ მწკრივის ფორმები წერილობით ძეგლებში X საუკუნიდან გვხვდება:

1) რამეთუ მრავალ-გზის ვიეთნიმე ჩნდიაან, ვითარცა კეთილნი და ფარულად ბევრნი ბოროტნი ექმნიაან (Ath.—17 (X ს.). ათ. ასკეტ. კრებ. 219r, 4—10 b).

2) რამეთუ მრავალთა ექმნიაან პირველად საქმენი რამე და მათ მიერ მოვიდიაან მეორენი იგი კეთილნი (იქვე, 220v, 5—10a).

3) და იქმნა წმიდამან ევეგენია სენაკი მეკარისა სენაკსა თანა, რაათა ამითცა ყოველთა ქუემო იქმნეს და ყოველსა საკმარსა მამათასა იურვოდა და ყოველთა ლოცვად ასწრაფებდა და იგი განუშორებელ იყო ლოცვასა ყოველსა უამსა, და თუ რამე აკლის ლოცვაჲ, ვითარცა დიდი ცოდვაჲ, ეგრე შეერაცხის წინაშე ღმრთისა (პარხლ. მრავალთ., X ს.) 339r, 18—21a).

4) იგი ვინმე წარჩინებულ არნ მონაგებთა სიმდიდრითა და გარემოეცვის იგი სიმრავლესა მლიქნელთასა, და არზანიგსა და პატვისა მეგობართა ჩემებელთასა, რომელნი-იგი მის მიერთა მათ საკმართათს ლიქნიდიაან ძას (ექუს. დლ. (XI ს.) 51, 33—52, 2).

5) იცნის გზად რომელი-იგი წარევლის (იქვე 91, 26—27).

6) ვინაეცა საჭირო არს ჩუენდა მსგავსად მოვიწყეთა მათ ჰოგზაურთა, რომელთა-იგი რაჲამს თანა-წარუვალთაგან რამე და უშოის, დაღაცათუ ფრიად გზად წარევლის, კულად მიერვე უკუ მოიქციაან (იქვე, 93, 2—4).

7) ანუ-თუ იქმნის საქმე, იგი სახითა რაათმე ეცნის, ანუ ასმიოდის რამე სხუასა ადგილსა მისთვის, ანუ ენანს და ვითარცა მანქანათა ეცნის (A—285 (X—XI სს.), კლემაქს 26v, 23—26).

1 ა. შანიძე, მწკრივთა ჰომოდრებისათვის, II, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში: თსუ სამეცნიერო სესია, I, 1946, მიხსენებათა კრებული, 1947, გვ. 2.

2 დ. გეწაძე, გარდამავალი ზმნების დრო-კილობათა II ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში, საღისეგრაციო შრომა ვილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ბელნაწ.), 1952, გვ. 186—187.

მსგავს არს კაცსა, რომელსა ენების სიტყვთ და იგავით ჩუენებად სიტყობებად თაფლისად მათდა, რომელთა ყოველადვე არა ეხილის გემოთ თაფლისად (იქვე, 164r, 26—164v, 2).

და მარადღე ესრეთ ვჰგონებდით, თუ შევსძინებთ ტვრთსა ცოდვათა ჩუენთასა და ჩუენ უცნაურად განგუებნის იგი და ჩუენ ზედა მოსრულთა ღმრთისა მიერ მადლთა ვითარცა სასჯელისა ჩუენისაგან მრავლებად ვხედვიდით უღირსებისა ჩუენისათჳს (იქვე, 165v, 21—27).

არამედ რაჟამს მოიღეს ბრძანებად, მთოვარედ და ვარსკულავნი არაოდეს მათ უნებნ და გამოუბრწყინდიან, არამედ რაჟამს ებრძანის მათ, ღრუბელნი, არაოდეს მათ უნებნ და შეკრბიან, არამედ რაჟამს წუევეთ ებრძანის მათ (Sin. — 11 (XI ს.), 69v, 6—11).

ოთხთავის ერთი ადგილი (მათე 25, 26) პარიზის ლექციონარში ასეა გადმოცემული:

მოვიმიკი, სადა არა დამეთესის და შევიკრიბი, სადა არა განმებნის (168v, 2—5b). შტრ.: მოვიმიკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიენ (მ. 26, 26C)/განმიბნევიედ (DE).

შესლგვასა მუნ, სადა-იგი თვით არა ეშრომის, არცა რაა ექადაგის (Ier. 9 (XI ს.), თარგმ. კათ. ეპისტ. 163, 9—11b).

და ვინაითგან იგივე დღე სხუათა კეთილად წარველის (იქვე, 276, 8—10a).

ზოლო უძღურისა მისგან, რომელსა არა ევნის მისდა, პირი გარემიქციის (A—1 (1031 წ.), გლახაკთმოყუარებ. 647, 23—24).

ზოლო გარემოეცვნიან იგინი სიმრავლესა ერისასა (იქვე, 650, 18—19).

და რომელი-იგი წყალსა აღმოასხამს. არს კაცი, რომელსა ექმნის კჳთილი საქმე (A—1105 (XI ს.), მამათა ცხოვრ. 392r, 11—13b).

რომელსა არააად ეშრომის, არამედ უშრომელად მიიღის პატივი იგი (A—1 (1031 წ.), ცხორ. და შესხმ. ბასილისი 296, 22—23).

და ზრავალ-გზის სიმადლისა ღირსი ქუემდაბლად მდგომარე არნ, რომელსა ფრად ეწუართნიან სიტყუანი იგი საღმრთონი (იქვე, 297, 5—7).

რამეთუ პავლეცა მოციქული მიუთხრობს სიტყუასა მოციქულთა, ვითარ ექადაგის სახტებად (A—1 (1031 წ.) რნ ებისკოპოსთა მიმართ (554, 11—12).

ვითარცა იითოეულსა ეპოის, ესრეთ დადგებოდა და ძოვდა (იქვე, 556, 1—3).

მოიმიკის, სადაცა-იგი — არა ეთესის (სეტყუსათჳს 626, 8).

XI საუკუნის ივნისის თვის „თუნენს“ (Ier.—98) ახლავს გ. მთაწმიდლის ანდერძი<sup>3</sup>, სადაც ნათქვამია:

ესე საცნაურ იყავნ... წმიდანო მამანო, რომელ ყოველი სასოება ჩემი, შემდგომად ღმრთისა, წმიდისა ღმრთისმშობლისა მიმართ იყო და ჩემსა თარგმნილსა პარაკლიტონსა შინა ახლოს ასობრველი გოლობად დამიწერია წმიდისა ღმრთისმშობელისა, ორითა და სამითა სახითა დამიწერია, რამეთუ მათ ღმერთშემოსილთა გამომთქმელთა იგივე დაწერის არა უცხოა შეექმნის“.

ზოლო ჩუენ რაჟამს-იგი ერთი რაჟამე მცნებათგანი გუეგონის თუ აღგვსრულებია, არა ვიტყვ, თუ აღგუესრულის (A—110, ითიკა (1047 წ.), 84v, 14—16).

<sup>3</sup> ანდერძი გამოქვეყნებულია ლ. ჭღაშაიას მიერ: „მეხურსა“ და „მეხელის“ შესახებ, საქართველოს საზ. მეცნ. განყ. მოამბე, 1962, № 3, გვ. 159—160.

და მოგაგონებდიან ხატთა მათ, რომელი-იგი **გენახნიან** ოდესცა ანუ რომელი-იგი თვთ მათვე ეჩუენის შენდა ძილსა შინა (სეტყუსათუს 103r, 21—23).

რამეთუ ხედვიდნიან, რაჲ-იგი არაოდეს **ეხილვის** (A—162 (XI ს.), სარწმ. დაძინებ. 91r, 2—3a).

და აღმოკითხიან მას შინა წერილი იგი, ვისდაცა **მეწერის** (S—382, 148v).

ისე როგორც ა. შანიძის მიერ ნაპოვნ მაგალითებში, ეს მწკრივი მხოლოდ მოქმედებით გვარის ზმნებთან გვხვდება<sup>4</sup>. ჯერჯერობით არაა მიგნებული საშუალო და ვნებითი გვარის ზმნათა ამ მწკრივის ფორმები.

ა. შანიძე 1946 წელს წერდა: „დასასრულ, უადგილო არ იქნება ვიკითხოთ: უძველესი დროიდან მომდინარეობს III ხოლმეობითის ფორმები, თუ ისინი შემდეგ განვითარებულია უწყვეტლის ხოლმეობითის მსგავსად? რომ სწორი პასუხი გაცეს ამ კითხვას, საჭიროა, ყველა მოღწეული შეგლი იყო შესწავლილი მწკრივთა ხმარების თვალსაზრისით. თუ სახარებს ენაში არ გვხვდება აღნიშნული მწკრივი, ეს კიდევ არაფერს ნიშნავს, რადგანაც ძველი ნათარგმნია და ამის გამო იქ საზოგადოდ III სერიის ფორმები იშვიათია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ძველ ქართულში მრავალგზისობის კატეგორია მკაფიოდ არის გამოხატული როგორც I სერიაში, ისე II-ში. არავითარი საბუთი არა გვაქვს, დავუკვდეთ იმაში, რომ ეს კატეგორია III სერიის მწკრივითაც შეიძლება ყოფილიყო გადმოცემული. ცოცხალ მეტყველებაში ალბათ ის ძველადაც მოიპოვებოდა“<sup>5</sup>.

ზემოთ ჩვენ მიერ მოტანილი მასალა მოპოვებულია უმთავრესად ნათარგმნ ძეგლებში. ვფიქრობთ, რომ თარგმნის პროცესს ხელი არ უნდა შეეშალა (და აკი არც შეუშალა!) ამ ფორმათა გამოვლენისათვის. საგარაუდებელია, ეს მწკრივი ქართული ენის გარკვეული დიალექტის (ან დიალექტების) კუთვნილება იყო<sup>6</sup>. რაც შეეხება ქართულის სხვა დიალექტებს, მათ ეს მწკრივი არ (ანუ უკვე აღარ) გააჩნდათ. სხვანაირად ძნელი ასახსნელი იქნებოდა ის გარემოება, რომ იგი არ იჩენს თავს V—X საუკუნეთა ძეგლებში (ათონის ასკეტიკურ კრებულს, შატბერდის კრებულსა და პარხლის მრავალთავს გარდა, რომლებიც X საუკუნეს განეკუთვნება). უფრო ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს მწკრივი მწიგნობრული წარმოშობისა იყო (ე. ი. იყო წიგნის ენაში და არ იყო ცოცხალ მეტყველებაში<sup>7</sup>).

სალიტერატურო ენამ არ მიიღო ეს მწკრივი. იგი თანდათან გამოვიდა ხმარებიდან.

4 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

5 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 10—11.

6 საინტერესოა, რომ ხევსურულშიც არსებობს ეს მწკრივი, მაგრამ „იშვიათი ხმარებისაა ისევე, როგორც ძველ ქართულში“: ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 145. ხევსურულის მესამე ხოლმეობითი არქაული მოვლენა ჩანს. ამ დიალექტს დაცული აქვს (ზოგჯერ საკმაო ცვლილებებითაც) ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ ხოლმეობითთა ძირითადი მწკრივები.

7 უადრესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ერთი ფორმა ამ მწკრივისა „ვეფხისტყაოსანშიც“ დასტურდება: გაეფითლის (842,3). ამ ფაქტზე ყურადღება დ. გეგუაძემ გაამახვილა (დასახ. ნაშრ., გვ. 187).



## ბ ა პ ა რ ვ ი ბ ი ნ ი მ ი უ მ ი

## ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ე ბ ი მ ო ლ ო გ ი ე მ ბ ი

## 1. ქ ა რ თ. მ წ უ ი ს - ი „ ა ს ა კ ო ვ ა ნ ი “ , „ მ ო ზ რ დ ი ლ ი “

ძველ ქართულში დადასტურებულია სახელური ფუძე მწკს-. საბა ორბელიანის ლექსიკონში ეს ფუძე მწვისე-ს სახითაა წარმოდგენილი და განმარტებულია, როგორც „კაცი სრული ტანითა“. არც ფორმა სიტყვისა და არც განმარტება ზუსტი არ არის. ძეგლებში ეს სიტყვა თანხმოდგენილია (მწკს-ი) და ნიშნავს არა მხოლოდ ტანით სრულს, არამედ უპირატესად ა ს ა კ ო ვ ა ნ ს , მ ო ზ რ დ ი ლ ს , მ ო მ წ ი ფ ე ბ უ ლ ს . მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

და ლათუ მწკსთა გონებანი რომელთანიმე დაბრმეს, არამედ ჩხლთა უმანკოთანი ქმულთა მისთანი სულნი განათლდეს... (სინ. მრ. 135, 4—6).

რაჲსათჳს ყრმათაგან ვერ-მე კმა-იყვენესა მწუისნი? (სინ. მრ. 136, 13).

ნასახელარ ზმნებშიც მწკს- ფუძე გვაქვს:

ჰრქუთა იუდა თამარს სძალსა თჳსსა: დაჯედ ქურივად სახლსა შინა მამისა შენისასა, ვიდრემდე განმწკსნეს სელომ, ძჳ ჩემი... (დაბ. 38,11 (ოშკ.)).

... განმწკსნა სელომ, ძჳ მისი და მან არა მისცა მას იგი ცოლად. (დაბ. 38,14 (ოშკ.)).

მწკს-თა, მწკს-ნი ფორმები გამოირიცხავენ ამოსავალი ფუძის მწვისე-ს სახით არსებობას. მაშინ უნდა გვქონოდა \*მწკსე-თა, \*მწკსე-ნი და არა ზემოთ მოტანილი ფორმები. ხსენებული სიტყვის მნიშვნელობაც კარგად ჩანს სათანადო კონტექსტიდან. იუდა ეუბნება თამარს: დაჯექ მამაშენის სახლში ქვირევად სანამ მომწიფდებოდეს (მოიზრდებოდეს) ჩემი მომდევნო ვაჟი სელომიო. ასე რომ, მწკსი ნიშნავს „მომწიფებულს“, „ასაკოვანს“, „მოზრდილს“.

ამ ქართული ფუძის შესატყვისი მეგრულ-ჭანურში, ვფიქრობთ, დაცული უნდა იყოს ნასახელარ ზმნებში: მეგრ. ჳიშ-აფ-ა „დაწევა“, „მიღწევა“, „მოწევა“, „მომწიფება“, ჳან. მე-ბ-ჳიშ-ამ „ვეწევი“, „ვალწევ“. მეგრული მიმღეობური ფორმა მო-ჳიშაფ-ირ-ი „მოსწრებული“, „მომწიფებული“ ამოსავლად გულისხმობს ჳიშ-აფ- ჳმნურ ფუძეს, რომელშიაც -აფ თემის ნიშანია ჳიშ- კი — ძირი. მეგრული ჳიშაფა-ს მიხედვით, ქართულში სავარაუდებელია მასდარი \*წუის-ებ-ა, ხოლო მეგრული მო-ჳიშაფ-ირი ქართულში აღგვადგენინებს მიმღეობას \*მო-წკს-ებ-ულ-ი. ეს ფორმები ძველ ქართულში არაა ფიქსირებული, მაგრამ წუის- ძირი შემოგვენახა მ-წუის- ფუძეში<sup>1</sup> და მისგან ნაწარმოებ ჳმნურ ფორმებში: გან-მწკს-ნ-ა, გან-მწკს-ნ-ე-ს.

ერთგვარ დაბრკოლებას ქართულ მწუის- ფუძის ჳანურ ჳიშ-თან დაკავშირებისათვის ქმნის ვ-ს უქონლობა ჳანურ ფუძეში. მოსალოდნელი იყო მწუის-

1 მ- აქ პრეფიქსული ელემენტი ჩანს.

ის შესატყვისად ზანურში გვექონოდა \*მქვიშ-. თავიკიდური მ-ს დაკარგვა ანლაუტში თანხმოვნის წინ თითქმის უგამონაკლისო კანონია მეგრულისათვის (სხუ-ლი ← \*მსხული, შდრ. ქართ. მსხალი; ხუჯი ← \*მხუჯი, შდრ. ქართ. მქარი, სვან. მექარ; ჭკადუ ← \*მქკადუ, შდრ. ქართ. მქედელი, სვან. მჭუკიდ და სხვა), მაგრამ ჭ-ს მომდევნო ვ-ს დაკარგვის მიზეზი დასადგენია. მართალია, გვაქვს თანხმოვნის მომდევნო ვ-ს დაკარგვის შემთხვევები მეგრულში და არცთუ იშვიათად: სქირი ← \*სქვირი (შდრ. ქართ. შვილი), თირი „თოვლი“ ← \*თვირი (შდრ. ჭან. მთვირი || თვირი || მთური<sup>2</sup>), ზირუა „ღალის აღება“ ← \*ზვირუა (შდრ. ძვ. ქართ. ზუერი „ხარკი“, „ბაეი“), ფატი ← \*ფატივი (შდრ. ქართ. ფეტივი), ჯიშთი „ძველი თოვლი“ ← \*ჯვიშთი ← \*ჯვეშთირი და სხვა. მაგრამ თანხმოვნის მომდევნო ვ-ს დაკარგვა მკაცრად გატარებული რეგულარობით არ ხასიათდება: გვაქვს ვ-ს შენახვის შემთხვევებიც. მიუხედავად ამისა, დასაშვებად მიგვაჩნია ზანურ ფორმებში ვ-ს აღდგენა. მისი გაუქმინარების მიზეზი მეგრულში, კერძოდ, შეიძლება ყოფილიყო თავიკიდური მ, რომელიც მოგვიანებით თითონაც გაუქმინარდა თანხმოვნის წინა პოზიციაში სიტყვის თავში. ე. ი. თანმიმდევრობა ცვლილებებისა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: \*მქვიში — \*მქიში — \*ქიში. ჯერ მომხდარა ვ-ს დისიმილაციური დაკარგვა, ხოლო შემდეგ შეიზღუდა მ-ს დისტრიბუცია მეგრულში და /#—C/ პოზიციაში ის დაუშვებელი გახდა<sup>3</sup>. ეგვევ უნდა ითქვას ჭანურზეც. თუ დღეს ჭანურში გვაქვს მცვ მიმდევრობა ანლაუტში, ეს გვიანდელი მოვლენაა და გამოწვეულია მ-ს განვითარებით სიტყვის თავში (ს ა დ ა ც ი ს ა დ რ ე თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს წ ი ნ და უ შ ვ ე ბ ე ლ ი ი ყ ო). ასეა მიღებული კერძოდ მთვირი, რომლის მთვ კომპლექსი გვიანდელია, როცა თანხმოვნების განაწილების ადრინდელი (მეგრულისებური) წესი აღარ იყო ძალაში. ამრიგად, ქართული მწუხისი-ს შესატყვისად ზანურში უნდა გვექონოდა \*მქუიში || \*მქვიში, რომლისგანაც მივიღეთ \*ქიში. ამ უკანასკნელისაგან არის ნაწარმოები ნასახლარი ზმნები: მეგრ. ჭიშ-აფ-ა და ჭან. მე-ჭიშ-უ. თავის მხრივ, ნასახლარი ზმნური ფუძიდან მეგრულში ნაწარმოებია მიმღობა მო-ჭიშ-აფ-ირ-ი. ზანური ჭიშ ფუძის შემდგომი დანაწევრებისათვის საფუძველი აღარ გვაქვს: ჭ-ს სახით წარმოდგენილ ზმნურ ძირს მხოლოდ „მიწვდომის“, „გაწვდომის“ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ადრე მეგრულსა და ჭანურში, ჭიშ ძირს კი — „მომწიფებისა“. ამრიგად, ქართულ-ზანური ერთიანობის საფუძვურ-ზე ხსენებული ფუძე \*მ-წიშის-ს სახით წარმოგვიდგება.

## 2. სვან. უაჭურ || უაჭურა „არყის ხე“

ხეების სახელებისათვის სვანურში დამახასიათებელია -რა დაბოლოება: იცხ „მსხალი“ — იცხ-რა „მსხლის ხე“, უხგუ „ვაშლი“ — უხგუ-რა „ვაშლის ხე“, გუიჯ „წაბლი“ — გუიჯ-რა „წაბლის ხე“, გაკ „კაკალი“ — გაკ-რა „კაკლის ხე“, ცაცხუ-რა „ცაცხვის ხე“ და სხვ.<sup>4</sup>

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ ჭანურისათვის ამოსავალია თვირი ფორმა, რომლისგანაც თავიკიდური მ-ს განვითარებით მიღებულია მთვირი, ხოლო მეგრულში საფუძვრებელია, რომ ვი→ი და \*თვირი-საგან თირი მივიღეთ (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 189).

<sup>3</sup> თანხმოვანთა განაწილების შესახებ მეგრულში იხ.: თ. გამყრელიძე, ტ. გულდავა, თანხმოვანთკომპლექსების აგებულებისათვის მეგრულში: საქართველოს მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესია, თეზისები, თბილისი, 1970.

<sup>4</sup> Н. Я. Марр, Яфетические названия деревьев и растений (Pluralia tantum), II: Известия императорской академии наук, IV серия, Петербург, 1915, № 9, гв. 836—837.

წიფ-რა „წიფელი“, თეკ-რა „ხის სახელი“ ტიპის ფორმებისათვის ნ. მარა ამოსავლად ვარაუდობს \*წიფერ, \*თეკერ ფორმებს ლე-წიფერ („წაბლის ტყე“), ლე-თეკერ დერივატებზე დამყარებით<sup>5</sup>. თუ ეს ვარაუდი სწორია, ქართ. წიფელი: სვან. \*წიფერ ფორმების შედარება დასაშვებს ხდის ქართული -ელ-ის შესატყვისად სვანურში -ერ მიმდევრობის არსებობას და ბოლოკიდური სეგმენტები, ამდენად, ფუძის კუთვნილებად შეიძლება მივიჩნიოთ.

მ. ქალდანი ბალსქვემოურ ჟაჭტრა და ბალსზემოურ ჟაჭტარ ფორმებს („არყის ხე“) მიიჩნევს \*ჟაჭტერა ფორმისაგან მომდინარედ, რომელიც მცირეოდენი სხვაობით დატულია კიდევაც ლაშხურ დიალექტში (ჟაჭტერ-ის სახით)<sup>6</sup>. სვანური ჟაჭტერ-ის შესატყვისად ქართულში გვეგულება ძაჭტელი<sup>7</sup> (ქართ. ძ : სვან. ჟ, ქართ. ა : სვან. ა, ქართ. ჯ : სვან. ჯ, ქართ. უ : სვან. უ, ქართ. ელ : სვან. ერ). მართალია, სემანტიკური დამორება ქართულ ძაჭტელ-სა და სვანურ ჟაჭტერ-ს შორის საგრძნობია, მაგრამ მცენარეთა აღმნიშვნელ სახელებში დადასტურებულია კიდევ უფრო შორს წასული სემანტიკური გადაწვევის შემთხვევები. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ეტიმოლოგიური დაკავშირება ქართული წაბლი და მეგრ.-ჰან. ჰუბური სიტყვებისა სვანურ ჰებ-რა-სთან, რომელსაც „ბალის“ მნიშვნელობა აქვს. სვანური ფუძის დაკავშირება დანარჩენ ქართველურ ფუძეებთან ეკუთვნის ნ. მარს<sup>8</sup> და გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>9</sup>. ასევე, ერთი შეხედვით, უცნაურია ისეთი მნიშვნელობის მქონე ძირების კავშირი ინდოევროპულ ენებში, როგორცაა „მუხა“, „წიფელი“, „თელა“ შდრ. ბერძნ. ფῦξ || ფῦξ „მუხა“ : ლათ. *fagus* „წიფელი“ : ქურთ. *búz* „თელა“. ან ისეთ მნიშვნელობათა მქონე ძირების კავშირი, როგორცაა „ანწლი“ და „იასამანი“ (შდრ. რუს. *боз, бузина* „ანწლი“ და ზემოლუჟიცური *bónz* „იასამანი“<sup>10</sup>. თვით ძახველ-ს ბულგარულში აქვს მეორე მნიშვნელობაც „ბროწეული“-სა<sup>11</sup>. ზემოთქმულის შემდეგ სრულიად არ მოგვეჩვენება უცნაურად არყისა და ძახველის სემანტიკური კავშირი. არყის მნიშვნელობა კავშირშია „თეთრი“-ს მნიშვნელობასთან ინდოევროპულ ენებში (შდრ. შესატყვისობა ძვ. ისლ. *björk* „არყი“ : გუთ. *birhts* „ნათელი“, „მოელვარე“ : ალბ. *bardh* „თეთრი“<sup>12</sup>). არყი თეთრქერქიანი ხეა, ძახველიც სითეთრით ხასიათდება. შეიძლება „სითეთრე“ იყოს დამაკავშირებელი რგოლი ამ ორი მცენარის მნიშვნელობისა. ფონეტიკური მხარე შესატყვისობისა ზედმიწევნით ზუსტია.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 835.

<sup>6</sup> მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმაღლესის სისტემა სვანურში, თბილისი, 1969, გვ. 30, 136.

<sup>7</sup> სულხან-საბა ორბელიანთან ეს სიტყვა ძაქველი ფორმითაა წარმოდგენილი (იხ. მისი: ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928, გვ. 424).

<sup>8</sup> დასახ. შრ., გვ. 825.

<sup>9</sup> იხ. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964., გვ. 247; გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 33; თ. გამყრელიძე, ლეზაფრიკატიზაცია სვანურში, „გადაწერის წესები“ დიპტონიულ ფონოლოგიაში, თბილისი, 1968, გვ. 13.

<sup>10</sup> М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, т. I, Москва, 1964, გვ. 233.

<sup>11</sup> იქვე, ტ. II, გვ. 168.

<sup>12</sup> იქვე, ტ. I, გვ. 154.



მ. ქართ. ნიკელი

სიტყვა ნიკელი გვხვდება „იგავნი სოლომონისნი“-ს ომკურ ნუსხაში „ლორის დინგის“, „დრუნჩის“ მნიშვნელობით: ვითარცა საყური ნიკელსა ღორისასა, ეგრეცა დედაკაცსა სახებოროტსა სიკეთჳ (იგ. სოლ. 11,2 (ომკი)).

საბა ორბელიანის ლექსიკონში იგი ნიკელი-ს სახითაა მხიციმული. პირველი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ნიკელი უცხო წარმომავლობის სიტყვა იყოს. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ომონიმია ლითონის აღმნიშვნელ ნიკელ-თან, რომელიც სკანდინავური მითოლოგიის პერსონაჟის სახელია და შემდგომ შერქმეული ლითონისათვის. მიუხედავად ასეთი დამთხვევისა, ერთს მეორესთან არაფერი აქვს საერთო. ნიკელი „დრუნჩი“ ძირეული ქართული სიტყვა ჩანს. ამგვარი კვალიფიკაცია ემყარება დაკავშირებას მეგრულ ნიკუ || ნუკუ და ჰანურ ნუნკუ სიტყვებთან. მეგრულ ნიკუ-ს „ნიკაპის“ მნიშვნელობა აქვს, ჰანურ ნუნკუ-ს კი, ამას გარდა, აქვს მთლიანად „სახის“ მნიშვნელობაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ზანური ნიკუ || ნუკუ || ნუნკუ-ს შესატყვისად განიხილება ქართული ნიკაპი<sup>13</sup> და სვანური კაპრაჲ<sup>14</sup> ან ნიკა<sup>15</sup>. ზანურში ქართული ბოლოკიდური -აჲ მიმდევრობის ადგილას უ-ს გამოვლენა ახსნილია -\*ოჲ-ისაგან ამოსვლით (რომელიც ქართ. -აჲ-ის შესატყვისი უნდა ყოფილიყო), ო-ს ასიმილაციით ჰ-ს მეზობლობაში (\*ნიკოჲ—\*ნიკუჲ) და შემდეგ ბოლოკიდური ჰ-ს დაკარგვით<sup>16</sup>. ამასთანავე ნი- მიჩნეულია პრეფიქსულ ელემენტად. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ერთსულოვნება ზანური ნიკუ || ნუკუ-ს ამგვარად ახსნის საკითხში, ჩვენ მას ვერ გავიზიარებთ. ქართ. ნიკაპი შეიძლება დაუკავშირდეს სვანურ კაპრაჲ-ს, თუნდაც ნიკა / ნეკა-ს, მაგრამ ზანურ ფორმასთან მისი დაკავშირება საექვოდ მიგვაჩნია. რას უნდა გამოეწვია ჰ-ს დაკარგვა ზანურში? ბოლოკიდური ჰ სხვა შემთხვევაში არ იკარგვის. ასეა, მაგალითად, ნასესხებ სიტყვებში მეგრულში (როკაპი, ტყუპი). შდრ. აგრეთვე ჰან. ღლეპი „ქარცილი“, „ხავისი“, კაპი (თურქ.) „ქურჭელი“ და სხვა.

ზანური ნიკუ-ს ბოლოკიდურ უ-ს ახსნა მარტივდება, თუ ქართულ ნიკელ-ს მოვიშველიებთ. როგორც ცნობილია, ქართულ ბოლოკიდურ -ელ მიმდევრობას ზანურში რეგულარულად შეეფარდება -უ ხმოვანი:

ქართ. -ელ :	ზან. -უ
ბელელ-	ბალუ
თელ-	თუ (მეგრ.) „გოჭი“
წელ-	ჭუ (ჰან.) „ნაწლავი“
ცმელ-	ციმუ (მეგრ.) „ქონი“ და მრავალ. სხვა.

<sup>13</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი..., გვ. 49—50.

<sup>14</sup> K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962, გვ. 128; თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 323; გ. მაქავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 18.

<sup>15</sup> Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964, გვ. 148.

<sup>16</sup> K. H. Schmidt, დასახ. შრ. გვ. 138; თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტა სისტემა..., გვ. 323; გ. მაქავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, გვ. 18; Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 148.

ქართველოლოგიის უკანასკნელი წლების ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეს შეფარდება (და რიგი სხვა), რომლებშიც მორფოლოგიურად ეკვივალენტურ, მაგრამ მასალობრივ განსხვავებულ სუფიქსებს ვხვდავდით, კვალიფიცირებულია როგორც ფონეტიკური შესატყვისობა.

ამრიგად **ნიკელ**: **ნიკუ** შეფარდება არ ქმნის საჭიროებას დამატებითი პროცესების დაშვებისას (მოსავლელია სემანტიკური მხარე). უნდა ვივარაუდოთ, რომ ამოსავალი მნიშვნელობა იყო „ცხვირ-პირი“, რაც ნაწილობრივ შემონახულია ქართული „დრუნჩი“-სა და ჭანურში დაცულ „სახის“ მნიშვნელობებში. მეგრული სათავის და ქართული სათავის სავარაუდებელია მნიშვნელობის დავიწროება.

რაც შეეხება ქართულ **ნიკაპ**- და სვანურ **კაპრამ**, **ნიკა** ფუძეებს, მათი დაკავშირება ზანურთან, ვფიქრობთ, არ მოხერხდება. ამ ფუძეებში გამოიყოფა პრეფიქსული **ნი**- მორფემა და **კაპ** ძირი. ეს უკანასკნელი, როგორც ფიქრობენ, ექსპრესიული ხასიათისაა (შდრ. **კაპ-უნ-ი**), რასაც ვერ ვიტყვით **ნი-კელ**-სა და **ნიკუ-ზე**. ამრიგად, ცალ მხარეს დადგება ქართ. **ნიკელი** და ზან. **ნიკუ** || **ნუკუ** || **ნუნკუ**, მეორე მხარეს კი — ქართ. **ნი-კაპ-ი**, **კაპ-უნ-ი** და სვან. **კაპ-რამ**, **ნი-კა-ა**.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 წევრ-კორესპონდენტმა თ. გამყრელიძემ)

### აპაკი ზანიძე

## ნ ა პ რ ე ფ ი ქ ს ის მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ის ა თ ვ ის ს ა მ ე გ რ ე მ ლ ო ს გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ს ა ხ ე ლ ე ზ შ ი

ს. კაკაბაძემ ერთს თავის ნაშრომში აღნიშნა, რომ პაატა წულუკიძეს, რომელიც იმერეთიდან გაიქცა და სამეგრელოს გადავიდა, ოდიშში მისცეს მამული და ამისი ნაშთია სოფელი **ნაწულიკიო** (ე. ი. წულუკიძის ნაქონი) ზუგდიდთან. 1926 წ. ამ სოფელში 79 კომლი მცხოვრები იყო („ისტორიულ პირთა სურათები ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობიდან“: საბჭოთა ხელოვნება, 1958, № 8). როგორც აღნიშნავს პროფ. ა. ცაგარელი, ეს პაატა წულუკიძე იერუსალიმის ქართველთა მონასტერში იყო დახატული<sup>1</sup> (ამჟამად ეს ნახატი აღარ არის). ცხადია, მას დიდი შესაწირავი გაუგზავნია ჯვარის მონასტრისთვის ლევან II დადიანთან ერთად, რომელმაც ეს მონასტერი განაახლებინა ნიკიფორე ჩოლოყაშვილს 1643 წ.

**ნაწულიკიო**, ს. კაკაბაძის თარგმანის მიხედვით, „წულუკიძის ნაქონს“ ნიშნავს. ასეთი გაგება უთუოდ ქართული **ნა** პრეფიქსის მნიშვნელობით არის გამოწვეული და შემთხვევითიც არ არის. სხვათა შორის, ა. ჩიქობავაც ამგვარად თარგმნიდა **ნა** პრეფიქსით ნაწარმოებ სოფლის სახელებს, რომლებიც სამეგრელოშია: „**ნაფიჩხოუ** — სადაც ფიჩხაიები მოსახლეობდნენ“, „**ნაწულიკოუ** — სადაც წულიკიები მოსახლეობდნენ“, „**ნაგვაზოუ** — სადაც გვაზავები მოსახლეობდნენ“, „**ნაღფსოუ** — სადაც ღფსაიები მოსახლეობდნენ“ („სახელის ფუძის უძველესი აგებულება“, გვ. 196), თუმცა იქვე დასძენს: „შეუძლებელი არაა ამგვარი წარმოების სოფლის სახელები ისტორიულად იმაზე კი არ მიუთითებდეს, სადაც ამა თუ იმ გვარს წინათ უცხოვრია, არამედ — სადაც ეს გვარი ცხოვრობს. ე. ი. **ნა=სა; ნაგვაზოუ=საგვაზოუ** (იხ. **საგვაზაო** — აბაშის სასოფლო-საბჭოში“. იქვე). „შეუძლებელი არაა“, ეს გაუბედავად არის ნათქვამი. უნდა ითქვას გაბედულად: **ნა** პრეფიქსი ამ შემთხვევაში სწორეთ ქართ. **სა-**საბადალია. ეს **ნა** წარმოშობით სვანურია და თავდაპირველად უნდა ყოფილიყო არა **ნა**, არამედ **ღე**, რომელიც, როგორც ი. ყიფშიძეც აღნიშნავდა და იმორწმუნდა ნ. მარს (ი. ყიფშიძე, მეგრ. გრამ., გვ. 272), დანიშნულების პრეფიქსია (უძრის ქართულ **სა-**) და რომელიც დღესაც შემორჩენილია სამეგრელოს რამდენიმე სოფლის სახელში, როგორცაა: **ღებაჩიღე** — საბაჩილო, **ღეძაძამე** — სძაძამიო, **ღეხაინდრეე** — სახაინდრაო, **ღედგებეი** — სადგებეიო (სადგებუაძეო) და სხვ. ამგვარი წარმოებისა აგრეთვე **ღეპარტიე**, რომელიც სალიპარტიოდ ანუ სალიპარტიანოდ ითარგმნება (ი. ყიფშიძე, მეგრ. გრამ., გვ. 272), მაგრამ იგი

<sup>1</sup> А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае: Православный Палестинский сборник, т. IV, вып. I, СПб, 1888, гв. 106.



შემცირებულია ერთი მარცვლით: თავდაპირველად უნდა ყოფილიყო **ლელო-პარტიე**<sup>2</sup>.

რომ ნათელი იყოს სევანური **ლე** პრეფიქსის **ნა**-დ გადაკეთება, უნდა მოვიგონოთ, რომ კოლხურში ერთმანეთს ენაცვლება **ნ** და **ლ**: **ნამუსი** — **ლამოსი** (ყიფშიძე, გვ. 286), **ნაკვაჩხირი** — **ლაკვაჩხირი** „მუგუზალი“ (იქვე, გვ. 255), **ქ. ნედლი** — **მ. ლადირი** (ლადერი). ასეთი მონაცვლეობა უნდა გვქონდეს აქაც: **ლე**-ს უნდა მოეცა **ნე**, რომელმაც ქართ. **ნა**-ს გავლენით ხმოვანი იცვალა და მივიღეთ **ნა**: **ნაწულიყო** (ს. კაკაბაძის **ნაწულიყო**), **ნაგვაზო**, **ნაღეფსო** და სხვ. მაშასადამე, ამ ტიპის სახელში **ნა**-ს იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართ. **სა**-ს (**სა**-ჯავახო, **სა**-ჭილაო, **სა**-ლომინაო, **სა**-ორბელო, **სა**-ბარათიანო და სხვ.). მართლაც, თუ ამ სახელებს ისე გავიგებდით, როგორც მათ თარგმნიან ა. ჩიქობავა და ს. კაკაბაძე, მაშინ ეს სახელები იმავე ტიპისა იქნებოდა, როგორცაა: **ნასომხარი**, **ნასაკირალი**, **ნაქულბაქევი** და სხვ., მაგრამ ამ შემთხვევაში არა თუ „მოსალოდნელი არ იქნებოდა“, არამედ პირდაპირ გაუგებარი იქნებოდა, როგორ მოხდა, რომ „ძველი მოსახლეობის გვარი დაეტოვებინა მერე დასახლებულს“ (ა. ჩიქობავა, იქვე).

მაშასადამე, **ნაწულიყო** (ს. კაკაბაძის **ნაწულიყო**) ნიშნავს არა წულუკიდის ნაქონს, არამედ საწულიკიდოს.

5. III. 1962

როგორც ნიკო კილანავამ გადმომცა, გალის რაიონის სოფ. ფიჩორის ერთ უბანს **ნაჭკადუ** ჰქვამევია. ამ უბნის სახელიც იმავე ტიპისა ჩანს, რაც ზემოთ არის ჩამოთვლილი. მაშასადამე, მისი თარგმანი იქნება **საჭკადუო**. იმავე **ნ. კილანავას** ცნობით, **ჭკადუები** ამჟამად იქ არ ცხოვრობენ.

26. XI. 1972

<sup>2</sup> ი. ყიფშიძის ცნობით, სალიპარტიანო 20-ოდე სოფელია სამეგრელოს ჩრდილო-აღმ. კუთხეში, ტეხურის ორსავე ნაპირას.



გვარის უძველეს ფორმებად ინდოევროპულ ენებში ზოგი ავტორის მოსაზრებით გვევლინება აქტივი და მედიუმი (მედოპასივი). ვნებითი გვარი შედარებით გვიან განვითარებულად მიაჩნიათ. ვნებითი გვარისათვის გერმანულ ფუძე ენას ფლექსიური ფორმა, ე. წ. მედიოპასივი, ჰქონდა, რომელიც მხოლოდ გოთურმა შემოინახა. გოთური მედიოპასივი თავისი წარმოებით ემთხვევა ბერძნულ საშუალო გვარს, რომლიდანაც შემდეგ ვითარდება ვნებითი გვარი (პასივი)<sup>6</sup>.

ვნებითი გვარი გამოხატავს მოქმედებას. რომელსაც გრამატიკული სუბიექტი გარეშე მოქმედი პირისაგან განიცდის, მაგრამ გრამატიკულად წარმოგვიდგება როგორც გრამატიკული ქვემდებარის მიერ შესრულებული. ზოგჯერ ვნებითის ფორმას მედიურობის შინაარსიც ახლავს. ვნებითობისა და მედიურობის ფუნქციურად მკვეთრად გამოიყვნა მხოლოდ კონსტრუქციის საშუალებით ხდება შესაძლებელი. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია გვარის ფორმათა სიახლოვე და მათი ურთიერთშენაცვლების ფაქტი. მიაჩნიათ, რომ გვარის ფორმების წარმოშობას საერთო საფუძველი აქვს.

გვარის კატეგორიას იკვლევდნენ როგორც საბჭოთა, ასევე საზღვარგარეთელი ენათმეცნიერები. უშუალოდ ბერძნული გვარის საკითხებს ეხებიან თავიანთ ბერძნული ენის გრამატიკებში: ბრუგმანი, კვინერი, შვიცერი და მრავალი სხვა ცნობილი მკვლევარი ბერძნული ენისა<sup>7</sup>.

მნიშვნელობის მიხედვით, ზმნები, რომლებიც განეკუთვნებიან *genus activum*-სა და *genus passivum*-ს იყოფიან: ა) გარდამავალ ზმნებად ანუ *verba transitiva*-დ (*φιλῶ τὸν πατέρα*) და ბ) გარდაუვალ ზმნებად ანუ *verba intransitiva*-დ (*τρέχω, μάχομαι*). თავდაპირველად ზმნები არ შეიცავდნენ გარდამავლობისა და გარდაუვალობის მუდმივ მნიშვნელობას. ზმნას შეეძლო ყოფილიყო გარდამავალიც და გარდაუვალიც. ამგვარი ვითარება რუსულში, ძველ ეგვიპტურსა და თურქულ ენებში<sup>8</sup>. ასეთივე მდგომარეობაა ბერძნულშიც. განსხვავება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს შორის ჩნდება მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მოქმედებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები.

აქტივში, მოქმედებითი გვარის ზმნაში, ქვემდებარე გამოდის როგორც მოქმედი პირი. მაგალითად „*ὁ παῖς γράφει*“ „ბავშვი წერს“. მაგრამ აქტიურ ფორმას აქვს ორგვარი მნიშვნელობა: ა) გარდაუვალი და ბ) გარდამავალი, ა) გარდაუვალია ზმნა, როცა მოქმედების გამოხატვა ან შემოფარგლული რჩება მხოლოდ ქვემდებარით, როგორც „*τὸ βῆμας θάλλει*“, ან განისაზღვრება ობიექტით; მაგალითად: „*ἐπίστυμας τῆς ἀρετῆς, χαιρώ τῆ νίκῃ, βᾶμιζω εἰς τὴν πόλιν*.“ ბ) გარდამავალია ზმნა, როცა მოქმედება ისე გადადის დამატებაზე, რომ მას ეხება, „აენებს“ მას (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), ანუ: კარგად ან ცუდად

<sup>6</sup> В. Виноградов, Русский язык, М., 1947, გვ. 622.

<sup>7</sup> ესენი ზმნის გვარის აღსანიშნავად ხმარობენ ბერძნულ სიტყვას — დიათესს (*διάθεσις*). დიათესების ფორმალური განსხვავება დაფუძნებულია პირის დაბოლოებებზე.

<sup>8</sup> В. Виноградов, Русский язык, М., 1947, გვ. 622.



მოქმედებს მასზე, როგორც ეხება მას. ამგვარი ობიექტი გამოხატულია აკუსატივით. მაგალითად, ἔρχεται ἡμεῖς, ἔρχεται ἡμεῖς. ეს ზმნები ტრანზიტული ზმნები ანუ გარდამავალი ზმნებია და უპირისპირდებიან ინტრანზიტულს, გარდაუვალს.

ამგვარად, ბერძნულში ისეთი ზმნები, რომლებსაც აკუსატივში დასმული პირდაპირი დამატება აქვთ, გარდამავალი ზმნებია. თავისთავად ზმნები, რომლებიც პირდაპირი ობიექტის გარეშე დგანან, გარდაუვალი მნიშვნელობის მქონენი არიან. ეს ზმნები სუბიექტის მდგომარეობას გამოხატავენ.

როგორც პაული აღნიშნავს<sup>9</sup>, მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს შორის დაპირისპირება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვემდებარე და დამატება საბოლოოდ გამოეყენნენ ერთმანეთს, როგორც დამოუკიდებელი კატეგორიები, მანამდე კი ქვემდებარისა და შემასმენლის კავშირი აღნიშნავდა როგორც პასიურ, ასევე აქტიურ ურთიერთდამოკიდებულებას.

მიიჩნევენ, რომ პასივის წარმოქმნის ადრეულ პერიოდში ვნებითი გვარის ფუნქცია დაიყვანებოდა საგნის ან პირის მხოლოდ მდგომარეობის ჩვენებამდე. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებია მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები, მდგომარეობის აღმნიშვნელი კი საშუალო გვარისანი არიან. მოქმედებითი გვარის ზმნებში გამოიკვეთა გარდამავლობის მნიშვნელობა, ხოლო მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნებში კი გარდაუვალობისა<sup>10</sup>.

ღროთა უძველეს ფორმებად ინდოევროპულ ენებში, როგორც ცნობილია, მიჩნეულია აწმყო, აორისტი და პერფექტი. ვარაუდობენ, რომ მედიუმის, როგორც გვარის ფორმის, არსებობა დაიწყო იმ დროიდან, როცა მდგომარეობის კატეგორია გაიყო ორ გრამატიკულ ფორმად, რომელთაგანაც ერთმა მიიღო გვარის მნიშვნელობა, მეორემ კი ასპექტის. ხოლო თავის მხრივ უძველესი განსხვავება მედიუმსა და პერფექტს შორის იყო შემდეგი: მედიუმი გამოხატავდა მდგომარეობას, როგორც პროცესს, პერფექტი — როგორც ფაქტს. ეს იყო მდგომარეობის კატეგორიის ორი სახესხვაობა. რადგან ამ პერიოდში გარდამავლობა-გარდაუვალობას შორის განსხვავება მკვეთრი არ იყო, მედიუმს დაუკავშირდა უაქტიურობის გაგება<sup>11</sup>.

უაქტიურობით ფორმებს იყენებენ როგორც საშუალო, ასევე ვნებითი გვარის ზმნები, ხოლო ქართულთან შეპირისპირებით — მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფუნქციის შემცველი ზმნები. ბერძნულში ზმნის ერთი და იმავე ფორმით გამოიხატებოდა როგორც სათავისო ქცევა, ასევე ვნებითობაც. მაგალითად: παῖδες ἔρχονται „ვიზრდი“, „ვიზრდები“, παῖδες ἔρχονται „ვზრდი“. გერმანელი მეცნიერი კვინერი შენიშნავს, რომ საკუთრივ პასიურ ფორმას ბერძნული ენა არ ფლობს, რადგან ბერძნული პასივი, აორისტისა და ფუტურუმის გარდა, ყველა დანარჩენ ფორმას მედიუმისაგან სესხულობს. ქართულ ენაში აღნიშნავენ მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევასა და ინიანი ვნებითის საერთო წარმომავლობას, ხოლო მათი მაწარმოებელი ფორმანტის თავდაპირველ მნიშვნელობად მიჩნეულია უაქტიურობა.

<sup>9</sup> Г. Пауль, Принципы истории языка (перевод с немецкого), М., 1960, გვ. 334.

<sup>10</sup> E. Schwyzler, Griech. Gramm., I, München, 1950, გვ. 223.

<sup>11</sup> А. Савченко, Категория среднего залога в индоевропейском языке, Автореферат, Ленинград, 1960.

ბერძნულში არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ის, რომ ბევრ ზმნას აქ ზოგიერთი დროისათვის სჭირდება სხვადასხვა ფორმა, რომელსაც გრამატიკაში განასხვავებენ *tempora prima*-დ და *tempora sacunda*-დ. კლასიკური ხანის ბერძნულში ზოგიერთ ზმნას აწმყო დროში მხოლოდ მოქმედებითი გვარის ფორმა აქვს. მაგალითად: *παίω* „დავდივარ“, „*ἔπα*“ „მიეცოცავ“, „*ῥέω*“ „გკანკალე“; ზოგიერთ ზმნას კი მხოლოდ საშუალი გვარის ფორმა გააჩნია. მაგალითად: *ἀλλομαι*“ „ეხტი“, „*ψάλλομαι*“ „მინდა“, „*ἄμηναι*“ „ვზივარ“, „*ἄμηναι*“ „მწვევარ“ და მისთ.

საშუალი გვარის ზმნები მოქმედებითი გვარის ზმნებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ესენი (მედიალური ზმნები) ვამოხატავენ ისეთ მოქმედებას, რომლის შესრულებაში სუბიექტი პირადადაა დაინტერესებული. მაგალითად:

მედიუმში „*παρίσται*“ „ვიღებ“, „*μὀμαίქε* ჩემთვის“.

აქტივი „*παρίστω*“ „მომამაქვს“ (ვინმესთვის, საერთოდ).

მედიუმში „*ἔπα*“ „ვიარაღლები“ (ვიაარაღლებ ჩემ თავს).

აქტივი „*ἔπα*“ „ვიაარაღლებ“ (სხვას).

საშუალი გვარის ფორმა კონსტრუქციაში გულისხმობს აქტიურ ქვემდებარეს, რომელსაც თავისივე მოქმედება უბრუნდება. მოქმედების ეს „უკუქცევა“ ზოგჯერ ნათლად იგრძნობა, ზოგჯერ კი მიჩქმალულია, დაფარულია. (ინდოელი გრამატიკოსები მედიუმს *ātmanepadam*-ს უწოდებენ, რაც ნიშნავს „სიტყვას თავისთვის“ და უპირისპირდება აქტივს — *parasmaipadam*-ს „სიტყვას სხვისთვის“). მედიუმის არსებობა გულისხმობს მოქმედებითისა და ვნებითის არსებობას, რამდენადაც ის ერთგვარად ინაწილებს, ერთი მხრივ, მოქმედებითი და, მეორე მხრივ, ვნებითი გვარის მნიშვნელობებს. მედიალური ფორმა გვარის სხვა ფორმებთან შედარებით შემდეგნაირ მსგავსება-განსხვავებას ამჟღავნებს: 1) მოქმედებითი გვარის ფორმებს ემსგავსება იმით, რომ გამოხატავს აქტიურ მდგომარეობას, 2) ვნებითთან საერთო აქვს ის, რომ აქაც გრამატიკული ქვემდებარე მოქმედებას განიცდის, ხოლო განსხვავდება იმით, რომ „მოქმედების განმცდელი“ ქვემდებარე თვით არის მოქმედი.

ბერძნულში ზოგიერთი ზმნის მედიალური ფორმით აღინიშნებოდა ისეთი მოქმედება, რომელიც სუბიექტის მიერ მისივე ინტერესებისათვის, მის სასარგებლოდ სრულდებოდა. მედიალური ფორმით გადმოიცემოდა მოქმედება თავისთვის, გადმოიცემოდა მოქმედება, რომელიც ა) სუბიექტიდან მომდინარეობდა და სუბიექტსვე ეხებოდა, ბ) სუბიექტიდან მომდინარეობდა და მისთვისვე სრულდებოდა, გ) ჰქონდა უკუქცევითობის გაგება და სხვ. ბერძნული საშუალი გვარის ზმნების ერთ ნაწილს აქტივის მნიშვნელობა აქვს, გარკვეულ ნაწილს — პასივის მნიშვნელობა. მსგავსი ნიშნებით ხასიათდება ზეთურის საშუალი გვარის ფორმებიც<sup>12</sup>, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ასეთი მნიშვნელობები დამახასიათებელი იყო საერთოდ ინდოევროპული ენებისათვის.

ახსიათებს რა ბერძნულ მედიუმს, ბერძნული სინტაქსის ავტორი გ. ნიდერლე აღნიშნავს, რომ მედიუმით გამოიხატება ის მოქმედება, რომელიც ქვემდებარისაგან მომდინარეობს და ამავე დროს მას ეხება, რომ ჩადენილი მოქმედება სუბიექტისთვისაა განკუთვნილი მხოლოდ და მხოლოდ. ა) მოქმედება არაპირდაპირ ეხება ქვემდებარეს, მაგრამ მაინც მის სასარგებლოდ სრულდება.

ბ) ქვემდებარე თვითონ მონაწილეობს მოქმედების შესრულებაში თავისი ძალითა და საშუალებებით. მაგალითად, „*καταμαίνομαι*“ „ვირთვები“ ან „ერთავ ჩემ თავს“, „*καταμαίνομαι*“, „ვიმზადებ“, ან „ვამზადებ ჩემთვის“, „*ἔχομαι*“ მომყავს (ჩემთვის).

ინდოევროპული ენების მედიუმის შესწავლისას ი. გონდა<sup>13</sup> შენიშნავს ძველინდური პასივის ბერძნულის მედიუმთან მიმართებას და დასძენს, რომ მათთვის დამახასიათებელი იყო ისეთი მოქმედება, „რომელიც სრულდებოდა თვით სუბიექტში ან სუბიექტთან კავშირში“. იგი მედიუმის მთავარ ფუნქციას ხედავს იმაში, რომ მოქმედება ხდება პირთან ან საგანთან მიმართებაში, ან რაღაც ემართება, რაღაც მოსდის პირს ან საგანს.

ა. ბოგაროდიცკიმ<sup>14</sup> ინდოევროპული საშუალო გვარისათვის ძირითად მნიშვნელობად მიიჩნია უქუქცევითობა და გარდამავლობის მხრივ საშუალო გვარის დამახასიათებლად — გარდაუვალობა. ბენვენისტი კი შემდეგნაირად განმარტავს ორივე დიათეს: „აქტივში ზმნები აღნიშნავენ პროცესს, რომელიც მომდინარეობს სუბიექტიდან და სრულდება მის გარეთ. მედიუმში კი ზმნა გვიჩვენებს პროცესს, რომელიც სუბიექტშივე სრულდება, სუბიექტი პროცესის შიგნით იმყოფება“. ა. მეიე<sup>15</sup> აღნიშნავს, რომ „В индоиранском и греческом окончании среднего залога показывают, что субъект лично заинтересован в процессе“. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მეიეს ეს აზრი მართებულად არ მიაჩნია ა. სავჩენკოს. ის წერს, რომ მედიუმით გამოიხატებოდა მდგომარეობა და რომ ეს მნიშვნელობა იყო მისთვის პირველადი, და არა სუბიექტის დაინტერესება პროცესისადმი. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ეგვე მნიშვნელობა შემორჩებოდა ხეთურის მედიუმსაცო, რადგან ხეთური ადრე გამოეყო ფუძე ენას.

მაშასადამე, ა. სავჩენკოს მიაჩნია, რომ ბერძნული მედიუმის უქველესი მნიშვნელობა იყო მდგომარეობის გამოხატვა და, საერთოდ, ინდოევროპული მედიუმისათვის დამახასიათებელი იყო გარდაუვალობა. მაგრამ ის იქვე შენიშნავს, რომ სანსკრიტსა და ბერძნულში, ისევე როგორც ხეთურში, უმეტესობა ზმნებისა აქტივშიც და მედიუმშიც ერთი და იმავე მნიშვნელობითააო. დასასრულ, ა. სავჩენკო დასძენს: „Это явление восходит к индоевропейскому языку. Оно свидетельствует о нечеткости медиума как грамматической категории“.

ბერძნული ენის მედიუმის რაობას ეხებოდა საბჭოთა მეცნიერთაგან ბ. მიტელმანი, ტ. მელიკოვა-ტოლსტაია, ა. სავჩენკო, ა. შანიძე..., საზღვარგარეთელი მეცნიერებიდან — ე. შმიდტი, ბრუემანი, კვინერი, სმიტი, შვიცერი და სხვები. მათ მიერ შემჩნეულაა, რომ საშუალო გვარი არ იწარმოება ყველა მოქმედებითი გვარისაგან. ზოგიერთ ზმნას არ გააჩნია აქტიური ფორმა და აქვს მხოლოდ მედიალური ან პასიური (მაგალითად. *δέχομαι* (medium) „ვიღებ“, „ვღებულობ ჩემს მფლობელობაში“, *πάσσομαι* (passivum) „შემიძლია“). ასეთ ზმნებს ეწოდებათ გადაღებული ანუ *verba deponentia*.

<sup>13</sup> I. Gonda, Reflexions on the indo-european Medium, „lingua“, IX, № 1—2, 1960, გვ. 72.

<sup>14</sup> В. Богородицкий, Краткий очерк сравнительной грамматики арио-европейских языков, Казань, 1917, გვ. 184.

<sup>15</sup> А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М.-Л., 1938, გვ. 258.

11. მაენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 3



ბერძნული გადაღებული ზმნები ორი სახისაა: *deponentia media* და *deponentia passiva*. პირველ მათგანს აორისტი აქვს მედიალური, მეორეს — აორისტი და ზოგჯერ მომავალიც აქვს პასიური ფორმით. პასივის ცნება ბერძნების მიერ აღიქმება როგორც უკუქცევითობა. იგი ფლექსიური ფორმაა.

ნამყო წყვეტილში (აორისტი I) წარმოდგენილი ზმნები მოქმედებითი გვარისაა და დაპირისპირებულია ვნებითი გვარის ზმნებთან, რომლებიც აორისტ II-ში არიან. ესენია: *ἔξελιξε* „შეშინა“, *ἔξελιχεν* „შეშინდა“, *ἀνέρεξα* „მოაბრუნა“, *ἀνέρεξα* „მობრუნდა“, *ἔφρα* „უჩვენა“, *ἔφρα* „გამოჩნდა“, *ἔφρα* „გაზარდა“, *ἔφρα* „გაიზარდა“, *ἔλασα* „დაწვია“, *ἔλασα* „დაიწვა“, *ἔβασα* „დაახრჩო“ („ჩაფლო“), *ἔβασα* „დაიხრჩო“ („ჩაიფლო“).

ასევე მრავალ ზმნას პერფექტუმ I-ში აქვს გარდამავალი მნიშვნელობა, პერფექტუმ II-ში — გარდაუვალი (*ἔβλεπα*, *ἔβλεπα*).

ერთსა და იმავე დიალექტში (სახელდობრ ატიკურში) ზოგიერთ შემთხვევაში აქტივისა და მედიუმის არჩევანი თავისუფალია. პეროდოტე ხმარობს *ἔπαυα* *ἔπαυα* *ἔπαυα*-ს, ნაცვლად *ἔπαυα* *ἔπαυα* *ἔπαυα*-სა. განსხვავებაა არა საგანში, არამედ განსხვავებაა გამოხატვაში.

ხშირად აქტიური ფორმების გვერდით კონტექსტში შეიძლება იყოს მედიალური ფორმა პასიური მნიშვნელობით. მაგალითად, *ἔπαυα* „ვიღლები“, *ἔπαυα* „ვიხრჩობი“ (*ἔπαυα*-სა და *ἔπαυα*-ს გვერდით). ასევე აქტივი და მედიუმი ერთნაირი გამოყენებით შეიძლება იყოს.

ძველი ბერძნულის მედიუმთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოქმედებითი გვარის ზოგიერთი ზმნა მომავალ დროს საშუალო გვარის ფორმით აწარმოებს და საშუალო გვარის ზოგიერთი ზმნა აიორისტს აწარმოებს ვნებითი გვარის ფორმებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ინდოევროპულ ენებში აქტივისა და მედიუმს შორის განსხვავება გვიანდელი რეზულტატი იყო. მრავალი მკვლევარი ბერძნული ენისა თვლიდა, რომ აქტიური და მედიალური დაბოლოებები თავიდანვე არ ვეძლეოდნენ მნიშვნელობათა განსხვავებულობას.

ახალ ბერძნულშიც ყურადღებას იქცევს საშუალო გვარი. ფორმით ის არ განსხვავდება ვნებითისაგან, მაგრამ ხასიათდება განსხვავებული მნიშვნელობით. მაშინ როდესაც ვნებითი გვარის ზმნა უმეტესად უკუქცევითი ნაცვალსახელით გადმოიცემა (მაგ., *ἔβλεπα* „ჩვენ ვათავისუფლებთ ერთმანეთს“), საშუალო გვარის ზმნა უმეტეს შემთხვევაში მიგვანიშნებს მფლობელობაში მიღებას, კუთვნილებას. მაგალითად, მოქმედებითი გვარის ზმნა *ἔβλεπα*, რაც ნიშნავს „ვუბრუნებ უკან“, საშუალო გვარის ფორმა *ἔβλεπα*, ნიშნავს „ვიღებ უკან“, „ვიბრუნებ“, „ვიპყრობ“.

აღსანიშნავია, რომ ახალ ბერძნულში ე. წ. *ἔβλεπα* *ἔβλεπα* (გადაღებითი ზმნები) იხმარება მხოლოდ საშუალო და ვნებითი გვარის ფორმით. მაგალითად: *ἔβλεπα* „გვრძნობ“, *ἔβλεπα* „მოვდივარ“, *ἔβλεπα* — *ἔβλεπα* „მძინავს“, *ἔβλεπα* „ვღვავარ“. ასევე: *ἔβλεπα*, *ἔβλεπα*, *ἔβλεπα* და ა. შ.

ახალ ბერძნულში უმეტესი ნაწილი ზმნებისა შეიძლება იყოს გარდამავალი მნიშვნელობითაც და გარდაუვალი მნიშვნელობითაც. მაგალითად, *ἔβλεπα* 1) ეტვირთავ, 2) ეტვირთები: *ἔβλεπα* 1) ვარჩენ, 2) ვრჩები და მისთ.

საშუალო გვარის ფორმებია: *ἔβλεπα* (გვხვდება დიმორტიკში, *ἔβλεπα* მოქმედებითია), *ἔβλεπα*, *ἔβλεπα*, *ἔβλεπα*, *ἔβλεπα*, *ἔβλεπα*.

χομαι. ἀποθῆμαι, ἀπογεύμαι, ἀπογίνομαι, ἀπεύχομαι, ἀπεχθάνομαι, ἀπεργάζομαι, ανακτῶμαι, ἀναδῆχομαι, ἀλαφιάζομαι, αἰτιῶμαι, αἰωροῦμαι, ἀκροάζομαι, ὑποψεύδομαι, εὐχομαι, οἰκιοῦμαι, ὄρομαι, ἰσχυρίζομαι, καθάπτομαι, καρβυτσακίζομαι, καταπίνομαι, ἐπιθῆναι, θάμαζομαι, ἐναντιοῦμαι, ἐξίσταμαι, ἐπιβουλεύομαι, ἐμπορευομαι, ἐναγκάζομαι, ἐδράζομαι, διαμάχομαι διαπορευομαι, παραγίνομαι და მისთნ.

როგორც ირკვევა, არსებული ინდოევროპული ენებიდან მხოლოდ ახალმა ბერძნულმა შეინარჩუნა მედიუმი. იგი თანამედროვე ბერძნულში გადმოცემულია რეფლექსური და უკუქცევითი მნიშვნელობით. მაგალითად: λύνωμαι, νύνομαι, ἀγλαλιάζονται, γυαρίζονται—„ღამბანე“, „ჩამაცვი“, „ისინი გადაეხვივნენ ერთმანეთს“, „მათ იცნეს ერთმანეთი“. გვაქვს დიდი რაოდენობით მედიალური ზმნები, რომლებიც ისეთ მოკმედეგას განიხატავენ, რომელიც სუბიექტის სასარგებლოდ სრულდება, ესენია: δέχομαι, λάζομαι, σῆνομαι, οἰνίζομαι და ა. შ.; მედიალური გაფორმებით არის დებონენსური ზმნები: τεκταίνομαι, ῥύομαι, ბηλέομαι, αἰτίζομαι და სხვ.

საერთოდ, ბერძნულში მედიალური ზმნისთვის ერთ-ერთი ნიუანსია სუბიექტის მოქმედების წარმართვა საკუთარ სხეულზე. ასეთებია: λίσσασθαι, νίψασθαι, κείρασθαι (κεκάρθαι τὰς κεφαλὰς— თავისი თავის მოჭრის მნიშვნელობითაა), ἀξίον ἦν ἐπὶ τῷδε τῷ τάφῳ οὕτως κείρασθαι τῇ Ἑλλάδι (Lys.), „ელადაში წესად იყო თავის თავისთვის თმების შეჭრა (მწუხარების ნიშნად)“. καθάίρω ნიშნავს დაბანას, განწმედას. იგი მედიალური მნიშვნელობით ძალიან ხშირად არის ახალ აღთქმაში, კერძოდ სახარებაში, (მაგ., ი. 17, 19; ი. 11, 55); ასევე νίψασθαι (ლ. 11, 38; მრ. 7, 4 და სხვ.).

მედიალური ზმნების ისეთი გამოყენება, როდესაც სუბიექტი თავის თავზე ან თავისი სხეულის ნაწილზე მოქმედებს, არცთუ ისეა გავრცელებული. ჩვენი აზრით, ამ ზმნების ამგვარად გამოყენების იშვიათობა იმით არის გამოწვეული, რომ მედიუმი ამ ფუნქციით ხასიათდებოდა უძველეს ბერძნულში, ანუ: ერთ-ერთი თავდაპირველი მნიშვნელობა მედიუმისა იყო სწორედ მოქმედების წარმართვა საკუთარ სხეულზე. შემდეგში ფუნქციებმა, მნიშვნელობებმა განიცადეს ცვალებადობა (სახელდობრ, უძველეს ბერძნულშივე შეინიშნებოდა მედიალური ზმნის პასივის მნიშვნელობით ხმარება)<sup>16</sup>.

მედიალური ფორმა პომეროსთან ხშირად იხმარება იმ შემთხვევაში, როცა ობიექტად წარმოდგენილია სამკაული, ტანისამოსი, ფეხსაცმელი და იარაღი. მაგალითად: αὐτὰρ ἐπεὶ ῥ᾽ ἔσαντο περὶ χροὶ νόριπα χάλκιν (ილიადა XIV, 383). ἄσαστο δὲ ἴσωνι (ილიადა XIV, 181). ἀμφὶ δ' ἄρα χλοῖναν περονήσαστο φοινικέσασα (ილიადა X, 133) და სხვ.

აღბათ ამ ფორმებს ითვალისწინებდა შვიცერი, როცა წერდა, რომ „მედიუმისათვის დამახასიათებელია აკუსატივით გადმოგვეცეს ადამიანის სამოსი და საერთოდ, მისი პირადი საკუთრება“<sup>17</sup>.

მედიუმს ზმნიდან νίλω აქვს სუბიექტის პირადი დაინტერესების მნიშვნელობა და უკუქცევითობის გადმოცემაც. ასეა: ოდისეა II, 261; XII, 336; VI. 224—225; ილიადა XVI, 230; X, 572; XV, 137; X, 370; VII, 174 და ა. შ.

16 ე. შვიცერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

17 იქვე, გვ. 235.

ჰომეროსთან უფრო მეტად ზმნა *ირას*-ს აქვს მედიალური გაფორმება. იგი ხშირად ნიშნავს „მხედველობაში მიღებას“, „ხედვას“, „განჭკრეტას“. ასევე ზმნა *μυχανάμαι* (იონ. *μυχανέμαι*) ნიშნავს „მოფიქრებას“, „შეკმენას“; ანუ ორივე ზემოთ დასახელებული ზმნა ისეთ მოქმედებაზე მიგვანიშნებს, რომელიც სუბიექტში ხდება, მოიაზრება თვით სუბიექტში, ე. ი. ამ ზმნების მედიალურ ფორმებს აქვს ის უძველესი, ანუ უპირველესი მნიშვნელობა, რაც დამახასიათებელი იყო საერთოდ მედიუმისათვის.

ზმნა *φράζω* (რაც ნიშნავს „თქმას“, „ლაპარაკს“, „საუბარს“) ძველ ბერძნულში ჩვეულებრივ მედიალური ფორმითაა (βῆ ῥ' ἄν ἰδόν μ' ἐμὰ αὐτῶν τὸν δὲ φράσασθαι *πρὸς ἄνθρωπον* // *Διοσκυλῆς Ὀδυσσεὺς*, *Διοσκυλῆα δὲ πρὸς εἰπεῖν*. (ილიადა, X, 339—340). ასევე: ოდისეა, II, 367; IV, 71; I, 294; 462; IV, 529 და მისთ. მოქმედებითი გვარის დაბოლოებით ეს ზმნა იშვიათად გვხვდება, ასევე იშვიათად გვხვდება ზმნა *λέγω* და *εἶω* აქტიური ფორმით. უმეტესად ესენიც მედიალური გაფორმებითაა (ილიადა, I, 78; XIII, 292; ოდისეა, III, 240; X, 380; XIII, 292).

ჰომეროსის პოემებში შეინიშნება დიდი ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც სუბიექტის სულიერ, ფსიქიკურ განწყობილებას გამოხატავენ. ესენია: *ἀρπάζω* „ვტირი“ (ეგვევ ფორმა გვხვდება პლუტარქესთან, პინდარესთან და ჰესიოდესთან), *ἀγάζωμαι* „ვამაყოფ“, „ვმედიდურობ“ (ეს ზმნა მედიალური ფორმით ხშირად არის აგრეთვე ჰესიოდესთან, ევრიპიდესთან, ჰეროდოტესთან, პლატონთან), *ἄγχομαι* „მომწონს“, „აღფრთოვანებული ვარ“ *φυλ.* (*ἀγχάσσομαι*), *μᾶθωμαι* „ვფიქრობ“, „განვიციდი“ (ილიადა, II, 384; IX, 622; ოდისეა V, 173; X, 115).

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ძველი ბერძნულის კლასიკურ პროზაში დამოწმებული მედიალური ფორმები. ეს ავტორებია: ჰეროდოტე ჰალიკარნასელი (484—425 წწ.), პლატონი (427—377 წწ.), არისტოტელე (384—322 წწ.), დემოსთენე (384—322 წწ.).

„*δημοκράτης οὐκ ἀποκέρχεται τὴν οὐσίαν*“ (დემოსთ. 28, 3). *πάντα κατέσραπται*“ (დემოსთ. 4, 6). „*τὸ ἐν γὰρ φησι διαφερόμενον αὐτὸ αὐτῶν ξυμφέρεσθαι ὡσπερ ἀρμονίαν τῆσθε τε καὶ λύρας*“. „ერთიანი, ამბობს იგი (ჰერაკლიტე), — რომელიც თავის თავს შორდება, თავის თავსვე უახლოვდება, როგორც ჰარმონია მშვილდის და ლირის“. (პლატონი, ნაღიმი, XII). „*ἀν μὴ αἰσθάνηται μὴδ' ἐνεργῆ*“. „თუ არ შეიგრძნობდა, არც იმოქმედებდა“ (არისტოტელე, მეტაფიზიკა, VIII, 3).

“*Κροῖστος δὲ ἐπέειπε διαβῆς σὺν τῷ στρατῶ ἀπίκαστο τῆς Καππαδοκίης εἰς τὴν Περσίην καλεσομένων (ἢ δὲ Περσίην ἐστὶ τῆς χῶρης ταύτης τὸ ἰσχυρότατον, κατὰ Σινώπην πόλιν, τὴν ἐν Εὐθείῳσιν πόντῳ μακιστὰ καὶ καιμένῃ), ἐνθαῦτα ἐστρατοπεδῶετο φθείρων τῶν Συρίων τοὺς κληρούς. Καὶ εἶλε μὲν τῶν Περσίων τὴν πόλιν καὶ ἤνδραποδίσαστο, εἶλε δὲ τὰς περιουχίδας αὐτῆς πάσας, Συρίους τε οὐδὲν ἔόντας αἰτίους ἀναστάτους ἐποίησε*“.

„როდესაც კრეზე (მდინარეზე) გადავიდა ჯართან ერთად, მიაღწია პტერიად წოდებულ ადგილს კაბადოკიაში (ხოლო პტერია არის ამ ქვეყანაში ყველაზე უკეთ გამაგრებული ადგილი. იგი მდებარეობს ქალაქ სინოპის ქვემოთ, ხოლო სინოპე ზედ ევქსინის პონტოსთან არის), აქ დაიბანაჟა მან და გაანადგურა სირიელთა მიწები. პტერიელთა ქალაქი აიღო და დაიშინა, აიღო აგრეთვე მთელი მის ირგვლივ მდებარე (ადგილები), ხოლო სრულიად უდანაშაულო სირიელები (იქიდან) აპყარა“ (ჰეროდოტე, I, 58).



„Κὼς γοι δὲ (τὰ) ἄρεια (ἐν τῷ αὐτῷ γὰρ ἄρεια ὑπὸ Πέρσῃσι ἄρχεται τὰ δὲ πρὸς  
 φερέρῃσι ἀνεμῶσι τῶν Καυκάσιος Περσέων ὄμβρον εἶσι φροναίει)“.

„კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც, ვიდრე  
 კავკასიონის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდებოდა სპარსეთის მმართველობა,  
 ხოლო კავკასიონიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფერი უნდათ იცოდნენ სპარსელებისა)“ (პეროდოტე, III, 97).

ამგვარად, ბერძნულში საშუალი გვარი გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომლითაც თვით სუბიექტია დაინტერესებული იმ დროს, როდესაც მოქმედებითი გვარი ასეთ ნიუანსს არ გადმოსცემს. საშუალი გვარი არ არის უკუქცევითი, მაგრამ ხშირად გამოხატავს ისეთ მნიშვნელობას, რომელიც ახლოსაა უკუქცევითთან. ვნებითი გვარი ბერძნულში საშუალს ემთხვევა. საკუთარი, საშუალისაგან განსხვავებული ფორმები ვნებითს მხოლოდ მყოფადსა და აორისტიში გააჩნია.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბერძნული საშუალი გვარი თავისი მნიშვნელობით ხშირად ძალიან უახლოვდება ქართველურ ენათა სასუბიექტო ქცევას. იგი შეიძლება ითარგმნოს ქართულად სათავისო ქცევის ფორმით, ზოგ შემთხვევაში კი ბერძნულ მედიუმს სულ სხვა ფორმები შეესაბამება. ბერძნული საშუალი გვარი თავისი მნიშვნელობით უფრო ფართოა, ვიდრე ქართული სასუბიექტო ქცევა. ის გავება, რომელიც ქართულად შეიძლება სასუბიექტო ქცევით გადმოიციეს, ბერძნული მედიუმის მნიშვნელობის მხოლოდ ერთ-ერთ ნიუანსს წარმოადგენს, თანაც ერთ-ერთ პირველად მნიშვნელობას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვნებითი და საშუალი გვარის ფორმათა დამთხვევა მეორეულია.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა)



следует за Ибн-Я'иш-ем и переводит указанный термин как «*cote de la bouche*», но там же говорит, что «точное значение этого слова трудно установить».

Однако, некоторые специалисты следуют другому пониманию указанного термина; из них в первую очередь следует назвать Лепсиуса, который отмечает, что марониты переводят этот термин как «*amplior palati pars*». Далее он говорит: «Ясно, что тут подразумевается та часть рта, которая соответствует верхней части твердого нёба»<sup>11</sup>.

Иное толкование значения *šaḡr*-а засвидетельствовано в словаре Бругша<sup>12</sup>, в нем этот термин переводится как «твердое небо — *Gaumen*», аналогичное значение фигурирует У. Г. Муфтича («персе») <sup>13</sup>.

Но ознакомление с данными других арабских авторов не дает нам возможность отождествлять *šaḡr* со значением «нёбо». В этом отношении наиболее правильным является мнение Лепсиуса, который считает его частью твердого нёба, но по нашему мнению, остается уточнить именно какая часть твердого нёба подразумевается под этим термином.

В связи с этим следует подчеркнуть, что определенную ясность в уяснении этого вопроса вносят показания фонетического трактата Авиценны<sup>14</sup>.

Термин *šaḡr* в нем встречается несколько раз, в частности, при выявлении характерных черт артикуляции ряда согласных (*s, š, ž, ṭ, ṣ*) и как правило в паре со словом *ḥapak* «твердое небо». Контексты, в которых они встречаются, исключают синонимический характер указанных терминов. Наиболее ярко значение *šaḡr*-а выявляется из того места трактата Авиценны, где автор дает характеристику согласного *ž* хорезмского языка. По его словам, *ž* образуется «от сближения языка с поверхностью *šaḡr*-а и вибрацией этой поверхности»<sup>15</sup>. Это определение, по нашему мнению, не должно оставлять сомнения в том, что в данном контексте речь идет относительно передней части твердого нёба вплоть до десен<sup>16</sup>, именуемой палато-альвеолярной областью<sup>17</sup>. Другие места трактата хоть и менее ясны, но тем не менее не противоречат своим содержанием вышеприведенному определению.

<sup>11</sup> H. Lepsius, Ueber die Arabischen Sprachlaute... 1861, стр. 115.

<sup>12</sup> M. Brugsch, Arabisch-Deutsch Wörterbuch, 1860.

<sup>13</sup> T. Muftić, Trilitere u arapskom jeziku, Saraewo, 1953, стр. 511.

<sup>14</sup> أبو على ابن سینا، أسباب حدوث الحروف، تهران،

<sup>15</sup> ...، أسباب، стр. 12.

<sup>16</sup> Сравни Ш. Г. Гаприндашвили и Дж. Ш. Гиунашвили, Фонетика персидского языка, Тбилиси, 1964, стр. 92: «*ž* является шипящим звонким спирантом, артикулируемым в передней части полости рта, в щели, образованной путем сближения задней половины передней части спинки языка с местом, расположенным на склоне свода (подчеркнуто нами. — В. А.) твердого неба — у основания альвеол верхних резцов».

<sup>17</sup> А. Л. Трахтеров, Английская фонетическая терминология, Москва, 1962, стр. 206.





Еще одно обстоятельство укрепляет нас в мнении, что представленная нами трактовка термина *śaḅḅ* должна быть наиболее вероятной: фонетический трактат Авиценны носит следы определенного влияния индийской системы фонетики<sup>18</sup>. Это касается и классификации органов речи. Так например, во французском переводе сочинения Панини, выполненном Л. Рену, говорится, что «органами артикуляции являются гортань, твердое нёбо (*palais*) и небный свод (*voute palatine*)»<sup>19</sup>. Этот последний и должен соответствовать арабскому *śaḅḅ*. Таким образом, индийское *talū* = арабскому *ḥanak*, а *mūdhraṇ*—*śaḅḅ*<sup>20</sup>.

<sup>18</sup> Сравн. В. Г. Ахвледиани, Фонетический трактат Авиценны, Тбилиси, 1966, стр. 10.

<sup>19</sup> *Le Gramaire de Pānini, traduite du sanscrit avec des extraits des commentaires indigenes* par Louis Renou, Paris, 1947, I, стр. 5.

<sup>20</sup> W. Allen, *Phonetics in Ancient India*, стр. 52. 53.

(Представил академик Г. В. Церетели)

## თ ი ნ ა თ ი ს ს ა ნ ი კ ი ა მ

ინგლისურ ეპონომიურ და იურიდიულ ლიტერატურაში ხმარებული  
აგენტის (მოქმედი პირის) სუფიქსების შესახებ

აგენტის გამომხატველი არსებითი სახელების სუფიქსები ჯერ კიდევ ძველი ინგლისური ენის პერიოდში გვხვდება. სუფიქსა -ere იხმარებოდა მამრობითი სქესის არსებითი სახელების საწარმოებლად, ხოლო სუფიქსით -estre იწარმოებოდა მდედრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც მოქმედ პირს გამოხატავდნენ. მაგ., fiscere მეთევზე, fugelere ფრინველზე მონადირე, spinnestre მრთველი ქალი, bæcestre პურის მცხოვბელი ქალი.

სუფიქსით -end ნაწარმოები არსებითი სახელებიც გამოხატავდნენ მოქმედ პირს: dēmend მოსამართლე, wealdend ხელისუფალი, მბრძანებელი.

თანამედროვე ინგლისურ ენაში აგენტის სუფიქსებიდან ერთ-ერთ პროდუქტიულ სუფიქსს წარმოადგენს -er, საშუალო და ადრეული ახალი ინგლისური ენის პერიოდიდან ჩვენამდე მოაღწია ამ სუფიქსით ნაწარმოებმა არსებითმა სახელებმა, რომლებიც წარმოადგენენ პროფესიის, ხელობის, რომელიმე ადგილის (ქალაქის) მკვიდრისა და სხვათა სახელწოდებებს. მაგ., builder მშენებელი, book-binder მკაზმავე, glover მეთათმანე, tinner მეთუნუქე, weaver ფეიქარი, Londoner ლონდონელი.

ადრეული ახალი ინგლისური ენის პერიოდიდან ეს სუფიქსი აწარმოებს იარაღს, ხელსაწყოს აღმნიშვნელ არსებით სახელებსაც. მაგ., roller ლილვაკი, knocker სასიგნალო (სანიშნო) ჩაქუჩი.

თანამედროვე ინგლისურ ენაში სუფიქსით -er, -or, -ant (-ent) იწარმოება როგორც სულიერი, ისე უსულო აგენტის არსებითი სახელები, ხოლო სუფიქსები -ist, -ian (-an), -ess, -eer (-ier) აწარმოებენ მხოლოდ სულიერ არსებით სახელებს.

სუფიქსებით -er, -or, -ant, (-ent) გაფორმებული არსებითი სახელები გამოხატავენ:

1. მოქმედ პირს ან პროფესიას: reader მკითხველი, editor რედაქტორი, correspondent კორესპონდენტი.

2. იარაღს ან საგანს (ნივთიერებას), რომელიც ასრულებს მოქმედებას ან ახდენს ზეგავლენას რაიმეზე. amplifier გამაძლიერებელი, elevator ელვატორი (ტვირთმზიდი), coolant გამაგრილებელი სითხე, accelerant კატალიზატორი.

3. მოქმედ პირსაც და იარაღსაც: cultivator ა) მიწათმოქმედი, ბ) კულტივატორი, accumulator მომრეწვი, შემძენი, მომგები (ადამიანი), ბ) აკუმულატორი, balancer ა) ეკვილიბრისტი, ბ) სტაბლიზატორი.

სუფიქსით -ist ნაწარმოები არსებითი სახელები გამოხატავენ:

1. გარკვეული მოძღვრების, თეორიის, შეხედულების მიმდევარს: Darwinist დარვინისტი, atheist ათეისტი, monarchist მონარქისტი, optimist ოპტიმისტი.

2. სპეციალისტს ან პირს, რომელიც გაწვრთნილია გარკვეულ სფეროში: botanist ბოტანიკოსი, archeologist არქეოლოგი, philologist ფილოლოგი, archivist არქივის მუშაკი.

სუფიქსით -ian (-an,) ნაწარმოები არსებითი სახელები გამოხატავენ:

1. პირს, რომელიც ვანსწავლულია ხელოვნებაში ან მეცნიერებაში: musician მუსიკოსი, statistician სტატისტიკოსი, politician პოლიტიკოსი, mathematician მათემატიკოსი.

2. მცხოვრებს, მკვიდრს: African აფრიკელი, Egyptian ეგვიპტელი, Georgian ქართველი.

სუფიქსით -eer (-ier) ნაწარმოები არსებითი სახელები გამოხატავენ:

1. პროფესიას: engineer ინჟინერი, financier ფინანსისტი, auctioneer აუქციონისტი, mountaineer მთამსვლელი.

2. პირს, რომლის მიმართ უარყოფითი, დამამცირებელი დამოკიდებულება მეტადენდება: profiteer სპეკულიანტი, ჩარჩი, pulpiteer ქადაგი, sonneteer მოშიარე (სონეტების მთხვეელი).

სუფიქსით -ess ნაწარმოები არსებითი სახელები გამოხატავენ ქალის პროფესიას, poetess პოეტი ქალი, authoress მწერალი ქალი, ambassadress ელჩი ქალი.

განსაკუთრებით ხშირია აგენტისე სუფიქსებით ნაწარმოები არსებითი სახელების ხმარება ეკონომიურ და იურიდიულ ლიტერატურაში. კერძოდ ხშირად ვხვდებით აგენტისე სუფიქსებს -er და -or-ს; რამდენადაც სუფიქსები --er და -or აწარმოებენ ისეთ არსებით სახელებს, რომლებიც ახდენენ მოქმედებას, ხოლო მათ მიერ შესრულებული მოქმედება ხშირად უშუალოდ გადადის სუფიქსით -ee ნაწარმოებ არსებით სახელებზე, მიზანშეწონილად მივიჩნით -or, -er სუფიქსების პარალელურად განვევხილა -ee სუფიქსიც. საგულისხმოა, რომ სუფიქსებით -or, -er წარმოებულს არსებითი სახელების შეპირისპირებისას -ee სუფიქსით წარმოებულ არსებით სახელებთან ირკვევა, რომ სუფიქსებით -or, -er, წარმოებულ სახელები გამოხატავენ მოქმედ პირს, რომელიც რაღაცას გასცემს, ხოლო სუფიქსით -ee წარმოებულ სახელები აღნიშნავენ პირს, რომელიც რაიმეს იღებს (იძენს). მოვიყვანთ მაგალითებს: bargainer, bargainer გამყიდველი, bargainee მყიდველი. consignor, consigner კონსიგნანტი (კონსიგნაციაზე გაგზავნილი ტვირთის მფლობელი), consignee კონსიგნატორი (ტვირთის მიმღები, ადრესატი). drawer ტრასანტი (პირი, რომელმაც გასცა ტრატა), drawee ტრასატი (პირი, რომლის სახელზედაც გამოწერილია ტრატა). offerer, offeror ოფერენტი, პირი, რომელიც იძლევა წინადადებას, offeree პირი, რომელსაც ეძლევა წინადადება. employer სამუშაოს მიმცემი, მოქირავნე, employee, employé მოსამსახურე. lessor იჯარით გამცემი, lessee დამქირავებელი, არენდატორი. grantor იურ. ცედენტი (პირი, რომელიც დაუთმობს უფლებას ქონებაზე სხვას), grantee ცესიონარი, პირი, რომელსაც დაუთმობა უფლება მემკვიდრეობაზე. obligor, obligator პირი, რომელიც სასესხო ვალდებულებას იძლევა (სდებს), მოვალე, obligee პირი, რომელსაც ეძლევა სასესხო ვალდებულება, მრწმუნებელი. licensor პირი, რომელიც გასცემს ლიცენზიას, ნებართვას, licensee ნებართვის, პატენტის მფლობელი, ლიცენზიის მფლობელი. payer გადაამხდელი, payee პირი, რომელსაც უხდიან გადასახადს, რემიტენტი (ფულის მიმღები თამასუქით ან ჩეკით). pledger, pledg-





ორ დამკირავებელი, მაწინდარი, pledgee გირაოს მიმღები. vender, vendor გამყიდველი, ვაჭარი, მეწვრილმანე, vendee იურ. მყიდველი. Warranter, warrantor პირი, რომელიც იძლევა გარანტიას, გარანტი, თავმდები, warranty პირი, რომელსაც იძლევა გარანტია ან თავდებობის მოწმობა. promisor, promiser იურ. პირი, რომელმაც გასცა სასესხო ვალდებულება, თამასუქის გამცემი, მოვალე, დებიტორი, promisee იურ. პირი, რომელსაც მისცეს სასესხო ვალდებულების მოწმობა, თამასუქის მფლობელი. remittor, remitter ფულის გზავნილების გამზავნი, remittee ფულის გზავნილების მიმღები. endorser, indorser ინდოსანტი, ეირანტი (პირი, რომელიც აკეთებს დოკუმენტზე გადასაცემ წინაწერს), endorsee ეირანტი, ინდოსატორი (პირი, რომლისათვისაც გაკეთებულია გადასაცემი წინაწერი). patenter პირი, ვინც გასცემს პატენტს, patentee პატენტის მფლობელი (მქონე). assigner, assignor ის, ვინც გადასცემს უფლებას ან ქონებას, assignee უფლების მიმღები, უფლებამოსილი. bailor დეპონენტი (პირი, რომელმაც მიანდო, მიაბარა საქონელი ან ქონება), bailee პირი, რომელიც პასუხისმგებელია მისთვის შესაძლებად გადაცემულ საქონელზე. allotter ის, ვინც არიგებს, ანაწილებს მიწის ნაკვეთს, allottee ის, ვისაც ეძლევა მიწის ნაკვეთი, წვრილი არენდატორი. addresser, addressor ის, ვინც გზავნის გზავნილებას რაიმე ადრესით, addressee ადრესატი. appointer ის, ვისაც აქვს უფლება თანამდებობაზე დანიშვნისა; ის, ვინც ნიშნავს თანამდებობაზე სხვას, appointee პირი, რომელიც დანიშნეს, გააწესეს თანამდებობაზე; პირი, რომელმაც მიიღო თანამდებობა.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, -er, -or სუფიქსებით ნაწარმოებ აგენტზე არსებით სახელებს კანონზომიერად შეესატყვისება -ee სუფიქსით ნაწარმოები მოქმედების განმცდელი არსებითი სახელები. აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც შესატყვისი სუფიქსი -ee არ არის, ეს მიმართება განსხვავებული ძირით გამოიხატება. მაგალითად, creditor კრედიტორი, მევალე. debtor დებიტორი, მოვალე. briber ქრთამის მიმცემი, bribe-taker ქრთამის აძლები. trader, seller ვაჭარი, გამყიდველი. buyer, purchaser მყიდველი. lessor იჯარით გამცემი, leaseholder დამკირავებელი, არენდატორი.

ეკონომიურ და იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება არსებით სახელთა ისეთი წყვილები, როგორც არის: sweater დამკირავებელი, ექსპლოატატორი, მყვლეფელი (ის, ვინც ადენს ოფლს), sweatee ექსპლუატირებული, მუშა, რომელიც განიცდის მძიმე ექსპლუატაციას (ის, ვისაც ადენენ ოფლს). appealor ბრალმდებელი, appellee ბრალდებული, მოპასუხე. adopter შვილად აყვანი, adoptee ნაშვილები.

ამ არსებით სახელთა წყვილებში შეიმჩნევა ზემომოყვანილი მაგალითებისაგან განსხვავებული სემანტიკური ურთიერთობა. გამცემისა და მიმღების მნიშვნელობა კი არ აქვთ ამ წყვილებს, არამედ ისინი მხოლოდ სუბიექტისა და ობიექტის დამოკიდებულებას გამოხატავენ.

ეკონომიურ ლიტერატურაში სუფიქსით -er ნაწარმოებ არსებით სახელებში გვხვდება ისეთი არსებითი სახელებიც, რომლებიც მოქმედ პირსაც გამოხატავენ და მოქმედ საგანსაც. მაგ., banker ბანკირსაც ნიშნავს და ბანკსაც. trader ვაჭარსაც ნიშნავს და სავაჭრო გემსაც. fabricator მეფაბრიკესაც ნიშნავს და ფაბრიკასაც. packer მფუთავსაც (ხორცის კონსერვის ფაბრიკის მუშა) ნიშნავს, ფაბრიკის მფლობელსაც და აგრეთვე საფუთავ მანქანასაც და ფაბრიკასაც, სადაც აშაადებენ ხორცის კონსერვებს.

ეკონომიურ და იურიდიულ ლიტერატურაში ხმარებული აგენტივი სუფიქსებით წარმოებულ არსებით სახელებში ხშირია სინონიმა: *statist., statistician* სტატისტიკოსი, *bookkeeper, accountant* ბუღალტერი. *banker, moneyer* ბანკირი. *userer, supplier* მევახშე. *lessee, tenant, leaseholder* არენდატორი. *pursee, treasurer, paymaster* ხაზინადარი. *consumer, user* მომხმარებელი. *manufacturer, fabricator, industrialist* მრეწველი, მექარხნე. *planter, grower, owner* პლანტატორი, მფლობელი. *vendor, bargainor, seller, assistant, trader* გამყიდველი, ვაჭარი, *vendee, buyer, customer, taker, bargainer* მყიდველი. *defendant, respondent, appellee, accountant* ბრალდებული, მოპასუხე. *accuser, prosecutor, appelor* ბრალდებელი.

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: ეკონომიურ და იურიდიულ ლიტერატურაში აგენტივ არსებით სახელებში ხშირია სუფიქსები *-er, -or, -ee*, შედარებით იშვიათად იხმარება ისეთი აგენტივი სუფიქსები, როგორც არის: *-ist, -ant, -ian*.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სუფიქსები *-er -or*, ორივე იხმარება ერთსა და იმავე ძირთან და მათი მნიშვნელობა არ განსხვავდება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ძირს, გაფორმებულს სუფიქსებით *-er* და *-or*, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, მაგ., *bailor* დეპონენტი (პირი, რომელმაც ჩააბარა, მიანდო ქონება სხვას, *bailer* კაცი, რომელსაც წყალი ამოაქვს ნავიდან.

არის შემთხვევები, როდესაც სუფიქსი *-er* იხმარება ბრიტანულ ინგლისურ მეტყველებაში, ხოლო სუფიქსით *-or* გაფორმებული არსებითი სახელები წარმოადგენენ ამერიკაინიზმს. მაგ., *pledger*. (ინგ.), *pledgor* (ამერიკ.) დამგირავებელი, მაწინდარი.

სუფიქსებით *-er, -or* ნაწარმოები არსებითი სახელები წარმოადგენენ სუბიექტებს (აგენტებს), ხოლო სუფიქსით *-ee* ნაწარმოები არსებითი სახელები პირს, რომლისკენაც მიმართულია მოქმედება, ე. ი. მოქმედების ობიექტს. უნდა აღინიშნოს, რომ *-ee* სუფიქსით ნაწარმოები არსებითი სახელებიც ზოგჯერ გამოხატავენ სიბიექტს, მაგრამ ეს სუბიექტი მაინც უმეტესად ამღებს აღნიშნავს, როგორც მაგ., *bargainee, vandee* მყიდველი, *lessee* არენდატორი და სხვ.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა)

## ცნობები და შენიშვნები

ნანა ღოლიძე

### ღუტუ მგვრელის უცნობი რუსთველოლოგიური ცდანი

ცნობილი ქართველი პოეტის ღუტუ მგვრელის არქივზე მუშაობისას აღმოჩნდა ბევრი საინტერესო ჩანაწერი (უცნობი ნაწარმოებები, კერძო წერილი, ოფიციალური მიმოწერა თუ კრიტიკული სტატია), რამაც კიდევ უფრო საინტერესო გახადა კვლევა-ძიება ამ მრავალმხრივ საყურადღებო პიროვნების შემოქმედებითი მუშაობის სრული სურათის აღსადგენად.

როგორც ცნობილია, მწერლის არქივში გამკვირვალედ მოჩანს მისი სულიერი განწყობილებები, ინტერესები, საზოგადოებრივი ხასიათისა თუ პირადი განცდები, იდეური მიმართულება. ამ შემთხვევაში არქივის გაცნობამ ჩვენ დაგვანახა დიმიტრი ხოშტარია — მოქალაქე, მოღვაწე, პრინციპული ხასიათით, დიდი ენერგიულობით, უშუალოებითა და კაცთმოყვარეობით.

ავტოგრაფების ერთი შეკვრა ალაპარაკდა რუსთველზე. ამ შეკვრაში დაცულია რუსთველის ლითოგრაფიული სურათი. მას verso-ზე ფანქრით მიწერილი აქვს მეცნიერთა გამონათქვამი რუსთველის შესახებ. აქვე დაცულია ოთხი ფურცელი — პოემის ერთი თავის რუსული თარგმანი: «XXVI глава из грузинской поэмы „Человек в барсовой коже“». იწყება: „В чем о мир твои законы, для чего нас так гоняешь“ („ვაჲ, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!“<sup>1</sup> 952,1). მთავრდება „Воспевал все он горе а глаза все слезы лили“ („იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“. 968,4). სულ 136 სტრიქონი. ტექსტი გადაწერილია სხვის მიერ ლამაზი კალიგრაფიული ხელით. შემდეგ მთარგმნელს ტექსტი გაუსწორებია. მეტი ნაწილი გასწორებულია ფანქრით. სწორება ღუტუ მგვრელის ხელითაა. ჩასწორებულია სიტყვები, სტრიქონები და მთელი სტროფიც.

იშვიათია ისეთი შემოქმედებითი ნაშრომი, რომელსაც ცვლილება არ განეცადოს საბოლოო რედაქციამდე. ყველა თხზულებას თავისი შემოქმედებითი ისტორია აქვს. ტექსტოლოგმა სტრიქონის პირველი მონახაზიდან საბოლოო რედაქციამდე უნდა აღნიშნოს ცვლილებები, დააკვირდეს და მიიღოს საბოლოო ტექსტის მთლიანი ისტორია. ჩვენ ამგვარი სიფრთხილით გვაადევნეთ თვალი ვეფხისტყაოსნის ნათარგმნ ტექსტს. ვ უ ჩ ვ ე ნ ე ბ თ ზ ო გ ს წ ო რ ე ბ ა ს:

ა) სტრიქონი იკითხებოდა ასე: „Как и прежде проливает...“ გადაუქცეობია: „Снова льются, размышляет“. სტროფი გაიმართა ასე:

<sup>1</sup> შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1966, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. ქვემოთაც პოემის ქართული ტექსტი ამ გამოცემიდან მოგვაქვს.



«Авандил в разлуке плачет,  
 Голос неба достигает,  
 Слезы смешанные с кровью  
 Снова льются, размышляет». (შდრ. 953, 1—2).

ან კიდევ: „Над кристалльными зубами...“ ჩასწორებულია „Блещут алыми корнями“ (შდრ. 954,4).

ბ) რამდენიმე ნიმუში სიტყვის სწორებისა: „Пстушить не мот от горя...“, ასწორებს „Пстушить не может горя...“ (შდრ. 954,2).

გ) მთელი სტროფის სწორების მხოლოდ ერთი მაგალითია ხელნაწერში. იკითხებოდა:

«И Меркурий понимают  
 Уж меня, луна, Венера,  
 Сами за меня страдают,  
 Неужель все-ж не поверишь,  
 Что костры во мне пылают?».

გასწორებულია ასე:

«И Меркурий выражают  
 Мне сочувствие, луна, Венера,  
 Бююду путь мне облегчают,  
 Неужель все не поверишь  
 Что костры во мне пылают». (შდრ. სტრ. 965).

ტექსტში სწორების შემთხვევები ბევრია, რაზედაც შემდეგ გვექნება მსჯელობა.

თარგმანი უთარიღოა. ჩვენი აზრით, იგი შესრულებულია პოეტის სტუდენტობის პერიოდში (1887—1891). იგი, როგორც ჩანს, ადრევე ყოფილა დაინტერესებული ვეფხისტყაოსნით. ამას ადასტურებს მისი ადრინდელი ლექსები, სადაც გამოყენებულია რუსთველის აფორიზმები, თქმები. მაგ.: 1890 წელს დაწერილ ლექსში „მკურნალს“ პოეტი ამბობს:

„მოკვდები? ... მოკვდე! — ვერ დაიპერსო  
 სიკვდილს გზა ვიწრო, ვერცა კლიანი!  
 განა პირუტყვეულ სიცოცხლეს არ სჯობს,  
 კაცურად მოჰკვდეს ადამიანი?!“

1892 წელს დაწერილ ლექსშიც „მეგრელთა მიმართ“ ერთი სტროფი ასეა ჩამოყალიბებული:

„და მოიგონებთ იმ დროთა,  
 როცა თამართან მხნეობდით,  
 უსმენდით დიდსა ჭყონდიდელს,  
 რუსთველის ჩანვით სტკებოდით“...<sup>2</sup>

კიდევ ბევრი სხვა მაგალითის მიხედვითაც ჩანს, რომ სტუდენტობის პერიოდში დაწერილ ლექსებში შოთა რუსთველი დ. მეგრელის პოეტური შთაგონების წყაროა და ადვილი დასაშვებია, მას ვეფხისტყაოსნის რუსულ თარგმანზეც ემუშავა.

<sup>2</sup> დეტალურ მეგრელი, ლექსები, თბილისი, 1909.

ქალღმერთი ძველია, თუმცა ჰვირნიშანი არ გააჩნია. ტექსტი გადაწერილია კალიგრაფის მიერ. ეს მივიწყებული თარგმანი პოეტს ჩაუსწორებია უკვე 30-იან წლებში, რასაც ადასტურებს: 1. მას თავი მოუყრია ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერისათვის; ძველი თარგმანი ჩაუსწორებია და ამ არქივის ჯგუფშივე მოუქცევია. 2. აქვეა საიუბილეო დღეებამდე ჩატარებულ დისკუსიაზე წარმოსათქმელი მისი სიტყვა. დისკუსია კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსნის გარშემო დაიწყო 1936 წლის 19 ნოემბერს. ჩვენი ვარაუდით, თარგმნილი ტექსტის ჩასწორება უნდა მომხდარიყო 1936—37 წლებს შუა, პოეტის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე.

ამ შეკვრაში სხვა საინტერესო ფრაგმენტებიც იპყრობს მეკლევარ-ტექსტოლოგის ყურადღებას. ამათგან პირველი ორი გვერდი შავად ნაწერი ტექსტია შემდეგი სათაურით: „დუტუ მეგრელი — შოთა რუსთაველი ჩემს ლექსებში“. მეორე ორი გვერდი ამავე ტექსტის გადათეთრებული პირია, მაგრამ ჩასწორებები აქაც უწარმოებია. სამწუხაროდ, არც პირველი შავი და არც მისი გადათეთრებული პირი სრული არ არის. ჯერჯერობით არ ჩანს ამ ტექსტის ბოლო. ეს ფრაგმენტი საინტერესოა იმიტომ, რომ მწერალს განუზრახავს შეაჯამოს თავის ყმაწვილობის დროიდან სიბერემდე შექმნილ თხზულებებში როგორ არის წარმოდგენილი რუსთველის შთამაგონებელი ძალა, როგორ წარმოისახა დიდი პოეტი მის შემოქმედებაში. ტექსტი დაუმთავრებელია. მაგრამ მისი დათარიღების შესაძლებლობა მაინც არის. ტექსტში ვკითხულობთ: „მას (რუსთველს) უდიდესი ადგილი უჭირავს ჩემს პოეტურ შემოქმედებაში, ამიტომ ვბედავ მის საიუბილეო დღესასწაულთან დაკავშირებით, ნება მიცევ ჩემს თავს, მოვიყვანო რამდენიმე ჩემი ლექსი, სადაც იგი (რუსთველი) პირველ რიგშია მოხსენებული“. ამ ამონაწერით დასტურდება, რომ ეს სტატია დაუწერია რუსთველის საიუბილეო დღეებში (1937 წ.).

განსაკუთრებით საინტერესოა დუტუ მეგრელის ჩანაწერები, რომლებიც განკუთვნილია სტატიისათვის ვეფხისტყაოსნის შესახებ. მწერლის დაკვირვებები ამ ჩანაწერებში 26 გვერდს მოიცავს; აქედან 18 გვერდი ვარიანტია (ძირითადად, დასაწყისი სტატიის შესავალი ნაწილისა), ხოლო 8 გვერდზე წარმოდგენილია მისი საბოლოო რედაქცია. სამწუხაროდ, ეს სტატიაც დაუმთავრებელია. როგორც ჩანს, ის არ დაბეჭდილა, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ ჩატარებული ბიბლიოგრაფიული ძიება. ტექსტში წარმოდგენილი ზოგიერთი დეტალი მისი ზუსტი დათარიღების საშუალებას გვაძლევს: ეს თარიღია 1937 წლის 19 ნოემბერი. ტექსტი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ მოწყობილ დისკუსიაზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე მოგვითხრობს. სტატია ამ ცოცხალი შთაბეჭდილების გავლენით არის დაწერილი. როგორც ვიცით, დუტუ მეგრელი აღნიშნული სტატიის დაწერიდან ოთხი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

ამ დაუმთავრებელი ტექსტით ირკვევა, რომ მას სურდა დისპუტზე განსახილველი საკითხის გარშემო თავისი აზრი გამოეთქვა. ამისათვის მოგვიხდება ერთი ნაწყვეტის მოტანა დუტუ მეგრელის ტექსტიდან. აქ წარმოდგენილი სამი ვარიანტი დისკუსიის მსვლელობის სხვადასხვა მომენტზე მიგვითითებს. ჩვენ პირველი ვარიანტი ავირჩიეთ, სადაც უფრო გამოკვეთილია პაექრობაში მისი მონაწილეობის სურვილი. ქვემოთ მოგვაქვს აღნიშნული ნაწყვეტი:

„ჩემმა ბედმა თუ უბედობამ ისე მოიტანა, რომ თავიდანვე ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მხოლოდ გარეშე მაყურებლად უნდა დავრჩენილიყავი და მხოლოდ უბრალო მოყვარულის როლით დავკმაყოფილებულიყავი.“

რასაკვირველია „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო აღძრულ საკითხებშიც სპეციალისტობას ვერ დავიჩემებ, მაგრამ, როგორც, ვიმეორებთ, ქართული მწერლობის მოყვარული, ნებას მივცემ ჩემ თავს, დღევანდელ კამათში მივიღო მონაწილეობა და გამოვთქვა ჩემი გულწრფელი, ყოველ პირად, კერძო, ჯგუფურ ინტერესებით გამოწვეულ ანგარიშების გარეშე შედგენილი მოსაზრებანი.

პოეტ კ. ჭიჭინაძის რედაქციით გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო პოემის ტექსტის დადგენის მხრივ ორმა ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრმა იჩინა თავი.

ერთი იზიარებს კ. ჭიჭინაძის მიერ გამოთქმულ შეხედულებას, რომ ამ გამოცემით „პოემის ტექსტი ძირითადად უკვე დადგენილად უნდა ჩაითვალოს „ლიტ. გაზეთი“, № 17), მეორე კი სრულიად წინააღმდეგს ამბობს: „კ. ჭიჭინაძის გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ ამ მხრივ, ამ ტექსტის დაუდგენლობით მოიკოტლეს ყველაზე მეტად — აცხადებს ვუკ. ბერიძე („ლიტ. გაზეთი“, № 19).

კონსტანტ. ჭიჭინაძემ პოემის ტექსტის დადგენის საქმეში არამც თუ გააკეთა რამე, — პირიქით, „კიდევ მეტი გაურკვეველობა... კიდევ უფრო მეტი არეულობა შეიტანა“ — უმატებს ა. დუღუჩავა (კომ. № 266), ხოლო პავლე ინგოროყვა პირდაპირ დამნაშავეს სკამზე სვამს კ. ჭიჭინაძეს პოემის ტექსტის ამგვარად გამოცემისათვის.

ჩემის აზრით აჭარბებს კ. ჭიჭინაძე, როცა ამბობს: „პოემის ტექსტი ძირითადად უკვე დადგენილად უნდა ჩაითვალოს“ და რომ „ამიერიდან ყურადღების ცენტრი ტექსტოლოგიური კვლევა-ძიებიდან გადავა პოემის ათვისებაზე მხატვრული კრიტიკის მიერ“. მაგრამ კიდევ უფრო აჭარბებენ მისი მოწინააღმდეგენი, განსაკუთრებით პ. ინგოროყვა.

რასაკვირველია „ვეფხისტყაოსნის ტექსტის“ „საბოლოოდ“ დადგენის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება და სავსებით სამართლიანია და დროული ცეკას წინადადება უნივერსიტეტის მიმართ, სასწრაფოდ შეუდგეს პოემის ტექსტის აკადემიურად დამუშავებას, ცხადია ამ დამუშავების დროს სათანადო ანგარიში გაეწევა კ. ჭიჭინაძის ათი წლის შრომას... თავი დავანებოთ პოეტ კ. ჭიჭინაძის პიროვნების დამუშავებას... ამ დისპუტზე არ იყო კ. ჭიჭინაძის ყოველ შემთხვევაში დიდი შრომის მიმართ არამც თუ აკადემიური მიდგომა, უბრალო მართებული მიპყრობაც კი. ეს აშკარაა...

ცნობილ მწიგნობარ ალ. სარაჯიშვილის შემდეგ, რომელმაც გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში რამდენიმე დიდი წერილი გამოაქვეყნა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილების შესახებ, თითქმის ყველა მკვლევარი სულ ახალ-ახალ აღმოჩენას ახდენს ამ მხრივ და ერთს რომ ერთი ტაეპი მიაჩნია ყალბად, მეორეს — მეორე, ასე, რომ ყველა ამა თუ იმ მკვლევარისაგან ყალბად მიჩნეული ტაეპი რომ გამოვაკლოთ „ვეფხისტყაოსანს“, პოემა თითქმის განახევრდება. კ. ჭიჭინაძის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ „ყალბის მქმნელებისაგან“ ჩამატებული ტაეპები კი არ არის, არიან მხოლოდ გადაწერის დროს, გადამწერთაგან დაშვებული შეცდომანი, და ამიტომ ამ დამახინჯებათა გასწორებაა საჭიროო. — მეც მგონია, რომ თუ სავსებით არ სცდებიან მკვლევარნი, როცა ამდენ ყალბ ადგილებს პოულობენ, ყოველ შემთხვევაში ძალიან აჭარბებენ. ამ მხრივ მართალია ჭიჭინაძე, როცა მათ არ ეთანხმება და ყალბად მიჩნეული ტაეპის უმრავლესობა კვლავ შეაქვს პოემის ტექსტში.



რომ ეს ასეა, ამის დასასაბუთებლად ორ მოსაზრებას მოვიყვან: „ვეფხისტყაოსნის“ არამც თუ ავტოგრაფი, ცოტად თუ ბევრად უდავო დედანიც არ მოკვებოვება და კ. ჭიჭინაძემდის ყველა მკვლევარი პოემის ტექსტის დადგენის ღრის მხოლოდ თავის პირად განწყობილებით ხელმძღვანელობდა; ყოველ შემთხვევაში არც ერთ მათგანს არავითარი ობიექტური საფუძველი არ წარმოუდგენია ამა თუ იმ ტაეპის ყალბად მისაჩნევად...“

მოტანილი ამონაწერიდან ჩანს დუტუ მეგრელის შეხედულება დისკუსიაზე წამოჭრილი საკითხის შესახებ. იგი არ მსჯელობს კატეგორიულად, მისი თხრობა თავაზიანი და მორიდებულია. პოეტს საკიროდ მიაჩნია პოემის ტექსტის მეცნიერული დადგენა, ყოველი მოსაზრების მეცნიერული დასაბუთება.

ქვემოთ მოგვაქვს დუტუ მეგრელის მიერ თარგმნილი ერთი თავი ვეფხისტყაოსნიდან. ეს ტექსტი ერთი დამატებითი დოკუმენტია მე-19 საუკუნეში პოემის თარგმანით გატაცებისა.

პოეტის მთარგმნელთა ცნობილ სიას დუტუ მეგრელის სახელიც ემატება.

ОТРЫВОК ИЗ ПОЭМЫ «ВЕРХИС ТКАОСАНИ»  
(ЧЕЛОВЕК В БАРСОВОЙ КОЖЕ)  
РУСТАВЕЛИ

XXVI глава из грузинской поэмы  
«Человек в барсовой коже»

В чем, о мир, твои законы,  
Для чего нас так гоняешь?  
Кто тебе поверит, плакать  
Как меня все заставляешь,  
Поведешь кого откуда,  
Где погубишь, где замаешь!  
Но всевышний не оставит  
Тех, кого ты оставляешь.

Автандил в разлуке плачет,  
Голос неба достигает;  
Слезы смешанные с кровью  
Снова льются, размышляет<sup>1</sup>.  
Столь тяжка разлука, сколько  
Встреча радостью блистает, —  
Не с одной душой все<sup>2</sup> люди  
Многое их разделяет.

Звери в поле насещались  
Им пролитыми слезами,  
Потушить не может<sup>3</sup> горя,  
Чистыми<sup>4</sup> горит<sup>5</sup> огнями,  
Тинатину вспоминает<sup>6</sup>,  
Гнетом скован как цепями,

<sup>1</sup> Снова... размышляет] ყოფილა როგორც — გადაშლილია.

<sup>2</sup> Душой все] დუწერია დრუტ დრუტ. მაგრამ გადაუხაზავს და აღუდგენია ისევ პირველი ვარიანტი.

<sup>3</sup> может] ყოფილა მოგ ონ.

<sup>4</sup> Чистыми] ყოფილა მოგუჩიმი.

<sup>5</sup> горит] გორელ.

<sup>6</sup> вспоминает] ყოფილა ვსომინალ ვსე.

Губы рдеют и кристаллы<sup>7</sup>  
 Блещут алыми корнями<sup>8</sup>.

Роза сохнет а чинар уж  
 Начинает колыхаться,  
 Высеченный из рубина  
 Стал лазурью покрываться  
 Победить не дал он<sup>9</sup> смерти  
 Хоть не<sup>10</sup> думал с ней<sup>11</sup> мужаться;  
 Говорит: «Раз скрылось солнце,  
 Тьме не буду удивляться!

Молвит солнцу: «ты подобна  
 Солнце, лику Тинатины;  
 Друг на друга вы похожи  
 Освещаете долины;  
 Я живу одними вами<sup>12</sup>,  
 Вы одни мои святыни,  
 Но зачем мое вы сердце  
 Охладили без причины?»

«Ведь без солнца, даже в месяц  
 Мы замерзли бы зимою, —  
 Я ж два месяца не видел,  
 Вынес силою какую?  
 Но скале ничто все, болью  
 Не страдает никакою, —  
 Нож не исцелит нарыва,  
 Вскроет иль прибавит гною».

Продолжает путь и плача,  
 Обращает к небу очи:  
 «О, внемли мне, говорит ох<sup>13</sup>,  
 Солнце, ведь тебе все в мочи,  
 Сколько нищих<sup>14</sup> ты возвысил,  
 А царям дал счастья, мощи,  
 Не разъедини с любимой  
 Дней не преврати мне в ночи!

«О Сатурн прошу прибавь мне  
 Слез и горя и печали;  
 Окружи меня густою  
 Тьмой, чтоб люди не видали;  
 Влей мне в сердце яд и горечь  
 Чтоб они меня снедали;

<sup>7</sup> рдеют и кристаллы] ყოფილა როზამი ზარდელის—გადაშლილია.

<sup>8</sup> Блещут... корнями] ყოფილა ნად კრისტალნიამი ზუბამი—გადაშლილია.

<sup>9</sup> он] все же—გადახაზულია.

<sup>10</sup> Хоть не—გადახაზულია, დაუწერია ჯერ и не, ისევ გადაუშლია, დაუტოვებია პარველი ფორმა.

<sup>11</sup> с ней] ყოფილა он, ჯერ გადაუხაზეს, შემოთ დაუწერია ХОТЬ—ისიც წაშლილია.

<sup>12</sup> Я... вами] ყოფილა: Я тебя всегда рад видеть—გადაშლილია.

<sup>13</sup> О..... ох] ყოფილა О внемли моей молитве—გადაშლილია, ამ სტრიქონის შემოთ დაუწერია.: Говорить молю о солнце—ესეც გადახაზულია.

<sup>14</sup> Нищих] низких.

Ей скажи, глаза уже сколько  
 За нее слез проливали.

«О Юпитер умоляю, —  
 Судишь ты всегда правдиво, —  
 Два сердца друг с другом спорят,  
 Рассуди их справедливо.  
 Грех большой возьмешь на душу<sup>15</sup>,  
 Если обвинишь фальшиво,  
 Прав я, так не мучь же больше  
 И помилуй милостливо!<sup>16</sup>

«Марс, иди и, не жалея,  
 Разруби меня на части.  
 Чтоб истек я кровью, сразу  
 Очутился смерти в пасти:  
 Расскажи<sup>17</sup> мое ей горе,  
 Что не счесть моих несчастий,  
 Чем я сделался ты<sup>18</sup> знаешь  
 Сердце — жертва злой напасти.

«О Венера, помоги мне,  
 Окруженному огнями  
 Тою, жемчуг обтянула  
 Кто зардельми губами;  
 Ты красавиц одаряешь  
 Чудной прелести чарами,  
 Нас же мучишь беспощадно,  
 Сделавши любви рабами.

«Одинаково Меркурий,  
 Ныне наше положенье:  
 Я как ты, привязан к солнцу  
 И сгораю при вращеньи;  
 опиши мои страданья,  
 Пусть чернилами теченье  
 Будет слез моих, пером-же  
 Тела тонкого строенье!

«О луна, тебе подобно  
 Уменьшаюсь, вырастаю,  
 Солнце делает со мною  
 Все что хочет, — вот уж таю;  
 Сообщи ей, как несчастный  
 Я замучен и страдаю.  
 Пусть хоть помнит, не забудет.  
 За<sup>19</sup> нее я умираю.

<sup>15</sup> Грех... душу] ყოფილა: Ты возьмешь греха на душу.

<sup>16</sup> И ...милостливо] ყოფილა: Сердце без того чуть живо—გადახაზულია.

<sup>17</sup> Расскажи] ყოფილა Передай горе] ყოფილა участь.

<sup>18</sup> Ты] ყოფილა ведь—გადახაზულია.

<sup>19</sup> За] Для—გადაშლილია.



«Вот свидетели планеты,  
 Все мои несчастья<sup>20</sup> знают,  
 Солнце, Марс, Сатурн, Юпитер.  
 И Меркурий выражают  
 Мне сочувствие, Луна, Венера  
 Всюду путь мне облегчают,  
 Неужель всеж не поверишь  
 Что костры во мне пылают?»<sup>21</sup>.

Обратился к сердцу: «Слезы  
 Все еще ты проливаешь,  
 Если с духом подружился  
 Для чего себя так маешь?  
 Волосы твоей любимой  
 Перья ворона, ты<sup>22</sup> знаешь.  
 Но почувствуешь как — радость,  
 Горя колья не испытает?»

«Продолжать жить, — рассуждает, —  
 Ишь покончить уж с собою  
 Неужели не увижу  
 Больше солнца, что все ною?»  
 И запел он песню сладко<sup>23</sup>  
 Обливаясь слезою,  
 Так чудесно<sup>24</sup>, не сравнится  
 Соловья песнь<sup>25</sup> с песней тою.

Чтоб услышать его пень  
 Отовсюду приходили,  
 Звери дикие и камни  
 Из ручеек выходили<sup>26</sup>;  
 Если видели что плачет  
 Сами тоже с плачем выли...  
 Воспевал свое он горе  
 А глаза все слезы лили...

ბოლოს აქვს ხელმოწერა: Хоштария.

<sup>20</sup> Несчастья] ყოფილა სტრადანია—გადაუხაზავს, დაუწერია მუჩენია—ისიც გადაუხაზავს.

<sup>21</sup> и Меркурий ...пылают] ყოფილა:

И Меркурий понимают  
 Уж меня Луна, Венера  
 Сами за меня страдают,  
 Неужель всеж не поверишь,  
 Что костры во мне пылают?

ეს სტრიქონები გადახაზულია, ჯერ თანქრით ჩაუსწორებია სტრიქონებში და ბოლოს ვაკერდის თავისუფალ არეზე დაუწერია მეღნიით.

<sup>22</sup> ты] ყოფილა ვედ—გადახაზულია.

<sup>23</sup> сладко] ყოფილა тихо—გადაუხაზავს.

<sup>24</sup> так чудесно] ყოფილა голос чудный—გადაუხაზავს.

<sup>25</sup> песнь] ყოფილა песни—გადაუხაზავს, შემდეგ დაუწერია голос და ისიც გადაშლილია.

<sup>26</sup> Из... выходили] ყოფილა Из русла рек выходили.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
 აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული  
 ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

## მზია სურგულაძე

საწერი მასალის აღნიშვნელი ტერმინები  
და ცნობები მისი დამუშავების შესახებ

ბერძნული *Χάρτης* თავდაპირველად საწერად განკუთვნილ პაპირუსის ფურცელს ეწოდებოდა, შემდეგ საერთოდ ყოველგვარ ფურცელს. ამ მნაშენლობით შევიდა ეს სიტყვა მეზობელი ერების ენებში. არაბული *قسطاس*, სომხური *քարան*, ქართული ქართა: „მაშინ მოაღო სპარსთა მეფემან ქართა და დაწერა ჯელითა თვისითა წიგნი ბერძენთა მეფისა სიყუარულსა და ჩინება საზღვართა“<sup>1</sup>.

ქარტისაგინ დამზადებულ წიგნებს, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში გრაგნილის ფორმა ჰქონდათ, ერქვათ *წიგნი ან წიგნი*. უფრო გვიან კი ხმაოზდნენ ტერმინს *რგნი*. ეს უკანასკნელი გრაგნილის ერთ ფურცელს, ან ერთ გრაგნილს ეწოდებოდა<sup>2</sup>. ქართულში ეს ტერმინიც არის შემოსული მისი კნანობითა ფორმიდან *რგნი*<sup>3</sup>.

ძველ ქართულ ტექსტებში ტომარა და ქართა გვხვდებიან როგორც სინონიმები: „და ღამესა შინა ერთსა განვიდა ვარე წმიდაჲ იგი ბერი სენაკით თვისით და იხილნა ანგელოზნი ზეცით გარდამოსრულნი, და ერთსა მათგანსა ჯელთა ტომარი დიდი დაწერილი ორკერძოთვე; და ჰრქუა ერთმან მათგანმან მოყუასსა თვისსა: „ვის მისცემ ქართასა ამას, პაულეს განმოიხებულსა ეგვრტისა უღაბნოასასა, ანუ პიმენს მარტოდ მყოფსა?“<sup>4</sup>.

საწერ მასალად ტყავის გავრცელება ემთხვევა წარმართული ლატერატურის ქრისტიანულით შეცვლის პროცესს. ტყავს, როგორც საწერ მასალას, მანამდე გაბატონებულ ჭილზე უფრო კარგი თვისებები აღმოაჩნდა: საღბო, გამძლეობა. გარდა ამისა, ტყავისაგან დამზადებული კოდექსის ფორმის ხელნაწერი წიგნი ბევრად უფრო მონერგებული იყო ქრისტიანული კულტურისაგან განსხვავებისათვის, ვიდრე გრაგნილისა. ამიტომაც ქრისტიანული ლიტერატურის ძეგლები, მცირე გამონაკლისის გარდა, პერგამენტზეა შექმნილი<sup>5</sup>.

ჭილისაგან დამზადებული ქარტები ქრისტიანობის გაბატონების შემდეგაც არსებობდა. მათ იყენებდნენ კანცელარიებში. IV—V სს. სამხერატორო და საქალაქო ქარტები ჭილზეა შესრულებული. ხოლო პაპინ კანცელარიაში ჭილმა XI ს-მდე გაძლო. ამის მიზეზი ის იყო, რომ კანცელარიაში შედგენილ საბუთ

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, წ. 1, 1955, გვ. 183.

<sup>2</sup> E. M. Thompson, *The Greek and Latin palaeography*, London, 1906, გვ. 54.

<sup>3</sup> ი. აბულაძე, წერის ხელოვნებასთან დაკავშირებული რამდენიმე ძველი ქართული ტერმინი, თსუ შრომები. XXXIX, 1950, გვ. 78.

<sup>4</sup> G. Garitte, *Vies Géorgiennes de S. Syméon Stylite l' Ancien et de S. Ephrem*, Louvain, 1957, გვ. 90.

<sup>5</sup> ე. თ. მ. მ. ს. ნი, დასახ. ნაშრომ., გვ. 37.

უმეტესწილად ერთი ფურცელი ესაჭიროებოდა<sup>6</sup>. მაგრამ ტყავის საწერმა მასალამ ამ უკანასკნელი თავშესაფრიდანაც გამოდევნა ქილი, ხოლო ტერმინი ქარტა უკვე დიდი ხნიდან აღნიშნავდა არა მარტო ქილის ფურცელს, არამედ საერთოდ საწერ ფურცელს, რომელსაც გრაგნილის ფორმა ჰქონდა.

რადგან ერთი ქარტა ხშირად საკმარისი იყო დოკუმენტის შესადგენად, ამიტომ ქარტამ თვით მიიღო საბუთის მნიშვნელობა. ასეთი მნიშვნელობით ქარტა გვხვდება, მაგალითად, იოვანე მოციქულის აპოკრიფულ ცხოვრებაში: „პრქუა მას იოვანე: „განავლინენ ყოველნი სახლისა შენისანი გარე. და ვითარ იქმნა ესე, აჰა რომანა, და აქუნდეს ქარტანი, რომელთა ჰრქვან სყიდულ ებაჲ ჩუენი; და დაავლო თავი თვისი ფერხთა თანა იოვანსთა, ტიროდა და ეტყოდა...“<sup>7</sup>.

ქარტის, ანუ გრაგნილის ვაშლა გამოიხატებოდა ზმნებით: განყოფა<sup>8</sup>, განღება, განჯსნა: „ხოლო ერთმან მღვდელთაგანმან მოიღო ქარტაჲ იგი და განჯსნა, რაჲთა ცნას, თუ რაჲმე არს ცოდვაჲ იგი დიდი, და ვითარცა განალო ქარტაჲ იგი, იპოვა წმიდად. და არა იყო მას შინა ყოვლადვე კუალი ნაწერისაჲ“<sup>9</sup>.

საკუთრივ ტყავისაგან დანზადებული წიგნის აღსანიშნავად ქართულში ორი ტერმინი იხმარებოდა. ერთი მათგანია წიგნი ტყავისაჲ: „რათამსიგი წარცრაგნოს ცაჲ, ვითარცა წიგნი ტყავისაჲ, და იცვალოს და განახლდეს ქუეყანაჲ“<sup>10</sup>. ამ შემთხვევაში იგი ნახმარია ბერძნულ პალეოგრაფიაში ცნობილ ტერმინ ბიფორა-ს შესატყვისად: *Επιγύρεται γὰρ, φησιν, ὡς βιβλίον ἰσπραγὸς, κατὰ πᾶρ τινὸς σκληρῆς βιφώρα καὶ παραπέτασμα στυσελλόμενος ἐκ τοῦ μέσου, ὥστε μετασχηματισθῆναι ἐπὶ τὸ βιβλίον*<sup>11</sup>.

მეორე და საკმაოდ გავრცელებულ ტერმინს წარმოადგენს ეტრატო. ამ ტერმინის სადაურობა გარკვეული არ არის. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ იგი, შესაძლებელია, მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან *ἄφρατος*, რაც ნიშნავს წარუვალს, გაუხრწნელს, გაუფუჭებელს<sup>12</sup>.

ტერმინის სადაურობისა და მისი პირვანდელი მნიშვნელობის დადგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ნათარგმნ ძეგლებს, რომლებშიც ეს ტერმინი გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია სვიმეონ მესვეტის ცხოვრება: „...და ყოველთა, რომელთა ჰნებავნ კურნებაჲ სუმენის მიერ, აღწერიან ანგელოზთა მათ სახელნი მათნი სიტყვთა მისეთა ეტრატსა ზედა სპეტაკსა“<sup>13</sup>.

ბერძნულ ტექსტშია: „...Καὶ ἔχαστον τῶν μαλόντων λαβάνειν τὴν ἴασιν ἔγραφον τὸν ἄγιον λέγοντες ὡς ἐν σωματίῳ λευκῷ ὑπὲρ χιόνα“<sup>14</sup>.

<sup>6</sup> O. A. Добняш-Рождественская, История письма в средние века, Петербург, 1923, გვ. 23.

<sup>7</sup> ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, ც. ქურციკიძის გამოც., თბილისი, 1959, გვ. 64.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 61.

<sup>9</sup> ე. გარბოტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

<sup>10</sup> მამათა სწავლანი, ი. აბულაძის გამოც., თბილისი, 1955, გვ. 123.

<sup>11</sup> Migne, P. G., ტ. 47, გვ. 294.

<sup>12</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

<sup>13</sup> კიმენი ტ. 1, კ. კეკელიძის გამოც., თბილისი, 1918, გვ. 237.

<sup>14</sup> La vie ancienne de S. Syméon Stylite la Jeune. Pub par P. Van den Ven, Bruxelles, 1962, გვ. 89.



აქ ეტრატის შესატყვისად გვხვდება *აჰაჰ:თ*. ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა სხეული. ტერმინი *აჰაჰ:თ* ისევე გავრცელებული იყო, როგორც *ბ:ჟმ:ჰ* და *პაჟჰჰ:თ*.

მაგრამ არც ერთი ამ ბერძნულ ტერმინთაგანი, არც ეტრატის სომხური სახელწოდება *აოჰაჰაჰ*, არც სხვა მეზობელი ერების ენებში ტყავის საწერი მასალისათვის მიღებული ტერმინოლოგია ვერ ხსნის ტერმინ ეტრატის წარმომავლობას.

ეტრატი გვხვდება იოვანე მოციქულის აპოკრიფულ ცხოვრებაშიც: „ბრძანა იოვანე შეკრებაჲ ყოველთა ძმათაჲ და აღმოკითხვად მათა სახარებაჲ იგი. და რომელი-იგი ეტრატსა ზედა იყო, ჰყრობად იგი პატმოს ქალაქსა, ხოლო ქარტაჲ იგი წარღებად ეფესოს ქალაქსა“<sup>15</sup>.

ტექსტში ყურადღებას იპყრობს ეტრატისა და ქარტის აშკარა დაპირისპირება, თუმცა ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რა სახის დაპირისპირება იგულისხმება მათ შორის. იგი ორგვარი შეიძლება იყოს: ან ეტრატი და ქარტა უპირისპირდება ერთმანეთს როგორც განსხვავებული საწერი მასალა, ან როგორც წიგნის განსხვავებული ფორმა. ამის გარკვევაში დახმარებას გვიწევს სომხური ტექსტი: «*გი რ ხ თხარახს ლე არჰაჰსაჲ არარქს აჯნახს, ხსჲ გი რ ხ ჰარახს ლე გრსაჲ, ჰაჰაჲ თა მხე*»<sup>16</sup>.

ქართული ტექსტის ქარტის შესატყვისად სომხურში გამოყენებულია აგრეთვე *ჰარახს*, ხოლო ეტრატის სანაცვლოდ *თხარაჲ*, რაც ნიშნავს რვეულს. იგი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან *τετραχ*<sup>17</sup>, ისევე, როგორც რუსული *тетрадь*<sup>18</sup>.

ამრიგად, პარალელური სომხური ტექსტის მიხედვით, ქართული ეტრატი მოცემულ კონტექსტში უნდა ნიშნავდეს რვეულს და მისი დაპირისპირება ქარტასთან გამოხატავს წიგნის განსხვავებული ფორმების—გრაფილისა და რვეულის—დაპირისპირებას.

სამწუხაროდ, ქართული და სომხური ვერსიების ეს მონაკვეთი არ მისდევს ჩვენთვის ცნობილ ბერძნულ ტექსტს და ამდენად ბერძნული ტექსტის მონაცემების გათვალისწინება ვერ ხერხდება.

არ არის გამორიცხული, რომ ამ მაგალითში სიტყვა ეტრატის თავდაპირველი მნიშვნელობა ჩანდეს. აქვე შეიძლება ვივარაუდოთ ქართული ეტრატისა და სომხური *თხარაჲ*-ის საერთო წარმომავლობა. თუკი ამ ვარაუდს მივიღებთ, მაშინ ქართული ეტრატის ამოსავალ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ბერძნული *τετραχ:თ*, ისევე, როგორც ტომარისათვის ამოსავალია *თჰაჰ:თ*<sup>19</sup>. მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის თავიკიდური ტ თანხმოვნის დაკარგვა ხმოვნის წინ ქართულ ეტრატში, რადგან ასეთი ფონეტიკური ცვლილება უჩვეულოა ქართული ნასესხობებისათვის. მეორე მხრივ კი შესაძლებელია, ეს გარემოება ნასესხობის სიძველესა და მისი ზეპირი გზით შემოსვლაზე მიუთითებდეს.

<sup>15</sup> ქართული ვერსიები აპოკრიფებისა..., გვ. 89.

<sup>16</sup> *Թահարան, հայկական ճին և նոր դպրոխրանք, Վենետիկ, 1904, გვ. 289.*

<sup>17</sup> С. Малхасянц, Толковый словарь армянского языка, т. 4, Ереван, 1945, 33. 405.

<sup>18</sup> Вл. Даль. Толковый словарь живого Великорусского языка, т. IV, М., 1955, 33. 404.

<sup>19</sup> *ბ. ბ. ლ. ა. ძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.*

პერგამენტის კოდექსები სხვადასხვაგვარი წესით დაკეცილ ფურცლებს შეიცავდა. დაკეცილი ფურცლები შეადგენდნენ სხვადასხვა კომპლექსს, როგორცაა: ბინიონი, ტერნიონი, კვატერნიონი, კვინიონი და სენიონი. ამთვან ყველაზე გავრცელებული იყო კვატერნიონი, რომლის ბერძნული შესატყვისია *τετραμίσια*.

*τετραμίσια*-ის მისაღებად პერგამენტის ფურცელი იკეცებოდა ორი მიმართულებით—ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. ამრიგად მიიღებოდა ოთხი ფურცელი<sup>20</sup>, რადგან *τετραμίσια*-ები მხოლოდ და მხოლოდ ტყავის მასალისაგან მზადდებოდა, ამიტომ ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ რატომ დაუქავშირდებოდა სიტყვა ეტრატს ტყავის საწერი მასალის ცნება.

უძველესი ძეგლი, რომელშიც ტერმინი ეტრატი გვხვდება, არის იოანე ოქროპირის სიტყვა „სიკუდილისათვის და საშეჯლისა“, რომელიც ჩვენამდე X ს. ხელნაწერთაა მოღწეული: „მაშინ ვარსკულავნი ვითარცა ფურცელნი დამოკვენი, მზმ და მთოვარე დაბნელდნენ, და ცაჲ წარიგრაგნოს ვითარცა ქსელი ერთი ეტრატი, და შეიძრას ქუეყანაჲ ყოვლით კერძოვე“<sup>21</sup>.

მოყვანილ ნაწყვეტში ყურადღებას იპყრობს გამოთქმა „ქსელი ერთი ეტრატი“. მსგავსი გამოთქმა გვხვდება სხვაგანაც. კერძოდ, 1081 წლის ათონური ხელნაწერის ანდერძში: „სივერაგემან ჟამთამან, შეუწუვენელობამ კაცთამან და სიგლახაკემან სიძურესა თანა ეტრატისასა დამიხრწიეს, რამეთუ ორანი ქსელანი მოვიდოდეს დრაჰკანად, თუ არა მცირესა შინა ჟამთა მრავალი კეთილი იქმნებოდა“<sup>22</sup>.

ეს მაგალითები საკმარისია იმისათვის, რომ ქსელი ეტრატის საზომი ერთეულის, ან ეტრატის ფურცელის აღმნიშვნელ ტერმინად მივიჩნიოთ.

ი. აბულაძის ძეგლი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ქსელი განმარტებულია, როგორც ნაქსოვი, ქსოვა, შოლტი. მისი სომხური შესატყვისებია: *ստաքն, ստաքկ, ստաքանակ, քիչն*—ქსოვა, ქსოვილი, ტილო; ბერძნული: *ίχμα*—ქსოვილი, ქსოვილის ნაჭერი. არც სომხურსა და არც ბერძნულში ქსელის შესატყვისებს პალეოგრაფიული ტერმინის მნიშვნელობა არა აქვთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ქსელი ქართულ ნიადაგზე გაჩენილი ტერმინია და მეზობელ ენათა გავლენით არ არის შექმნილი.

ახსნას მოითხოვს ერთი გარემოება: რატომ ეწოდა ეტრატის ნაჭერს ქსელი, მაშინ როდესაც ეტრატის დამზადების წესს არაფერი აქვს საერთო ქსოვის პროცესთან?

ამ კითხვას შეიძლება ორგვარი პასუხი მოვუძებნოთ: 1. ქსელი, როგორც პალეოგრაფიული ტერმინი, ძალზე ძველია და თავდაპირველად ეწოდებოდა არა ეტრატის ფურცელს, არამედ ჭილისას. ჭილისაგან საწერი ფურცლების დამზადების პროცესი მართლაც წააგავს ქსოვის პროცესს (შდრ. მისი მნიშვნელობა შოლტი, ავრ. ბერძნული *ῥαψία*—ქსოვილი, საქსოვი ძირი, *ῥαψία βιβλίου*—პაპირუსის ფურცლები), მაგრამ ასეთი ახსნა დამაჯერებლობას მოკლებულია, რადგან უშუალო დამამტკიცებელი საბუთი არ მოგვეპოვება; 2. ქსელის მნიშვნელობა განზო-

<sup>20</sup> გრ. წერეთელი, ჩესტერ ბიტის პაპირუსები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VIII, 1933—1934, გვ. 367, სქოლიო.

<sup>21</sup> შამათა სწავლანი..., გვ. 93.

<sup>22</sup> Catalogue des manuscrits Géorgiens de la bibliothèque de la laure d'Iveron, au mont Athos, par R. P. Blake, Paris, 1932, № 21.

გადებულია, ნიშნავს საერთოდ ნაჭერს. გამოთქმა ქსელი ეტრათი უნდა გავიგოთ: ნაჭერი ეტრათი.

ეტრათის დამზადება ხელოსნობის ცალკე დარგს წარმოადგენდა. ავგაროზ ბანდაისძე თავის ცნობილ ანდერძში მას ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ხელობათა შორის ასახელებს: „წყალობითა ღმრთისათა მომეცა თვნიერ მოძღურისა ზელოვნება ესევეითარი: პირველად ჳელი—სწავაჲ ხუცობისაჲ, ჳელი მეორე—მწიგნობრობისაჲ, ჳელი მესამე—წერაჲ ხუცურისაჲ, ჳელი მეოთხე—შექმნაჲ ეტრათისაჲ, ხელი მეხუთე—შეკრავაჲ წიგნისაჲ, ჳელი მეექვსე—მხატვრობა“<sup>23</sup> და სხვ.

ეტრათის დამზადებას ეწოდებოდა აგრეთვე ეტრათის კაზმვა: „შეიწყალენ ღმერთმან ჩუენი ხუცესი ხრისტოდულე ებრაელ-ყოფილი. უღირსსა თანა სულსა ცოდვილსა, რომელ ამის წიგნისა ეტრათი ყოველი მას უკაზმიავს“<sup>24</sup>. თვით გადამწერები იშვიათად ფლობენ ამ ხელობას. ისინი ეტრათის შესაძენად ბაზართან იყვენ დაკავშირებულნი. სწორად უჩივიან კიდევ ეტრათის სიდვირეს, ამის მავალითად თუნდაც ჳემთ მოყვანილი Ath—21-ის ანდერძი გამოდგება.

ეტრათის ეკონომიის მიზნით გადამწერები ზოგჯერ ტექსტს ამცირებდნენ „...და სხუაჲ დიად მრავალი განვებაჲ ვერ დაეწერე მრავლისა მიზევისაგან და ეტრათისა არა ქონებითა. და ესეცა, რომელი დაეწერე, გორმართებით დაეჩხრიკე სიბრძითა“<sup>25</sup>.

გადამწერებს ეტრათით ზოგჯერ მომგებლები ამარაგებდნენ<sup>26</sup>.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ეტრათი საქართველოში მარტო უცხოეთიდან მოტანილი საქონელი კი არ იქნებოდა, არამედ მისი გაკეთება საქართველოშიც უნდა სკოდნოდათ<sup>27</sup>. ამ აზრს სავესებით ადასტურებს ხელნაწერთა მინაწერები. მათ მიხედვით ეტრათის დასამზადებლად იყენებდნენ ბატკნის, თიკნის და ირმის ტყავეს<sup>28</sup>.

საერთოდ ცნობები ეტრათის დამუშავების ადგილობრივი წესების შესახებ ძალზე მცირეა. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ თვით გადამწერები იშვიათად ლეზულობდნენ მონაწილეობას ეტრათის დამზადებაში. მხოლოდ ორიოდ ცნობ მოგვეპოვება ორივე ეტრათის კვერცხით დამუშავების შესახებ: 1. „ფოთათა.. კულტცხი ვსთხოვენ ეტრათისათჳს, ვერ მამცნეს. კულტრათამცა დაურჩებიან ქათამნი, თქუენცა თქვთ, მანო საყუარელნო“<sup>29</sup>; 2. „ამის ეტრათისა სირბილე და სიხორკლობაჲ და ადგილ-ადგილ ვერწყობილობაჲ ვისცა გიკვირდეს და წყევაჲ სთქუათ, მას მიმცეს ღმერთმან. მესხმან რა მიყო უმეცარ, უწრფელომან დიაკონმან. კუერცხის ცებაჲ მოიგონა და შეკაზმვაჲ დაიქადნა და ვერ კარგად ქნა უბადრუქმან“<sup>30</sup>.

<sup>23</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A—575, 155r.

<sup>24</sup> R. P. Blake. Catalogue des manuscrits... № 20.

<sup>25</sup> Catalogue des manuscrits Georgiens litteraires du mont Sinai par G. Garitte-Louvain, 1956, გვ. 149.

<sup>26</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>28</sup> იხ. მინაწერები ხელნაწერებზე S—1409 ბ. 7v: „კარგი რომ დაგიწერე, განა, კარგს ტყავეს გამომიგზავნი ბატკნისს ან ხტოსა და ან ექვს“; A—87. 91v: „აქა ირმის ტყავი მომივიდა“; ქუთაისი — 261, 25v: „თიკნის უქნა ესე ეტრათი“.

<sup>29</sup> ხელნაწერი A—841 41v.

<sup>30</sup> ხელნაწერი A—251, 20v.



ეს მინაწერი საინტერესოა იმიტაც, რომ გამოყოფს ეტრატის უარყოფით თვისებებს: ზედმეტ სირბილეს, ხორკლიანობას, „ვერწყობილობას“. კვერცხის ცილით ეტრატისა და ქალღმრთის დამუშავება საკმაოდ ცნობილი ყოფილა სომხეთში, აღმოსავლეთის ქვეყნებში და საქართველოშიც. არსებობს ამ წესის აღწერილობა: ფაიფურის ჭურჭელში შაბთან ერთად ათქვეფდნენ კვერცხის ცილას. ათქვეფვის შემდეგ ჭურჭელში, ათქვეფილი მასის გარდა, ჩნდებოდა თხევადი ემულსია, რასაც უსვამდნენ წინასწარ გახამებულ ქალღმრთის. ამ წესს უფრო მეტად მაშინ მიმართავდნენ, როდესაც ქალღმრთე ან ეტრატზე ფერწერული ნახატი იყო შესასრულებელი<sup>31</sup>.

„კვერცხის წყლის“ დამზადების რეცეპტი მოცემული აქვს ვახტანგ VI თავის „ქიმიის წიგნში“: „გაკეთება კვერცხის წყლისა, რითაც ვარაყს მიაკრავს რაზედაც გინდა: „მოიტანე სამი კვერცხი, გატეხე და ცილები ერთს სტაქანში ჩაახსი. ერთის კვერცხის ცილის ოდენი წყალი დაახსი იმ სამის კვერცხის ცილაზედ და ამდენი მარილი დააყარე, რომ საჭმლის ოდენით მარილი ჰქონდეს. მერმე ის ასე გასთქვიფე, რომ სტაქანში თავდაღმა დასდგა, არ დაიქცეს. მერმე დასდგი ის სტაქანი და შიგ წმინდად ჩასწმინდე. და ეს ჩაწმენდილი წყალი არის, რომელი მიაკრავს ვარაყს და იხმარების ვარაყის დასაკრავად“<sup>32</sup>. შემდეგ აღწერილია, თუ როგორ უნდა დამუშავდეს კვერცხის წყლით ეტრატი: „მოიტანე ის გაკეთებული კვერცხის წყალი და ორჯელად წაუსვი. ასრე შეაშრე, რომ ნებს არ ეწებებოდეს და ტენი კიდევ ჰქონდეს. ეს თეგი გამთბარი თავისის რიგით წააგორე. მერმე კურდღლის ფეხი წაუსვი და გარდავა, სადაც ვარაყი არ უნდა. თუ უბრალოს ალაგზედ დაეკრას, მოიტანე ზეთიანი ლანდრის ნაჭერი, წაუსვი და გარდაიყვანს, თუ ზეთის ხილია, ის სჯობს“<sup>33</sup>.

ეს წესები უჩვენებს, რომ „კვერცხის წყალს“ უსვამდნენ ეტრატს (აგრეთვე ქალღმრთის) იმ მიზნით, რომ მისი წებოვანება გაეძლიერებინათ. ასეთნაირად დამუშავებული საწერი მასალა კარგად იღებდა საღებავს.

<sup>31</sup> А. Ю. Казиев, Художественно-технические материалы средневековой рукописи, Баку, 1966, გვ. 29.

<sup>32</sup> ხელნაწერი S—3721, 61v.

<sup>33</sup> იქვე, 62v.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

## პ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

### პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ნ ო გ რ ა ფ ი ა

ახალი დროის (IX—XII საუკუნეები) აღმოსავლურ, კერძოდ არაბულ-სპარსულ, ფილოსოფიასა და მეცნიერებას ისეთი დიდი სახელები აწმვენებენ, როგორცაა ალ-ფარაბი (გარდ. 950), ალ-ქინდი (X—XI სს.), აბუ ალი იბნ-სინა (980—1037), ალ-ბირუნი (973—1048), ალ-ლაზალი (1058—1111), ომარ ხაიამი (1040—1123) და სხვა მისთანანი.

როდესაც ჩვენ რომელიმე ზემოდასახელებულ ფილოსოფოსისა და მეცნიერის ნაშრომს ვეცნობით, გვაოცებს ის დიდი ცოდნა მეცნიერების სხვადასხვა დარგისა, ის სიღრმე აზროვნებისა, რაც მის ავტორს გააჩნია. აღმოსავლური ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენლები ადრევე ეზიარნენ ბერძნულ კულტურასა და ფილოსოფიას, თარგმნიდნენ გამოჩენილი ფილოსოფოსების (პლატონი, სოკრატე, არისტოტელე და სხვ.) შრომებს, ურთავდნენ მათ სათანადო ახსნა-განმარტებებს, კომენტარებს და ამასთან ერთად თვით ქმნიდნენ ფილოსოფიურ თხზულებებს, რომლებიც სიღრმითა და გაქანებით არც ერთი ხალხის ფილოსოფოსთა ნაშრომებს არ ჩამოუვარდება.

არაბულ-სპარსული ფილოსოფიით დიდი ხანა დაინტერესებულა ევროპა. ალ-ბირუნის, აბუ ალი იბნ-სინას (ავიციენას), ალ-ლაზალის და სხვათა საუკეთესო ნაშრომები ყველა ევროპულ ენაზე გადათარგმნილი, არა ერთი და ორი გამოცემა დაიწერა მათ შესახებ.

საქართველოში კი ამ მხრივ დღემდე საგულისხმო ნაბიჯი არ გადადგმულა, აღმოსავლური ფილოსოფიის წარმომადგენელთა ბრც ერთი ნაშრომი არ გადათარგმნილა, მათ შესახებ არც ერთი გამოცემა არ დაწერილა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული კულტურის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი მჭიდროდ უკავშირდება აღმოსავლურ ფილოსოფიაში დასმულ პრობლემებს.

მართალია, ქართველი ფილოსოფოსების (მ. ნეტუბიძის, მ. გოგიბერიძის და სხვათა) ნაშრომებში იხსენიება აღმოსავლური ფილოსოფიის ესა თუ ის წარმომადგენელი, მაგრამ მათ მიერ დასმული პრობლემების შესახებ ვიმალე მსჯელობას ვერსად ვხვდებით.

დღეს მდგომარეობა სრულიად შეცვლილია; ქართველმა აღმოსავლეთმცოდნეებმა აკად. გ. წერეთლის ხელმძღვანელობით ხელი მოჰკიდეს აღმოსავლური ფილოსოფიის შესწავლას და პირველი მონოგრაფიაც დაიწერა: ალ-ლაზალი და მისი „თაჰაჰუთ ალ-ქალასიჰა“. მისი ავტორი ახალგაზრდა არაბისტი, მეცნიერებათა კანდიდატი ნანა კილაძე გახლავთ.

აღნიშნული მონოგრაფია თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობამ გამოსცა და, ვფიქრობთ, იგი მალე მონოგრაფიის ავტორის მიერ შესრულებულ ალ-ლაზალის თხზულების თარგმანსაც გამოსცემს.

მონოგრაფიაში გულდასმითაა განხილული ცნობილი ფილოსოფოსის ალ-ლაზალის ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომი „თაჰაჰუთ ალ-ქალასიჰა“ (ფილოსოფოსთა არათანამეკმეობა). ავტორს სხვადასხვა ევროპულ და აღმოსავლურ ენაზე შეუსწავლია ალ-ლაზალისა და მისი შრომების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, შეუსწავლია მისი ბიოგრაფია და შრომები, უთარგმნია „თაჰაჰუთი“, როგორც ამ ფილოსოფოსის ძირითადი ნაშრომი.

ავტორი ალ-ლაზალის „თაჰაჰუთის“ განხილვისთანა დაკავშირებით ეხება იმ ძირითად პრობლემებს, რაც ამ ფილოსოფიურ ნაშრომშია აღძრული. ესენია: სამყაროს ქამიერობისა და მარადიულობის, მატერიისა და მოძრაობის, დროისა და სივრცის, სიანმდვილის, არსისა და არა-არსის, ერთისა და მრავლის, ერთღვათებისა და მისი ატრიბუტების, ემანაციის, მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის, სხეულის, სულისა და გონების, ინტელიციისა და სხვა საკითხები.

ავტორი აქა-იქ, როცა ამას საჭიროება ითხოვს, ეხება ძველი ბერძნული ფილოსოფიის საკითხებსაც. ჩანს, რომ იგი შესანიშნავად ერკვევა როგორც ბერძნული, ისე აღმოსავლური ფილოსოფიის საკითხებში და წარმატებით მიიყვლინებს გზას მთელი რიგი ურთულესი ფილოსოფიური პრობლემების გაშუქებაში.

ამრიგად, აღნიშნული მონოგრაფია ნათელ და გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ალ-ლაზალის ამ „ქოლნისა და აზროვნების უნაბრო ზღვის“ არა მარტო „თაჰაჰუთში“ განვითარებული იდე-

ების, არამედ მთელი მისი ფილოსოფიური შემოქმედების შესახებაც.

აღ-ღაზალი მოღვაწეობდა სელჯუკიანთა დინასტიის ზეობის ხანაში, პროფესიით იგი იურისტი იყო, ნიშაფურისა და ბაღდადის იმდროინდელი უმაღლესი სკოლების (მედრესეების) პროფესორი. კითხულობდა ლექციებს სამართლის მეცნიერებაში; სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით.

აღ-ღაზალიმ მთელი მისი ცოდნა და ენერგია, როგორც ისლამის მიმდევარმა და მისმა უმაღლო თეოლოგმა, ღმერთის არსებობის დამტკიცებას მონაწილეობა; მაგრამ ეს მტკიცება უბრალოდ კი არ ხდება, არამედ ღრმად, ფილოსოფიურად. აღ-ღაზალი განმარტავს უფრო მეტად ალ-ფარაბისა და ავიცენას, რომლებიც არისტოტელეს მიმდევრები, მისი შრომების კონტრატორები იყვნენ, და აქედან თვით არისტოტელესაც, რომლის მოძღვრებას აღ-ღაზალი, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა. ნ. კილაძის მართებული შენიშვნით, აღ-ღაზალი „ეღბება და ეკამათება იბნ-სინას თვლით წაითხულ საერთოდ ბერძნულ, კერძოდ არისტოტელეს, ფილოსოფიას“ (გვ. 56).

ამ კამათში აღ-ღაზალი გამოთქვამს ისეთ ღრმა მოსაზრებებს, რომ ამის საფუძველზე მან დამოუკიდებელი მოაზროვნისა და ფილოსოფიის სახელი დაიმსახურა და სათანადო ადგილიც დაიმკვიდრა აღმოსავლური ფილოსოფიის ისტორიაში. გამოჩენილი მკვლევრის ვ. მ. ვატის აზრით, „აღ-ღაზალი იყო ლიდერი ისლამის ბერძნულ ფილოსოფიასთან უთანასწორო შეხვედრისა, საიდანაც ისლამის თეოლოგია გამარჯვებულ და გამაღრმავებულ გამოვიდა და რომლითაც არაბულმა ნეოპლატონიზმმა ისეთი დარტყმა იგემბა, რომ მისგან ვეღარ გამოკიდდა“. ნათქვამით, ვფიქრობთ, ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნანა კილაძის ნარკვევს, რომელშიც დაწვრილებითაა გადმოცემული აღ-ღაზალის ფილოსოფიური შეხედულებანი.

ნებას ვაძლევთ თავს, რომ ზოგიერთ საკითხზე გავამახვილოთ ამ მნიშვნელოვანი და მეტად საჭირო გამოკვლევის ავტორის ყურადღება:

1. ნანა კილაძე წერს: „აღ-ღაზალისთან დამოკიდებულებით აღსანიშნავია ის, რომ აღ-ქინდის სახით მას ჰყავდა ღირსეული წინაპარი, რომელმაც ფილოსოფიასა და რწმენას შორის დავა ფილოსოფიის სასარგებლოდ გადაწყვიტა, მაგრამ აღ-ღაზალიმ მის ნააზრევს გვერდი აუარა“ (გვ. 8).

აღ-ქინდი სახელგანთქმული ფილოსოფოსი იყო; მან აღმოსავლეთის ფილოსოფოსებს შორის პირველთაგანმა გაიკნო ძველი ბერძნული ფილოსოფიური შრომები, ემსრობოდა არისტოტელეს მოსაზრებებს, რაც ასე იყო გავრცე-

ლებული და მიღებული აღმოსავლურ, კერძოდ არაბულ-სპარსულ, ფილოსოფიაში. ამავე დროს იგი იძლეოდა მამუდიანთა რელიგიური მოძღვრების შემცველი მთავარი წიგნის — ყურანის მკაცრ კრიტიკას, აღნიშნავდა, რომ მასში დიდი უწყნარიგობაა, აკლია კომპოზიციის სიმტკიცე და თავიდან ბოლომდე წინააღმდეგობებით არის სავსე.

ამგვარად მოაზროვნე ფილოსოფოსი, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება წინაპრად აღ-ღაზალისა, რომელმაც მთელი სიცოცხლე ყურანისა და ისლამის დოგმების სიღრმის მტკიცებას შეაღია. წინაპარში ქრონოლოგიურად წინაპრობა კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ იდგურა წინაპრობა, აღ-ქინდი და აღ-ღაზალი, ძირითადად, ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლუსებზე დგანან, მათი შერიგება შეუძლებელია.

2. ავტორს ვურჩევდით აგრეთვე მეტი სიღრმისივე გამოჩინა ამა თუ იმ ტერმინის გამოყენებაში. აუხსენლია, მაგალითად, რატომ ამკინდა მან ტოლერულ-ბეგის ნაცვლად დაეწერა ტულრილ-ბეგი, როცა აღნიშნული სახელი ზემონაჩვენები ფორმით ჩვენში აღრეკვა დამკვიდრებული და დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილიც ამ ფორმას ამკობინებს. ასევე ითქმის მთელი რიგი მოვარაფიული სახელების შესახებაც.

ჩემი აზრით, სიტყვა ან სახელი თუ აღრეკვა შემოსული და დამკვიდრებული, მისი სწორება საჭირო არ არის, ენიდან ძნელია მათი ამოგდება და ასეთი ოპერაციების უფლებაც არა გვაქვს. მაგალითად, ძველ ქართულ ძეგლებში ვხვდებოდა ტერმინი „კადი“, აქა-იქ „ყადი“ (მოსამართლე), მაგრამ XVI—XVIII საუკუნეთა თხზულებებში „კადი“ „ყაზად“ შეიცვალა. საქმე ის არის, რომ პირველი ფორმა არაბულია, ხოლო მეორე სპარსული. ახლა რომ ყველგან არაბული „კადი“ დაეწეროს და სპარსული „ყაზი“ წავშალოთ, ამის არც საჭიროება არის და არც უფლება გვაქვს. ენობრივ მოვლენებს მეცნიერული ახსნა ესაჭიროება და არა ვინმეს სურვილების მიხედვით შეცვლა-გადამახინჯება.

გასაკვიროა, აგრეთვე, თუ ავტორმა რატომ იხმარა სიტყვა „ყასილა“ (გვ. 112) „ყასილის“ ნაცვლად, როცა ეს უქანასკნელი ქართულში დიდი ხანია არსებობს და იგი სამეცნიერო ლიტერატურაშიც საქმაოდ ფუნქციონირებულ ჩანს.

ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია აგრეთვე არაბული ენის ნორმების მიხედვით ვწეროთ სპარსული პოეტების სახელები და ირანის გეოგრაფიული პუნქტები. მაგალითად, გამოჩენილი ირანელი კლასიკოსის ფერიდ ედ-დინ ათარის სახელი (ქართ. ათარი) ატარად არის გადმოცემული (გვ. 12) და ირანის ერთ-ერთი ქალაქის



სახელწოდება ნიშაბური (ნიშაფური) არაბული ფორმითა წარმოდგენილი (ნაჰსაბური).

3. ჩემი აზრით, ტერმინების შერჩევის არა სიფრთხილზევ ლაპარაკობს ავტორის მიერ „ერთ-არსების“ გამოყენება. ნანა კილაძე წერს: „ალ-ლაზალი ღმერთის ერთ-არსების ერთგულია ყველგან და ყოველთვის“ (გვ. 85). ჩვენთვის გასაგებია, თუ რა მნიშვნელობით ხმარობს ავტორი „ერთ-არსებას“. ესაა იგივე ერთღვთაობა. ღმერთი ერთია და მას თანაშემწეები და მოზიარენი არა ჰყავს. ესაა ყურანის ძირითადი დებულება, რითაც ისლამი ქრისტიანობას ეწინააღმდეგება. ქრისტიანული ღმერთი კი წარმოადგენს სამი ჰიპოსტასის (ჰამალმერთის, ძე ღმერთის და სული წმინდა ღმერთის) ერთობას ანუ ერთ-არსებას. ტერმინი ერთ-არსება გამოყენებულია ქრისტიანულ ლიტერატურაში მხოლოდ და მხოლოდ ზემონაჩვენები მნიშვნელობით. დიდი მეცნიერი კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ თუ ერთ-არსება ასე არ იქნება გაგებულო, მაშინ მას არავითარი აზრი არა აქვს.

ტერმინი ერთ-არსება გვგვდება „ვეფხისტყაოსანში“:

იტყვის: ჰე, მზეო, ენ ხატად ვთქვეს მზიანისა  
ღამისად,  
ერთ-არსებისა ერთისა, მის უყამოსა  
ჯამისად.

მის ირგვლივ საგულისხმო სამეცნიერო ლიტერატურაა შექმნილი. კ. კეკელიძეს, ა. გაწერელიას, მ. გიგინეიშვილსა და სხვებს იგი ესმით, როგორც სამპიროვანი ქრისტიანული ღმერთის აღმნიშვნელი ტერმინი და რუსთველი ქრისტიანული რელიგიის დოგმების მიმდევრად ჰყავთ წარმოდგენილი. საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას ახალგაზრდა მკვლევარი ელგუჯა ხინთიბი-

ძე, რომელსაც რუსთველის ერთ-არსება ერთი ესმის როგორც ერთპიროვანი ღმერთი და არა როგორც სამება, არა როგორც სამი ჰიპოსტასის ერთად არსებობის გამომხატველი ცნება.

აღნიშნული საკითხის გარკვევისათვის დავა დღესაც გრძელდება და ასეთ ვითარებაში შრომის ავტორს უფრო დაწერილებითი განმარტება უნდა მოეცა ერთ-არსება ტერმინის შესახებ, ანდა სავსებით აველო გვერდი მისთვის. მისი ხმარება არ იყო აუცილებელი; მუსლიმ თეოლოგებსა და ფილოსოფოსებს აღნიშნული ტერმინის ზემონაჩვენები მნიშვნელობით გამოყენება არ შეეძლოთ.

ალ-ლაზალის აზრით, რასაც შესანიშნავად გადმოგვეცემს ავტორი (გვ. 73—74), ღმერთი ღროისა და სივრცის გარეთ იმყოფება; იგი არც სამყაროს გარეთაა და არც სამყაროს შიგნით; ღმერთი იყო და არ იყო ღრო; ღრო ქამიერია, შექმნილია და მასზე წინ საერთოდ არ არის ღრო.

ვეფქრობთ, ეს მოსაზრებანი ახლო დგას რუსთველის „უყამო ჟამის“ გაგებასთან. ასე რომ, ჩვენი დიდი პოეტის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხის გარკვევაში აღმოსავლური ფილოსოფია თავის სიტყვას იტყვის.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით გავეცანით ნანა კილაძის მონოგრაფიას. იგი აღმოსავლური ფილოსოფიის შესწავლის საქმეში ქართველი მეცნიერის თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს. ნაშრომი ღიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც აღმოსავლური, კერძოდ, არაბულ-სპარსული ფილოსოფიის საკითხების შესწავლით არის დაინტერესებული.

დავით კობიძე

## М.-Н. О. ОСМАНОВ, ЧАСТОТНЫЙ СЛОВАРЬ УНСУРИ, МОСКВА, 1970, 326 стр. + 25.

В настоящее время многие специалисты придерживаются мнения, что для полного познания языковой действительности и стилистических особенностей художественной речи следует сочетать качественный анализ элементов языка с количественным (статистическим) анализом.

Советские иранисты нередко в своих работах в той или иной мере применяли элементы статистического анализа (см. например, работы И. Овчинниковой, М. Явич, Ш. Кариева, М. Нуцубидзе и И. Сулакадзе). В этом отношении рецензируемый труд М.-Н. О. Османова выгодно отличается от остальных работ подобного рода целенаправленностью и монографичностью.

В «Частотном словаре» представлен конкорданс «Дивана» Унсури (X—XI вв.) — первого персидского поэта-лирика, «тексты которого сохранились в объеме, достаточном для статистических изысканий» (стр. 3). Исходный массив дошедших до нас произведений Унсури составляет 46472 словоупотреблений, объем словаря же, по данным М.-Н. О. Османова, 4824 лексем.

Работа в основном состоит из двух разделов: «Частотный словарь» (стр. 29—101), в котором представлены списки слов по убывающим частотам, и «Конкорданс» (стр. 105—326), в котором лексемы расположены в алфавитном порядке, но дается их полная паспортизация: указывается, где употребляется данное слово, можно установить также и частоту его употребления.

В частотных словарях обычно даются простые подсчеты, лишь эмпирические данные без обобщений и оценки их. Рецензируемому словарю же предпослана обстоятельная вступительная статья (стр. 3—25)

теоретического и исследовательского характера. Наряду с другими в ней рассмотрены вопросы статистической структуры лексики Унсури, представлены различные категории слов, сгруппированные по мотивам, таблицы поэтических символов и вероятностей по рангам и т. д. Достижения советского ученого становятся доступными и для широких кругов иранской научной общности благодаря персидскому варианту указанного предисловия (стр. 3—25).

Анализируемый материал почерпнут из критического текста «Дивана» Унсури, изданного Дабир Сяги. Однако надо особо отметить, что прежде чем использовать лексический материал этого издания, М.-Н. О. Османов проделал большую и плодотворную текстологическую работу, внес много поправок в текст «Дивана», что и было учтено в дальнейшем при росписи. Однако толкования некоторых слов М.-Н. О. Османовым вызывает у нас определенные сомнения.

В трактовке нашего автора слово **لشكر كوش** читается как *lāshkārkōsh* и переводится — «убывающий рать». По мнению исследователя, такое чтение «мотивируется синонимичностью с рядом стоящим эпитетом» (стр. 13), т. е. словом **لشكر شکن** «поражающий рать». Суждение свое М.-Н. О. Османов подкрепляет еще одним примером: «... в тексте Унсури композиту **لشكر كوش** абсолютно идентично следующее сложное слово: **سپه كوش** «убывающий рать» (стр. 13). Таким образом последнее слово читается нашим автором как — *senāhkōsh*.

В виду того, что контекст более точно выявляет семантическую структуру

указанных слов, приведем отрывки из оды, в которых засвидетельствованы интересующие нас слова:

شاه گیتی خسرو لشکرکش لشکرشکن  
سایه یزدان شه کشورده کشورستان

В данном бейте восхваляемый «Шах всего мира» и «тень всевышнего» определяется композитами *lāshkārkesh* (по М.-Н. О. Османову — *lāshkārkesh*), *lāshkārkeshkān*; *kešvārdeh* и *kešvārsetān*. Мы здесь наблюдаем симметричность противопоставления антонимов: *lāshkārkesh* — «предводитель войска» так относится к *lāshkārkeshkān* — «поражающий рать», как *kešvārdeh* — «дарующий страны» к *kešvārsetān* — «отнимающий страны». Таким образом экспрессивность в данном случае достигается за счет противопоставления антонимов! Семантическую основу противопоставления в парах составляют глагольные компоненты композитов: *keš-* («кешидān», «выстраивать, вести войско»), *-shēkān* («*shēkāstān* — «разбивать, поражать войско»); *-deh* («*dadān* — «отдавать, дарить»), *-setān* («*setān* — «дān» — «отнимать, отбирать»). Аналогичное выявляется и по отношению к *سيهکش*:

دهان گشاده میان بسته ایستاده فلک  
بمدح و خدمت شاه سیهکش صفدر

Небосвод стоит *dāhanгошаде* — «раскрыв рот» и *мианбāсте* — «препоясавшись, затянув пояс» с тем, чтобы служить и хвалить шаха, который является *sepāhkesh* — «выстраивающий, ведущий войско» и *sāfdār* — «разрывающий ряды (вражеского) войска». Здесь оппозиция *sepāhkesh* (а не *sepāhkoш*, как предлагает М.-Н. О. Османов) — *sāfdār* должна соответствовать противопоставлению *dāhanгошаде* — *мианбāсте*. Поэты часто прибегают к ис-

пользованию антонимов для достижения того или иного смыслового оттенка и экспрессивности. В данном случае применение указанного приема является одним из способов художественной лепки образов у Унсური.

В тех случаях, когда семантическая суть подобного противопоставления не прозрачна, Унсური так сказать «открывает кавычки», прибегает к «*lāffo nāshr*»:

یا ببندد یا گشاید یا ستاند یا دهد  
آنچه بستاند ولایت آنچه بدهد خواسته  
آنچه بندد دست دشمن آنچه بگشاید حصار

В первой строке выявляется оппозиция *bebāndād* — «свяжет», *gošāyd* — «раскроет, завладеет»; *setānād* — «завладеет, приобретет», *dāhād* — «отдаст, подарит». Во втором бейте раскрывается суть оппозиции: (он) «свяжет» руки врагу, «завладеет» крепостью; «приобретет» страну, провинцию, «отдаст, подарит» богатство. В системе подобных приемов нельзя не заметить «логичность и большую конкретность»<sup>2</sup> стихов Унсური, совсем не похожую на расплывчатое пустословие панегиристов более позднего времени.

Автор труда проделал огромную кропотливую работу. «Частотный словарь» имеет большие научные достоинства и дает обильный, строго систематизированный материал для литературоведческих и лингвистических исследований разного рода<sup>3</sup>. На наш взгляд работу наших специалистов в этом направлении следует продолжить и расширить с тем, чтобы в ближайшем будущем были бы созданы частотные словари других представителей, так называемого «хорасанского стиля», включая такого гиганта, как Фирдоуси.

ДЖЕМШИД ГИУНАШВИЛИ

<sup>1</sup> Об оппозициях в поэзии см. М.-Н. О. Османов, Система оппозиций в персидской поэзии X в., «Народы Азии и Африки», № 3, 1969, стр. 126—130.

<sup>2</sup> Е. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, М., 1960, стр. 323.

<sup>3</sup> См. так же рец.: G. Lazard, *Studia Iranica*, I, № 1, Paris, 1972, стр. 161—162.



# ქ ა რ თ უ ლ ი

სახლი წიგნები.

გამომცემლობა „მცენიერება“

## ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I

სარედაქციო კოლეჯია: ივანე გიგინეიშვილი (რედაქტორი), ლია ლევაია (მდივანი), ქეთევან ლომთათიძე, ვლადიმერ ფანჯიძე, როგნელა ლამბაშიძე, არნოლდ ჩიქობავა, მიხეილ ჭაბაშვილი.

კრებულში გამოქვეყნებულია ნარკვევები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, მორფოლოგია-სინტაქსის და პრაქტიკული სტილისტიკის ისეთ საკითხებზე, რომლებიც გადაუდებელ მოწესრიგებას საჭიროებს. დაბეჭდილია აგრეთვე წერილები ქართული მეტყველების კულტურის, სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და რუსული ენიდან ზმნის გარკვეულ ფორმათა ქართულად თარგმნის საკითხებზე. გამოქვეყნებული მასალა საფუძვლად დაედება სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტს.

## ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, წიგნი I

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ. ბარამიძემ.

რედაქტორი: ს. ცაიშვილი.

ტექსტი დადგენილია ყველა ხელნაწერის გათვალისწინებით. ტექსტს (მეორე წიგნი) დაერთვება სრული მეცნიერული აპარატურა. „წყობილსიტყვაობა“ წარმოადგენს ისტორიულ-ლიტერატურულ ძეგლს. მასში მიმოხილულია ქართული კულტურის, კერძოდ ქართული მწერლობის, მნიშვნელოვანი საკითხები.

## ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, კრებული II

რედაქტორები: გ. აბაშიძე, გ. ასათიანი.

კრებულში განხილულია მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურისა და სალიტერატურო კრიტიკის ნაკლებად შესწავლილი და პრობლემატური საკითხები.

## ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, კრებული III

რედაქტორები: გ. აბაშიძე, გ. ასათიანი.

კრებულში განხილულია ალ. ცაგარელის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა, წარმოდგენილია ვაზ. თევრის „დაარსების ისტორია, ნაჩვენებია ეურნალ „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათაში“ როლი ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში და სხვ.

## ლიტერატურის თეორია და ესთეტიკის საკითხები, წიგნი VI

რედაქტორი: მ. დუდუჩავა.

კრებულში განხილულია რეალიზმის თეორიის საკითხები ფრ. ენგელსის ესთეტიკურ-ლიტერატურულ ნააზრევში, პერსონალიზმის ესთეტიკურ-ლიტერატურულ შეხედულებათა არსი, რომანტიკული ირონიის საკითხი, ტიპიურობის პრობლემა, ისტორიული პერსპექტივის წარმოსახვის თავისებურება საბჭოთა ტრადიციებში, თარგმნის ხელოვნების პრინციპები და ქართული ლექსწყობის საკითხები.

## არ. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის

რედაქტორი: ვლ. ფანჯიძე.

ნაშრომის ძირითად ნაწილში შეჯამებულია ამ 50 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევები ქართულ დიალექტოლოგიაში, შესავალში კი განხილულია ის საკითხები, რომლებიც ამჟამად დგას ქართული ენის დიალექტების შესწავლასთან დაკავშირებით.

ფასი 1 ჰაბ.

76/198  
Индекс 76 198

